

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი

დოქტორანტი: ოთარ ჩახუნაშვილი



ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის  
წარმოების თავისებურებები

სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი  
პროფესორი პაატა ტურავა

თბილისი, 0128, საქართველო  
2020 წელი

## სარჩევი

შესავალი .....	12
თავი I. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სამართლებრივი ბუნება .....	18
1. სამართალდარღვევის სუბიექტი.....	21
1.1. ფიზიკური პირი.....	21
1.2. იურიდიული პირი.....	23
2. სამართალდარღვევის ობიექტი.....	27
3. სამართალდარღვევის სუბიექტური მხარე.....	28
4. სამართალდარღვევის ობიექტური მხარე.....	31
თავი II. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (გადაცდომა) და სხვა სახის სამართალდარღვევები .....	33
1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა (გადაცდომის) და სისხლის სამართლებრივი დანაშაულის გამიჯვნასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების ზოგადი მიმოხილვა.....	34
1.1. განსხვავება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სისხლის სამართლის დანაშაულის ცნებებს შორის.....	36
1.2. გამიჯვნის თეორიები.....	39
1.3. გამიჯვნის ზოგადი ნიშნები.....	42
1.4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სისხლის სამართლის დანაშაულის პრაქტიკული გამიჯვნა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით .....	46
1.5. საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა განსახილველი საკითხის თაობაზე .....	51
1.6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრებები ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სისხლის სამართლის გამიჯვნასთან დაკავშირებით.....	55
1.7. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდიფიკაცია, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (გადაცდომის) და სისხლის სამართლის დანაშაულის სათანადო გამიჯვნის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა .....	57
2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სამოქალაქო სამართალდარღვევის (დელიქტის) შედარება.....	64
2.1. დელიქტური სამართლის წარმომავლობა.....	67
2.2. დელიქტის განმარტება.....	68
2.3. დელიქტის დახასიათება.....	70
2.4. სამოქალაქო დელიქტის ცნება.....	72
2.4.1. მართლწინააღმდეგობა .....	75

2.4.2.ქმედება.....	75
2.4.3.ბრალი.....	76
2.4.4.მიზეზობრივი კავშირი .....	78
2.5. ადმინისტრაციული (სამართალდარღვევების) და სამოქალაქო (დელიქტის) პასუხისმგებლობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი.....	79
2.6. ადმინისტრაციული და სამოქალაქო კანონმდებლობით დელიქტის საკითხების მარეგულირებელი ნორმების შედარება .....	85
თავი III. ადმინისტრაციული წარმოებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების შედარებითი ანალიზი .....	95
1. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსების მოქმედების სფერო.....	97
2. ადმინისტრაციული წარმოების და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების სახეები და მათი ამოცანები.....	103
3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების მიზანი .....	104
4. ადმინისტრაციული წარმოების და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების მოქმედების სფერო.....	106
5. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების შედარება.....	110
თავი IV. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პრინციპები. 116	
1. თანაზომიერების პრინციპი .....	117
2. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი .....	118
3. კანონიერების პრინციპი .....	120
4. მიუკერძოებლობის პრინციპი .....	121
5. ინკვიზიციურობის პრინციპი.....	121
6. განმეორებით სახდელის დაკისრების აკრძალვის პრინციპი (ne bis in idem) ...	123
7. სამართლიანობა და ეკონომიურობა.....	127
8. ადამიანის უფლების ხელშეუვალობა.....	128
9. უდანაშაულობის პრეზუმფცია .....	128
10. ევროპის საბჭოს მინისტრთა კაბინეტის რეკომენდაცია ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების პრინციპების შესახებ .....	130
თავი V. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების დისპოზიცია.....	133
1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების დაწყების საფუძველი .....	142
2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მცირე მნიშვნელობა.....	143

თავი VI. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების მხარეები და მონაწილე პირები .....	157
1. საქმის განხილველი უფლებამოსილი ორგანოები.....	158
2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის უფლებამოსილების/ქვემდებარეობის დელეგირება .....	161
3. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი .....	163
4. დაზარალებული.....	166
5. ადვოკატი/დამცველი.....	167
6. კანონიერი წარმომადგენელი.....	169
7. მოწმე.....	170
8. ექსპერტი .....	171
9. თარჯიმანი.....	173
10. დაინტერესებული მხარე.....	174
11. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების მონაწილე პირების და მხარეების გამიჯვნა.....	174
თავი VII. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა .....	176
1. მტკიცებულებები.....	176
2. მტკიცებულებების მოპოვების გზები .....	178
3. ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარება მტკიცებულებების მოპოვების პროცესში .....	180
4. მტკიცებულებების მოპოვების შეზღუდვა .....	182
5. მტკიცებულებების შეფასება .....	185
თავი VIII ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების შეწყვეტა ....	187
თავი IX. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება .....	194
1. დადგენილების რეკვიზიტები და ფორმა .....	195
თავი X. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოება სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე .....	198
1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ადმინისტრაციული წარმოების უზრუნველყოფის ზომების გამოყენება.....	203
თავი XI. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოება საჩივართან დაკავშირებით .....	207
1. გასაჩივრების უფლებამოსილების მქონე პირები.....	208
2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრება .....	209

3. საჩივრის განხილვის წინაპირობები, საჩივრის დასაშვებობა.....	212
4. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული საქმის წარმოების დაწყების საფუძველი .....	214
4.1. ფორმა .....	214
4.2. საჩივრის წარდგენის ვადა.....	216
4.3. საჩივრის მოქმედების ძალა დადგენილების სამართლებრივ შედეგებთან მიმართებით .....	218
4.4. საჩივრის გამოხმობა.....	220
4.5. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგების თავისებურება .....	223
5. გადაწყვეტილება საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით.....	224
6. დადგენილების გაუქმების საფუძველები .....	224
6.1. პროცედურული ნაკლი.....	225
6.2. გამოცემის ფორმასთან დაკავშირებული ნაკლი.....	226
6.3. შინაარსობრივი ნაკლი .....	226
7. საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების თავისებურება სასამართლოში.....	228
დასკვნა.....	231
ბიბლიოგრაფია.....	251

## აბსტრაქტი

სადისერტაციო ნაშრომის შერჩევა განაპირობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის სამართალში არსებულმა ხარვეზებმა, მოძველებულმა კანონმდებლობამ და არაერთგვაროვანი პრაქტიკის არსებობამ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს ადგილი აქვს ჩვენს ყოველდღიურობაში, ვინაიდან ფართოა მისი გავრცელების არეალი. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები გვხვდება გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სფეროში, ასევე სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ვაჭრობისა და ფინანსების და სხვადასხვა დარგებში. არსებობს საზოგადოებრივი წესრიგისა და მმართველობის დადგენილი წესების ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები. საზოგადოებრივი ცხოვრების დაჩქარებულმა ტემპმა თავის მხრივ, გამოიწვია სამართალდარღვევების ზრდა, ხოლო საზოგადოებრივი მართლწესრიგის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია ჩადენილი სამართალდარღვევის სწორი კვალიფიკაცია და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება. აღნიშნულს უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება. ფაქტია, რომ დღეს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ შეიცავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოების საქმის მარეგულირებელ ნორმებს. მიგვაჩნია, რომ აღნიშნული საკითხი ზედმიწევნით სიზუსტით უნდა იყოს ჩამოყალიბებული, რაც ხელს შეუწყობს გამჭვირვალობის, მხარეთა მოსმენის, საკუთარი აზრის გამოხატვის და სხვა ადამიანის ძირითადი უფლებების რეალიზებას.

ნაშრომის აქტუალობას ასევე განაპირობებს ის ფაქტი, რომ ქვეყანაში დღეს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საკმაოდ რთულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სისხლის სამართლის დანაშაულის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. საკითხის მოწესრიგებას ამწვავებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

შეიცავს მუხლებს, რომლებიც მსგავსია სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სამართლის ნორმებისა, ასევე სისხლის სამართლის კოდექსშიც არის მუხლები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების შემადგენლობის იდენტურია.

კვლევის ფარგლებში განხილულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდიფიკაციის პრობლემა ორბუნებოვან (ადმინისტრაციულ-სისხლის სამართლის) გადაცდომებთან დაკავშირებით. პრაქტიკული თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სამოქალაქო სამართალდარღვევის ერთმანეთთან შედარება. საგულისხმოა, რომ განსხვავებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სისხლის სამართლის დანაშაულის გამიჯვნისაგან, ქართულ სამართლებრივ სივრცეში თითქმის არაფერი თქმულა. თემის აქტუალობას ასევე განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ როგორც წესი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევასა და სამოქალაქო სამართალდარღვევას შედეგად მოჰყვება ზიანის ანაზღაურების საკითხი, რაც, ასევე, რიგ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში არსებული არაერთი ნორმით, მათ შორის, მუხლი 153<sup>8</sup> - სესხის გაცემის წესის დარღვევა, მუხლი 153<sup>11</sup>. განვადებით ნასყიდობის საფასურის მიღების წესის დარღვევა და სხვა მუხლებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი გარკვეული წესების დარღვევისთვის განსაზღვრულია პირის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

სადისერტაციო ნაშრომში განხილული საკითხები მეტად აქტუალურია, რამდენადაც მათი გადაწყვეტა და ახლებური გააზრება ხელს შეუწყობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართლის როგორც მეცნიერების, ისე დარგის განვითარებას, ახალი საკანონმდებლო ნორმების შემუშავებას და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას.

კვლევის ძირითადი სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტიურად, აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომი არის ახალი, თანამედროვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართლის ჩამოყალიბების მცდელობა. ჩვენ მიერ შემუშავებულ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება, განისაზღვრება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების ზოგადი წესი და პრინციპები, რომელიც საერთო იქნება ყველა უფლებამოსილი ორგანოსთვის (თანამდებობის პირისთვის). მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც იქნება თითოეული მოქალაქისათვის თანასწორი და სამართლიანი მიდგომის გარანტი. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისას სავალდებულოდ შესასრულებელი საერთო წესების განსაზღვრა იმთავითვე გამორიცხავს საქმის განმხილველი უფლებამოსილი ორგანოების მიერ სხვა საკანონმდებლო აქტებში მათ ქვემდებარეობაში არსებული საქმეების განხილვისთვის განსხვავებული წესების და არათანაბარი უფლებამოსილებების დადგენის რისკს.

ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ჩატარებული წარმოების ხარისხის და თავად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სტანდარტების ამაღლების მიზნით, კვლევის ფარგლებში განხილულია ხსენებული მიზნის მიღწევის იმგვარი საშუალებები, როგორცაა - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების არსისა და მისი სახეების განსაზღვრა, ადმინისტრაციული წარმოებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების შედარებითი ანალიზის განხორციელება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პრინციპების ჩამოყალიბება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების მხარეებისა და მონაწილე პირების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების მხარეების და მონაწილე პირების უფლებამოსილებების დადგენა, საქმეზე არსებული დასაშვები მტკიცებულებების, მათი მოპოვების



გზების, შესაბამისი შეზღუდვების და მათი საბოლოო შეფასების სტანდარტების შემუშავება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი ფორმის განსაზღვრა, სხვადასხვა სახის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების თავისებურებების დადგენა.

ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად ნაშრომში განხილულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, ხოლო კვლევის შედეგად წარმოჩენილ თითოეულ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით, მათი გამოსწორების მიზნით, მოცემულია პრაქტიკული სამართლებრივი რეკომენდაციები.

როგორც წესი, სამართლის სფეროში განხორციელებული ნებისმიერი კვლევის მიზანია პრაქტიკული საქმიანობის ეფექტური განხორციელება. ნაშრომში მოცემული რეკომენდაციები კი, ხელს შეუწყობს ახალი ზოგადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შემუშავებას, რომელიც მთლიანად ფოკუსირებული იქნება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისაკენ.

## Abstract

The selection of dissertational work was caused by shortcomings in the law of administrative offences, obsolete legislation and the existence of a variety of practices. Administrative offences are commonplace in our everyday lives, as they are widespread. Administrative offences are found in the fields of environment protection, nature management, history and cultural heritage protection, as well as in agriculture, industry, trade and finance and in various other fields. There are administrative violations of established governance rules and of public order. The accelerated pace of public life, in turn, has led to an increase in offences, and proper qualification of these offences and imposing appropriate responsibility is important for ensuring public order. This is ensured by the conduct of administrative proceedings related to administrative offences. In fact, the current Administrative Offences Code of Georgia does not contain the rules governing the proceeding of case of administrative offence. We believe that this issue needs to be thoroughly formulated, which will contribute to the realization of transparency, listening to the parties, expressing one's own views and other fundamental human rights.

The topicality of the present work is also conditioned by the fact that under the current legislation in the country, it is quite difficult to distinguish between the administrative and criminal offences. The regulation of this issue is further aggravated by the fact that the Administrative Offences Code of Georgia contains articles similar to the norms of the law established by the Criminal Code. There are also articles in the Criminal Code that are identical to the provisions of the Administrative Offences Code of Georgia.

The study deals with the problem of codification of administrative offences related to two types (administrative-criminal) of misconduct. From a practical standpoint comparing administrative offences and civil offences is very important. It is noteworthy that, unlike the separation of administrative offences from criminal offences, almost nothing was said about this in the Georgian legal field. The topicality of the topic is also determined by the fact that, as a rule, administrative and civil offences are followed by the issue of compensation, which is also linked to a number of problems. Herewith, it should be borne in mind that the administrative responsibility of a person for violating the rules established by the Civil Code of Georgia is defined in many of the norms of the Special part of Administrative Offences Code of Georgia, among them the article 153<sup>8</sup> - breach of the loan rule, article 153<sup>11</sup> - breach of the acceptance rule of Installment purchase fee and other articles.

The issues discussed in this dissertational work are very relevant as their solution and their innovatory understanding will help to develop the science of administrative offences law, to develop new legislative norms and to correct faults that exist in practice.

The main novelty of the study is that this dissertational work is, in fact, an attempt to establish a new, modern law of administrative offences. We will elaborate on the notion of administrative offence and define the general rules and principles of proceeding of case of administrative offence, which will be common to all the authorities (and officials). We consider it appropriate to create a new Administrative Offences Code that will guarantee a fair and equitable approach to each citizen. In addition, we must take into account that defining common rules that are mandatory in proceeding of case of administrative offence, *ab ovo* excludes the risk of establishing different rules and unequal powers by the competent authorities handling the case, for the consideration of cases under their jurisdiction in other legislative acts.

In addition, in order to raise the quality of production carried out by administrative authorities and the standards set by the Administrative Offences Code itself, the following means of achieving this objective are discussed within the scope of this study: Determination of the essence and type of proceedings for administrative offences, the performance of comparative analysis of administrative proceedings and the proceeding of case of administrative offences, formulation of principles of the proceeding of case of administrative offences, determination of the legal status of the parties involved in proceeding of case of administrative offences and assessing of their powers, elaboration of admissible evidence, the ways of obtaining it, the appropriate restrictions and the standards for their final evaluation, determination of the legal form of the decision taken after dealing with the case of administrative offence, and the determination of the peculiarities of the proceeding of case of administrative offences of various kind.

In order to achieve the above-mentioned goals, this work discusses the regulations established by the applicable law on the proceeding of case of administrative offence, and practical legal recommendations are provided for each problematic issue raised by the research in order to solve them. As a rule, any research in the field of law is aimed at carrying out practical activities effectively. The recommendations given in this work will contribute to the development of a new Administrative Offences Code, which will focus entirely on the protection of basic human rights.

## შესავალი

**ნაშრომის აქტუალობა:** საკვლევი პრობლემის ზუსტ, მკაფიო ფორმულირებას არსებითი მნიშვნელობა აქვს ნაშრომის აქტუალობის განსაზღვრისათვის.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართლის სფეროში საკვლევი პრობლემაა საქართველოში მიმდინარე სამართლებრივი რეფორმების ეფექტურობა, ხოლო პრობლემის აქტუალობა კი იმით განისაზღვრება, რომ სამართლებრივმა რეფორმამ უნდა უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვას.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს ადგილი აქვს ჩვენს ყოველდღიურობაში, ვინაიდან ფართოა მისი გავრცელების არეალი. ადმინისტრაციული სამართალდარღვევები გვხვდება გარემოს დაცვის, ბუნებათსარგებლობის, ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სფეროში, ასევე სოფლის მეურნეობის, მრეწველობის, ვაჭრობისა და ფინანსების და სხვადასხვა დარგებში. არსებობს საზოგადოებრივი წესრიგისა და მმართველობის დადგენილი წესების ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები. საზოგადოებრივი ცხოვრების დაჩქარებულმა ტემპმა თავის მხრივ, გამოიწვია სამართალდარღვევების ზრდა, მით უფრო საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების სფეროში. საზოგადოებრივი მართლწესრიგის უზრუნველყოფისათვის მნიშვნელოვანია ჩადენილი სამართალდარღვევის სწორი კვალიფიკაცია და შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრება. აღნიშნულს უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება. პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ შეიცავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოების

საქმის მარეგულირებელ ნორმებს. ვფიქრობთ, აღნიშნული საკითხი ზედმიწევნით სიზუსტით უნა იყოს ჩამოყალიბებული, რაც ხელს შეუწყობს გამჭვირვალობის, მხარეთა მოსმენის, საკუთარი აზრის გამოხატვის და სხვა ადამიანის ძირითადი უფლებების რეალიზებას.

ნაშრომის აქტუალობას ასევე განაპირობებს ის ფაქტი, რომ ქვეყანაში დღეს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საკმაოდ რთულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სისხლის სამართლის დანაშაულის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. საკითხის მოწესრიგებას ამწვავებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი შეიცავს მუხლებს, რომლებიც მსგავსია სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი სამართლის ნორმებისა, ასევე სისხლის სამართლის კოდექსშიც არის მუხლები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების შემადგენლობის იდენტურია.

ფაქტია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაში ბრალდებულ პირს სამართლიანი პროცესის გაცილებით უფრო ნაკლებ გარანტიებზე მიუწვდება ხელი, ვიდრე სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში<sup>1</sup>, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ მოითხოვს სამართალდამცავი ორგანოებისაგან პატიმრობის გამოყენების საფუძვლის არსებობის მტკიცებას. ის არ მოითხოვს სამართალდამცავი ორგანოებისაგან, რომ სწრაფად შეატყობინონ დაკავებულს მისი უფლებები და დაპატიმრების საფუძველი. აღნიშნული საკანონმდებლო აქტი არ ადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციის მოთხოვნას. ის არ მოითხოვს მოსამართლისაგან მტკიცების ისეთი სტანდარტის გამოყენებას, როგორცაა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი. ბრალის დადასტურების და სახდელის შეფარდების პროცედურების შეკვეცილი და გამარტივებული ხასიათი ნაკლებად იძლევა

---

<sup>1</sup> მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გამლიერების პროექტი (JILEP), როგორ შევწყვიტოთ საქართველოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის არაკონსტიტუციური გამოყენება, 2013, 3. <[http://ewmi-prolog.org/images/-files/5258GEO\\_Admin\\_Regime\\_JILEP\\_Report\\_Oct\\_30\\_final.pdf](http://ewmi-prolog.org/images/-files/5258GEO_Admin_Regime_JILEP_Report_Oct_30_final.pdf)>[20.07/2019]

შედეგიანი წარმომადგენლობის<sup>2</sup> ან შედეგიანი გასაჩივრების<sup>3</sup> შესაძლებლობას.

დღეს მოქმედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადმინისტრაციულ პატიმრობას ითვალისწინებს, როგორც სახდელის სახეს, რაც ეწინააღმდეგება ევროპული სასამართლოს მოსაზრებას.

სისხლისსამართლებრივ სამართალდარღვევად მიჩნეულია ქმედება, რომელიც ითვალისწინებს იმ პირის თავისუფლების აღკვეთას, რომელიც ჩადის განსაზღვრულ სამართალდარღვევას, ევროპულმა სასამართლომ საქმეში ენგელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ, დაადგინა:<sup>4</sup>

„საზოგადოებაში, სადაც მოქმედებს კანონის უზენაესობა, იძულების ღონისძიება თავისუფლების აღკვეთის სახით მიეკუთვნება „სისხლის სამართლის“ სფეროს. იმ გამონაკლისის გათვალისწინებით, რომელიც თავისი შინაარსის, ხანგრძლივობის ან შესრულების მეთოდის გათვალისწინებით არ შეიძლება ასეთად ჩაითვალოს, რაც საზოგადოებას აყენებს დიდ ზიანს.“

კვლევის ფარგლებში განვიხილავთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდიფიკაციის პრობლემას ორბუნებოვან (ადმინისტრაციულ-სისხლის სამართლის) გადაცდომებთან დაკავშირებით. პრაქტიკული თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სამოქალაქო სამართალდარღვევის ერთმანეთთან შედარება. დაინტერესებულ პირებს ასევე ვთავაზობთ ადმინისტრაციული და სამოქალაქო პასუხისმგებლობის შედარებით-სამართლებრივ ანალიზს. აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, განსხვავებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სისხლის სამართლის დანაშაულის გამიჯვნისაგან, ქართულ სამართლებრივ სივრცეში თითქმის არაფერი თქმულა. თემის აქტუალობას ასევე განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ როგორც წესი, ადმინისტრაციული

---

<sup>2</sup> იხ. Human Rights Watch administrative Error: georgias flawed System of Administrative Justice, იანვარი 2013 წ. <<https://www.hrw.org/report/2012/01/04/administrative-error/georgias-flawed-system-administrative-detention>>[20/06/2019]

<sup>3</sup> იქვე

<sup>4</sup> *А. А. Ванчук М.*, Административно-деликтное право зарубежных стран 2011, 5

სამართალდარღვევასა და სამოქალაქო სამართალდარღვევას შედეგად მოჰყვება ზიანის ანაზღაურების საკითხი, რაც, ასევე, რიგ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში არსებული არაერთი ნორმით, მათ შორის, მუხლი 153<sup>8</sup> - სესხის გაცემის წესის დარღვევა, მუხლი 153<sup>11</sup> - განვადებით ნასყიდობის საფასურის მიღების წესის დარღვევა და სხვა მუხლებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი გარკვეული წესების დარღვევისთვის განსაზღვრულია პირის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

სადისერტაციო ნაშრომში განხილული საკითხები მეტად აქტუალურია, რამდენადაც მათი გადაწყვეტა და ახლებური გააზრება ხელს შეუწყობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართლის როგორც მეცნიერების, ისე დარგის განვითარებას, ახალი საკანონმდებლო ნორმების შემუშავებას და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას.

**კვლევის მიზანი:** კვლევის ძირითადი მიზანია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სამართლებრივი ბუნების დადგენა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში კოდიფიკაციის განხორციელება და შესაბამისი კოდექსის მიღება, რომელიც პასუხს გასცემს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (გადაცდომისა) და სისხლის სამართლის დანაშაულის გამიჯვნის აქტუალურ საკითხებს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების არსისა და მისი სახეების განსაზღვრა, ადმინისტრაციული წარმოებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების შედარებითი ანალიზის განხორციელება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პრინციპების ჩამოყალიბება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების მხარეებისა და მონაწილე პირების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა, საქმის განმხილველი ორგანოების უფლებამოსილებების დადგენა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების

სამართლებრივი ფორმის განსაზღვრა, სხვადასხვა სახის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების თავისებურებების დადგენა.

**კვლევის საგანი:** კვლევის საგანია იმ თეორიულ-სამართლებრივი საფუძვლების შემუშავება, რომლებიც უზრუნველყოფენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების მარეგულირებელ ნორმებზე დაყრდნობით შესაბამისი სახის ადმინისტრაციული წარმოების პრაქტიკულ რეალიზებას, ასევე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (გადაცდომის), სისხლის სამართლის დარღვევის (დანაშაულისა) და სამოქალაქო სამართალდარღვევის (დელიქტის) ერთმანეთისაგან გამიჯვნის საფუძველზე თვისობრივად ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პროექტის მომზადება.

**კვლევის მეცნიერული სიახლე:** კვლევის ძირითადი სიახლე იმაში მდგომარეობს, რომ ფაქტიურად, აღნიშნული სადისერტაციო ნაშრომი არის ახალი, თანამედროვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართლის ჩამოყალიბების მცდელობა. ჩვენ მიერ შემუშავებულ იქნა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება, განისაზღვრება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების ზოგადი წესი და პრინციპები, რომელიც საერთო იქნება ყველა უფლებამოსილი ორგანოსთვის (თანამდებობის პირისთვის). მიზანშეწონილად მიგვაჩნია შეიქმნას ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც იქნება თითოეული მოქალაქისათვის თანასწორი და სამართლიანი მიდგომის გარანტი. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისას სავალდებულოდ შესასრულებელი საერთო წესების განსაზღვრა იმთავითვე გამორიცხავს საქმის განმხილველი უფლებამოსილი ორგანოების მიერ სხვა საკანონმდებლო აქტებში მათ ქვემდებარეობაში არსებული საქმეების განხილვისთვის განსხვავებული წესების და არათანაბარი უფლებამოსილებების დადგენის რისკს.



ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების მიზნის და მისი მოქმედების სფეროს გათვალისწინებით, ჩამოვყალიბეთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების ცნება, განვსაზღვრეთ ადმინისტრაციული დადგენილების არსი, ჩვენ მიერ შემუშავდა სამართალდარღვევის მცირემნიშვნელოვნად მიჩნევის კრიტერიუმები, ვფიქრობთ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე წარმოების შედეგად მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებასაც უნდა ეწოდოს „ადმინისტრაციული დადგენილება“.

**კვლევის პრაქტიკული დანიშნულება:** სამართლის სფეროში განხორციელებული ნებისმიერი კვლევის მიზანია პრაქტიკული საქმიანობის ეფექტური განხორციელება. როგორც უკვე აღვნიშნეთ დღეს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ვერ პასუხობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრებებს. ჩვენ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები ხელს შეუწყობს ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შემუშავებას, რომელიც მთლიანად ფოკუსირებული იქნება ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვისაკენ. აღნიშნული საკანონმდებლო აქტი დაეხმარება პრაქტიკოს იურისტებს, ხელს შეუწყობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართლის განვითარებას.

**კვლევის მეთოდები:** ჩვენ მიერ სადისერტაციო ნაშრომის შესრულების დროს გამოყენებული იქნა: ფორმალურ-იურიდიული, დოგმატური, შედარებით - სამართლებრივი, ისტორიულ-სამართლებრივი, აღწერილობითი, ანალიზისა და სინთეზის მეთოდი, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების შესწავლისა და ანალიზის მეთოდები.

## თავი I. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სამართლებრივი ბუნება

სამართალდარღვევის სამართლებრივი ბუნების სწორ განსაზღვრას დიდი როლი აკისრია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების სათანადოდ ჩატარების და თავად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ამოცანების, მატერიალური და განსაკუთრებული ნაწილის ხასიათის განსაზღვრისთვის. სამართალდარღვევის სამართლებრივი ბუნების მიხედვით განისაზღვრება თუ რა სახის ქმედება შეიძლება მიჩნეულ იქნას სამართალდარღვევად, ვინ შეიძლება ცნობილ იქნას სამართალდამრღვევად და რა გარემოებების არსებობის შემთხვევაშია დასაშვები ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება.

მნიშვნელოვანია, რომ სამართალდარღვევათა კოდექსში არსებობდეს იმგვარი სამართლებრივი ნორმები, მათ შორის, სამართალდარღვევათა საქმისწარმოების პრინციპები, დებულებები და სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოებისთვის მკაფიოდ გაწერილი შესასრულებლად სავალდებულო მოთხოვნები და წესები, რომ ხსენებული კოდექსი ქვეყანაში წარმოადგენდეს სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, ადამიანის უფლებების და თავისუფლების დაცვის განმსაზღვრელ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დოკუმენტს.

აღნიშნულის წინაპირობას წარმოადგენს სამართალდარღვევის სამართლებრივი ბუნების იდენტიფიცირება და სათანადო განსაზღვრა, რომლის მატარებელი უნდა იყოს კოდექსში არსებული თითოეული ნორმა, წინააღმდეგ შემთხვევაში თავად კოდექსი იქნება ხარვეზიანი, რაც შეუძლებელს გახდის მის სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის, ადამიანის უფლებების და თავისუფლების დაცვის გარანტად ყოფნას.

ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული საკითხის ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში თანმიმდევრული მოწესრიგება არ არის მარტივი. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სამართლებრივი ბუნების განსაზღვრის

სირთულეს ადასტურებს საერთაშორისო გამოცდილებაც, რასთან დაკავშირებითაც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მიდგომაც განსხვავებულია. თავდაპირველად გასათვალისწინებელია, რომ ნაკლები მნიშვნელობის დარღვევები ამა თუ იმ სამართლებრივ სისტემაში, გამიჯნულია სისხლის სამართლისგან და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის რეგულირების საგანს წარმოადგენს.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლით სამართლიან სასამართლოზე უფლება შემოსაზღვრულია მხოლოდ სისხლისსამართლებრივი ბრალდებით, ან სამოქალაქო სამართლებრივი უფლებით. იმისთვის, რომ განმცხადებელმა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სამართლიანი სასამართლოს მრავალასპექტიანი უფლების დარღვევაზე იდავოს, უნდა დაამტკიცოს მე-6 მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი ბრალდების, ან სამოქალაქო უფლების არსებობა.<sup>5</sup>

დარღვევის სამართლებრივი დარგებისათვის მიკუთვნების ნაწილს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, ცალკეულ შემთხვევაში, მის მიერ წლების განმავლობაში პრეცედენტული სამართლით დამკვიდრებული კრიტერიუმების საფუძველზე ადგენს. სასამართლო თავის არაერთ გადაწყვეტილებაში მიუთითებს, რომ კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე, იმის დასადგენად, თუ რა ბუნების მატარებელია კონკრეტული პასუხისმგებლობა, უნდა შემოწმდეს სამი ნიშნის მიხედვით:<sup>6</sup>

1. ქმედება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობით, უნდა მიეკუთვნებოდეს სისხლის სამართალს;

---

<sup>5</sup> *D. Vitkauskas, G. Dikov*, Protecting The right to a fair trial under the European Convention on Human Rights, Council of Europe, Strasbourg, 2012, pp. 7–23.  
<[http://www.coe.int/t/dghl/cooperation/capacitybuilding/Source/documentation/hb12\\_fairtrial\\_en.pdf](http://www.coe.int/t/dghl/cooperation/capacitybuilding/Source/documentation/hb12_fairtrial_en.pdf)> [19.07.2019]

<sup>6</sup>იხ.იქვე

2. ქმედება, ხელშემკვრელი სახელმწიფოს კანონმდებლობით არ მიეკუთვნება სისხლის სამართალს, მაგრამ თავისი ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება გააჩნდეს სისხლისსამართლებრივი ხასიათი;

3. ამა თუ იმ ქმედების ჩადენისთვის დაკისრებული სასჯელი, თავისი ბუნებით საკმარისად მკაცრია და მძიმე.

პირის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად მიჩნევისთვის და მასზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოქმედების სფეროს გავრცელებისთვის, აუცილებელია მისი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ბუნების დადგენა, რომელიც უნდა შეიცავდეს ისეთ ელემენტებს, როგორცაა:

- ქმედების შემადგენლობა - რამდენად შეესაბამება პირის მიერ ჩადენილი ქმედება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და სხვა შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით დადგენილ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში მითითებულ კონსტრუქციას და შემადგენლობას;
- მართლწინააღმდეგობა - არის თუ არა პირის მიერ ჩადენილი ქმედება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მოქმედება/უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით დადგენილია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა;
- ბრალი - სახეზეა თუ არა პირის ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა.

საყურადღებოა, რომ ევროკავშირის ქვეყნებიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევების სფეროში ესტონეთმა<sup>7</sup> შეითვისა პასუხისმგებლობის სუბიექტების „ობიექტური ბრალის“ კონცეფცია, რომლის თანახმადაც, ქმედება ითვლება ბრალეულად აღსრულებული, თუ დადგენილია მხოლოდ მისი აღსრულების ფაქტი. სხვა ქვეყნებმა დაიტოვეს უფლება ადმინისტრაცი-

<sup>7</sup>Пенитенциарный кодекс, 2001 года, <[http://estonia.news-city.info/docs/sistemsf/dok\\_iercgz/-page2.htm](http://estonia.news-city.info/docs/sistemsf/dok_iercgz/-page2.htm)>[19.07.2019]

ული დელიქტების ჩადენისთვის, ბრალის ფორმების გადანაწილებით - განზრახვით და გაუფრთხილებლობით. მაგალითად სლოვენიაში,<sup>8</sup> აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ ადმინისტრაციული გადაცდომები წარმოადგენს სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედებების ნაირსახეობას<sup>9</sup>, თუმცა არ უნდა მოხდეს მათი ერთმანეთში არევა. შესაბამისად, სამართალდარღვევის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრისთვის ასევე მნიშვნელოვანია თავად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (გადაცდომის) გამიჯვნა სხვა სახის, კერძოდ, სისხლის სამართლებრივი და სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან (დელიქტისგან) გამიჯვნა, რასაც თემის მნიშვნელობიდან გამომდინარე, ცალკე თავი დაეთმოზა ნაშრომში.

რაც შეეხება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სტრუქტურის ელემენტებს, აღნიშნული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის მიხედვით, გათვალისწინებულია შემდეგნაირად: სამართალდარღვევის სუბიექტი; სამართალდარღვევის ობიექტი; სამართალდარღვევის სუბიექტური მხარე; სამართალდარღვევის ობიექტური მხარე.

## 1. სამართალდარღვევის სუბიექტი

სამართალდარღვევის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრისთვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება იმ გარემოებას, თუ ვინ შეიძლება მიჩნეულ იქნას სამართალდამრღვევად და შესაბამისად ვის შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციული სახდელი.

### 1.1. ფიზიკური პირი

---

<sup>8</sup>Закон Республики Словения «О проступках» от 12 декабря 2002 года,Издательство „Волтерс Клувер“, Москва, 2011.

<sup>9</sup> *ყურაშვილი კ.*, „პოლიციის პრევენციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამიჯვნა“, თბილისი, 2018, 45

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სუბიექტია ფიზიკური პირი, რომელსაც სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი. მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (მე-13 მუხლი - ასაკი, რომლის მიღწევის შემდეგ დგება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა) თანახმად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ პირთ. აღნიშნული მუხლის რედაქცია ბუნდოვანია, ვინაიდან არ შეიცავს მკაფიო მითითებას ასაკის შესახებ. ტერმინ - თექვსმეტი წლის ასაკს მიღწეულ პირებში ექვევან ის პირებიც ვისაც არ შესრულებიათ თექვსმეტი წელი, შესაბამისად გაუგებარია კონკრეტულად რა ასაკი მოიაზრება თექვსმეტ წლამდე მიღწევაში - მაგალითად, 15 წელი, 15 წელი და 6 თვე, თუ 15 წელი და 10 თვე და ვინ ადგენს იმას, თუ რა ასაკის პირები უნდა იქნენ მიჩნეულნი 16 წელს მიღწეულს. ნაკლებ სავარაუდოა, რომ აღნიშნული მუხლის არსებული რედაქციით ჩამოყალიბების მიზანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს (თანამდებობის პირის) ანიჭებდეს დისკრეციულ უფლებამოსილებას, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვიტოს მიიჩნევა თუ ამა თუ იმ რიცხვში დაბადებული სამართალდამრღვევი 16 წელს მიღწეულ პირად. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სამართალდარღვევათა კოდექსის მე-13 მუხლის მოქმედი რედაქციის მიხედვით, არსებობს რისკი, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისროს 16 წლის ასაკს მიუღწეველ პირს.

საგულისხმოა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში მსგავსი ორაზროვანი ჩანაწერი არ არის და კოდექსის 33-ე მუხლი თვალნათლივ ადგენს, რომ „მართლსაწინააღმდეგო ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია თოთხმეტი წელი.“ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ არსებული ხარვეზი უნდა გამოსწორდეს და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად მკაფიოდ

განსაზღვროს, რომ სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს, ვისაც სამართალდარღვევის ჩადენის დროისათვის არ შესრულებია 16 წელი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, იმისათვის, რომ პირს დაეკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და შესაბამისად, სახეზე იყოს სამართალდარღვევის სუბიექტი, იგი უნდა იყოს შერაცხადი. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ ეკისრება პირს, რომელიც კანონსაწინააღმდეგო მოქმედების ჩადენის ან უმოქმედობის დროს იმყოფებოდა შეურაცხად მდგომარეობაში, ესე იგი, არ შეეძლო ანგარიში გაეწია თავისი მოქმედებისათვის, ან ეხელმძღვანელა ამ მოქმედებისათვის ქრონიკული სულიერი დაავადების, სულიერი მდგომარეობის, დროებითი მოშლილობის, ჭკუასუსტობის, ან სხვა ავადმყოფური მდგომარეობის გამო.

## 1.2. იურიდიული პირი

ევროკავშირის ქვეყნებში, ადმინისტრაციულ გადაცდომებზე პასუხისმგებლობის სუბიექტებად, ფიზიკურ პირების თანაბრად, გარკვეული სახის სამართალდარღვევების ჩადენის შემთხვევაში განსაზღვრულია იურიდიული პირებისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესაძლებლობაც. ასე მაგალითად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ გერმანიის კანონის 30-ე მუხლის თანახმად, იურიდიულ პირს პასუხისმგებლობა ეკისრება მისი „პასუხისმგებელი პირების“ მიერ ჩადენილი ქმედებებისთვის. მხოლოდ ავსტრიასა<sup>10</sup> და იტალიაში<sup>11</sup> დელიქტების განხორციელების

---

<sup>10</sup>Закон Австрийской Республики «Об административных наказаниях», Издательство „Волтерс Клувер“, Москва, 2011.

<sup>11</sup>Закон Итальянской Республики от 24 ноября 1981 года № 689 «Изменения уголовной системы», Издательство „Волтерс Клувер“, Москва, 2011.

სუბიექტებად გამოდიან ფიზიკური პირები, ხოლო იურიდიულ პირებს პასუხისმგებლობის ვალდებულება ეკისრება ჯარიმის გადახდის სახით.

რაც შეეხება საქართველოს, ნიშანდობლივია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ცალსახად არ ადგენს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის განსაზღვრელ დებულებებს, რაც უფრო თვალშისაცემია, როდესაც კოდექსი ფიზიკურ პირებთან მიმართებაში უთითებს ასაკს, რომლის მიღწევის შემდეგაც დგება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და ცალკე მუხლებად განსაზღვრავს თანამდებობის პირთა, სამხედრო მოსამსახურეთა (და სხვა იმ პირთა პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის, რომლებზედაც ვრცელდება დისციპლინურ წესდებათა მოქმედება) და უცხოელი მოქალაქის და მოქალაქეობის არმქონე პირის პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-13, მე-15, მე-16 და მე-17 მუხლების რედაქციის გათვალისწინებით იკვეთება, რომ კოდექსის მატერიალური ნაწილი (თავი I. ზოგადი დებულებანი) არ ითვალისწინებს იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობის საკითხს. აღნიშნული ხარვეზი მით უფრო მკაფიო ხდება მაშინ, როდესაც საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის სისხლის სამართლის კოდექსი <sup>12</sup> და ასევე თავად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის განსაკუთრებული ნაწილი ითვალისწინებს იურიდიული პირებისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესაძლებლობას, კერძოდ კოდექსში მითითებული არაერთი სამართალდარღვევების სანქციებში გვხვდება იურიდიული პირების პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმებიც.

მაგალითად, 60<sup>3</sup>-ე მუხლის თანახმად, წყალშემკრებზე წყლის დაცვის რეჟიმის დარღვევა, რაც იწვევს წყლის დაბინძურებას, ნიადაგის წყლისმიერ ეროზიას და სხვა მავნე მოვლენებს, გამოიწვევს ფიზიკური პირების დაჯარიმებას ას ლარამდე, იურიდიულ პირთა – ხუთას ლარამდე. მეტიც,

---

<sup>12</sup>იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 107<sup>1</sup> მუხლი. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი.



კოდექსის 154-ე მუხლის უშუალოდ სათაურშია ნახსენები იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელიც ჩამოყალიბებულია შემდეგი რედაქციით - „ფიზიკურ და იურიდიულ პირთა მიერ სასურსათო და არასასურსათო პროდუქციით ვაჭრობის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესების დარღვევა“. ხსენებული 60<sup>3</sup>-ე მუხლის გარდა კი, სანქციის ნაწილში იურიდიული პირების პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი სხვა არაერთი მუხლია ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსში, კერძოდ:

- მუხლი 43. სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ- ეპიდსაწინააღმდეგო წესებისა და ნორმების დარღვევა;
- მუხლი 44<sup>9</sup>. სამედიცინო/საექიმო საქმიანობის/მომსახურების მიმწოდებლის მიერ სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების (თუ ეს არ არის ლიცენზიის/ნებართვის/ტექნიკური რეგლამენტის პირობა) წესის დარღვევა;
- მუხლი 77<sup>1</sup>. დღის საათებში ან ღამის საათებში საცხოვრებელ სახლში, კერძო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ან საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულების შენობაში აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმების გადამეტება;
- მუხლი 88. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე სამუშაოების წარმოების, მისი მოვლა-პატრონობის, მონუმენტური სახვითი ხელოვნების ძეგლის (ქანდაკების) განთავსების, ქუჩის, მოედნის სახელდების წესების დარღვევა;
- მუხლი 134. გზის, რკინიგზის გადასასვლელის ან სხვა საგზაო ნაგებობის მოვლა-შენახვის და სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების დადგენილი წესების დარღვევა;
- მუხლი 146<sup>1</sup>. კონსტრუქციების ან/და სამშენებლო მასალების დაყრა და სხვ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ზოგად დებულებებში ფიზიკური პირისგან განსხვა-

ვებით არ უთითებს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხს, პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იურიდიულ პირებს, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სუბიექტებს, პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, რომელიც დაკავშირებულია მათ საქმიანობასთან და ჩადენილია იურიდიული პირების იმ წარმომადგენლის მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ იურიდიული პირების სახელით, ან მათი მეშვეობით, (გამოყენებით) ან/და მათ სასარგებლოდ<sup>13</sup>. შესაბამისად, აღნიშნულმა დათქმამ ასახვა უნდა ჰპოვოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.

ამასთან, ისევე, როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ გერმანიის კანონის 30-ე მუხლში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 107<sup>1</sup> მუხლის მე-4<sup>1</sup> ნაწილის მიხედვით, იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ ეკისრება, როცა პასუხისმგებელი პირი მისი კონტროლის ან ზედამხედველობის ვალდებულებებს დაარღვევს და დანაშაულის ჩადენას შესაძლებელს გახდის იურიდიული პირის სასარგებლოდ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გაკეთეს დათქმა, რომლის მიხედვითაც იურიდიული პირის პასუხისმგებლობა განისაზღვრება იმ შემთხვევაშიც, როდესაც პასუხისმგებელი პირის მიერ ზედამხედველობისა და კონტროლის არაჯეროვნად განხორციელების გამო შესაძლებელი გახდა იურიდიული პირის დაქვემდებარებაში მყოფი ფიზიკური პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენა იურიდიული პირის სასარგებლოდ.

აღნიშნულ საკითხის რეგულირებისას, გასათვალისწინებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 14 ივლისის განმარტება საქმეზე #ბს-504-491(2კ14)<sup>14</sup>, რომლის

<sup>13</sup> ყურაშვილი კ., „პოლიციის პრევენციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამიჯვნა“, თბილისი, 2018, 53

<sup>14</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა ადმინისტრაციულ საქმეებზე (2014 წლის II ნახევარი - 2015 წელი), 73. <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ertgvarovani-praktika-administraciuli.pdf>>[21.09.2019]

თანახმადაც, პირს პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს მიუხედავად იმისა დადგენილია თუ არა სამართალდარღვევის ჩამდენი კონკრეტული ფიზიკური პირი, მიუხედავად ამ პირის ბრალის ფორმისა. ბრალის ფორმას მნიშვნელობა აქვს ფიზიკური პირის პასუხისმგებლობისათვის.

ზემოაღნიშნულ საქმეზე საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ასევე განმარტა, რომ იურიდიული პირისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება არ გამორიცხავს სამშენებლო სამართალდარღვევისათვის ფიზიკური პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრებას.<sup>15</sup>

აღნიშნულის გარდა, იურიდიული პირის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სათანადოდ განსაზღვრის მიზნით, მიზანშეწონილია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსმაც ფულადი ჯარიმის გარდა გაითვალისწინოს საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, როგორც ადმინისტრაციული სახდელის ერთ-ერთი სახე, რაზეც დეტალური მსჯელობა მოცემულია ადმინისტრაციული სახდელების სისტემის თავში.

## 2. სამართალდარღვევის ობიექტი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ობიექტია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობით დაცული ის სიკეთე, რასაც ხელყოფს, ან ზიანს აყენებს სამართალდამრღვევი (სუბიექტი). სამართალდარღვევის ობიექტები განსაზღვრულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის სხვა ნორმატიულ აქტებში.<sup>16</sup>

---

<sup>15</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა ადმინისტრაციულ საქმეებზე (2014 წლის II ნახევარი - 2015 წელი), 73.<<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ertgvarovani-praktika-administraciuli.pdf>>[21.09.2019]

<sup>16</sup> *ყურაშვილი კ.*, „პოლიციის პრევენციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამიჯვნა“, თბილისი, 2018, 48

აუცილებელია სამართალდარღვევის ობიექტისგან სამართალდარღვევის საგნის გამიჯვნა, რადგან აღნიშნული არის სწორედ ის საგანი, რომლის დაუფლება სურს სუბიექტს. ამასთან, სამართალდარღვევის საგანი უნდა გავმიჯნოთ სამართალდარღვევის იარაღის და საშუალებისგან, რომელთა გამოყენებით, ან დახმარებით სუბიექტის ჩადის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობაში სამართალდარღვევის იარაღის, ობიექტის და საგნის სათანადო და სწორი დიფერენცირების მნიშვნელობას ცხადყოფს ის გარემოებაც, რომ ისინი ნახსენებია უშუალოდ ადმინისტრაციული სახდელების ორ სახეობაში. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენისათვის შეიძლება გამოყენებულ იქნას იმ საგნის სასყიდლით ჩამორთმევა ან/და იმ საგნის კონფისკაცია, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის იარაღი, უშუალო ობიექტი ან საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი, საქართველოს საბაჟო საზღვარზე საქონლის გადაადგილებასთან დაკავშირებული წესების დარღვევის საგანი, საქონლის ტრანსპორტირებისა და მიწოდების საშუალება იყო.

### **3. სამართალდარღვევის სუბიექტური მხარე**

ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამართალდამრღვევის სუბიექტური დამოკიდებულება სამართალდარღვევისადმი და ის თუ რა ვითარებაში მოხდა სამართალდარღვევის ჩადენა. სუბიექტური მხარის შემადგენლობა მოიაზრებს ბრალის ელემენტებს, განზრახვას და გაუფრთხილებლობას. ის ასევე შედგება ისეთი ნიშნებისგან, როგორცაა მოტივი და მიზანი, რომელთა სამართალდამრღვევის სუბიექტური დამოკიდებულებასთან ერთად შეფასება და გამოკვლევა უნდა დაედოს საფუძვლად სამართალდარღვევათა საქმის

წარმოებისას ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული მკაფიოდ არ არის გაწერილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, საქმის წარმოების პროცესში დასახელებული გარემოებების გათვალისწინების შესახებ ზოგადი მითითება გვხვდება კოდექსის ორ მუხლში. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 34-ე მუხლის თანახმად, საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი სხვა გარემოებანიც. ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს წყვეტს, შეუძლია შემამსუბუქებლად მიიჩნიოს ისეთი გარემოებანიც, რომლებიც არ არის აღნიშნული კანონმდებლობაში. ხოლო ამავე კოდექსის 236-ე მუხლის მიხედვით კი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

ბრალის ელემენტს, რომელიც გულისხმობს უკანონო ქმედებასა და მის შედეგებზე დამრღვევის დამოკიდებულებას და წარმოადგენს პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთ მთავარ საფუძველს, სისხლის სამართლის მსგავსად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროშიც ვხვდებით. თუმცა, ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისგან განსხვავებით, სისხლის სამართლის კოდექსში ბრალეულობის ელემენტი ბევრად უფრო კომპლექსურია. აღნიშნული გამოიხატება როგორც განზრახი დანაშაულის პირდაპირ და არაპირდაპირ ჩადენით დაყოფაში, აგრეთვე გაუფრთხილებლობითი დანაშაულის თვითიმედოვნებით ან დაუდევრობით დიფერენცირებაში. ამ

მხრივ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მიუხედავად სამართალდარღვევის ჩადენაში ბრალის ელემენტის უდიდესი მნიშვნელობისა (რასაც ასევე ცხადყოფს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნების დეფინიცია), მსგავსი კონკრეტიკა ხსენებულ კოდექსში არ არსებობს და ბრალეული მოქმედება ან უმოქმედობა იყოფა მხოლოდ განზრახვითა და გაუფრთხილებლობით, მათი შემდგომი ჩაშლის გარეშე. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა განზრახ ჩადენილად ჩაითვლება, თუ მის ჩამდენს შეგნებული ჰქონდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მართლსაწინააღმდეგო ხასიათი, ითვალისწინებდა მის მავნე შედეგებს და სურდა ისინი ან შეგნებულად უშვებდა მათ. რაც შეეხება ბრალის მეორე ფორმას - გაუფრთხილებლობას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-12 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა გაუფრთხილებლობით ჩადენილად ჩაითვლება, თუ მისი ჩამდენი ითვალისწინებდა თავისი მოქმედების ან უმოქმედობის მავნე შედეგების დადგომის შესაძლებლობას, მაგრამ ქარაფშუტულად ვარაუდობდა მათ თავიდან აცილებას ან არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგების დადგომის შესაძლებლობას, თუმცა უნდა გაეთვალისწინებინა და შეემლო კიდევ გაეთვალისწინებინა ისინი.

რაც შეეხება უმოქმედობას, მნიშვნელოვანია განისაზღვროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიზნებისთვის რა იგულისხმება აღნიშნული დეფინიციის ქვეშ და რომელ შემთხვევებში შეიძლება მიჩნეულ იქნეს ის სამართალდარღვევად. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ბუნების გათვალისწინებით, კი მიზანშეწონილია უმოქმედობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლებოდეს სამართალდარღვევად, თუ პირს ეკისრება მოქმედების სპეციალური მოვალეობა და თუ მისი შეუსრულებლობა შეესაბამება სამართალდარღვევათა კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით განსაზღვრული ქმედების შემადგენლობის ნიშნებს.

მართლსაწინააღმდეგო ქმედება წარმოქმნილი ზარალისათვის კაუზალური უნდა იყოს. სამართალწარმოება უწყებრივი/თანამდებობრივი პასუხისმგებლობის შემთხვევაში იყენებს ისედაც დელიქტურ სამართალში წარმოდგენილ ადეკვატური კაუზალური მიმართების თეორიას.<sup>17</sup> მხოლოდ ისეთი მიზეზები შეიძლება მოიაზრებოდეს კაუზალურ მიმართებაში, რომლებიც ხდომილების ნორმალური მიმდინარეობის შეთხვევაში შესაბამისი ზარალის გამოწვევას განაპირობებენ.<sup>18</sup> ამრიგად, პასუხისმგებლობის განსაზღვრისთვის აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის არსებობა სამართალდამრღვევის ჩადენასა და დამდგარ შედეგს შორის.

#### 4. სამართალდარღვევის ობიექტური მხარე

ობიექტური მხარის შემადგენლობაში იგულისხმება სამართალდარღვევის ჩადენის ადგილი, დრო, ვითარება, ხერხები და საშუალებები. ამასთან, ობიექტურ ფაქტობრივ გარემოებებში ექცევა უკანონობის განმსაზღვრელი და მაიდენტიფიცირებელი ელემენტები<sup>19</sup>:

- ქმედება, როგორც კანონით გათვალისწინებული სამართალდარღვევა,
- ქმედების შედეგები,
- მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის.

იმის გათვალისწინებით, რომ ხსენებული ელემენტები განსაზღვრავენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სპეციფიურ ხასიათს, ისინი მითითებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში. თითოეული სამართალდარღვევის საქმეზე აუცილებელია სამართალდარღვევის ობიექტური მხარის სწორი

<sup>17</sup> BGHZ 96, 157 (171); Ossenbühl F., Staatshaftungsrecht, S.71; W. Rüfner, in: Erichsen/Ehlers, AllgVerwR., §47 Rdnr. 25 jew. m.w.N.

<sup>18</sup> PRGZ, 158, 34 (38).

<sup>19</sup> *ყურაშვილი კ.*, „პოლიციის პრევენციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამოიკვანა“, თბილისი, 2018, 50

იდენტიფიცირება სამართალდარღვევის სათანადო კვალიფიკაციისათვის და სუბიექტისთვის შესაბამისი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის.

გასათვალისწინებელია, რომ ქმედება ან/და უმოქმედობა მართლსაწინააღმდეგო ხასიათის არის მაშინ, როდესაც ის წინააღმდეგობაში მოდის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ მოქმედ კანონმდებლობასთან, სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესრიგთან და საზოგადოებაში დამკვიდრებულ კულტურულ ნორმებთან. მართლწინააღმდეგობის არსებობის გარეშე, სახეზე არ არის სამართალდარღვევა და შესაბამისად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისას უფლებამოსილი ორგანოების (თანამდებობის პირების) მხრიდან ვერ მოხდება პირისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნებას, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა. ამ კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დეგება იმ შემთხვევაში, თუ ეს დარღვევები თავიანთი ხასიათით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცხადია თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამართალდარღვევის სუბიექტის, ობიექტის, სუბიექტური და ობიექტური მხარის სათანადოდ განსაზღვრას, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის კანონიერი წარმოება.



## თავი II. ადმინისტრაციული სამართალდარღვევა (გადაცდომა) და სხვა სახის სამართალდარღვევები

საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებობს მთელი რიგი მოქმედებები, რომლებიც ხელს უშლიან მის განვითარებას, აფერხებენ მიმდინარე პროგრესულ ტენდენციებს და არღვევენ მართლწესრიგს, რაც საფრთხეს უქმნის თავად საზოგადოებრივ უსაფრთხოებას. აღნიშნულ მოვლენათაგან უმნიშვნელოვანესია სამართალდარღვევა.

სამართლის სხვადასხვა დარგში გათვალისწინებულია ისეთი სამართალდარღვევები, რომლებიც ერთი და იმავე ურთიერთობებს ხელყოფენ, მსგავსია სხვადასხვა დარგობრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული არაერთი ნორმის სტრუქტურა, დისპოზიცია და სანქცია. მსგავსება ვლინდება მათ ინსტიტუტებს შორისაც. ამასთან, იდენტურია ის სამართლებრივი პრინციპები, რომლებსაც ისინი ეყრდნობიან.

ფართო გაგებით სამართალდარღვევას წარმოადგენს ნებისმიერი ქმედება, რომელიც არღვევს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს და არღვევს სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესრიგს. მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, მატერიალური შემაღენლობის, საშიშროების ხარისხის და სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ხასიათის მიხედვით მიეკუთვნებიან სამართლის სხვადასხვა დარგს, მათ შორის, ადმინისტრაციულ სამართალს, სისხლის სამართალს და სამოქალაქო სამართალს.

იურიდიულ მეცნიერებაში ძირითადად მიღებულია სამართალდარღვევათა ოთხ სახედ დაყოფა: დანაშაული, ადმინისტრაციული გადაცდომა, დისციპლინური გადაცდომა და სამოქალაქო სამართალდარღვევა.<sup>20</sup> ზოგიერთი მეცნიერი დისციპლინურ გადაცდომას მოიაზრებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სახედ, რაც მიგვაჩნია, რომ მოკლებულია საფუძველს, ვინაიდან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ცალსახად განსხვავ-

<sup>20</sup>ლორია ა., სამართალდარღვევის ცნება, ჟურნალი სამართალი, 1991, N9-10, 62

დება დისციპლინური პასუხისმგებლობისგან. განსხვავება იმაშია, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დადგება სამართალდარღვევებისთვის, განურჩევლად სამსახურებრივი ქვემდებარეობისა, დისციპლინური პასუხისმგებლობა კი დაკავშირებულია სწორედ ასეთ ქვემდებარეობასთან.<sup>21</sup> ამასთან, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დარღვევისთვის, ხოლო დისციპლინური პასუხისმგებლობა კი, დგება შრომის შინაგანაწესის ან სხვა წესების მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის.<sup>22</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში განხილულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის- სისხლისსამართლებრივი დანაშაულთან და სამოქალაქო დელიქტის მსგავსებასთან დაკავშირებული საკითხები. ამასთან, ნაშრომში შემოთავაზებულია არსებული პრობლემების გადაწყვეტისა და ხსენებული დარღვევის სათანადოდ გამიჯვნის თაობაზე ის პრაქტიკული და თეორიული შეხედულებები, რომელთა გათვალისწინებით, მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამოვლენისას მნიშვნელოვნად შემცირდება შესაბამისი ღონისძიებების, მათ შორის პასუხისმგებლობის არაზუსტად გამოყენების რისკი, რაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის კანონიერი წარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

## **1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა (გადაცდომის) და სისხლის სამართლებრივი დანაშაულის გამიჯვნასთან დაკავშირებული აქტუალური საკითხების ზოგადი მიმოხილვა**

ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სისხლის სამართლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის - დანაშაულის ერთ-ერთი საერთო მახასიათებელი ნიშანია საჯარო წესრიგის დარღვევა კონკრეტული საზოგადოებრივი უსაფრთხოების ხელყოფით, რომლის აღსადგენად სახელმწიფოს ჩარევა ხდება საჭირო. წინამდებარე თავში განხილული საკითხების, მით

---

<sup>21</sup>ლორია ვ., საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2005, 375

<sup>22</sup>ლორია ვ., საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2005, 376

უმეტეს სამართალდარღვევის სტრუქტურის ელემენტების განხილვის შედეგად ნათელია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მსგავსება სისხლის სამართლის ზოგად დებულებებთან, რაც პრაქტიკაში ქმნის მნიშვნელოვან სამართლებრივ პრობლემებს. შესაბამისად, ცხადია რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (გადაცდომის) და სისხლისსამართლებრივი დანაშაულის სათანადოდ გამიჯვნას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

იმის გათვალისწინებით, რომ როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა აგრეთვე სისხლის სამართლის კანონმდებლობა საჯარო სამართლის შემადგენელი ნაწილებია და ისინი არაერთი საერთო ნიშნით ხასიათდებიან. პრაქტიკაში საერთო ნიშნების არსებობა წარმოშობს გარკვეულ პრობლემებს, რადგან რთულდება მიჯნის გავლება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასა და სისხლის სამართლის დანაშაულს შორის. ნორმაშემფარდებლისთვის სირთულეს წარმოშობს იმის გამიჯვნა თუ რა წესით არის დასჯადი კონკრეტული ქმედება/უმოქმედობა - ადმინისტრაციული თუ სისხლისსამართლებრივი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება იმ შემთხვევაში, თუ ეს დარღვევები თავიანთი ხასიათით მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, რაც გარკვეულწილად საქართველოშიც ადასტურებს მსგავსებას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართალს შორის. გასათვალისწინებელია, რომ ისინი ფუნქციურადაც ჰგვანან ერთმანეთს. მათი მიზანია, სამართლებრივი სიკეთის, სამართლებრივი ინტერესის ხელყოფისაგან დაცვა, სამართალდარღვევის თავიდან აცილება, მართლწესრიგისა და საზოგადოებრივი თანაცხოვრე-

ბისადმი პატივისცემის გაღვივება, სამართალდამრღვევის რესოციალიზაცია, მოქალაქეებისა და იურიდიული პირების უფლებების დაცვა და ა.შ.

### 1.1. განსხვავება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სისხლის სამართლის დანაშაულის ცნებებს შორის

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, დანაშაული არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება.

ესაა დანაშაულის ცნების გერმანული მოდელი, რომელიც, როგორც ჩანს, სამი ელემენტისაგან შედგება: 1. ქმედების შემადგენლობა, რომელიც გათვალისწინებულია სისხლის სამართლის კანონით; 2. ამ ქმედების მართლწინააღმდეგობა, როგორც ქმედების წინააღმდეგობა სამართლის იმ ნორმისადმი, რომელიც სამართლის სუბიექტს მართლზომიერი ქმედების მოვალეობას აკისრებს; 3. სუბიექტის ბრალი, რომელიც გამოხატავს როგორც ქმედების, ისე ამ ქმედების ჩამდენი პირის ერთიანობას. მეორეც, დანაშაულის ცნების ამ ელემენტებს არსებითი მნიშვნელობა აქვთ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის საქმეში. კერძოდ, თავდაპირველად უნდა დადგინდეს ქმედების შემადგენლობა, სისხლის სამართლის კანონში მისი გათვალისწინებულობის ფაქტი. მეორე ეტაპზე ჩადენილი ქმედება შეფასდეს მართლწინააღმდეგობის პოზიციიდან, ხოლო ბრალის დადგენა იმას ნიშნავს, ჩადენილია დანაშაული და ამის შემდეგ უნდა გადაწყდეს, სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების რა ზომები უნდა დაეკისროს დანაშაულის ჩამდენ პირს.<sup>23</sup>

აღნიშნული მიდგომის გათვალისწინებით, ქმედების სამართალდარღვევად მიჩნევისთვის საკმარისია კონკრეტული მუხლის დისპოზიცია. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გარკვეული ძირითადი ნიშნების

---

<sup>23</sup>ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის სახელმძღვანელო, „მერიდიანი“, 2016. 96

არსებობა საკმარისი იქნება ქმედების/უმოქმედობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად კვალიფიკაციისათვის. კერძოდ:

- შესაბამისი ქმედების/უმოქმედობისთვის კანონმდებლობით დადგენილი უნდა იყოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა;
- ქმედება/უმოქმედობა უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მნიშვნელოვნად განსხვავდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, როგორც პასუხისმგებლობის უფრო მსუბუქი ფორმა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობასთან შედარებით, არ იწვევს ნასამართლობას, არ არის დაკავშირებული მოქალაქის პირადი თავისუფლებების მკაცრ შეზღუდვასთან, არ იწვევს სხვა მძიმე შედეგებს, როგორც ეს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის გამოყენებისა და სასჯელის შეფარდების დროს ხდება.<sup>24</sup>

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-10 მუხლი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დეფინიციას, რომლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად (გადაცდომად) ჩაითვლება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედება ან უმოქმედობა, რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (გადაცდომის) და სისხლის სამართლის დანაშაულის გამიჯვნასთან დაკავშირებული პრობლემის ერთ-ერთი მთავარ გამომწვევ მიზეზად, სწორედ რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული სამართალ-

---

<sup>24</sup>ლორია ვ., საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2005, 376

დარღვევის ცნების მოქმედი რედაქციაა, ვინაიდან მუხლის დისპოზიცია შეიცავს იმ სიკეთეების ჩამონათვალს, რომელიც როგორც სამართალდარღვევის, ისე დანაშაულის ჩადენის შედეგად შესაძლოა იქნას ხელყოფილი<sup>25</sup>. ამავე მუხლში ნახსენები „სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო ქმედება“ კი, ისეთი ზოგადი ჩამონათვალია, რომელიც ბევრი სიკეთის დაცვას ემსახურება და შესაბამისად აღნიშნულიც წარმოშობს არაერთგვაროვანი მიდგომის საფუძველს. გაუგებარია, ასეთი ზოგადი ჩამონათვალის არსებობის საჭიროება ცნების დისპოზიციაში, როდესაც საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით და შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით, ზუსტადაა განსაზღვრული რომელი ქმედება ითვლება სამართალდარღვევად და მათი ჩადენისას რა სახის სახდელები გამოიყენება. ამასთან, თუ სამართალდარღვევის ცნებაში ზემოაღნიშნული სიკეთეების ჩამოთვლის მიზანი იმის წარმოჩენაა, თუ რა ამოცანას ემსახურება სამართალდარღვევის აღკვეთა, ეს მიდგომაც საფუძველს მოკლებულია, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველ მუხლში ნათლად არის ჩამოყალიბებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოცანები.

შესაბამისად, ნათელია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ამ ნაწილში საჭიროა ცვლილებების განხორციელება, რომლითაც დაკონკრეტდება არსებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ზოგადი ცნება და მოხდება მისი ახლებურად ჩამოყალიბება, კერძოდ:

„სამართალდარღვევად ჩაითვლება ამ კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რომლისთვისაც დაწესებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.“

---

<sup>25</sup> ლორია ვ., საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2005, 376

მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ზემოაღნიშნული მკაფიო ფორმით გაწერილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნების საფუძველზე შევიწროვდება საქმის მწარმოებელი ორგანოს (თანამდებობის პირის) დისკრეციული უფლებამოსილება, თუ რამდენად შეესაბამება ესა თუ ის მართლსაწინააღმდეგო ქმედება სამართალდარღვევის ცნებას. ამასთან, შემცირდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის უკანონოდ ან/და ხარვეზიანად დაკისრების, ასევე ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამიჯვნასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამართალდარღვევის საქმისწარმოების უფრო სწრაფ და სამართლიან ჩატარებას.

## 1.2. გამიჯვნის თეორიები

სამართალდარღვევის დანაშაულისაგან გამიჯვნისთვის მიზანშეწონილია საკითხი განხილული იქნეს თეორიულ ჭრილშიც. დარგობრივ მსგავსებასთან დაკავშირებით, ყოველთვის არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა, რამაც გამოიწვია გარკვეული თეორიების ჩამოყალიბება. მაგალითად, ერთ-ერთი ძველი თეორიის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა არის ადმინისტრაციის სისხლის სამართლის შემადგენელი ნაწილი, ხელისუფლება სჯის სახელმწიფოებრივი საქმიანობის განხორციელებაში ხელის შემშლელ პირს, ხოლო სისხლის სამართალი კი, იცავს სამართლებრივ სიკეთეს.<sup>26</sup>

დღესდღეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სისხლის სამართლის დანაშაულის გამიჯვნის კრიტერიუმებს წარმოადგენს ორი თეორია: კვანტიტატიური (მოცულობითი) და შერეული კვანტიტატიურ-კვალიტატიური (მოცულობით-ხარისხობრივი). ორივე მათგანი მოიაზრებს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასა და დანაშაულს შორის

---

<sup>26</sup> Bohnert J., Bülte J., *Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016*, , 5.

არსებობს მართლსაწინააღმდეგო ქმედების კვანტიტატიური ზრდის მომენტი. სანქცირებას კი განაპირობებს სისხლის ან ადმინისტრაციული სამართლის ნორმების მიხედვით ქმედების კვალიფიცირება.<sup>27</sup>

### მოცულობითი (კვანტიტატიური) თეორია

საზოგადოებრივად საშიში ქმედება შეიძლება უმნიშვნელო სამართალდარღვევიდან, მისი საშიშროების დონის მოცულობის (და არა ხარისხობრივად, შინაარსის მიხედვით) გაზრდის შედეგად დანაშაულში გადაიზარდოს. აღნიშნული თეორიის თანახმად, დანაშაულისაგან მსუბუქი სამართალდარღვევა მხოლოდ მოცულობით (კვანტიტატიურად) და არა ხარისხობრივად (კვალიტატიურად) განსხვავდება. აღნიშნული თეორიის თანახმად, თუ ნორმა მსუბუქად დაირღვა სახეზე გვაქვს ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, ხოლო ქმედება დანაშაულებრივია მაშინ, როდესაც ხდება საზოგადოებრივი თანაცხოვრების წესების მძაფრი უგულებელყოფა.

ხშირად ნაკლებად მძიმე გადაცდომების შემთხვევებში არ ჩანს მკაფიო განმასხვავებელი ნიშნები, თუ რატომ დაკვალიფიცირდა ერთი ნორმა დანაშაულად, ხოლო მეორე კი - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად. ფულადი ჯარიმა და ანაზღაურების ვალდებულება გერმანულ სამართალში კანონმდებელმა დაადგინა იმის გათვალისწინებით, რომ შედარებით მსუბუქი მართლსაწინააღმდეგო ქმედება დანაშაულისაგან კვალიტატიურად განესხვავებინა და ამით კვალიტატიური განსხვავების არსებობისათვის გაესვა ხაზი.

კანონმდებლობა უნდა იძლეოდეს იმის შესაძლებლობას, რომ კონკრეტული სამართლებრივი ნორმის დარღვევის დროს არ მოხდეს ცალსახად და დაუყოვნებლივ მოსამართლის მიერ მისი განხილვა, არამედ

---

<sup>27</sup> Bohnert J., Bülte J., Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016, , 5.



უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოსაც უნდა მიეცეს შესაძლებლობა შეაფასოს სამართლებრივი ნორმის დარღვევის ხარისხი.<sup>28</sup>

### ხარისხობრივი (კვალიტატიური) თეორია

ფართოდ გავრცელებული შეხედულებით საზოგადოებრივად საშიში ქმედება ხარისხობრივად (კვალიტატიურად) ზრდის პროცესში აღწევს იმ გარკვეულ ზღვარს, რომლის დროსაც ქმედება თავისი ხასიათით უფრო ფართო მასშტაბებს იძენს. ამ ზღვარს ეწოდება დანაშაულის ფუნდამენტი, რომლის დადგომისას საჭიროა პირის ადეკვატური დასჯა. დანაშაულის ფუნდამენტი განპირობებული უნდა იყოს განსაკუთრებული სოციალურ-ეთიკური უღირსობის შეფასების თვალსაზრისით, ანუ საზოგადოებრივი ეთიკის პრინციპებით. მაგალითად, როდესაც მაღალი ხარისხის სამართალდარღვევისთვის პირს დაეკისრება მხოლოდ ფულადი ჯარიმა, აღნიშნული საზოგადოებაში გააღვივებს უსამართლობის განცდას. გამოყენებული სანქცია ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესაბამისი უნდა იყოს, რათა არ დაირღვეს სამართლიანობის აღდგენის საფუძვლები.

დანაშაულის ფუნდამენტთან მიმართებაში არსებობს ხასიათობრივი სახესხვაობები, რომლებიც მკაფიოდ არ იძლევიან კონკრეტული ქმედების კვალიფიკაციის საშუალებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამა თუ იმ ქმედების ნორმასთან შესაბამისობაში მოყვანა კანონმდებელს აქვს მინდობილი, რომელიც ფართო კომპეტენციითა და უფლებამოსილებების არეალით სარგებლობს. მან უნდა განსაზღვროს ესა თუ ის ქმედება რამდენად არღვევს სამართლებრივ სიკეთეს, რამდენად საშიშია საზოგადოებისათვის, რამდენად ამორალური და ასოციალურია იგი და რამდენად იწვევს ქმედების დაქვემდებარებას სისხლის სამართლის პასუხიმგებლობისთვის, თუ სახეზე

---

<sup>28</sup> Bohnert J., Bülte J., *Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016*, , 5-6

გავქვს მხოლოდ ტექნიკური ხასიათის გადაცდომა, როდესაც პასუხისმგებლობა მხოლოდ ფულადი ჯარიმით უნდა შემოიფარგლოს.<sup>29</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სისხლისსამართლებრივი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამიჯვნა შესაძლებელია მოცულობითი (კვანტიტატიური) და ხარისხობრივი (კვალიტატიური) თეორიების მიხედვით, გარკვეული ქმედება შესაძლოა იყოს როგორც მოცულობითი, აგრეთვე ხარისხობრივად საშიში, თუმცა მაინც არ გასცდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფარგლებს ან პირიქით, დანაშაულებრივი ქმედება იყოს მცირე მოცულობისა და დაბალი ხარისხის, მაგრამ დარჩეს სისხლის სამართლის დარღვევათა ფარგლებში. აქედან გამომდინარე, ყოველი მართლსაწინააღმდეგო ქმედება განხილულ უნდა იქნას ინდივიდუალურად, მასთან დაკავშირებული თავისებურებების გათვალისწინებით.

### 1.3. გამიჯვნის ზოგადი ნიშნები

როგორც წესი, ამა თუ იმ ქმედების მიკუთვნება სისხლის სამართლის ან ადმინისტრაციულ სამართლის სფეროსთვის, დამოკიდებულია სახელმწიფოში არსებულ სამართლებრივ პოლიტიკაზე და კანონმდებლის ნებაზე. შესაბამისად, პრაქტიკაში რთულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ბუნების გამიჯვნის უტყუარი კრიტერიუმების დადგენა.

იმის გათვალისწინებით, რომ თეორიულად შესაძლებელია ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის ერთმანეთისაგან დიფერენციაცია, საქმის წარმოების დასრულებამდე ხშირად ბუნდოვანია თუ რომელი დარღობრივი წარმოებით გაგრძელდება პროცესი/დევნა.<sup>30</sup>

საქმის წარმოების პროცესში ფაქტობრივი გარემოებების შეფასების ეტაპზე მოქმედებს პრინციპი - „in dubio pro reo“, რომლის მიხედვითაც

<sup>29</sup> Bohnert J., Bülte J., *Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016.*, 6

<sup>30</sup> Bohnert J., Bülte J., *Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016.*, 100.

პირისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც სრულყოფილად იქნება შესწავლილი ყველა ფაქტობრივი გარემოება და ამავდროულად გამოირიცხება სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ნიშნები.

თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ მაგალითი<sup>31</sup>, როდესაც საქმის წარმოების პროცესში უფლებამოსილმა ორგანომ უნდა შეაფასოს კანონდარღვევით გატანილი და გადაყრილი ნაგვის ნარჩენები იყო თუ არა იმდენად დიდი რაოდენობის, რომ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეეძლო გამოეწვია ნიადაგის დაბინძურება. მსგავს შემთხვევებში, საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფილად შესწავლამდე, საქმის განმხილველი ორგანოსთვის უცნობია საქმე აქვს დანაშაულთან თუ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან.

მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამიჯვნა ამა თუ იმ სამართლის დარგისადმი კუთვნილებით ძირითადად ხდება იმგვარი ზოგადი კრიტერიუმების საფუძველზე, როგორცაა საკითხის შეფასება, თუ რამდენად საშიშია სახელმწიფოსა წესრიგისა და საზოგადოების უსაფრთხოებისათვის განხორციელებული ესა თუ ის ქმედება, რა შინაარსის მატარებელია პასუხისმგებლობის დამდგენი აქტი, რა სახის სანქცია დადგენილი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევებისთვის და ა.შ.

ძირითადად, სამართალდარღვევის კლასიფიცირება შეიძლება მოხდეს შემდეგი კრიტერიუმებით<sup>32</sup>:

1. არის თუ არა ქმედება მართლსაწინააღმდეგო;
2. არის თუ მართლსაწინააღმდეგობის ხარისხი იმდენად მაღალი რომ მოხდეს მისი სანქციონირება;

<sup>31</sup> Bohnert J., Bülte J., *Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016.*, 100.

<sup>32</sup> Bohnert J., Bülte J., *Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016.*, 101

3. ქმედების სიმძიმიდან გამომდინარე, საკმარისია თუ არა ადმინისტრაციული სახდელის შეფარდება, თუ აუცილებელია სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გარდა, მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სისხლისსამართლებრივი დანაშაულის განმასხვავებელ ერთ-ერთ ძირითად ნიშანს საზოგადოებრივი საშიშროების შეფასების ელემენტი წარმოადგენს, რადგან ხშირ შემთხვევაში პრაქტიკაში სწორედ ის არის გადაწყვეტი ფაქტორი ქმედების სიმძიმის და გამოწვეული ზიანის შეფასებისას.

ქმედების საშიშროების ხასიათი განისაზღვრება იმ საზოგადოებრივი ურთიერთობების მნიშვნელობით, რაც ხელყოფილია სამართალდარღვევით, ანუ სამართალდარღვევის ობიექტით. საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის შეფასებისას მხედველობაში მიიღება ისეთი ფაქტორები, როგორცაა - სამართალდარღვევებით გამოწვეული შედეგების სიმძიმე, შესაძლებელი ზიანის მოცულობა, სამართალდარღვევის დრო, ადგილი, ვითარება და სხვ. შესაბამისად, რაც უფრო დიდია ხელყოფის ობიექტის საზოგადოებრივი ღირებულება, შესაძლო მიყენებული ზიანის მოცულობა, მით უფრო შესაძლებელია, დადგინდეს ქმედების მომეტებული საზოგადოებრივი საშიშროებადა პირიქით.<sup>33</sup>

საბჭოთა სისხლის სამართლის ლიტერატურაში არ იყო სრული თანხმობა იმ დებულების გამო, რომ საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულის აუცილებელი ნიშანია, თუ იგი ყოველ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ახასიათებს, ადმინისტრაციულ, დისციპლინურ და სხვა სახის სამართალდარღვევებსაც.<sup>34</sup>

---

<sup>33</sup> *ცხადაძე ქ.*, ადმინისტრაციული გადაცდომა და მისი გამიჯვნა სისხლის სამართლის დანაშაულისგან, *ქურნალი მართლმსაჯულება*, 2008, N2, 125

<sup>34</sup> *სალხინაშვილი მ.*, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და პასუხიმგებლობა, *ქურნალი მართლმსაჯულება და კანონი*, 2008, N2:08, 126

მკვლევართა ერთ ნაწილს მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი საშიშროების ელემენტი ახასიათებს მხოლოდ დანაშაულს, დანარჩენი სამართალდარღვევები, კი საზოგადოებრივად მავნე ქმედებებია.<sup>35</sup>

ავტორთა ერთი ჯგუფი საერთოდ უარყოფს ადმინისტრაციული გადაცდომის საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს და უთითებს, რომ დანაშაული საზოგადოებრივად ყოველთვის საშიშია, ხოლო ადმინისტრაციული გადაცდომა ამ ნიშანს მოკლებულია.<sup>36</sup>

ვფიქრობთ, რომ ზემოაღნიშნული შეხედულება მოკლებულია მყარ არგუმენტაციას, ვინაიდან საზოგადოებას საშიშროებას არ უქმნის მხოლოდ სისხლის სამართლის დანაშაული და მნიშვნელოვანი საფრთხე შესაძლოა გამოიწვიოს ისეთმა მოქმედებამ ან/და უმოქმედობამ, რომელიც გამოწვეულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ გამოსაყენებელი სახდელის სახე გარკვეულ შემთხვევებში შესაძლოა განხილული იქნას, როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამიჯვნის ერთ-ერთ კრიტერიუმად, თუმცა ამ მხრივ საინტერესოა, რომ გამოთქმულია ისეთი მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც, სამართალდარღვევათა კლასიფიკაციის მთავარი კრიტერიუმი სწორად შესაბამისი სანქციებია. მაგალითად ი. რებენს მიაჩნია, რომ სადაო შემთხვევაში გამოყენებული იურიდიული სანქციის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ ამა თუ იმ სახის სამართალდარღვევათა არსებობაზე.<sup>37</sup>

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული შეხედულების მართებულობა რიგ შემთხვევებში არ არის საფუძველს მოკლებული და პრაქტიკაში მართლსაწინააღმდეგო ქმედების საპასუხოდ გამოსაყენებელი საპასუხო ღონისძიების

<sup>35</sup>ლორია ა., სამართალდარღვევის ცნება, ჟურნალი სამართალი, 1991, N9-10, 62

<sup>36</sup>სალხინაშვილი მ., ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და პასუხიმგებლობა, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2008, N2-08, 126

<sup>37</sup>ლორია ა., სამართალდარღვევის ცნება, ჟურნალი სამართალი, 1991, N9-10, 63

სახე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და დანაშაულის გამიჯვნის ერთ-ერთი ხელშესახები კრიტერიუმი შეიძლება იყოს, ვინაიდან ის გარკვეულად იძლევა ინფორმაციას საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის შესახებ. აღნიშნულის გათვალისწინებით, თუ ქმედებისთვის უფრო მკაცრი სასჯელია დადგენილი, ივარაუდება, რომ ის სისხლისსამართლებრივი ხასიათისაა. თუმცა, კანონმდებლობაში არსებული გარკვეული ხარვეზების, მისი ხშირი ცვლილებისა და არათანმიმდევრული სახდელების სისტემის (რომელიც განხილულ იქნება ნაშრომში) გათვალისწინებით, მხოლოდ სასჯელის სიმკაცრის გამოყენება არ იქნება უტყუარი კრიტერიუმი ქმედების სათანადოდ კვალიფიკაციისთვის. შესაბამისად ზემოაღნიშნული ორი დარგის გამიჯვნის მიზნით, ასევე აუცილებელია ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ელემენტის შეფასებაც.

#### **1.4. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სისხლის სამართლის დანაშაულის პრაქტიკული გამიჯვნა საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით**

როგორც აღინიშნა, სისხლის სამართალი იცავს ფიზიკური და იურიდიული პირების უმნიშვნელოვანეს კანონიერ ინტერესებს იმ კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისაგან, რომლებიც საკმაოდ დიდ საფრთხეს უქმნის ან/და ზიანს აყენებს მართლწესრიგს და უსაფრთხოებას, ვიდრე ეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაშია. აღნიშნულის გარდა, სისხლის სამართლით გათვალისწინებული მექანიზმები და აღმკვეთი ღონისძიებები გამოიყენება მაშინ, როდესაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების უზრუნველყოფის ზომებით ან/და ადმინისტრაციული სახდელების დაკისრებით სათანადოდ ვერ იქნა დაცული სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგი და მათ უფრო მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა მართლსაწინააღმდეგო ქმედების განმეორებით ჩადენამ, რა დროსაც იგი უკვე გადაიზარდა დანაშაულში.

მაგალითად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175<sup>2</sup> მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელის დადების საფუძველია არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა. ხოლო სისხლის სამართლის კოდექსის 381<sup>1</sup> მუხლის მიხედვით კი, არასრულწლოვნის განცალკევების შესახებ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებისადმი დაუმორჩილებლობა, ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 175<sup>2</sup> მუხლის შესაბამისად ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველია. ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლის თანახმად, დანაშაულებრივ ქმედებას წარმოადგენს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან/და ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონო მოხმარება, ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული ან ამ დანაშაულისათვის ნასამართლევნი პირის მიერ. ხოლო, სასამართლო გადაწყვეტილებით განსაზღვრული მშობლის მიერ მეორე მშობლისათვის შვილის გადაცემის შესახებ ან სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე შვილთან მეორე მშობლის ან ოჯახის სხვა წევრის ურთიერთობის უფლების განხორციელების თაობაზე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნის შეუსრულებლობა, სისხლის სამართლის კოდექსის 381<sup>2</sup> მუხლით დადგენილ დანაშაულს წარმოადგენს მაშინ, როდესაც ის ჩადენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 173<sup>13</sup> მუხლის შესაბამისად ასეთი ქმედებისათვის ადმინისტრაციულსახდელშეფარდებული პირის მიერ.

თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ მხოლოდ სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა არ წარმოადგენს მის სისხლისსამართლებრივ

დანაშაულთან გამიჯვნის ერთადერთ და ზუსტ კრიტერიუმს, ვინაიდან სამართალდარღვევის რეციდივი შესაძლოა გახდეს საზოგადოებრივად საშიში გადაცდომების შემდგომში დანაშაულად მიჩნევის საფუძველი, ხოლო ის მხოლოდ მაშინ უნდა ჩაითვალოს გამიჯვნის სათანადო კრიტერიუმად, როდესაც აღნიშნული ასახვას ჰპოვებს ქვეყნის კანონმდებლობაში და კონკრეტული სამართალდარღვევის მიერ იდენტური კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა შემდგომ დაისჯება სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი წესით. აღნიშნულის გარეშე კი, წლის განმავლობაში ერთგვაროვანი სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენა, რომლის გამოც პირს უკვე დაედო ადმინისტრაციული სახდელი, მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად იქნება მიჩნეული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პროცესში, უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ, რაც თავის მხრივ გათვალისწინებულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 35-ე მუხლში.

საქმის წარმოების პროცესში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის (გადაცდომის) და სისხლის სამართლის გამიჯვნის უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმად, უშუალოდ მართლსაწინააღმდეგო ქმედებების შემადგენლობა და აღნიშნულის გათვალისწინებით ჩამოყალიბებული კონკრეტული მუხლის რედაქციად ნორმატიული შინაარსი უნდა მივიჩნიოთ. თვალსაჩინოებისთვის ქვემოთ მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსების რამდენიმე მუხლი.

- საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, წვრილმანი ხულიგნობა გულისხმობს საზოგადოებრივ ადგილებში ლანძღვა-გინებას, მოქალაქეებზე შეურაცხმყოფელ გადაკიდებას და სხვა ამგვარ მოქმედებას, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მოქალაქეთა სიმშვიდეს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით კი, ხულიგნობა (და არა წვრილმანი ხულიგნობა) განმარტებულია, როგორც ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს



საზოგადოებრივ წესრიგს და გამოხატავს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობას, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქართ. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მოსაზრებები ამ ორი მუხლის იდენტურობის თაობაზე, ის მაინც საფუძველს მოკლებულია, რადგან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული წვრილმანი ხულიგნობისგან განმასხვავებელი ნიშანი თვალსაჩინოდ არის გაწერილი სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი დანაშაულის შემთხვევაში - საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქართ. წვრილმანი ხულიგნობის დეფინიციაში კი, არც საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევის და არც ძალადობას ან ძალადობის მუქარის კრიტერიუმია მითითებული.

- იდენტური ქმედებების საზოგადოებრივი საშიშროების და მიყენებული ზიანით დაყოფის კიდევ ერთ მაგალითად შეგვიძლია მივიჩნიოთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 174<sup>1</sup>-ე მუხლი, რომელიც ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას ადგენს შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევისთვის და სისხლის სამართლის კოდექსის 347-ე მუხლი, რომელიც დანაშაულებრივ ქმედებად განსაზღვრავს შეკრების ან მანიფესტაციის ჩატარების წესის დარღვევა ამ აქციის ორგანიზატორის მიერ, რამაც მძიმე შედეგი გამოიწვია. შესაბამისად, ამ შემთხვევაშიც დამდგარი შედეგის მიხედვით განისაზღვრება თუ როდის მიიჩნევა შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველად და როდის - სისხლის სამართლის დანაშაულად.

თუმცა, ვინაიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსებში არსებობს გარკვეული ხარვეზები, რა დროსაც მართლსაწინააღმდეგო ქმედება იდენტურია და ზემოაღნიშნული მაგალითებისგან განსხვავებით არ არსებობს დამდგარი შედეგით და პირისათვის მიყენებული ზიანით განსხვავების კრიტერიუმი, რაც მყისიერ რეაგირებას და კანონმდებლობაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას საჭიროებს.

მაგალითისთვის, იდენტურია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55-ე მუხლის პირველი პუნქტით და სისხლის სამართლის კოდექსის 345-ე მუხლით დადგენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებები, კერძოდ:

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 55-ე მუხლი:  
„მუხლი 55. სამიჯნე ნიშნის მოშლა, დაზიანება ან სასაზღვრო ზოლის თვითნებურად შეცვლა  
მიწათსარგებლობის საზღვრების სამიჯნე ნიშნის მოშლა, დაზიანება ან სასაზღვრო ზოლის თვითნებური შეცვლა, – გამოიწვევს დაჯარიმებას სამასიდან შვიდას ლარამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას ათი დღის ვადით, საზღვრის პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანით...“
- სისხლის სამართლის კოდექსის 345-ე მუხლი:  
„მუხლი 345. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ შეცვლა  
1. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ შეცვლა, – ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ოთხ წლამდე...“

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის კოდექსები შეიცავენ ნორმებს, რომელთა გამოყენება შესაძლებელია ერთი და იგივე შემთხვევის დროს. ასეთი რთული შემთხვევის სწორად რეგულირებისათვის საჭიროა ჯეროვნად გამოკვლეული ქნეს მტკიცებულებები, საქმის გარემოებები, სწორად მოხდეს ნორმათა განმარტება და მხოლოდ ამის შემდეგ იქნეს გადაწყვეტილება მიღებული.<sup>38</sup>

---

<sup>38</sup> ბარშილაძე ი., ადმინისტრაციული გადაცდომისა და სისხლის სამართლის დანაშაულის გამიჯვნის სამართლებრივი პრობლემები, ჟურნალი ადმინისტრაციული სამართალი, 2016, 2/2016, 66

## 1.5. საკონსტიტუციო სასამართლოს მსჯელობა განსახილველი საკითხის თაობაზე

საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სისხლის სამართლის დანაშაულის გამიჯვნის პრობლემას ასევე შეეხო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილებაში<sup>39</sup>, სადაც სადავო ნორმის კონსტიტუციურობაზე მსჯელობისას, განიხილა კონკრეტული მიეკუთვნებოდა იგი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას (გადაცდომას) თუ სისხლის სამართლის დანაშაულს.

საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ სახელმწიფოს პოლიტიკის სფეროა, რომელი ქმედების კრიმინალიზაციას მოახდენს და როგორ სასჯელს დააწესებს კონკრეტული ქმედების ჩადენისთვის, რადგან სწორედ ხელისუფლებას უნდა ჰქონდეს ეფექტური შესაძლებლობა, ებრძოდოს კონკრეტული ქმედებებიდან მომდინარე საფრთხეებს და მათი სიმძიმის, სერიოზულობის გათვალისწინებით მოახდინოს მათი კრიმინალიზება, ამასთან, შეარჩიოს პასუხისმგებლობის ის ზომა, რომელიც საკმარისი და ეფექტური იქნება ქმედებიდან მომდინარე საფრთხეებთან საბრძოლველად. ამ დროს, პირველ რიგში, მხედველობაშია მისაღები დანაშაულის ბუნება და სამართლებრივი ინტერესი, რომელსაც ზიანს აყენებს კონკრეტული ქმედება. ამასთან, აღნიშნული საკითხები უნდა განისაზღვროს ქვეყნის ისტორიული გამოცდილების, კულტურის, ღირებულებების და ზოგადად საზოგადოების სამართლებრივი სენტიმენტების გათვალისწინებით. თუმცა, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მიხედულების ფარგლები ვერ იქნება უსაზღვრო. როგორი სერიოზულიც არ უნდა იყოს სახელმწიფოს მოტივაცია და რაოდენ მნიშვნელოვანი სიკეთეების დასაცავად არ უნდა იღებდეს კონკრეტულ რეგულაციას, ის არ თავისუფლდება პასუხისმგებლო-

<sup>39</sup>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

<<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3045482?publication=0>>[20.07.2019]

ბისგან, იმოქმედოს მკაცრად კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში და უპირობოდ შეიბოჭოს ადამიანის ფუნდამენტური უფლებებით. დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში არ არსებობს მიზანი, ინტერესი, ადამიანის უფლებების დაცვის უმთავრესი მიზნის ჩათვლით, რომლის საპირწონედ სახელმწიფო აღიჭურვება ლეგიტიმური უფლებით, დაარღვიოს თუნდაც ერთეული პირების თავისუფლების უფლება (ესა თუ ის უფლება).

ამავე გადაწყვეტილების თანახმად, სამართლებრივ სახელმწიფოში სისხლის სამართლის - ქმედების კრიმინალიზაციისა და მისი დასჯადობის ფუნქცია მხოლოდ მაშინაა წარმატებული, როდესაც ის გამოიყენება როგორც *ultima ratio*. საზოგადოების და ადამიანის ინტერესების დასაცავად სისხლის-სამართლებრივი ნორმები უნდა გამოიყენებოდეს როგორც უკიდურესი საშუალება, როდესაც ამოწურულია სამართლებრივ სიკეთეთა დაცვის არასისხლისსამართლებრივი საშუალებები. ამ პროცესის წარმატებულობას უზრუნველყოფს ხელისუფლების მხრიდან შემდეგი პირობების კუმულაციურად დაკმაყოფილება: ა) კანონით დანაშაულად მხოლოდ ისეთი ქმედების მიჩნევა, რომელიც უმართლობის ხარისხის იმ მომეტებული რისკების მატარებელია, რომელთა განეიტრალება და ამ გზით საზოგადოების და ადამიანების დაცვა ობიექტურად სისხლის სამართლის სფეროს განეკუთვნება; ბ) კანონითვე კრიმინალიზებული ქმედებისთვის პასუხისმგებლობის პროპორციული ზომის გათვალისწინება. სასჯელი, როგორც ერთგვარად სოციალური კონტროლის მექანიზმი, სახელმწიფო იძულების ყველაზე მკაცრი ღონისძიებაა, ამიტომ კონკრეტული ქმედებისთვის სასჯელის დაწესებისას კანონმდებელი შეზღუდულია იმის დემონსტრირების ვალდებულებით, რომ სასჯელის მის მიერ შერჩეული ღონისძიება არის ეფექტური და პროპორციული; გ) კანონმდებლის მიერ სასამართლოს აღჭურვა შესაძლებლობით, გადაწყვეტილება მიიღოს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ქმედების სიმძიმის, დამნაშავის პიროვნების, ყველა ინდივიდუალური გარემოების გათვალისწინებით; დ) სასამართლოს

მიერ ზემოაღნიშნული ინსტრუმენტების სწორად და სამართლიანად გამოყენება.

ამ მხრივ, ასევე გასათვალისწინებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილება<sup>40</sup>. მოსარჩელე მიუთითებდა, რომ სასამართლო სხდომის დარბაზში წესრიგის დარღვევა და ამ სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა თავისი შინაარსით არის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა და ამიტომ იგი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით უნდა იყოს გათვალისწინებული.

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლოს მოჰყავს ამონარიდი საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 26 ივლისის დადგენილებიდან, რომელშიც უზენაესი სასამართლო განმარტავს შემდეგს: „საქმის ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, კონკრეტულ პირთა მიერ განხორციელებული ქმედება, თავისი სამართლებრივი ბუნებით, წარმოადგენს ადმინისტრაციულ გადაცდომას, ხოლო მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, სამართალდამრღვევი პირის მიმართ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებაა. მართალია, სასამართლომ გასაჩივრებული განკარგულების მიღებისას იხელმძღვანელა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 208-ე მუხლის დანაწესით, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული ქმედება წარმოადგენს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ დასჯად ქმედებას. ნიშანდობლივია ისიც, რომ სასამართლოში წესრიგის დარღვევისათვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია ასევე სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, რომელიც იმავდროულად გამოიყენება ადმინისტრაციულ პროცესში. ყოველგვარი ქმედება, რომელიც იწვევს სასამართლოში წესრიგის ხელყოფას, წარმოადგენს ადმინისტრაციულ გადაცდომას იმისდა მიუხედავად, თუ საპროცესო სამა-

---

<sup>40</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393,397 გადაწყვეტილება. საქართველოს მოქალაქეები -ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ.  
<<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=309>>[20.07.2019]

რთლის რომელი დარგითაა განსაზღვრული დამრღვევისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების პროცედურა“.

საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს კომპეტენციაში არ შედის კონკრეტული ვითარებიდან გამომდინარე სამართალდარღვევის სამართლის დარგისადმი კუთვნილების განსაზღვრა. მან არ უნდა გაარკვიოს სამართალდარღვევა რომელ კანონმდებლობას მიეკუთვნება - ადმინისტრაციულ თუ სისხლის სამართლის კანონმდებლობას. თუმცა, საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ როდესაც კანონმდებლობით ხდება პასუხისმგებლობის ისეთი ზომის შემოღება, როგორცაა დაპატიმრება, „1) მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს თავად სამართალდარღვევის შინაარსი, რომლისთვისაც გათვალისწინებულია პასუხისმგებლობის ეს ზომა; 2) ის ძალზე მკვეთრად და აშკარად უნდა განსხვავდებოდეს იგივე ობიექტის წინააღმდეგ მიმართული სხვა სახის სამართალდარღვევისა და მისთვის დაწესებული პასუხისმგებლობისგან. ამ პირობების დაცვა აუცილებელია, რადგან, ერთი მხრივ, სამართალდამრღვევმა ზუსტად უნდა იცოდეს, რა შინაარსის სამართალდარღვევისთვის უფარდებენ მას პატიმრობას, ხოლო, მეორე მხრივ, სამართალშემფარდებლებმა (მოსამართლემ) შეძლოს შესაბამისი ნორმების სწორად და ადეკვატურად გამოყენება“.

გამომდინარე იქიდან, რომ ხშირად კანონმდებლობაში პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის შინაარსი არის ზოგადი ან/და ბუნდოვანი, მათი ყველასათვის გასაგები ფორმით ჩამოყალიბება, მით უმეტეს, როდესაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნებაც იქნება გაწერილი ნაშრომში შემოთავაზებული რედაქციით (იხ. თავი II, 1.1.), მნიშვნელოვნად გამარტივდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის და სისხლის სამართლის დანაშაულის გამიჯვნა ყველა დაინტერესებული პირისთვის, თითოეულ შემთხვევაზე სასამართლოს მსჯელობის გარეშე.

## 1.6. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსაზრებები ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სისხლის სამართლის გამიჯვნასთან დაკავშირებით

ევროპული სასამართლოს მიერ სამართალდარღვევის ამა თუ იმ საქმის არსის განსაზღვრა, როგორც სისხლის სამართლის ბრალდების საქმის იდენტიფიკაცია გამომდინარეობს შემდეგი კრიტერიუმებიდან: 1) სახელმწიფო სამართლებრივ სისტემაში სამართალდარღვევის სისხლის სამართლისათვის მიკუთვნება; 2) სამართალდარღვევის სამართლებრივი ბუნება; 3) იძულების ხასიათი და შინაარსი, რომელიც შეიძლება დაეკისროს სამართალდამრღვევს<sup>41</sup>.

სამართალდარღვევის იდენტიფიკაციის პროცესში ძირითად როლს ასრულებს ორი ბოლო კრიტერიუმი – სამართალდარღვევის სამართლებრივი ბუნება და იძულება. სამართალდარღვევის არსის განსაზღვრისათვის ამ კრიტერიუმების უპირატესობა და სახელმწიფოს ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში სისხლის სამართლისათვის ამა თუ იმ სამართალდარღვევის არ მიკუთვნება შეიძლება ილუსტრირებული იქნეს ევროპული სასამართლოს შემდეგი მოსაზრებით: „თუ ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს შესაძლებლობა ექნებათ თავიანთი შეხედულებისამებრ მოახდინონ დისციპლინური სამართალდარღვევების კლასიფიკაცია სისხლის სამართლის დარღვევის ნაცვლად, ან/და „შერეულმა“ სამართალდამრღვევმა პასუხი აგოს დისციპლინური და არა სისხლის სამართლის წარმოების გზით (კონვენციის 6,

---

<sup>41</sup>იხ. § 50 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1984 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „ოზთურქი გერმანიის წინააღმდეგ“ ((§ 50 of Judgment of the European Court of Human Rights: Öztürk v. Germany, 21 February 1984, Published in A 73); § 69-73 ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს 1984 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „კემპბელი და ფელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ // Европейский суд по правам человека Избранные решения ტ.2; გ443-446; <<http://www.echr. ru/dokuments/doc/2461410/2461410.htm>> [20.07.2019](§ 69-73 of Judgment of the European Court of Human Rights: Campbell andand Fell v. The United Kingdom, 28 June 1984 Published in A 80).

7.2ბ.),<sup>42</sup>დამოკიდებული იქნებოდა მათ სუვერენულ ნებაზე. უფლებამოსილებების ამგვარმა გაზრდამ შეიძლება გამოიწვიოს კონვენციის მიზნისა და ამოცანების შეუსაბამო შედეგები“.<sup>43</sup>

ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს 1987 წლის 25 აგვისტოს გადაწყვეტილებით, საქმეზე „ლუტცი გერმანიის წინააღმდეგ“ სასამართლომ დაადგინა: „ითვალისწინებს რა უმნიშვნელო სამართალდარღვევათა დიდ რაოდენობას, განსაკუთრებით საგზაო წესების დარღვევაში, რომელთა შინაარსი არც ისე საშიშია საზოგადოებისათვის, რომ სამართალდამრღვევს შეეფარდოს სისხლის სამართლებრივი სასჯელი, მონაწილე სახელმწიფოებს აქვთ მყარი საფუძველი იმისა, რომ შემოიღონ იმგვარი სამართლებრივი სისტემა, რომელიც განტვირთავს მათ სასამართლოებს ამ ტიპის საქმეთა განხილვისაგან. უმნიშვნელო სამართალდარღვევისათვის დევნა და დასჯა ადმინისტრაციული კანონმდებლობის მიხედვით არ ეწინააღმდეგება კონვენციის მოთხოვნებს, იმ პირობების გათვალისწინებით, რომ დაინტერესებულ მხარეს შეუძლია მის წინააღმდეგ მიღებული გადაწყვეტილება გაასაჩივროს სასამართლოში, სადაც მოქმედებს მე-6 მუხლით დადგენილი გარანტიები“<sup>44</sup>.

---

<sup>42</sup>კონვენციის მე-7 მუხლი განამტკიცებს პრინციპს: „არ არსებობს დასჯა კანონის გარეშე“, რომლის თანახმად, არავინ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის ჩამდენ პირად, თუ ეს ქმედება არ არის აღიარებული დანაშაულად ეროვნული ან საერთაშორისო სამართლის მიერ.

<sup>43</sup>იხ: § 81 ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ენგელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ“ // Европейский суд по правам человека Избранные решения ტ.2; 113-114; (§ 81 of Judgment of the European Court of Human Rights: Engen and others v.The Netherlandsl, 8 June 1976, published in A 22).

<[http:// www.echr.ru/dokuments/doc/2461444./2461444.htm](http://www.echr.ru/dokuments/doc/2461444./2461444.htm)> [20.07.2019]

<sup>44</sup>ხარშილაძე ი, ადმინისტრაციული გადაცდომისა და სისხლის სამართლის დანაშაულის გამიჯვნის სამართლებრივი პრობლემები, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, გამომცემლობა „სიესტა“, თბილისი, 2016, 69.



## 1.7. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდიფიკაცია, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (გადაცდომის) და სისხლის სამართლის დანაშაულის სათანადო გამიჯვნის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (გადაცდომის) და სისხლის სამართლის დანაშაულის სათანადო გამიჯვნის აუცილებლობამ დღის წესრიგში დააყენა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სისტემის სრულყოფა და რეფორმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს როგორც საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე ევროპული კონვენციებით ამ სფეროში დადგენილი სტანდარტების დაცვა.

როგორც ნაშრომის შესავალში აღინიშნა, აუცილებელია ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიღება, რომლითაც გათვალისწინებული იქნება არსებული სისხლისსამართლებრივი ხასიათის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ამოღება. იმის შესაფასებლად, არის თუ არა სამართალდარღვევა სისხლისსამართლებრივი ხასიათის, უნდა მოხდეს ნაშრომში განხილული გამიჯვნის თეორიისა და შემოთავაზებული კრიტერიუმების გამოყენებით.

მაგალითისთვის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში სისხლის სამართლებრივი ხასიათის სამართალდარღვევებად, მართლსაწინააღმდეგო ქმედების შინაარსიდან და შემადგენლობიდან გამომდინარე შესაძლოა მიჩნეულ იქნას 156-ე, 157<sup>4</sup>, 166-ე, 173-ე, 175<sup>2</sup> მუხლები.

ამასთან, გამიჯვნის კრიტერიუმების გამოყენების საფუძველზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან შეიძლება მოვიყვანოთ იმგვარი მაგალითი, რომელიც ერთდროულად აკმაყოფილებს გამოწვეული ზიანის მაღალ ხარისხს და სამართალდარღვევისათვის

გათვალისწინებული სანქციის სიმძიმეს. ეს სამართალდარღვევა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 114<sup>1</sup> მუხლითაა გათვალისწინებული:

საქართველოს კონტინენტური შეღვის, ტერიტორიული წყლების ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის შესახებ კანონმდებლობის დარღვევა

1. საქართველოს კონტინენტურ შეღვზე, ტერიტორიულ წყლებში ან მიმდებარე ზონაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით ნაგებობის აღმართვა მის გარშემო, ან განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში ხელოვნური კუნძულის, ნაგებობის ან მოწყობილობის ირგვლივ უსაფრთხოების ზონის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით დაწესება, აგრეთვე მშენებლობის, რეკონსტრუქციის, ექსპლუატაციის, ნაგებობის დაცვის, ლიკვიდაციის ან კონსერვაციის წესების დარღვევა

– გამოიწვევს დაჯარიმებას 50 000 ლარის ოდენობით.

2. საქართველოს კონტინენტური შეღვის ან განსაკუთრებული ეკონომიკური ზონის ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავება სათანადო ნებართვის გარეშე

– გამოიწვევს დაჯარიმებას 75 000 ლარის ოდენობით.

აღნიშნულის გარდა, სისხლის სამართლის კოდექსიდან გამოსა-ცალკევებელია ისეთი სამართალდარღვევები, რომლებიც მსუბუქი ხასიათის სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს, რადგან სისხლის სამართლის წესით, დასჯა იქნება არაპროპორციული ჩადენილ ქმედებასთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში კრიტერიუმად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მსგავს ქმედებაზე პასუხისმგებლობის არსებობა, სამართალდარღვევით მიყენებული ზიანის დაბალი დონე, ქმედების ან მოსალოდნელი ზიანის საზოგადოებრივი

საშიშროების დაბალი ხარისხი და სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი სასჯელის მსუბუქი ხასიათი ან/და ჯარიმის ოდენობა. მაგალითისთვის, მსგავს სამართალდარღვევებად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არსებულ გარკვეულ მუხლებთან ერთად შესაძლოა მიჩნეულ იქნეს 273-ე, 273<sup>1</sup>, 274 მუხლები და 291-ე მუხლი.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ისეთ სამართალდარღვევებს, რომელთა სისხლის სამართლის წესით დასჯა არ არის ადეკვატური/თანაზომიერი ღონისძიება და შესაბამისად, აღნიშნული ქმედება დარღვევის ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 287<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული ქმედება: „სახერხი საამქროს რეგისტრაციის მოთხოვნათა დარღვევა“ - რაც გამოიხატება „სახერხ საამქროში მრგვალი ხე-ტყის (მორის) სახერხი, ან/და თერმული დამუშავების დანადგარის (ტექნიკის), ან/და მოწყობილობის მონტაჟი რეგისტრაციის გარეშე“. დარღვევა ერთდროულად აკმაყოფილებს ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების დაბალი დონე და სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული სისხლის სამართლებრივი ჯარიმის მცირე ოდენობას; ხოლო გარემოსთვის სამართალდარღვევით გამოწვეული ზიანი - საერთოდ არ ფიქსირდება, თუმცა, ქმედება გვარეობითი ობიექტის მიხედვით წარმოადგენს გარემოს დაცვის წესის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. რაც შეეხება თვითონ სამართალდარღვევის ბუნებას, იგი წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2014 წლის 10 იანვრის №46 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტერიტორიაზე ხე-ტყის მოძრაობის წესებისა და მრგვალი ხე-ტყის (მორის) პირველადი გადამუშავების ობიექტის (სახერხი საამქროს) ტექნიკური რეგლამენტი“-ს მე-3 თავის მე-16 მუხლით გათვალისწინებული „სახერხი საამქროს რეგისტრაციის მოთხოვნის დარღვევა“, რომლის მიხედვით, „სახერხი საამქროს მფლობელი ვალდებულია, მრგვალი ხე-ტყის

(მორის) სახერხი, ან/და თერმული დამუშავების დანადგარის (ტექნიკის), ან/და მოწყობილობის მონტაჟის დაწყებამდე ელექტრონულად დაარეგისტრიროს სახერხი საამქრო ელექტრონულ სისტემაში.<sup>45</sup>

USAID-ის მხარდაჭერით მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და გაძლიერების პროექტის ფარგლებში მომზადებულ ანგარიშში<sup>46</sup>, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სისხლის სამართლის დანაშაულის გამიჯვნის კუთხით, შემოთავაზებულია არსებული პრობლემის გადაჭრის რამდენიმე შესაძლებლობა:

1) ცვლილების შეტანა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლებითაც დაწესდება, სამართლიანი პროცესისთვის აუცილებელი ყველა მოთხოვნა;

2) პატიმრობის, როგორც სახდელის გაუქმება, რის შედეგადაც კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ერთადერთ სახდელად დარჩება ჯარიმა;

3) სისხლისსამართლებრივი ხასიათის ყველა სამართალდარღვევის ამოღება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან და მათი გადატანა სისხლის სამართლის კოდექსში, რა შემთხვევაშიც მათზე გავრცელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი სამართლიანი პროცესის გარანტიები.<sup>47</sup>

ამავე ანგარიშში, მოცემული სამი ვარიანტიდან ყველაზე გონივრულად მიჩნეულია სისხლისსამართლებრივი ხასიათის ყველა სამართალდარღვევის

---

<sup>45</sup> ყურაშვილი კ., „პოლიციის პრევენციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამიჯვნა“, თბილისი, 2018, 172

<sup>46</sup> მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი (JILEP), როგორ შევწყვიტოთ საქართველოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის არაკონსტიტუციური გამოყენება, 2013, 8. <[http://ewmi-prolog.org/images/files/5258GEO\\_Admin\\_Regime\\_JILEP\\_Report\\_Oct\\_30\\_final.pdf](http://ewmi-prolog.org/images/files/5258GEO_Admin_Regime_JILEP_Report_Oct_30_final.pdf)>[20.07/2019]

<sup>47</sup> მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი (JILEP), როგორ შევწყვიტოთ საქართველოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის არაკონსტიტუციური გამოყენება, 2013, 8. <[http://ewmi-prolog.org/images/files/5258GEO\\_Admin\\_Regime\\_JILEP\\_Report\\_Oct\\_30\\_final.pdf](http://ewmi-prolog.org/images/files/5258GEO_Admin_Regime_JILEP_Report_Oct_30_final.pdf)>[30.07/2019]

ამოღება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიდან და მათი გადატანა სისხლის სამართლის კოდექსში, რაც დასაბუთებულია იმით, რომ ასეთ საქმეებზე გავრცელდება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული პროცედურები, რაც უზრუნველყოფს სამართლიანი პროცესისა და სამართლიანი სასამართლოს გარანტიებს და აკმაყოფილებს კონსტიტუციისა და საერთაშორისო-სამართლებრივ მოთხოვნებს. ამ შემთხვევაში აღარ გახდება საჭირო პროცედურების მთელი წყების ხელახლა გამოგონება ან არსებული პროცედურების ძალით მორგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსზე. გარდა ამისა, აღნიშნულ საქმეების განხილვა და გადაწყვეტა დაეკისრებათ არა ადმინისტრაციულ მოსამართლეებს, არამედ სისხლის სამართლის მოსამართლეებს, რომელთაც აქვთ სამართლიანი პროცესის ნორმების გამოყენების ცოდნაც და გამოცდილებაც.<sup>48</sup>

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის დახვეწის მიზნით ჩატარებული ერთ-ერთი კვლევის მიხედვით<sup>49</sup>, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიანი კოდექსი უნდა გაუქმდეს, ხოლო კოდექსსა და სხვა კანონებში არსებული დელიქტები კი უნდა გაიყოს და გაიმიჯნოს ორ ჯგუფად. ის დელიქტები, რომლებიც თავისი ბუნებით წმინდა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ხასიათისაა, უნდა მიეკუთვნოს ამ უკანასკნელ სფეროს, ხოლო თვით დელიქტები, მათი ჩადენისთვის გათვალისწინებულ სანქციებთან ერთად, გადატანილ უნდა იქნეს სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა სფეროში არსებული სამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელ კანონებში სათანადო მატერიალური ნორმების სახით. თავის მხრივ, ასეთი ნორმების სტრუქტურა წარმოდგენილი იქნება დისპოზიციითა და სანქციით. ამასთან ერთად, მიღებული უნდა იქნას სპეციალური

---

<sup>48</sup> მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი (JILEP), როგორ შევწყვიტოთ საქართველოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის არაკონსტიტუციური გამოყენება, 2013, 10-11. <[http://ewmi-prolog.org/images/files/5258GEO\\_Admin\\_Regime\\_JILEP\\_Report\\_Oct\\_30\\_final.pdf](http://ewmi-prolog.org/images/files/5258GEO_Admin_Regime_JILEP_Report_Oct_30_final.pdf)> [20.07/2019]

<sup>49</sup> სულაქველიძე დ., ოთარ გამყრელიძის 80 წლის იუბილესადმე მიძღვნილისაიუბილეო სამეცნიერო კრებული, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და მისი რეფორმის კონცეპტუალური საკითხები; თბილისი, 2016, 448-449

საკანონმდებლო აქტი, სადაც ჩამოყალიბებული იქნება ადმინისტრაციული მმართველობის სფეროში გამოცემული კონკრეტული კანონით რეგლამენტირებული ურთიერთობების ან წესების დარღვევისთვის ფიზიკური ან იურიდიული პირის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრებისა და ადმინისტრაციული სანქციის გამოყენების ზოგადი პრინციპები, საფუძვლები და წესები; ადმინისტრაციული სანქციით განსაზღვრული კონკრეტული სახდელის შეფარდებისას გასათვალისწინებელი გარემოებები; ადმინისტრაციული სახდელის დადებისაგან გათავისუფლების საფუძვლები და შემთხვევები; ადმინისტრაციული სახდელის გამოყენების ხანდაზმულობის ვადები და სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. ასეთი კანონი შეიძლება გამოცემული იქნას შემდეგი სახელდებით: „საქართველოს კანონი ადმინისტრაციული სანქციის გამოყენების საფუძვლებისა და წესის შესახებ“.

მიგვაჩნია, რომ აუცილებელია დარგის ერთიანობის განსაზღვრა ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, რომელიც თავისი შინაარსითა და ბუნებით გამოხატავს მკაფიო კუთვნილებას ადმინისტრაციული სამართლის დარგისადმი და არა სხვადასხვა შინაარსის საკანონმდებლო აქტების მიხედვით. ამასთან, აუცილებელია, რომ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი ამოცანები, პრინციპები და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების ზოგადი წესი საერთო იყოს ყველა უფლებამოსილი ორგანოსთვის (თანამდებობის პირისთვის), რომელთა მწყობრი და გამართული სისტემა იქნება ქვეყანაში თანასწორი და სამართლიანი მიდგომის გარანტი თითოეული მოქალაქისთვის. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისას სავალდებულოდ შესასრულებელი საერთო წესების განსაზღვრა იმთავითვე გამორიცხავს საქმის განმხილველი უფლებამოსილი ორგანოების მიერ სხვა საკანონმდებლო აქტებში მათ ქვემდებარეობაში არსებული საქმეების განხილვისთვის განსხვავებული წესების და არათანაბარი უფლებამოსილებების დადგენის რისკს.

რაც შეეხება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სისხლის სამართლის დანაშაულის ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში გამიჯვნის პრობლემას, მიზანშეწონილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ჩამოყალიბდეს ახალ თავი, სადაც საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსიდან გადატანილი იქნება სისხლისსამართლებრივი ხასიათის სამართალდარღვევების, რომლებიც ადმინისტრაციული სახდელის სახით ითვალისწინებენ პატიმრობას ან/და დიდი ოდენობით ფულად ჯარიმას. ასეთ შემთხვევაში, მსგავს მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე გავრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ნორმების მოქმედება, რის შედეგადაც აღარ დაირღვევა სამართლიანი სასამართლოს უფლების რეალიზაცია, ნებისმიერ პირს გარანტირებული ექნება ყველა ის საპროცესო უფლება, რომელსაც დღეს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს, ამასთან, მათ განიხილავს კვალიფიციური მოსამართლე სისხლის სამართლის დარგში, რომელიც უკეთ შეისწავლის საქმის გარემოებებს. მნიშვნელოვანია, რომ რეფორმის შედეგად, როგორც სისხლის სამართლის, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში თანმიმდევრული სისტემით მკაფიოდ, ყველასათვის გასაგები ფორმით გაიწეროს შესაბამისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებები შემადგენლობა, რაც გამორიცხავს ნორმის არასწორად შეფარდების და დამრღვევის ორმაგად დასჯის საფრთხესაც.

სისხლის სამართლის კოდექსის ახალი თავის შემუშავება მიზნად უნდა ისახავდეს პირთა საპროცესო უფლებების სათანადოდ განსაზღვრას და არა მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სახდელების დამძიმებას და მოქალაქეთა ძირითადი უფლებების დაცვის სტანდარტის გაუარესებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ სისხლის სამართლის შესაბამის თავში გამონაკლისის სახით დადგინდეს, რომ ხსენებული ხასიათის სამართალდარღვევები არ იწვევს ნასამართლობას.

## 2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სამოქალაქო სამართალდარღვევის (დელიქტის) შედარება

ზემოაღნიშნულ თავში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, ნათელია ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და სისხლის სამართლის გამიჯვნის სირთულე. გარკვეულწილად მსგავსი ხასიათის გათვალისწინებით, დარგობრივი კუთხით ასევე მიზანშეწონილია ერთმანეთს შევადაროთ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და სამოქალაქო სამართალდარღვევა, ანუ დელიქტი მისი ჩადენის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების საკითხები, რომლის თაობაზეც, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სისხლის სამართლის დანაშაულის გამიჯვნისგან განსხვავებით, აღნიშნულის თაობაზე ქართულ სამართლებრივ სივრცეში თითქმის არაფერი თქმულა. თემის აქტუალობას ასევე განსაზღვრავს ის გარემოებაც, რომ როგორც წესი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევასა და სამოქალაქო სამართალდარღვევას შედეგად მოჰყვება ზიანის ანაზღაურების საკითხი, რაც, ასევე, რიგ პრობლემებთან არის დაკავშირებული. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში არსებული არაერთი ნორმით, მათ შორის, მუხლი 153<sup>8</sup> - სესხის გაცემის წესის დარღვევა, მუხლი 153<sup>11</sup>. განვადებით ნასყიდობის საფასურის მიღების წესის დარღვევა და სხვა მუხლებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი გარკვეული წესების დარღვევისთვის განსაზღვრულია პირის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერ კიდევ რომის სამართალი იმის მიხედვით, თუ მართლსაწინააღმდეგო ქცევის შედეგად ვის ადგებოდა ზიანი, და შესაბამისად, ვისი ინტერესების შელახვა ხდებოდა, დელიქტურ ვალდებულებებს ორ სახედ ყოფდა - საჯარო და კერძო ხასიათის დელიქტურ ვალდებულებებად: საჯარო ხასიათის დელიქტური ვალდებულებების დროს სახელმწი-



ფოსტვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება ხდებოდა სისხლის სამართლის წესით. თუმცა, საჯარო სამართლის ცალკე დარგად ჩამოყალიბებამ და განვითარებამ ზემოაღნიშნული მიდგომები რადიკალურად შეცვალა და პასუხისმგებლობის სახეები გაიმიჯნა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის სახეებისგან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გამიჯვნის პრობლემატიკა ისევ აქტუალური რჩება და სამართალდამრღვევის ორმაგად დასჯის საფრთხე დღემდე არსებობს.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, სახელმწიფო ისევე მონაწილეობს კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში, როგორც კერძო პირები, ამიტომ, აღნიშნულ ურთიერთობებში მონაწილეობებისას სახელმწიფოს მიმართ წარმოშობილი უფლებებისა და მოვალეობების რეგულირება ასევე ხდება სამოქალაქო სამართლებრივი კანონმდებლობითაც. თუმცა, კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობისას, თუ ადგილი ექნება სამართალდარღვევას, და ამით დაირღვა სახელმწიფოს, როგორც კერძო სამართალურთიერთობის მხარის, ინტერესი და მას მიადგა ზიანი, ეს ნიშნავს, რომ დაირღვა საჯარო ინტერესი და ადგილი აქვს საჯარო ხასიათის დელიქტურ ვალდებულებას, სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია იმის განსაზღვრა თუ ვის მიადგა ზიანი დელიქტის შედეგად, კერძო პირს თუ სახელმწიფოს, ე. ი. ვის წინაშე დგება პასუხისმგებლობა. ამ შემთხვევაში უფრო მეტად საყურადღებოა ის მომენტი, თუ ვისი ქონებრივი ინტერესი შეილახა და რა წესით მოხდება ამ ზიანის ანაზღაურება. ამიტომაც, მიმაჩნია, რომ დელიქტური ვალდებულებების სახეებად (კერძო და საჯარო) დაყოფას სამართლებრივი საფუძველი გააჩნია. <sup>50</sup>

პროფესორი მარკუს დაბერი თავის ნაშრომში „პრევენციული სამართლიანობა“ სვავს კითხვას: როგორი პროცედურული მექანიზმები უნდა

---

<sup>50</sup> ჩიტოშვილი თ., ჟურნალი „მართლმსაჯულება“ 2008, №1

იქნას გამოყენებული როდესაც პროცესი სამოქალაქო ხასიათს ატარებს თუმცა სანქცია უნდა დაიდოს ადმინისტრაციული კანონმდებლობის შესაბამისად? ამის საპასუხოდ გვთავაზობს შესაბამის განმასხვავებელ ნიშნებს/პარადიგმებს, რომლებზეც მსჯელობა ქვემოთ არის მოცემული.

საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციული სანქცია არის ახალი ცნება კანონმდებლობაში და იგი ჩამოყალიბდა როგორც სისხლის და კერძო სამართლისგან ცალკე მდგომი სფერო. წლების განმავლობაში კანონმდებლები ცდილობდნენ გამოეყოთ ადმინისტრაციული სანქცია სისხლის თუ სამოქალაქო სანქციისგან და ამისთვის შეიმუშავეს ოთხი პარადიგმა:<sup>51</sup>

1. პირველი მოსაზრება არ აღიარებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას ცალკე სამართლად და მას განმარტავს როგორც პოლიციის უფლებამოსილებას დააკისროს სამართალდამრღვევს სანქცია და გაიყვანოს ეს უფლებამოსილება სისხლის სამართალში. პროფესორი დაბერის მოსაზრებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არის ცალკე მდგომი დისციპლინა, კერძოდ „პოლიციის სამართალი“. <sup>52</sup>

2. არსებობს მეცნიერთა ნაწილი, რომელიც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას კერძო სამართლის ჭრილში განმარტავს, განსაკუთრებით როცა საქმე ეხება ერთი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის რამდენიმე სანქციის შეფარდების საფრთხეს (double jeopardy), მაგ.: ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილ ორ გადაწყვეტილებაში: ა.შ.შ. ჰალპერის წინააღმდეგ და ჰადსონი ა.შ.შ-ს წინააღმდეგ, რომლებშიც საქმე ეხებოდა ადმინისტრაციული სახდელის - ფულადი ჯარიმის დაკისრებას, სასამართლომ გამოიყენა ტერმინი „სამოქალაქო“ ფულადი ჯარიმა.

3. მესამე მოსაზრების თანახმად, ადმინისტრაციული სამართალი ინტეგრირებულია სისხლის სამართალში, თუმცა არ წარმოადგენს სისხლის

---

<sup>51</sup> *Marcus D Dubber*, preventive Justice: The Quest for Principle in PREVENTION AND LIMITS OF THE CRIMINAL LAW. Law 47,64 (Andrew Ashworth, Lucia Zedner & Patrick Tomlin eds. 2013)

<sup>52</sup> *Marcus D Dubber*, preventive Justice: The Quest for Principle in PREVENTION AND LIMITS OF THE CRIMINAL LAW. Law 47,64 (Andrew Ashworth, Lucia Zedner & Patrick Tomlin eds. 2013)

სამართლის ძირითად არსს და ნაწილს. ამ აზრის განსამტკიცებლად მეცნიერები სისხლის სამართალს ყოფენ ორ ნაწილად: ძირითადი დანაშაულები და „პერიფერიული“ დანაშაულები და სწორედ ამ „პერიფერიულ დანაშაულებებში“ განიხილავენ ისინი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს.<sup>53</sup>

4. მეოთხე მოსაზრების თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არის შუალედური ცნება სისხლისა და კერძო სამართალდარღვევებს შორის. პროფესორი კენეტ მანის მოსაზრებით: ესაა შუალედური, მოქნილი, ჰიბრიდული სანქციების მექანიზმი როდესაც სანქციის მიზანი არის დასჯა, თუმცა პროცედურული საკითხები მთლიანად არის გადმოღებული სამოქალაქო სამართლიდან.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული თავი დაეთმოზა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების სამართლებრივ საფუძვლებზე მსჯელობას, რათა აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით განისაზღვროს ერთიანი მიდგომის ჩამოყალიბება და საფუძვლების კლასიფიკაცია. სამართლებრივ საფუძვლებზე მსჯელობა წარმოდგენილი იქნება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლებისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დელიქტური ვალდებულებების შემცველი მუხლების შედარებით-სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე. ამასთან, დეტალურად იქნება განხილული ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართალდარღვევების ცნებები, მათი ელემენტები, იმ მიზნით, რომ უფრო ნათლად გამოჩნდეს მსგავსება და განსხვავება ამ ორ შემთხვევას შორის პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის ზიანის ანაზღაურების რელევანტური ნორმების გამოყენების მიზნით.

## 2.1. დელიქტური სამართლის წარმომავლობა

თავდაპირველად მიზანშეწონილია მოკლედ განვიხილოთ დელიქტური სამართლის წარმოშობის საფუძვლები, კერძოდ, საიდან იღებს

<sup>53</sup>იხ. Brunder, supra note 12, 169-70, 173-78.

ის სათავეს და რას განსაზღვრავს პრეცედენტული სამართლის სამშობლოდ აღიარებული დიდი ბრიტანეთის სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

## 2.2. დელიქტის განმარტება

დელიქტების სამართალი თავდაპირველად ჩნდება გაერთიანებულ სამეფოში 1860 წელს, როდესაც წიგნების თაროზე გამოჩნდა სახელმძღვანელო: C.G. Addison's Wrongs and their remedies: Being Treatise on the law of torts. სამართლის ცალკე დარგად ჩამოყალიბება აღნიშნული დისციპლინის ხანგრძლივი დროის განმავლობაში ხდებოდა. ეს არის მიყენებული ზიანის ანაზღაურების სამართალი ბრიტანეთში. დელიქტების სამართალი არის საერთო სამართლის ოჯახიდან. ტერმინი „tort“ იგივე - დელიქტი მოდის ლათინური სიტყვიდან tortus ან twisted და არის სამართალდარღვევის სინონიმი.<sup>54</sup>

დღესდღეობით ხსენებული ტერმინი გამოიყენება სამოქალაქო კანონდარღვევის (დელიქტის) კონტექსტში. ხოლო, სახელშეკრულებო სამართლისგან განსხვავებით, სადაც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას, დელიქტების სამართალი მსგავს წინასწარ გაწერილ პირობებს არ ითვალისწინებს და ხშირად გვევლინება არასახელშეკრულებო ურთიერთობების დარღვევის შემთხვევაში. მიუხედავად ხელშეკრულების არარსებობისა, რომლითაც რეგულირდება კონკრეტული ურთიერთობები, დელიქტის თავიდან ასაცილებლად საზოგადოება თანხმდება საერთო წესებზე, რაც თავის მხრივ ჰარმონიულად თანაცხოვრების გარანტს წარმოადგენს.

პრეცედენტულ სამართალში დელიქტები გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებით, შესაბამისად, ბრიტანელი მოსამართლეებისთვის დღემდე რთულ ამოცანად რჩება დელიქტის კონკრეტული დარგისადმი

---

<sup>54</sup> S.I.Strong & Liz Williams, Tort Law, Text, Cases and Materials, second edition, 2011, 6

მიკუთვნება.<sup>55</sup> დელიქტის შედეგად წარმოშობილი ურთიერთობები შეიძლება ეხებოდეს როგორც უძრავ, ასევე მოძრავ ქონებას, მიწის უკანონო მისაკუთრებას, ასევე სხვის კერძო საკუთრებაში - მიწის ნაკვეთის სარგებლობაში არსებით და უკანონო ჩარევას. <sup>56</sup> არსებობს ორი სახის ჩარევა: კერძო და საჯარო.<sup>57</sup> ანგლო-საქსურ ქვეყნებში საჯარო ხასიათის სამართალდარღვევა, როგორც ადმინისტრაციულ დელიქტად, ისე დანაშაულად შეიძლება დაკვალიფიცირდეს. იგივე მიდგომაა ქართულ საკანონმდებლო სივრცეშიც, სახელმწიფო საკუთრებას მიკუთვნებული მიწის უკანონო დაუფლება თუ არამართლობიერად გამოყენება/ფლობა - ადმინისტრაციული სამართლის სფეროთი რეგულირდება. <sup>58</sup> საგულისხმოა, რომ მიწასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებს ვხვდებით ასევე სისხლის სამართალშიც<sup>59</sup> (მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 192-ე მუხლი - მიწასთან დაკავშირებული გარიგების უკანონო რეგისტრაცია, მუხლი 297 - მიწის გაუვარგისება, მუხლი 298 - წიაღისეულის გამოყენების ან დაცვის წესის დარღვევა და სხვა) და რა თქმა უნდა სამოქალაქო კანონმდებლობაში, რომელშიც მიწით სარგებლობა/ფლობასთან დაკავშირებული ურთიერთობები სხვადასხვა ნორმებითაა დარეგულირებული. ამრიგად, ერთგვაროვანი ურთიერთობების სამართლის სხვადასხვა დარგით რეგულაცია როგორც ზემოთ - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის გამიჯვნის თავში აღინიშნა, ამ შემთხვევაშიც საკმაოდ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს, მით უმეტეს, როდესაც მოქმედ კანონმდებლობაში არაერთი ნორმის დეფინიცია და სანქცია შინაარსობრივად თითქმის იდენტურია.

---

<sup>55</sup> S.I.Strong & Liz Williams, Tort Law, Text, Cases and Materials, second edition, 2011, 7

<sup>56</sup> იხ. განმარტება: „Nuisance in English law is an area of tort law broadly divided into two torts; private nuisance, where the actions of the defendant are "causing a substantial and unreasonable interference with a [claimant]'s land or his/her use or enjoyment of that land".

<sup>57</sup> „public nuisance, where the defendant's actions "materially affects the reasonable comfort and convenience of life of a class of Her Majesty's subjects"; public nuisance is also a crime“.

<sup>58</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლები: N 52, 53, 53<sup>2</sup>,54,54<sup>1</sup>,55<sup>2</sup>,55<sup>3</sup>.

<sup>59</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, მუხლები: N191,202<sup>1</sup>,297,298,303,409.

მიუხედავად იმისა, რომ დელიქტების სამართალი არის საერთო (პრეცედენტული) სამართლის ნაწილი, ის მუდმივად განიცდის ცვლილებებს. საქმეში „კორასანჯიანი ბუშის წინააღმდეგ“<sup>60</sup> ქალბატონს თავის ყოფილი შეყვარებული ავიწროვებდა და ფსიქოლოგიურ ძალადობას ახორციელებდა სატელეფონო ზარების გამოყენებით, ხოლო მსგავსი შემთხვევის რეგულაციებს საერთო სამართალი არ იცნობდა. შესაბამისად, აღნიშნულმა კაზუსმა შექმნა ახალი პრეცედენტი, რაც სახელმძღვანელო გახდა ზემოაღნიშნული ტიპის სამართალდარღვევის დადგომის შემთხვევაში მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების.

### 2.3. დელიქტის დახასიათება

დელიქტი სახეზეა როდესაც ერთი მხარე არღვევს მეორე მხარის მიმართ არსებულ ვალდებულებას, ხოლო მიყენებული ზიანის ანაზღაურება კი, შესაძლებელია ფულადი თანხით.

მიუხედავად იმისა, რომ კანონდამრღვევი შესაძლოა არ იყოს ინფორმირებული ქმედების მართლსაწინააღმდეგო ხასიათის და შესაძლო ზიანის დადგომის შესახებ, ის მაინც არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისგან. მაგალითად, საერთო სამართლის ქვეყნების სასამართლო გადაწყვეტილებებში ხშირად აღწერილია დელიქტის კონკრეტული სიტუაციები/შემთხვევები რა დროსაც ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვისას ადგება ზიანი ერთ-ერთ მხარეს. მოსამართლეთა განმარტებით, ივარაუდება რომ ყველა მძღოლმა უნდა იცოდეს და ითვალისწინებდეს ავტოსატრანსპორტო საშუალების მართვის უსაფრთხოების და საგზაო მოძრაობის წესებს ავტოსაგზაო შემთხვევების თავიდან ასარიდებლად (როგორც არის ავტოსატრანსპორტო შემთხვევა, ასევე, ქვეითად მოსიარულე პირის დაზიანება), მათ შორის, უძრავი ქონების დაზიანების აცილებას (მაგ.:

---

<sup>60</sup>Khorasanjian v Bush (1993) QB 727.

გზასთან ახლოს მდებარე ღობე, ლამპიონი და ა.შ.). ამრიგად, იმ შემთხვევაში, თუ მძღოლი უხეშად არღვევს სახელმწიფოს მიერ დადგენილ საგზაო მოძრაობის წესებს და პირობებს, რის შედეგადაც მხარეს ადგება ზიანი, სახეზეა დელიქტი.

მეტი თვალსაჩინოებისთვის განვიხილოთ კიდევ ერთი მაგალითი: პირს მემკვიდრეობით ერგო მიწა, რომელშიც 1800 წელს გაკეთდა წყლის რეზერვუარი, რომლის დაზიანების შემთხვევაში დიდი რაოდენობის წყალი გადმოვა და დაიტბორება მეზობლის კერძო საკუთრება. აღნიშნულ დროს კი, მემკვიდრე ვალდებული იქნება პასუხი აგოს დამდგარი ზიანისთვის, ასეთის არსებობის შემთხვევაში.<sup>61</sup> ზიანის ანაზღაურების ვალდებულება წარმოიშობა მიუხედავად იმისა, დადგა თუ არა ზიანი მესაკუთრისგან დამოუკიდებელი მიზეზებით, მესაკუთრემ საერთოდ არ იცოდა მემკვიდრეობით მიღებული მიწის ნაკვეთზე წყლის რეზერვუარის არსებობის შესახებ, თავად არ გაუკეთებია რეზერვუარი, არ ჰქონდა დრო შეემოწმებინა სამკვიდროთი მიღებული მიწის ნაკვეთი და გაერკვია იყო თუ არა ქონება დატვირთული რაიმე ტიპის ვალდებულებით და სხვა.

არსებობს განსხვავება შესაძლო ზიანის წინასწარ ცოდნის და წინასწარ არცოდნის ვალდებულებას შორის. კერძოდ, ზემოთ მოყვანილ მაგალითში მემკვიდრეობით სამკვიდროს მიღებისთანავე მესაკუთრე ვალდებულია შეამოწმოს საკუთრება მომავალში შესაძლო ზიანის თავიდან არიდების მიზნით და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია, თუ რამდენად თავისუფალია ქონება ვალდებულებებისგან, რამდენად შეესაბამება მიწით სარგებლობისათვის დადგენილ უსაფრთხოების ნორმებს, რათა სხვისი ქონების დაზიანების რისკები მინიმუმამდე შემცირდეს. თავად ფაქტი იმისა, რომ მესაკუთრეს არ ჰქონდა დრო ჩაეტარებინა მიწის ნაკვეთის შემოწმებითი სამუშაოები არ ათავისუფლებს მას პასუხისმგებლობისგან.

დელიქტის მეორე დამახასიათებელი ნიშანი გახლავთ მისი ზოგადი ხასიათი. მაგალითად, ანგლო-საქსური ქვეყნების სახელშეკრულებო

---

<sup>61</sup> Rylands v Fletcher

სამართალში, კონკრეტული ვალდებულებები წარმოიშობა ხელშეკრულების მხარეებს შორის, რომლებზეც ისინი თავად შეთანხმდებიან. განსხვავებით ზოგადი ხასიათის ვალდებულებებისგან, რომელიც ეკისრება ნებისმიერ მოქალაქეს სადაც არ არის წინასწარ განსაზღვრული პირთა წრე, რომელსაც შეიძლება მიადგეს ზიანი. მაგალითად, ავტოსატრანსპორტო შემთხვევის დროს, სამართალდამრღვევმა პირმა შეუძლებელია წინასწარ განსაზღვროს იმ პირთა წრე, რომელსაც შესაძლოა მიაყენოს ზიანი. ამრიგად, მას აკისრია ზოგადი ვალდებულება დაიცვას საგზაო მოძრაობის წესები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ზიანის დადგომისას, ვალდებული იქნება აანაზღაუროს ის. ამრიგად, საზოგადოების წევრები მუდმივად იმყოფებიან ერთგვარ ზოგადი ხასიათის სამართლებრივ ურთიერთობაში: მძღოლი - ფეხით მოსიარულე პირთან, მიწის მესაკუთრე - მეზობელთან და ა.შ. ამ ტიპის, გარკვეულწილად აბსტრაქტული ურთიერთობა გახლავთ არსებითი და მნიშვნელოვანი ფაქტორი პასუხისმგებლობის გააზრების და დაკისრების ნაწილში.

#### 2.4.სამოქალაქო დელიქტის ცნება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ მხარეს დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, უტყუარად უნდა დასტურდებოდეს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ბრალი (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა), შედეგი – ზიანი და მიზეზობრივი კავშირი პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ნორმის შემადგენელ აღნიშნულ ელემენტთაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველია.<sup>62</sup>

დელიქტი წარმოადგენს კანონისმიერი ვალდებულებითი-სამართლებრივი ურთიერთობის წყაროს, რაც გულისხმობს ერთი პირის

---

<sup>62</sup>უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება N-ას-507-481-2011



(კრედიტორი) უფლებამოსილებას მეორე პირისგან (მოვალისგან) მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

ზიანი შეიძლება წარმოიშვას როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ურთიერთობებიდან. ზიანის დადგომა კი, ორივე შემთხვევაში ჩადენილი სამართალდარღვევის შედეგია. საგულისხმოა, რომ არასახელშეკრულებო ზიანი წარმოიქმნება უშუალოდ სამართალდარღვევიდან (დელიქტი), ამიტომ მას დელიქტურ ან/და სამართალდარღვევიდან წარმოშობილ ვალდებულებებს უწოდებენ.<sup>63</sup> რაც შეეხება უშუალოდ სამართალდარღვევას, ის არის პირის მართლსაწინააღმდეგო, განზრახი, ან გაუფრთხილებელი მოქმედება, შესაბამისად, დელიქტური ვალდებულება გულისხმობს სამართალდარღვევით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას.

ამდენად, დელიქტის როგორც ტერმინის განმარტება და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შინაარსი იძლევა დელიქტური ვალდებულების ზოგად ცნებას: „პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.“<sup>64</sup>

შესაბამისად, აღნიშნული მუხლის თანახმად, მოვალისთვის პასუხისმგებლობის (ზიანის ანაზღაურების) დაკისრება შესაძლებელია თუ არსებობს შემდეგი ოთხი ელემენტი: 1) მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედება. 2) ზიანი 3) მიზეზობრივი კავშირი მოვალის მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და ზიანს შორის. 4) მოვალის ბრალი. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ მხრივაც თვალსაჩინოა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან მისი მსგავსება.

თუმცა, დელიქტის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ არსებობს ისეთი საგამონაკლისო დელიქტები, რომლებიც ბრალისა და მართლსაწინააღმდეგო ქმედების გარეშეც ითვალისწინებენ პასუხისმგებლობის

<sup>63</sup> ჩიკვაშვილი შ., დელიქტური ვალდებულებანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, ტ. 2, 2001, 379.

<sup>64</sup> ჩიტოშვილი თ., „დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერი სამართლებრივი ასპექტები“ 2008.

დაკისრების შესაძლებლობას. ასეთია ე.წ. მომეტებული საფრთხის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების შემთხვევები, მაგალითად - ელექტრო მოწყობილობიდან გამომდინარე ზემოქმედების შედეგად მიყენებული ზიანი.<sup>65</sup>

ევროპულ მოდელურ კოდექსში მოცემულია გენერალური დელიქტის ცნება (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის ანალოგი)<sup>66</sup>, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება:

- პირი რომელსაც მიადგა ზიანი უფლებამოსილია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, იმ პირისგან, რომელიც განზრახ ან გაუფრთხილებლობით განხორციელებული ქმედების გამო ან სხვაგვარად პასუხისმგებელია ზიანის ანაზღაურებისათვის.
- პირი პასუხისმგებელია მიყენებული ზიანისათვის, გამონაკლის შემთხვევებშიც, როდესაც ზიანი არ არის გამოწვეული მისი განზრახვი ან გაუფრთხილებლობითი ქმედებით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად, იმისათვის, რომ მხარეს დაეკისროს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, უტყუარად უნდა დასტურდებოდეს სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ბრალი (განზრახვა ან გაუფრთხილებლობა), შედეგი - ზიანი და მიზეზობრივი კავშირი პირის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. ნორმის შემადგენელ აღნიშნულ ელემენტთაგან თუნდაც ერთ-ერთის არარსებობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე უარის თქმის საფუძველია, ამასთან, ზიანის არსებობის ფაქტისა

---

<sup>66</sup> *Christian von Bar, Eric Clive and Hans Schulte-Nölke and Hugh Beale, Johnny Herre, Jérôme Huet, Peter Schlechtriem, Matthias Storme, Stephen Swann, Paul Varul, Anna Veneziano and Fryderyk Zoll, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference (DCFR), Prepared by the Study Group on a European Civil Code and the European Research Group on Existing EC Private Law (Acquis Group), Based in part on a revised version of the Principles of European Contract Law, FINAL Outline Edition 1-1-2009*

და ამ ზიანის სწორედ მოპასუხის ქმედებით გამოწვევის მტკიცების ტვირთი პროცესუალურად ეკისრება მოსარჩელეს.<sup>67</sup>

#### **2.4.1. მართლწინააღმდეგობა**

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების მსგავსად, დელიქტების შემთხვევაშიც მართლსაწინააღმდეგოდ ქმედებად მიჩნეულია იმგვარი ქმედება, რომელიც იწვევს კანონმდებლობით დადგენილი ნორმების დარღვევას. თუმცა, საგულისხმოა, რომ ზოგიერთი მეცნიერის აზრით, მართლწინააღმდეგობის ცნება უფრო ფართოა, ვიდრე მხოლოდ კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დარღვევა, იგი მოიცავს, ნებისმიერ დარღვევას, რომელიც არ არის განსაზღვრული კანონმდებლობით, თუმცა ლახავს საზოგადოებრივ მართლწესრიგს და ესა თუ ის ვალდებულება ბრალეულად დაირღვევა თუ ბრალის გარეშე, დარღვევა მაინც მართლსაწინააღმდეგოდ უნდა მივიჩნიოთ.

#### **2.4.2. ქმედება**

მართლსაწინააღმდეგო ქმედება შესაძლებელია ჩადენილ იქნას როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობითაც. თუმცა, როგორც აღინიშნა, სამოქალაქო სამართალი იცნობს მართლსაწინააღმდეგო ქმედების გარეშე მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას. ასეთი შემთხვევები შეგვიძლია გავმიჯნოთ ორ პირობით კატეგორიად:

- მართლზომიერი ქმედების შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. ასეთი შემთხვევები გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული უფლების განხორციელების დროს. კერძოდ, აუცილებელი მოგერიება (116-ე მუხლი), უკიდურესი აუცილებლობა (117-ე მუხლი) თვითდახმარება (118-ე მუხლი)<sup>68</sup>.

<sup>67</sup> BLH – BUSINESS & LEGAL HUB - დელიქტური სამართალი - ზიანის ანაზღაურება. 2014წ.

<sup>68</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 120-ე მუხლის დანაწესის თანახმად, პირი, რომელიც 118-ე მუხლში გათვალისწინებულ მოქმედებას განხორციელებს იმ მცდარივარაუდით, თითქოს ეს აუცილებელი იყო მართლსაწინააღმდეგო მოქმედების თავიდან ასაცილებლად, ვალდებულია მეორემ ხარეს აუნაზღაუროს ამ დროს წარმოშობილ იზიანი.

• მომეტებული საფრთხის რეალიზაციის დროს დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. მაგ.: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 999-ე მუხლი, ავტომობილის ექსპლუატაციის დროს დამდგარი ზიანი იმით ხასიათდება, რომ იგი არ არის გამოწვეული მძღოლის ქმედებით, არამედ იგი გამოწვეულია ადამიანის მიერ უკონტროლო მოვლენით, ანუ რა ღონეც არ უნდა იხმაროს ადამიანმა, იგი ვერ აღკვეთავს ზიანის დადგომას.<sup>69</sup>

სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალი მართლსაწინააღმდეგო ქმედების გარეშე მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობისგან ათავისუფლებს სამართალდამრღვევ პირს იმ შემთხვევაში, თუ პირი მოქმედებდა აუცილებელი მოგერიებისთვის განსაზღვრულ ფარგლებში და უკიდურესი აუცილებლობის პირობებში, რა დროსაც არ შეიძლებოდა საფრთხის აცდენა სხვა საშუალებებით, ამასთან, თუ მიყენებული ზიანი უფრო ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე აცდენილი ზიანი.<sup>70</sup>

### 2.4.3. ბრალი

სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის მიხედვით, პირი პასუხისმგებელია ზიანის მიყენებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს მისი ბრალი, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა (მაგ.: სსკ 999-ე, 1000-ე და სხვა მუხლები). ხოლო სამოქალაქო კოდექსის 395-ე მუხლის მიხედვით კი, მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს.

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, განზრახ მოქმედებს ის, ვინც აცნობიერებს თავისი ქმედების მართლსაწინააღმდეგო ბუნებას და სურს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომა - პირისთვის ზიანის მიყენების სახით (პირდაპირი განზრახვა) ან პირს გაცნობიერებული აქვს მისი ქმედების

---

<sup>70</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-18 და მე-19 მუხლები.

მართლსაწინააღმდეგო ბუნება და გულგრილად ეკიდება შედეგის დადგომას. (არაპირდაპირი განზრახვა).

ხოლო, გაუფრთხილებლობით მოქმედების ის, ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელ აუცილებელ ყურადღებიანობას. პირი ვალდებულია გამოიჩინოს იმგვარი ყურადღებიანობა, რასაც გამოიჩენდა საშუალო გონიერი ადამიანი მის ადგილას. გაუფრთხილებლობა სამოქალაქო კოდექსში იყოფა უხეშ და მარტივ გაუფრთხილებლობად. უხეშო გაუფრთხილებლობა სახეზეა მაშინ, როდესაც პირი თავისი მოქმედებით აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით. მარტივი გაუფრთხილებლობისას კი, პირი აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს შედარებით დაბალი დონით. სწორედ ბრალის საკითხის დადგენასთან დაკავშირებით ვაწყდებით პრობლემას განსხვავებული რეგულაციების არსებობის მხრივ, რომლებსაც სამოქალაქო კანონმდებლობა ადგენს 992-ე და 1005-ე მუხლებით, რაც უკვე განვიხილეთ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის გათვალისწინებით, დელიქტურია ზიანი, რომელიც დადგება მხოლოდ მართლსაწინააღმდეგო ბრალეული ქმედებით და ყოველთვის ექვემდებარება ანაზღაურებას. იგივე აზრია მოცემული გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 823-ე მუხლში, თუმცა შინაარსიდან გამომდინარე ზიანის ცნება უფრო დაკონკრეტებული და დეტალიზებულია, კერძოდ, პირი, რომელიც განზრახ, ან გაუფრთხილებლობით მართლსაწინააღმდეგოდ მიაყენებს ზიანს სხვა პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას, ხელყოფს მის თავისუფლებას, საკუთრებას, ან სხვა უფლებას, ვალდებულია აუნაზღაუროს დაზარალებულს მიყენებული ზიანი.<sup>71</sup> ამდენად, აღნიშნული ნორმის შინაარსში მოცემულია კონკრეტული ჩამონათვალი (პირის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრების უფლება, თავისუფლება და სხვა უფლება.), თუ რას ადგება აღნიშნული ქმედებით ზიანი, რაც არ არის მოცემული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე

---

<sup>71</sup>German Civil Code <[https://www.gesetze-im-internet.de/englisch\\_bgb/](https://www.gesetze-im-internet.de/englisch_bgb/)>[03.06.2019]

მუხლის რედაქციაში, თუმცა, მასში მოცემული დელიქტის განმარტება არის ზოგადი და თავისთავად მოიცავს ზემოხსენებულ ჩამონათვალსაც.<sup>72</sup>

#### 2.4.4. მიზეზობრივი კავშირი

ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის, აუცილებელია არსებობდეს მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ შედეგს - ზიანს შორის.

სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედვით „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.“

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იყენებს ადეკვატური, იგივე მიზეზობრიობის თეორიას, რომლის მიხედვითაც ადეკვატურია ისეთი მოქმედება, რომლის გარეშეც ზიანი არ დადგებოდა.

განსხვავებული მიდგომებია ანგლო-საქსური ქვეყნების პრეცედენტულ სამართალში, სადაც პირი პასუხს აგებს იმ ზიანისთვისაც, რომლის შესახებ მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა. მაგალითად, სხვა რეგულაციას დაექვემდებარებოდა ნაშრომში აღნიშნული ერთ-ერთი შემთხვევა, როდესაც მემკვიდრეს მამკვიდრებლისგან გარდაცვალების შემდეგ გადაეცა მიწის ნაკვეთი, რომელზეც მან განახორციელა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ყველა აუცილებელი ღონისძიება. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ეზოში, ნიადაგში ჩამონტაჟებული დაზიანებული წყლის მილიდან მოხდა მეზობლის ეზოს დატბორვა, რამაც ქონებრივი ზარალი გამოიწვია. როგორც აღინიშნა, ზიანის ანაზღაურების ვალდებულება მესაკუთრეს დაეკისრა მიუხედავად მისი არაბრალეული

---

<sup>72</sup> ჩიტოშვილი თ., დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, 2008.

ქმედებისა. მეტიც, მან არ იცოდა და არც შეიძლებოდა სცოდნოდა იმ ნაკლიანი წყალგაყვანილობის შესახებ, რამაც გამოიწვია ეზოს დატბორვა.<sup>73</sup>

## 2.5. ადმინისტრაციული (სამართალდარღვევების) და სამოქალაქო (დელიქტის) პასუხისმგებლობის შედარებით-სამართლებრივი ანალიზი

ნაშრომში განხილული საკითხებიდან გამომდინარე ნათელია, რომ შინაარსის და კანონდარღვევის სიმძიმის მიხედვით ყველაზე დიდი მსგავსება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობით და სისხლის სამართლით დადგენილ ნორმათა შორის გვხვდება. თუმცა, იდენტური თუ არა მსგავსი შინაარსის ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმებს ასევე ვხვდებით ადმინისტრაციულ-დელიქტური სამართალდარღვევების და სამოქალაქო-დელიქტური პასუხისმგებლობის შემთხვევებშიც. ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გამიჯვნის საკითხიც საკმაოდ მნიშვნელოვანია, რათა თავიდან იქნეს აცილებული იდენტური მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის ერთი და იგივე სახდელის ერთი და იმავე საზოგადოებრივი ინტერესის დამცავ იგივეობრივ ნორმებზე დაყრდნობით ორჯერ დაკისრება<sup>74</sup>.

რაც შეეხება მატერიალურ პასუხისმგებლობას, რომელიც შესაძლოა დადგეს დელიქტის არსებობის შემთხვევაში, ის განსხვავდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად დამდგარი პასუხისმგებლობისგან. მატერიალური პასუხისმგებლობა დგება მატერიალური ზიანის მიყენების შემთხვევაში.

აღსანიშნავია, რომ მატერიალურმა პასუხისმგებლობამ შესაძლოა გარკვეულ შემთხვევებში ადმინისტრაციული პასუხისმგებლობაც გამოიწვიოს. კერძოდ, ავტოსაგზაო შემთხვევისას თუ საგზაო წესების დარღვევასთან ერთად ადგილი ექნება სხვისი ქონების დაზიანებას, სამართალდამრღვევს პასუხისმგებლობა დაეკისრება არამარტო

<sup>73</sup> *S.I.Strong & Liz Williams, Tort Law, Text, Cases and Materials, second edition, 2011, 8.*

<sup>74</sup> *სულაქველიძე დ.*, ოთარ გამყრელიძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო კრებული, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და მისი რეფორმის კონცეპტუალური საკითხები; თბილისი, 2016, 449-450

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით, არამედ, სამოქალაქო კანონმდებლობით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების წესების მიხედვითაც. პირველ რიგში განისაზღვრება ადმინისტრაციული გადაცდომა და სამართალდამრღვევი მიეცემა ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში, რის შემდეგაც, განხორციელდება მიყენებული ზარალის განსაზღვრა და დადგინდება ანაზღაურების წესი.<sup>75</sup>

მსგავსება გახლავთ ის, რომ ადმინისტრაციული გადაცდომა, ისევე როგორც დისციპლინური გადაცდომა და სამოქალაქო დელიქტი არ წარმოადგენს საზოგადოებრივად საშიშ მოვლენას. ქმედების საზოგადოებრივად საშიში ნიშანი დღეს არ არის გაზიარებული და შემოღებულია დანაშაულებრივი ზიანის ცნება, რომელიც მეტად გამართლებულია, რადგან დიდი ზიანი შესაძლოა არ იყოს საშიში, მაშინ როდესაც სტიქიური უბედურებისას წესების დარღვევა, რომელიც საზოგადოებრივად საშიშ მოვლენებთანაა დაკავშირებული, წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას და იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას.<sup>76</sup>

როდესაც პროცედურულ საკითხებზე და განსხვავებებზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა აღინიშნოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად სანქციის დაკისრების ოპერატიული ფორმა: სამართალდარღვევის ფაქტის დადგომისას, მაგალითად ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეჯახების შემთხვევაში, შესაბამისი უწყების წარმომადგენელს უფლება აქვს შემთხვევის ადგილზევე მოახდინოს სახდელის დადება ჯარიმის სახით. პასუხისმგებლობის დაკისრების მსგავსი ოპერატიული ფორმა სამოქალაქო

---

<sup>75</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხ. 266, პუნქტ.3: „ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დადების საკითხის გადაწყვეტისას ამ კოდექსის მე-200 მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში ჩამოთვლილი ორგანოები (თანამდებობის პირები) ერთდროულად წყვეტენ ბრალეულის მიერ ქონებრივი ზარალის ანაზღაურების საკითხს, მაშინ საქმეზე მიღებულ დადგენილებაში აღინიშნება ასანაზღაურებელი ზარალის ოდენობა, მისი ანაზღაურების წესი და ვადა.“

<sup>76</sup> *ღვამიჩავა თ.*, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განსხვავება სხვა სახის სხვა სახის იურიდიული პასუხისმგებლობისგან, *ჟურნალი - იურისპუდენცია*, 2006, 14.



პასუხისმგებლობის შემთხვევაში, კერძოდ, ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრებისას არ არსებობს.<sup>77</sup>

ზემოაღნიშნული სახის ოპერატიულობა, მართალია სწრაფი რეაგირების და ეფექტური საჯარო მმართველობის განხორციელების საფუძველია, თუმცა, სწორედ ამ ნიშნის გამო ის გარკვეული რისკების მატარებელიცაა. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 33-ე მუხლით დადგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელის დადების ზოგადი წესები, რომლის მიხედვითაც, სახდელის დადებისას მხედველობაში, უნდა იქნას მიღებული ჩადენილი სამართალდარღვევის ხასიათი, დამრღვევის პიროვნება, მისი ბრალის ხარისხი, ქონებრივი მდგომარეობა, პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი, ამასთან, საგულისხმოა, რომ კოდექსის 34-ე მუხლი ადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ 5 (ხუთ), ხოლო და 35-ე მუხლი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ 6 (ექვს) გარემოებას. ამასთან, გასათვალისწინებელია ისიც, რომ შემამსუბუქებელი გარემოებების კონკრეტული ჩამონათვალის მიუხედავად, სამართალდარღვევათა კოდექსი განმარტავს, რომ საქართველოს კანონმდებლობით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი სხვა გარემოებანიც. ორგანოს (თანამდებობის პირს), რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს წყვეტს, შეუძლია შემამსუბუქებლად მიიჩნიოს ისეთი გარემოებანიც, რომლებიც არ არის მითითებული კანონმდებლობაში.

ზემოაღნიშნული ფაქტორებისა და გარემოებების სათანადო შეფასება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების განხორციელებისათვის გათვალისწინებულ მოკლე დროში კი, ფაქტობრივად შეუძლებელია, ვინაიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე

---

<sup>77</sup> იხ. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 242-ე მუხლის მე-2 პუნქტი: „...სამართალდამრღვევს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი.“

მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არაუგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არაუგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან. ამრიგად, მაღალია იმის რისკი, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას საქმის განმხილველი ორგანო (თანამდებობის პირის) ხშირ შემთხვევაში სათანადოდ ვერ გამოიკვლევს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმესთან არსებულ ფაქტობრივ გარემოებების და შესაბამის მტკიცებულებებს, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ადმინისტრაციული სახდელის უკანონო დაკისრებას ან პირიქით, სამართალდამრღვევისთვის ვერ მოხდება პასუხისმგებლობის შეფარდება. ამრიგად, პრაქტიკაში სახდელის მცირე დროში დადება შესაძლოა სულაც არ იყოს მიმართული იმ მიზნისკენ (ქმედებაზე ოპერატიული და სამართლიანი რეაგირება), რაც კანონმდებელს ჰქონდა ჩაფიქრებული. აუცილებელია, რომ ადმინისტრაციული გადაცდომისათვის დაკისრებული სახდელი იყოს გონივრული და პროპორციული, როგორც გადაცდომის სიმძიმესთან, ისე იმ გარემოებებთან მიმართებით, რომელშიც იმყოფებოდა დამრღვევი.

როგორც ზემოთ აღინიშნა, სახდელის დადებისას გათვალისწინებულ უნდა იქნას სხვადასხვა გარემოებები, მათ შორის, დამრღვევის ქონებრივი მდგომარეობა. ამ მხრივ მოცემულ თავში განსახილველ საკითხთან მიმართებაში გამოსაყოფია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევების თავისებურება, როდესაც გადაცდომას მოჰყვება სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, რომელიც 500 ლარის ოდენობით დაჯარიმებას იწვევს. მსგავსი შემთხვევის არსებობისას, როდესაც დამრღვევს ისედაც ეკისრება სამოქალაქო კანონმდებლობით ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ასანაზღაურებელი თანხა ზოგიერთი მოქალაქისთვის არის საკმაოდ მაღალი, ადმინისტრაციული სახდელის დადებისას, უფლებამოსილ

პირს საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოების გამოკვლევის, მათ შორის სამართალდამრღვევის ქონებრივი მდგომარეობის შეფასებისთვის უნდა გააჩნდეს საკმარისი დრო და ჯარიმით განსასაზღვრი თანხის ოდენობის დაკისრების დისკრეცია, რაც მოქმედი კანონმდებლობით შეუძლებელია. ამასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი კონკრეტული გადაცდომისთვის ადგენს მკაცრად განსაზღვრულ თანხას და არ იძლევა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შესაძლებლობას, რომ არაფერი ვთქვათ იმ საკითხის ბუნდოვანებაზე, თუ რა კრიტერიუმების საფუძველზე მოხდა კონკრეტული ფულადი ოდენობის განსაზღვრა, ვინაიდან ყოველი სამართალდარღვევა უნდა იქნას განხილული ინდივიდუალურ ჭრილში და მისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტული მუხლით დადგენილი სანქცია იყოს სამართალდარღვევის შესაბამისი, საქმესთან დაკავშირებული თითოეული ფაქტობრივი გარემოების სრულყოფილად შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე სამართლიანობის, თანაზომიერების და თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით მიღებული.

ადმინისტრაციული და სამოქალაქო - დელიქტური ვალდებულებების კოდექსი ერთი განმასხვავებელი ნიშანი გახლავთ დამრღვევის ასაკი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-13 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დგება თექვსმეტი წლის ასაკიდან, ხოლო სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, არასრულწლოვნის დელიქტური პასუხისმგებლობა მიყენებული ზიანისთვის დგება 10 წლის ასაკიდან. იმ შემთხვევაში, თუ პირს არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, დამატებით პასუხისმგებლობა ეკისრებათ მის წარმომადგენლებს. როგორც ვხედავთ, სამოქალაქო კოდექსი ადგენს არასრულწლოვნის არამართლზომიერი ქმედების შედეგად მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას წარმომადგენლის მეშვეობით, განსხვავებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისგან. აღნიშნული კოდექსით,

წარმომადგენლის პასუხისმგებლობა დაკავშირებულია კონკრეტულ სამართალდარღვევათა სახეებთან, დანარჩენ შემთხვევაში, მაშინაც კი, როდესაც საქმე ეხება სანქციის სახით ფულად გადახდევინებას, ბუნდოვანია, თუ რატომ არ აკისრებს კანონმდებელი დამრღვევის კანონიერ წარმომადგენელს ფულადი ჯარიმის გადახდის ვალდებულებას იმ შემთხვევაში, თუ პირს არა აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი დაკისრებული სახდელის გადახდის უზრუნველსაყოფად და აღნიშნულ ვალდებულებას რატომ აკისრებს მშობლებს ან მათ შემცვლელ პირებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თექვსმეტიდან თვრამეტ წლამდე ასაკის პირის მიერ ჩადენილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე მუხლით განსაზღვრული წვრილმანი ხულიგნობა<sup>78</sup> და არა ზოგადად, ყველა იმ სამართალდარღვევის შემთხვევაში, რომლის ჩადენისთვისაც არასრულწლოვან სამართალდამრღვევს დაეკისრა ჯარიმა. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ფულადი პასუხისმგებლობის (ჯარიმა) დაკისრების აღსრულების შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობამ უნდა გაიზიაროს სამოქალაქო კანონმდებლობის მიდგომა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ასევე აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობით პირის გარდაცვალებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება წყდება(სსკ-ის 232-ე მუხლი). ამასთან, პირის გარდაცვალება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილების აღსრულების შეწყვეტის საფუძველიცაა (სსკ-ის 286-ე მუხ.), განსხვავებით სამოქალაქო - დელიქტური ვალდებულებებისგან, სადაც „დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში ზიანის მიმყენებელმა სარჩოს დაწესებით უნდა აუნაზღაუროს ზიანი იმ პირებს, რომელთა რჩენაც დაზარალებულს ევალებოდა. ეს ვალდებულება ძალაშია, ვიდრე დაზარალებული ვალდებული იქნებოდა ეხადა სარჩო“ (სსკ-ის 1006-ე მუხლი).

---

<sup>78</sup>საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 290.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და სამოქალაქო კანონმდებლობას შორის ასევე მნიშვნელოვანი განსხვავებაა პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის განსაზღვრულ ხანდაზმულობის ვადებს შორის. კერძოდ, პირს ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არა უგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა დენადია – არა უგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან.<sup>79</sup> სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის თანახმად კი, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, თუ ადმინისტრაციულმა სამართალდარღვევამ ქონებრივი ზიანი მიაყენა მოქალაქეს, საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას ან სახელმწიფოს, მაშინ მოსამართლე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის დადების საკითხის გადაწყვეტისას ვალდებულია სამართალდამრღვევს იმავდროულად დააკისროს მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მსგავს შემთხვევებში საქმის წარმოება ხორციელდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, საქმის განმხილველმა პირმა ზიანის ანაზღაურების თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება უნდა გამოსცეს საკმაოდ მცირე - ორ თვიან ვადაში.

## **2.6. ადმინისტრაციული და სამოქალაქო კანონმდებლობით დელიქტის საკითხების მარეგულირებელი ნორმების შედარება**

მოცემულ თავში ნახსენებია საქმეები - ა.შ.შ ჰალპერის წინააღმდეგ და ჰადსონი ა.შ.შ-ს წინააღმდეგ, რომლებთან დაკავშირებითაც გამოტანილ გადაწყვეტილებებში მოსამართლემ გამოიყენა ტერმინი „სამოქალაქო“ ფულადი ჯარიმა, მაშინ, როდესაც საქმე ადმინისტრაციულ სამართლებრივ

---

<sup>79</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, მუხლი 38.

პასუხისმგებლობის, კერძოდ - ფულადი ჯარიმის დაკისრებას ეხებოდა. აღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევა სასამართლო პრაქტიკაში კერძო ჭრილში განიმარტება, რაც გარკვეულ უზუსტობებს ქმნის და არაერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.<sup>80</sup>

არსებობს შემთხვევები, როდესაც შეუძლებელია სამართალდარღვევის კონკრეტული დარგისადმი მიკუთვნება და გარკვეული მართლსაწინააღმდეგო ქმედება წარმოადგენს როგორც ადმინისტრაციულ, ისე კერძო ხასიათის სამართალდარღვევას. ამ მხრივ გასათვალისწინებელია, რომ გარკვეულ შემთხვევებში კერძო სამართლებრივი უფლების დაცვას შესაძლოა ჰქონდეს საჯარო მიზანიც. მაგალითად, მოქალაქესა და სახელმწიფოს შორის გაფორმებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება. ასევე, როდესაც ორი კერძო პირი, ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეჯიბრის დროს, (სადაც არ მოქმედებს საგზაო წესები) დაუზიანებენ ერთმანეთის კერძო საკუთრებას - ავტოსატრანსპორტო საშუალებას. ასეთ შემთხვევაში, ავტოსაგზაო შემთხვევა განიხილება როგორც დაზარალებულის კერძო საკუთრების დაზიანებად, ასევე, საჯარო სამართლით დაცული უფლების - საზოგადოებრივი უსაფრთხოების წესების დარღვევად. სწორედ ამიტომ, რადგან არსებობს საზოგადოებრივი უსაფრთხოების დარღვევის მომეტებული რისკი, სახელმწიფო ახდენს ავტოსატრანსპორტო საშუალებების შეჯიბრის წესებში ჩარევას (car race).<sup>81</sup>

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული კანონმდებლობა გარკვეულ შემთხვევებში მითითებას აკეთებს სამოქალაქო სამართლის ნორმების გამოყენებაზე. ამასთან, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებში ვაწყდებით ისეთ კერძო-სამართლებრივ ტერმინებს როგორცაა: სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება, კერძო საკუთრება და ა.შ.

---

<sup>80</sup> *Eithan Y. Kidron*, Understanding Administrative Sanctioning as Corrective Justice, „*the prosecution of a person twice for the same offense. In the United States, where defendants are protected against double jeopardy, his acquittal would have ensured that he went free*” *Journal of Law Reform* university of Michigan, winter 2018.

<sup>81</sup> *Fletcher*, “Fairness and Utility in Tort Theory”, *supra* note 147, at 542-43.

თუმცა, არა მარტო ადმინისტრაციული კანონმდებლობას შემოაქვს თავის სფეროში კერძო-სამართლებრივი რეგულაციები, არამედ შესაძლოა მოხდეს პირიქითაც: სამოქალაქო - სამართლებრივი ზიანის დადგომისას, როდესაც საქმე შეიძლება ეხებოდეს ფულადი სახით ზიანის ანაზღაურებას და ჩნდება რისკი იმისა, რომ შესაძლოა ზიანი მიადგეს არა მარტო ინდივიდს, არამედ საზოგადოებას, ამ შემთხვევაში შესაძლოა სამართალწარმოებამ გადაინაცვლოს ადმინისტრაციული სამართლის სფეროში.<sup>82</sup>

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კანონმდებლობას ბევრად ნაკლები მსგავსება აქვს სამოქალაქო სამართალთან, ვიდრე სისხლის სამართალთან, აღნიშნულ ორ დარგში გარკვეულწილად მსგავსი შინაარსის ურთიერთობების მარეგულირებელ ნორმები მაინც არსებობს და რიგ შემთხვევებში ნორმათა სტრუქტურა, დისპოზიცია და სანქცია ერთმანეთის მსგავსია, რამაც თავის მხრივ, შესაძლოა საქმის განმხილველი ორგანოს (თანამდებობის პირის) მხრიდან პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის უკანონო შეფარდება და მთლიანობაში ადამიანის უფლებების შელახვა გამოიწვიოს. მსგავსება ვლინდება მათ პრინციპებშიც, რომლებსაც ისინი ეყრდნობიან. კერძოდ:

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-6 თავით განსაზღვრულია საკუთრების ხელმყოფი ადმინისტრაციული სამართალდარღვევები. ცალკე გამოვყოფდი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწით სარგებლობასთან დაკავშირებულ რეგულაციებს, რომლებიც მოცემულია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 51-ე და სამოქალაქო კოდექსის 595-ე მუხლებში. ორივე მუხლი განსაზღვრავს სასოფლო-სამეურნეო მიწის დანიშნულებისამებრ გამოყენების ვალდებულებასა და პასუხისმგებლობის ზომას აღნიშნული ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში.

მესაკუთრისთვის გარკვეული სახის ვალდებულების დაკისრება ხშირად მიმართულია როგორც კერძო, ისე საჯარო ხასიათის ინტერესთა დაცვისკენ,

---

<sup>82</sup> *Eithen Y. Kidron*, Journal of Law Reform University of Michigan winter (2019), Article: *Understanding Administrative Sanctioning as corrective Justice*, , 354

მაგალითად: მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს უფლება არ აქვს არ ამუშავებდეს და არ სარგებლობდეს თავისი მიწის ნაკვეთით, ამასთან, თუ მას არა აქვს სურვილი, ან შესაძლებლობა, რომ უშუალოდ თვითონ დაამუშაოს მიწის ნაკვეთი, ან ვერ იხდის დადგენილ გადასახადს, მას ეკისრება კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები. ეს იმით არის განპირობებული, რომ მიწა წარმოადგენს საკუთრების უფლების განსაკუთრებულ ობიექტს, რომლის უზენაეს მესაკუთრედ ყოველთვის ითვლება სახელმწიფო. ამდენად, მიწის ნაკვეთის უსარგებლოდ დატოვება და მისგან გამომდინარე შედეგები პირდაპირ უკავშირდება საზოგადოების და ზოგადად სახელმწიფოს ინტერესებს და აღნიშნულიდან გამომდინარე, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეთა უფლების შეზღუდვა და ამ სფეროს მარეგულირებელი ნორმების დარღვევა, კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ბუნების მატარებელი. მესაკუთრის უფლებების შეზღუდვის საფუძვლები რომის სამართლიდან მომდინარეობს, რომელიც ყოველთვის აღიარებდა მესაკუთრის უფლებათა შეზღუდვის კონკრეტულ შემთხვევებს, რიგი გარემოებების გათვალისწინებით. ეს გარემოებები ყოველთვის იყო სახელმწიფოს თუ საზოგადოების (სხვა პირთა) ინტერესების დაცვა, რაც უფრო მეტი აუცილებლობით იყო განპირობებული, ვიდრე თავად მესაკუთრისა.<sup>83</sup>

ტრანსპორტის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული რიგი საკითხებია მოწესრიგებული საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სხვადასხვა მუხლებით, მოცემულია კონკრეტული დისპოზიციები და ფულადი ჯარიმით გამოხატული სანქციები. სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ნორმას ვხვდებით სამოქალაქო კოდექსშიც, კერძოდ 999-ე მუხლის თანახმად, მგზავრების გადაყვანისა და ტვირთების გადაზიდვისთვის გათვალისწინებული სატრანსპორტო საშუალების მფლობელი, თუ მისი

---

<sup>83</sup> ჩიტოშვილი თ., დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერთი სამართლებრივი ასპექტები, ჟურნალი „მართლმსაჯულება“ 2008, N1



სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, ვალდებულია დაზარალებულს აუნაზღაუროს აქედან წარმოშობილი ზიანი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 120-ე მუხლის მე-4 პუნქტის აღწერილობითი ნაწილი განსაკუთრებით ემსგავსება ზემოაღნიშნულ კერძო სამართლებრივ ნორმას: ამ მუხლით გათვალისწინებულ ავტომობილის ექსპლუატაციის წესების დარღვევასთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებს, „რომელსაც მოჰყვა სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება, –გამოიწვევს დაჯარიმებას 700 ლარის ოდენობით.“<sup>84</sup>

აღსანიშნავია ასევე სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში დადგენილი მოთხოვნების დარღვევის ან შეუსრულებლობის შემთხვევები, რომელიც როგორც ადმინისტრაციული ისე სამოქალაქო კანონმდებლობით არის დარეგულირებული. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 117-ე მუხლის თანახმად შენობა-ნაგებობაში ხანძრის გაჩენასთან დაკავშირებული უსაფრთხოების მოთხოვნების დარღვევა იწვევს ჯარიმას 1 000 ლარიდან 5 000 ლარამდე ოდენობით. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 1001-ე მუხლი განსაზღვრავს ხანძრის გაჩენის და ჩაქრობის შედეგად დაზიანებული მატერიალური ქონებისთვის სამოქალაქო-დელიქტურ პასუხისმგებლობას.

რაც შეეხება ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1003-ე მუხლის თანახმად, ცხოველის მფლობელი ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რომელიც მისმა ცხოველმა სხვას მიაყენა. ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება გათვალისწინებულია ასევე ადმინისტრაციული კანონმდებლობითაც, 151-ე მუხლის მიხედვით, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ ბულვარში, პარკში ან სკვერში შინაური ცხოველის მიერ მწვანე ნარგავების

---

<sup>84</sup>ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი

დაზიანება ან/და განადგურება – გამოიწვევს შინაური ცხოველის მესაკუთრის დაჯარიმებას 50 ლარის ოდენობით“.

ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში ხსენებული საკითხი პრობლემურია სასამართლო პრაქტიკაში პასუხისმგებლობის შეფარდებისას. აღნიშნული ძირითადად შეეხება სამართალდარღვევის ჩადენას ნასვამ მდგომარეობაში. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 35-ე მუხლის თანახმად, სამართალდარღვევის ალკოჰოლის ან ნარკოტიკული, ფსიქოტროპული ან ახალი ფსიქოაქტიური ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ ჩადენა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად არის მიჩნეული, განსხვავებით სამოქალაქო - დელიქტური შემთხვევებისგან, სადაც დროებით უგონო მდგომარეობაში პირი პასუხს არ აგებს მიყენებული ზიანისთვის. ნორმის შემდგომი დისპოზიცია, რომელიც განმარტავს რომ „თუ პირმა თვითონ ჩაიყენა თავი ასეთ მდგომარეობაში ალკოჰოლური სასმელის ან მსგავსი საშუალებების გამოყენებით, იგი არ თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბრალის გარეშე აღმოჩნდა ამ მდგომარეობაში“<sup>85</sup>-არის ბუნდოვანი და საჭიროებს ვრცლად განმარტებას.

გაუმართავია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლი, რომელიც ეხება ქონებრივი ზიანის ანაზღაურების წესს. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს იმ სამართალდარღვევებს (სასკ-ის 116-ე მუხლის მე-7 ნაწილი, 119-ე მუხლის მე-8 ნაწილი, 120-ე მუხლის მე-4 ნაწილი, 121-ე მუხლის მე-3 ნაწილი, 125-ე მუხლის მე-5 და მე-10 ნაწილები), რომლებიც ძირითადად ავტოსატრანსპორტო საშუალებების მართვისათვის კანონით დადგენილი წესების უგულვებელყოფით მართვასა და მათი ჩადენის შედეგად სატრანსპორტო საშუალებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკმაოდ უცნაურ წესს გვთავაზობს. კერძოდ, ზემოაღნიშნული სამართალდარღვევების შედეგად თუ დაზიანდება სატრანსპორტო საშუალება, რა დროსაც დადგენილია სამართალდამრღვევი

---

<sup>85</sup>საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, მუხლი 996

და გამოწერილია შესაბამისი საჯარიმო ქვითარი, დაზარალებულის მიერ წარდგენილი განცხადებისა და უფლებამოსილი საექსპერტო დაწესებულების მიერ გაცემული დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების საექსპერტო შეფასების საფუძველზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფლებამოსილი პირი იღებს დადგენილებას და მის საფუძველზე გასცემს საადსრულებო ფურცელს, რომლითაც სამართალდამრღვევს დაზარალებულის სასარგებლოდ დაეკისრება დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების აღდგენის, ხოლო აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში - მისი შენაცვლებისათვის საჭირო ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, თუ დაზარალებული განცხადებით არ მიმართავს ზიანის ანაზღაურების თაობაზე საპატრულო პოლიციის უფლებამოსილ პირს, მაშინ მას უფლება აქვს სამართალდამრღვევთან იდავოს სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიუხედავად იმისა, რომ ჩადენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომლის შედეგად დადგა ზიანი, პირს შეუძლია იმ შემთხვევაში იდავოს სასამართლოში ზიანის ანაზღაურებაზე, თუ ჯერ განცხადებით მიმართავს უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობიდან გამომდინარე კი, თუ ქმედება მიჩნეულია სამართალდარღვევად, მაშინ კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია მოახდინოს შესაბამისი რეაგირება და გაატაროს სათანადო ღონისძიებები, რათა აღდგეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შედეგად დარღვეული უფლება, მათ შორის გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ბერკეტი, რათა უზრუნველყოფილ იქნას სამართალდამრღვევის მხრიდან დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, როდესაც მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების ამოცანა არის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის

ხელშემწყობი მიზნებისა და პირობების გამოვლენა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, მოქალაქეთა აღზრდა კანონების დაცვის სულისკვეთებით, კანონიერების განმტკიცება. საკითხთან მიმართებით არ არის სამართლებრივად მწყობრი.

ხსენებული ნორმის ხარვეზიან ბუნებას ასევე ადასტურებს ის გარემოებაც, რომ როგორც აღნიშნა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-40 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, თუ ადმინისტრაციულმა სამართალდარღვევამ ქონებრივი ზიანი მიაყენა მოქალაქეს, საწარმოს, დაწესებულებას, ორგანიზაციას ან სახელმწიფოს, მაშინ მოსამართლე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისათვის სახდელის დადების საკითხის გადაწყვეტისას ვალდებულია სამართალდამრღვევს იმავდროულად დააკისროს მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულება. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ადმინისტრაციული საქმის წარმოება მიმდინარეობს სასამართლოში, მოსამართლე ვალდებულია იმსჯელოს ზიანის ანაზღაურების თაობაზე, მაშინ როდესაც ზიანის ანაზღაურებაზე დავას გამორიცხავს ამავე მუხლის მე-2 პუნქტი, თუ არ არსებობს დაზარალებულის განცხადება. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიდგომა მითითებულ საკითხთან მიმართებით არის დასახვეწი.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ასევე გასათვალისწინებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განმარტება (საქმეზე №ბს-319-315 (კს-15)):

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მითითებული მუხლი უფლებამოსილებას ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს აქტი და მიყენებული ზიანის ანაზღაურება დააკისროს სამართალდარღვევის ჩადენაში ბრალეულ პირს, თუ დადგენილია ბრალეული პირი, საექსპერტო კვლევით დადასტურებულია მიყენებული ზიანის ოდენობა და უფლებამოსილი პირი ითხოვს მის ანაზღაურებას. მაგრამ ის გარემოება, რომ ზიანის დაკისრების ვალდებულება განისაზღვრება პოლიციის

დადგენილებით არ უცვლის აქტით დაკისრებულ ვალდებულებას სამართლებრივ ბუნებას და ზიანის დაკისრების შესახებ აქტი არ უნდა იქნეს გაიგივებული სამართალდარღვევის შესახებ აქტთან, რომლის კანონიერების შემოწმება მოქმედმა კანონმდებლობამ განსხვავებულ სამართლებრივ რეჟიმს დაუქვემდებარა. ამგვარი აქტის გასაჩივრების წესი დადგენილია მე-40 მუხლის მე-6 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მასზე არ ვრცელდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით დადგენილი რეგულაცია.

საქმის წარმოების პროცესში გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია ხსენებული მუხლის რედაქციის გრამატიკული და ტერმინოლოგიური დახვეწა. აღნიშნული შეიძლება განხორციელდეს შორის, სპეციალური ტერმინების შემოღებით კოდექსის მე-40 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების შედეგად მიღებული სამართალდარღვევის აქტისთვის და მიყენებული ქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულების დაკისრების შესახებ აქტისთვის, რომელიც ექსპერტის დასკვნისა და დაზარალებულის განცხადების საფუძველზე საჯარიმო ქვითართან ერთად გადაეცემა სამართალდამრღვევს აღსასრულებლად.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან დასახელებულ შემთხვევაში დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ხოლო როგორც განხილული საკითხები ცხადყოფს, რომ ქართულ კანონმდებლობაში არსებობს რიგი პრობლემური დანაწესები, რომლის შედეგადაც რთულია ადმინისტრაციული და სამოქალაქო პასუხისმგებლობის გამიჯვნა. აუცილებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში კანონმდებელმა მკაფიოდ განსაზღვროს, ათავისუფლებს თუ არა პირს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა სამართალდარღვევის ჩადენის შედეგად მის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან, ასევე მის მიმართ კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის სხვა ზომების გამოყენებისაგან. ამასთან, ნაშრომში მითითებული ადმინისტრაცი-

ულ სამართალდარღვევათა და სამოქალაქო კოდექსებში არსებული შინაარსობრივად მსგავსი მუხლების ანალიზის შედეგად, უნდა განისაზღვროს თუ რომელი ქმედებისთვის არის მიზანშეწონილი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაწესება და რომლისთვის - სამოქალაქო. ნაშრომში შემოთავაზებული თეორიების და გამიჯვნის კრიტერიუმების გათვალისწინებით, კი, კონკრეტული ქმედებისთვის პასუხისმგებლობის დამდგენი მუხლები გათვალისწინებული უნდა იქნეს მხოლოდ ერთ-ერთი ხსენებული კოდექსში.

### თავი III. ადმინისტრაციული წარმოებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების შედარებითი ანალიზი

ადმინისტრაციული წარმოება ფართო გაგებით, ნიშნავს ნებისმიერ საქმიანობას, რომელიც ხორციელდება საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით.

რამდენადაც ადმინისტრაციული წარმოების მიზანს წარმოადგენს მოქალაქის დაცვა ხელისუფლების თვითნებობისგან, ადმინისტრაციულ წარმოებად ჩაითვლება სახელმწიფოს მხოლოდ ის საქმიანობა, რომელიც ეხება მოქალაქეებსაც. ადმინისტრაციულ წარმოებას არ წარმოადგენს დაწესებულების შიდა ორგანიზაციული საქმის წარმოება (მაგალითად, თანამდებობის პირის მიერ დაქვემდებარებული პირისადმი განკარგულების გაცემა) (ადმინისტრაციული წარმოება ვიწრო გაგებით) თუმცა საჯარო სამსახურის სფეროში გაცემული გადაწყვეტილებები საჯარო მოსამსახურის სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების თაობაზე, ხელფასის დანიშვნა, ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოებას.

ადმინისტრაციულ წარმოებად არ ჩაითვლება ასევე გადაცდომის საქმის წარმოება, დავების სამართალწარმოება.

თავისი ბუნებიდან გამომდინარე ადმინისტრაციული პროცესი დაკავშირებულია ადმინისტრაციულ იურისდიქციასთან, თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ისინი ერთმანეთს არ ემთხვევა. იურიდიული ტერატურაში ადმინისტრაციულ იურისდიქციად მიჩნეულია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მიერ სასამართლოსადმი მიმართვის გარეშე ქვემდებარე საკითხების უშუალოდ გადაწყვეტა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ადმინისტრაციული სანქციების გამოყენება. რაც იმას ნიშნავს, რომ იურისდიქციული საქმიანობა წარმოადგენს როგორც ადმინისტრაციული პროცესის, ისე მმართველობის

არაპროცესუალური საქმიანობის ნაწილს<sup>86</sup>. შესაბამისად, მასზე გავრცელდება არა მხოლოდ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის დებულებები, არამედ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი მოთხოვნებიც.

იურიდიული პროცესი განმარტებულია როგორც სამართალშეფარდებასთან დაკავშირებული პროცესი. სამართალშეფარდება კი, როგორც ცნობილია, მხოლოდ სასამართლო ორგანოების მიერ როდი ხდება. სამართალშეფარდებითი საქმიანობა ყოველდღიური და სისტემატური მუშაობის ფორმაა მმართველობის ორგანოებისათვის. აქედან გამომდინარე, სასამართლო პროცესუალური ფორმების გარდა, არსებობს, აგრეთვე, არასასამართლო პროცესუალური ფორმები - მმართველობის ორგანოების მიერ განხორციელებული პროცესი, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა სამართალშეფარდების მიზნით განხორციელებული პროცესი და მასთან დაკავშირებული საგამოკვლევო-საგამომიებო პროცესუალური მოქმედებანი სამართალშეფარდების სწორად განხორციელების უზრუნველსაყოფად.<sup>87</sup>

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე არასასამართლო წარმოება ხორციელდება აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ. სამართალშეფარდების პროცესში ისინი ასრულებენ არა მმართველობით, არამედ სასამართლო (იურისდიქციულ) ფუნქციას. შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება მათზე არ ვრცელდება. მათზე ვრცელდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა და საპროცესო ადმინისტრაციული კოდექსები.

ადმინისტრაციული სამართალი არის საჯარო სამართლის ერთ-ერთი დარგი. ის, როგორც საჯარო მმართველობის სპეციალური სამართალი, აერთიანებს სამართლის იმ ნორმებს, რომლებიც აწესრიგებს მმართველობის ორგანოების ორგანიზაციული მოწყობის საკითხებს, მათ მიერ

---

<sup>86</sup> ლორია ვ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2002, 15

<sup>87</sup> იქვე, 51.



მმართველობითი ფუნქციების განხორციელებას და ადმინისტრაციულ წარმოებას.<sup>88</sup>

აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციული სამართალი მხოლოდ მმართველობის ორგანოებსა და მათ საქმიანობაზე ვრცელდება. ის ასევე აწესრიგებს მოქალაქისა და მმართველობის ორგანოს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს და ადგენს მოქალაქის უფლებებსა და ვალდებულებებს მმართველობის ორგანოებთან მიმართებით.<sup>89</sup>

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი კი, მართლსაწინააღმდეგო ქმედებების განსაზღვრა და მათი ჩამდენი პირებისთვის კანონის მოთხოვნათა დაცვით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის (სახდელის) დაკისრება გახლავთ. ის არ შემოიფარგლება მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და ასევე შედგება საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისგან.

## **1. ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსების მოქმედების სფერო**

მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ სამართალშეფარდების პროცესი ხდება როგორც ზოგადი ადმინისტრაციული, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მათ შორის არაერთ ასპექტში არსებული დარგობრივი და ტერმინოლოგიური მსგავსებები ხშირად იწვევენ ბუნდოვანებას, რაც სამართალშეფარდების და ზოგადად საქმის წარმოების კანონიერი პროცესის განხორციელების მთავარი ხელის შემშლელი გარემოებაა. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული დებულებები და რეგულირების სფერო, მათი

---

<sup>88</sup> ტურავა პ. წიკვლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. თბილისი, 2010, 20

<sup>89</sup> Hartmut Maurer. Allgemeines Verwaltungsrecht, 36

სამართლებრივი ბუნების და ხასიათის მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით კანონმდებელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსებში მმართველობითი ფუნქციის სპეციფიკიდან გამომდინარე ადმინისტრაციული წარმოების განსხვავებულ სახეს, განსხვავებულ პროცედურას ამკვიდრებს და შესაბამისად, არსებული ხარვეზები უფრო თვალსაჩინოა, როდესაც საქმე ეხება ადმინისტრაციული წარმოების და ადმინისტრაციული საქმის წარმოების გამიჯვნას, რომლებიც რეალურად სრულიად განსხვავებულ წარმოებებს განსაზღვრავენ.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოებისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული წარმოება მიმართულია მომავალზე. ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას იღებს მომავალში განსახორციელებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს მოქალაქეების მიმართ აღმჭურველი გადაწყვეტილებების გამოტანაში. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული საქმიანობის სამართლებრივი ფორმები ემსახურება მოქალაქის სამართლებრივ დაცვას (დაცვის ფუნქცია). იმავდროულად, ის ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს შესაძლებლობას მოიყვანოს სისრულეში ლეგიტიმური ამოცანები (უზრუნველყოფის ფუნქცია).<sup>90</sup>

რაც შეეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის წარმოებას, იგი მიმართულია უკვე მომხდარ იურიდიულ ფაქტზე. კერძოდ, წარმოადგენს მომხდარ სამართალდარღვევაზე რეაგირებას, რომელიც ჩადენილია საჯარო მმართველობის სფეროში და რეგულირდება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და სხვა ნორმატიული აქტებით. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ საქმის განმხილველი უფლებამოსილი ორგანოების (თანამდებობის პირების) მხრიდან ადმინისტრაციული წარმოება ტარდება მმართველობითი საქმიანობის განხორციელებისას, რომელიც

---

<sup>90</sup> *ყურაშვილი კ.*, „პოლიციის პრევენციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამიჯვნა“, თბილისი, 2018, 79

რეგულირდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წარმოება კი - სამართალშემფარდების და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების პროცესში, რომელიც მთლიანად უნდა დარეგულირდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.<sup>91</sup>

ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობით არაერთ ორგანოს და თანამდებობის პირს აქვს უფლებამოსილება სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებული საქმიანობისას იმოქმედოს ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებით დადგენილი წესით, ხოლო ქვემდებარეობას მიეკუთვნება როგორც ადმინისტრაციული წარმოების, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებას დაქვემდებარებული ქმედებების განხორციელება, ადმინისტრაციული წარმოების და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წარმოების გამიჯვნის ერთ-ერთ ძირითად კრიტერიუმად უნდა გამოვიყენოთ ორგანოს (თანამდებობის პირის) ფუნქციონალური შეფასება. კერძოდ, ყოველი კონკრეტული შემთხვევის ანალიზის შედეგად უნდა განისაზღვროს თუ რა სახის ღონისძიების განხორციელებასთან გვაქვს საქმე:

- საჯარო უფლებამოსილების/მმართველობის განხორციელების და ადმინისტრირების, რომელზეც ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედების სფერო,

- თუ სამართალშემფარდებელი, რომლის ფარგლებში ხდება მართლსაწინააღმდეგო ქმედების შესწავლა, საჭიროების შემთხვევაში პირისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება და შესაბამისად აღნიშნული ექცევა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის ქვეშ.

პრობლემის მთავარი გამომწვევი მიზეზი საქართველოში არსებული კანონმდებლობაც შეგვიძლია მივიჩნიოთ, რადგან ის ადმინისტრაციული

---

<sup>91</sup> *ყურაშვილი კ.*, „პოლიციის პრევენციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამიჯვნა“, თბილისი, 2018, 80

წარმოების და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების მკაფიო განმასხვავებელ ნორმებს არ ადგენს. ამასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების მარეგულირებელი ნორმები საკმაოდ მწირია და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არ არის გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისთვის აუცილებელი და დარგობრივი დეფინიციები, რომელთა არარსებობა ხშირად არასათანადო საქმის წარმოების მთავარი საფუძველია. ამასთან, გამომდინარე იქედან, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის საპირისპიროდ - ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი არაერთი ნორმის მეშვეობით ნათლად განსაზღვრავს ადმინისტრაციული წარმოების ჩატარების წესს და მთლიან პროცესს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საწმის წარმოების განმახორციელებელი ორგანოები ხელმძღვანელობენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, რაც ცალსახად არის შეცდომა, მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ შესაძლოა ხსენებულ ორგანოს საქმიანობაზე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოქმედება საერთოდ არ ვრცელდებოდეს.<sup>92</sup>

ზემოაღნიშნული შემთხვევის ერთ-ერთი თვალსაჩინო მაგალითია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პროცესში ვადების ათვლასთან დაკავშირებით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-15 მუხლით დადგენილი შესაბამისი წესის გამოყენება, რომლის თანახმად, კოდექსში მითითებული ვადების ათვლისას საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილი უქმე და დასვენების დღეები არ ჩაითვლება. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში კი, მსგავსი რეგულაცია არ არსებობს, რაც რიგ შემთხვევებში იწვევს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პროცესში ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ხსენებული ნორმის გამოყენებას, რაც არ არის სწორი.

---

<sup>92</sup>საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლი განსაზღვრავს იმ სახელმწიფო ორგანოების და შესაბამისი საქმიანობის ჩამონათვალს, რომლებზეც არ ვრცელდება აღნიშნული კოდექსის მოქმედება

საკითხის რეგულირების საჭიროებას ზრდის ის გარემოებაც, რომ კოდექსის გარკვეულ მუხლებში არაერთგვაროვანი ტერმინებია გამოყენებული ვადებთან ათვლასთან დაკავშირებით. როგორც წესი კოდექსში ტერმინების - „კალენდარული“ და „სამუშაო“ დღის გარეშე პირდაპირ არის მითითება გარკვეულ ვადებზე. მაგალითად, 262-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს უფლებამოსილი ორგანო (თანამდებობის პირი) განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და სხვა მასალების მიღებიდან თხუთმეტი დღის ვადაში. აღნიშნულის მიუხედავად რიგ შემთხვევებში კოდექსი მაინც ითვალისწინებს კალენდარულ დღეებზე მითითებას. მაგალითად, 196<sup>6</sup> მუხლის მიხედვით, სამართალდარღვევას წარმოადგენს სამხედროვალდებულისთვის შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის შესახებ დასკვნის გამომტანი შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების მიერ დასკვნის გამოტანიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა ამ დასკვნის მუნიციპალიტეტის მერიისთვის, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობისთვის შეუტყობინებლობა. შესაბამისად, ვინაიდან კოდექსი ზემოაღნიშნული საკითხის რეგულირებისას არ არის სისტემურად თანმიმდევრული და მწყობრი, ივარაუდება, რომ სხვა ყველა შემთხვევაში, როდესაც არ არის დაკონკრეტება „კალენდარულ“ დღეზე, იგულისხმება სამუშაო დღეები, რაც სიმართლეს არ შეესაბამება.

ვადების ათვლასთან დაკავშირებით კოდექსის არათანმიმდევრულ მიდგომას ასევე ადასტურებს 290-ე მუხლით განსაზღვრული დაჯარიმების შესახებ დადგენილების აღსრულების ვადები და წესი, რომლის თანახმად, თუ ხსენებული მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ვადის უკანასკნელი დღე დასვენების (შაბათი, კვირა) ან საქართველოს შრომის კანონმდებლობით დადგენილ უქმე დღეს ემთხვევა, აღნიშნული ვადის დამთავრების დღედ მისი მომდევნო პირველი სამუშაო დღე ჩაითვლება. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მსგავსი დათქმა არცერთ სხვა მუხლში არ არის გაწერილი.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევების საქმის წარმოების პროცესში განხილვის ვადებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, თუნდაც იმის გათვალისწინებით, რომ კოდექსი საქმის წარმოების ჩატარების საკმაოდ მცირე პერიოდი არის დადგენილი<sup>93</sup> და სამართალდარღვევათა საქმის წარმოების სპეციფიკიდან გამომდინარე, საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების და მტკიცებულებების სათანადოდ შესწავლისთვის ერთი დღეც შესაძლოა საკმაოდ მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს.

ვადების ათვლის რეგულირებასთან ერთად, აუცილებელია ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით გაზიარებულ იქნას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიდგომა, რომლის მე-14 მუხლითაც დადგენილია, რომ ადმინისტრაციული წარმოების ენა არის ქართული, ხოლო აფხაზეთში - აფხაზური. გარდა იმისა, რომ აღნიშნული განამტკიცებს ქვეყნის საკანონმდებლო სივრცეში ქართული ენის როლს, ხსენებული დათქმის არსებობა გააუმჯობესებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პროცესს, ვინაიდან გარკვეული წარმოებების მიმდინარეობისას, ხშირად კერძო ორგანიზაციების მხრიდან საქმის განმხილველ ორგანოში ხდება უცხო ენაზე შედგენილი დოკუმენტების, მათ შორის ხელშეკრულებების წარდგენა, რომლის გამოყენების უფლებაც, თუ ისინი არ არის სათანადო წესით ნათარგმნი, ადმინისტრაციულ ორგანოებს არ აქვთ.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და ზოგად ადმინისტრაციულ სამართალს შორის არსებულ ბუნდოვანებას როგორც წესი განაპირობებს მათი მარეგულირებელი კანონმდებლობის მიერ განსაზღვრული საქმის წარმოების დასრულებისას, საქმის განმხილველი ორგანოების (თანამდებობის პირების) მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტების, კერძოდ, ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის და

---

<sup>93</sup>საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 38-ე და 262-ე მუხლები.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების მსგავსება.

თუმცა, საგულისხმოა, რომ მათი გამიჯვნა შესაძლებელია ზოგად ადმინისტრაციულ და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების ცნებებისა და ამოცანების სამართლებრივად გაანალიზების საფუძველზე.

## **2. ადმინისტრაციული წარმოების და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების სახეები და მათი ამოცანები**

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისგან განსხვავებით, რომელიც საქმის წარმოებას ადგენს მხოლოდ ადმინისტრაციული სახელების დადებასთან დაკავშირებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით წარმოების რამდენიმე სახეა მოცემული - მარტივი ადმინისტრაციული წარმოება, ფორმალური ადმინისტრაციული წარმოება და საჯარო ადმინისტრაციული წარმოება. დამატებით, კოდექსი ასევე წარმოების გარკვეულ სახეებსაც განსაზღვრავს - ადმინისტრაციული წარმოება კოლექტიურ ადმინისტრაციულ ორგანოში, ადმინისტრაციული წარმოება ნორმატიული აქტის გამოცემის მიზნით, ადმინისტრაციული წარმოება საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით და ადმინისტრაციულ წარმოება დამოუკიდებელი ორგანოს მიერ.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსში წარმოების არაერთი ზემოხსენებული სახე არსებობს, მათ შორის ერთ-ერთი ძირითადი არის მარტივი ადმინისტრაციული წარმოება. ის გამოიყენება ყოველთვის, როდესაც ადმინისტრაციული წარმოების მიზანს წარმოადგენს: ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება, გამოცემა და აღსრულება; ადმინისტრაციული საჩივრის

გადაწყვეტა და ადმინისტრაციული ხელშეკრულების მომზადება, დადება ან გაუქმება<sup>94</sup>.

### 3. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების მიზანი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის მიზანი გამომდინარეობს თავად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ამოცანიდან, რომელიც გათვალისწინებულია ხსენებული კოდექსის პირველივე მუხლში. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოცანაა, საკუთრების, მოქალაქეთა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური და პირადი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე საწარმოთა, დაწესებულებათა, ორგანიზაციათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების, მმართველობის დადგენილი წესის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილების უზრუნველყოფა, მოქალაქეთა აღზრდა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონების ზუსტი და განუხრელი დაცვის, სხვა მოქალაქეთა უფლებების, პატივისა და ღირსების, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის, დაკისრებულ მოვალეობათა შესრულების სულისკვეთებით.

ამ ამოცანის განსახორციელებლად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს, თუ რომელი მოქმედება ან უმოქმედობა წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელი ადმინისტრაციული სახდელი, რომელი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ და რა წესით შეიძლება დაედოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.

---

<sup>94</sup> ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“; თბილისი, 2018, მეორე გამოცემა, 219.



ხოლო თავად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანას ყოველი საქმის გარემოებათა დროული, ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამორკვევა, მისი გადაწყვეტა კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით, გამოტანილი დადგენილების აღსრულების უზრუნველყოფა, აგრეთვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჩადენის ხელშემწყობი მიზეზებისა და პირობების გამოვლენა, სამართალდარღვევათა თავიდან აცილება, მოქალაქეთა აღზრდა კანონების დაცვის სულისკვეთებით, კანონიერების განმტკიცება წარმოადგენს.<sup>95</sup>

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა, მისი მიზნებიდან გამომდინარე, გარკვეულწილად გვევლინება ადმინისტრაციული სამართლის ნაწილად და ხელისუფლების მხრიდან ადმინისტრირების განხორციელების მექანიზმად, თუმცა ხასიათდება მთელი რიგი თავისებურებებით, მათ შორის რეაგირების და კანონმდებლობის სადამსჯელო ხასიათიდან გამომდინარე. შესაბამისად, მათი ერთმანეთთან გაიგივება არ არის სწორი.

კოდექსში ხელისუფლების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში ასახული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისას, ამავე კანონმდებლობით დადგენილი წესით ხდება სამართალდამრღვევის გამოვლენა და მისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება. აღნიშნული ღონისძიების გატარების მთავარ მიზანს, ქვეყანაში სახელმწიფო წესრიგისა, საზოგადოებრივი უსაფრთხოების და თანაცხოვრებისათვის სათანადო გარემოს უზრუნველყოფა წარმოადგენს.

ამასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის ერთ-ერთ მიზნად, მის მიერ დაწესებული მოთხოვნათა დაცვის შედეგად, საზოგადოებრივად უფრო საშიში ქმედების ჩადენის - დანაშაულის და შესაბამისად, ბევრად მეტი ზიანის დადგომის პრევენცია წარმოადგენს და იგი არ ემსახურება მხოლოდ გარკვეული გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში

---

<sup>95</sup>საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 230-ე მუხლი

სახელმწიფოს მხრიდან ინდივიდის დევნას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ მოცემულ თავში განხილული მიზნების მიღწევა ვერ მოხდება თითოეული საქმის განმხილველი უფლებამოსილი პირის მხრიდან წარმოების პროცესში (თუნდაც, ყოველდღიური რუტინული ღონისძიებების განხორციელებისას და მცირე მნიშვნელობის დარღვევის გამოვლენისას) მათი სათანადოდ გააზრების გარეშე, რის გარანტიაც ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი უნდა იქცეს, შესაბამისი უფლებამოსილების დადგენის ნაწილში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობას ენიჭება საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში, რასაც სამწუხაროდ არ ითვალისწინებს მოქმედი კოდექსი და შესაბამისად, სამართალდარღვევათა საქმის წარმოების მიზნები ვერ იქნება მიღწეული არსებული ნაკლოვანებების ფონზე.

სწორედ ამიტომ, საჭიროა დარგობრივი რეფორმის განხორციელება, რომლის შედეგადაც გაიწერება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების სათანადო წესები, მათ შორის, მონაწილეების უფლებები და შესაბამისი მოვალეობები. ამასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების მიზნებიდან გამომდინარე, განსახორციელებელი რეფორმის მიუხედავად აუცილებელია მისი მუდმივი განვითარება.

#### **4. ადმინისტრაციული წარმოების და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების მოქმედების სფერო**

ადმინისტრაციული წარმოებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოების გამიჯვნის შესახებ, გერმანიის საკანონმდებლო პრაქტიკის მიხედვით, „კანონი ადმინისტრაციული წარმოების შესახებ არ გამოიყენება სისხლის სამართლის წარმოებასთან, ადმინისტრაციული სამართალდარ-

ლვევის წარმოებასთან და დასჯადობასთან მიმართებაში<sup>96</sup>. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მსგავსი შინაარსის პირდაპირი აკრძალვა მოცემულია მხოლოდ სისხლის სამართლის წარმოებასთან დაკავშირებით, კერძოდ, კოდექსის 232-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს თუ ამავე ფაქტზე არსებობს სისხლის სამართლის საქმე. ამასთან, ამავე კოდექსის 238-ე მუხლის მიხედვით, თუ საქმის განხილვის დროს ორგანო (თანამდებობის პირი) დაასკვნის, რომ დარღვევა შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, იგი მასალებს გადასცემს პროკურორს ან გამოძიების ორგანოს.

მსგავსი აკრძალვა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებასთან მიმართებით არ მოიპოვება მოქმედ კანონმდებლობაში, რაც აუცილებელია გამოსწორდეს, რათა პრაქტიკაში გამოირიცხოს ზოგადი ადმინისტრაციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებით განსაზღვრული საქმის წარმოების თავისებურებების გადაკვეთა, რაც იწვევს შესაბამისი დებულებების და საქმის წარმოების დამდგენი წესების უკანონოდ გამოყენებას. აღნიშნული შესაძლებელია განხორციელდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსში ცვლილების/დამატების შეტანის გზით. მითუმეტეს, როდესაც მსგავსი პრაქტიკა უკვე არსებობს და კოდექსის მე-3 მუხლი მე-4 პუნქტი განსაზღვრავს, რომ მისი მოქმედება არ ვრცელდება აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოთა იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია: დანაშაულის ჩადენის გამო პირის სისხლისსამართლებრივ დევნასთან და სისხლის სამართლის საქმის წარმოებასთან; ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობასთან; სასამართლოს მიერ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულებასთან; „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული აქტების აღსრულებასთან; დ) სამხედრო საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებასთან, აგრეთვე

---

<sup>96</sup> Закон об административном производстве, П.2. изд. «infotropic media», Москва, 2013.

სამხედრო დისციპლინის საკითხებთან, თუ ეს არ ეხება პირის საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებსა და თავისუფლებებს და ა.შ. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია მითითებულ პუნქტს დაემატოს შესაბამისი ქვეპუნქტი, რომლის მიხედვითაც კოდექსის მოქმედება არ გავრცელდება უფლებამოსილი ორგანოების იმ საქმიანობაზე, რომელიც დაკავშირებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებასთან და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებასთან. ასევე გასათვალისწინებელია, რომ მსგავსი პრაქტიკა გარკვეულწილად უკვე არსებობს, ვინაიდან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 მუხლის თანახმად, კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურზე, რომელიც „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, თუ გამოავლენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, იგი უფლებამოსილია შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და, შესაბამისად, მონაცემთა დამმუშავებელს ან/და უფლებამოსილ პირს დააკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ნათელია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წარმოება, სათანადო სახეების მითითებით უნდა განისაზღვროს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით და აღნიშნულის გათვალისწინებით საჭიროა შესაბამისი ცვლილებების განხორციელება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მიზნებისთვის, გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების სამი სახე, კერძოდ:

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მარტივი საქმის წარმოება, რომელიც გულისხმობს უფლებამოსილი ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებას;
- საქმის წარმოება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება საჩივართან დაკავშირებით.

დასახელებული წარმოებების სრულყოფილად ჩატარების და საქმის განმხილველი ორგანოს მხრიდან შეცდომის გამორიცხვის მიზნით, აუცილებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მკაფიოდ გაიწეროს საქმის წარმოების საფეხურები და სტადიები. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოქმედი კანონმდებლობისა და საერთაშორისო გამოცდილების ანალიზის საფუძველზე მომდევნო თავში შემოთავაზებული იქნება საქმის წარმოების პროცესის გაუმჯობესების გზები, რომელთა საფუძველზეც უნდა მოხდეს ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მსგავსი დებულებების შემუშავება.

აუცილებელია ახალ კოდექსში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების მიზნის და მისი მოქმედების სფეროს გათვალისწინებით, გაიწეროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების ცნება, რომელიც სასურველია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს, ამ კოდექსით და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადებასთან, გამოცემასთან, აღსრულებასთან და ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტასთან.“

## 5. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების შედარება

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 231-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი იმ ორგანოებში (თანამდებობის პირთა მიერ), რომლებიც უფლებამოსილნი არიან განიხილონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, განისაზღვრება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა ნორმატიული აქტებით. ხოლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 72-ე მუხლის მიხედვით, თუ კანონი არ ითვალისწინებს სხვა სახის ადმინისტრაციული წარმოების გამოყენებას, ადმინისტრაციული ორგანო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს ამზადებს მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით. ადმინისტრაციული წარმოების დასკვნით ეტაპს წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების კი, დადგენილება, კანონმდებლობით პირდაპირ დადგენილი გამონაკლისების გარდა. შესაბამისად, მათი მსგავსებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის ან პირთა შეზღუდული წრის უფლებებსა და მოვალეობებს. ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება აგრეთვე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მის უფლებამოსილებას

მიკუთვნებული საკითხის დაკმაყოფილებაზე განმცხადებლისათვის უარის თქმის შესახებ, ასევე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ან დადასტურებული დოკუმენტი, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს სამართლებრივი შედეგები. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 266-ე მუხლის მიხედვით კი, დადგენილება არის ის დოკუმენტი, რომელიც ორგანოს (თანამდებობის პირს) გამოაქვს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის შემდეგ, შესაბამისად იგი მიიღება მხოლოდ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომის - ადმინისტრაციული სახდელის, ხოლო კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში საურავის დაკისრების თაობაზე. დადგენილების საფუძველზე განისაზღვრება სამართალდამრღვევისთვის ანუ, სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის ხელმყოფი მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული (განზრახი ან გაუფრთხილებელი) მოქმედების ან უმოქმედობის (რომლისთვისაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა) ჩამდენი პირისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით ცხადია, რომ ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება განსხვავებული წარმოებების შედეგად მიღებული სამართლებრივი აქტებია. თუმცა, მათ შორის არსებითი მსგავსება შესაძლოა წარმოიშვას მაშინ, როდესაც ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი ადრესატზე ზემოქმედების მიხედვით არის შემზღვეველი ხასიათის - რომელიც ამძიმებს პირის სამართლებრივ მდგომარეობას, რაც შეიძლება კონკრეტული ქმედების აკრძალვით (ამკრძალავი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი) ან კონკრეტული ქმედების განხორციელების ვალდებულებაში

გამოიხატოს (მაგალბელი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი).<sup>97</sup>

დასახელებულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ შემზღუდველი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით არ ხდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ან სხვა მსგავსი შინაარსის მატარებელი ნორმატიული აქტით დადგენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება და ის ადრესატზე ზემოქმედების ხასიათის მიხედვით მხოლოდ ზოგადი ადმინისტრაციული სამართლისთვის დამახასიათებელი თავისებურებით გამოირჩევა. მაგალითად, ადმინისტრაციული ორგანოს უარი შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზების თაობაზე არის შემზღუდველი ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს აქტი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით დადგენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის - შეკრების ან მანიფესტაციის ორგანიზებისა და ჩატარების წესის დარღვევისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე კი - დადგენილება.

თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, შესაძლოა დადგენილება წარმოადგენდეს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რის თაობაზეც გასათვალისწინებელია უზენაესი სასამართლოს 2006 წლის 19 თებერვლის, 2 აპრილის, 2007 წლის 21 ივლისის და 7 ოქტომბრის განმარტებები საგადასახადო შემოწმების აქტის და საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის შესახებ:

„საქართველოს საგადასახადო კოდექსის 120-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საგადასახადო შემოწმების შედეგების შესახებ დგება აქტი. ამავე კოდექსის 127-ე მუხლი ითვალისწინებს საგადასახადო სამართალდარღვევის შესახებ საქმის წარმოებას, რომლის მე-2 ნაწილის

---

<sup>97</sup> ტურავა პ. წიკულაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. თბილისი, 2010, 48



მიხედვით, საგადასახადო ინსპექციის უფლებამოსილი პირი გადასახადის გადამხდელთან/სხვა ვალდებულ პირთან ამ კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევის გამოვლენისას (გარდა საგადასახადო შემოწმების დროს გამოვლენილი სამართალდარღვევებისა) ადგენს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმს. ამავე მუხლის მე-8 ნაწილის მიხედვით, საგადასახადო შემოწმებისას გამოვლენილი სამართალდარღვევები აღნიშნება საგადასახადო შემოწმების აქტში (ამ შემთხვევაში არ დგება საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმი), რომელშიც აისახება ყველა საგადასახადო სამართალდარღვევის შინაარსი.

გამოითქვა მოსაზრებები და შეჯერდა აზრი იმის თაობაზე, რომ საგადასახადო შემოწმების აქტისა და საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტად მიჩნევა დამოკიდებულია მათ ფაქტობრივ შინაარსსა და მიმართებაზე, კერძოდ, თუ აღნიშნულ აქტებში მითითებულია, რომ პირს ეკისრება ამა თუ იმ თანხის გადახდა (რაც შეიძლება დასტურდებოდეს საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმის დანართითაც - მასზე დართული შესაბამისი წერილით), ანუ თუ ხსენებული აქტები შეიცავს პირის კონკრეტულ საგადასახადო ვალდებულებაზე პირდაპირ მითითებას, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ჩაითვლება ისინი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტებად (ადასტურებს პირის კონკრეტულ მოვალეობას).

იმ შემთხვევაში, თუ საგადასახადო შემოწმების აქტსა და საგადასახადო სამართალდარღვევის ოქმში განყენებულად არის მოცემული ინფორმაცია საგადასახადო ორგანოსთან პირის მიმდინარე საგადასახადო-სამართლებრივი ურთიერთობების მდგომარეობაზე ამა თუ იმ ასპექტით და ჩამოთვლილია ის დავალიანებები, რომლებიც არ არის გადახდილი პირის მიერ, ანუ თუ მათში მოცემულია მხოლოდ კონკრეტული ინფორმაცია და აქცენტი არ არის გაკეთებული პირის კონკრეტულ ვალდებულებაზე, მაშინ იქნება არა

ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტი, არამედ შიდაუწყებრივი გამოყენებისათვის გამიზნული, ინფორმაციული დატვირთვის მქონე დოკუმენტი.<sup>98</sup>“

ასევე გასათვალისწინებელია, რომ ევროპის საბჭოს მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის NR(91)1 რეკომენდაცია ეხება სახელმწიფო წევრების მიერ ადმინისტრაციული სახდელის დადების პრინციპებს. რეკომენდაცია ითვალისწინებს იმას, რომ ადმინისტრაციული სანქციის ქვეშ მოიაზრება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ე.ი. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება პირისათვის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ჯარიმის დაკისრების ან სხვა ფულადი ხასიათის დამსჯელობითი ღონისძიების შეფარდების თაობაზე. შინაარსიდან გამომდინარე, სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მსგავსია, ვინაიდან იგი შეიცავს აღნიშნული აქტის შემადგენელ ოთხივე ელემენტს: 1) ადმინისტრაციული ორგანო, 2) ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, 3) ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, 4) აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი (მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი) იცნობს ტერმინს: საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში განხილული საკითხების შედეგად ნათელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის განსხვავდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისგან, ის ამავდროულად წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართლის შემადგენელ ნაწილს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა არის ხელისუფლების

---

<sup>98</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლო, რეკომენდაციები ადმინისტრაციული სასამართლოს პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, 17-18.

<[http://www.tcc.gov.ge/uploads/sasamartlo\\_praqtika/rekomendaciebi\\_adm\\_2007](http://www.tcc.gov.ge/uploads/sasamartlo_praqtika/rekomendaciebi_adm_2007)> [19.06.2019]

მხრიდან ადმინისტრირების განხორციელებისას მართლწესრიგის დაცვის ძირითადი მექანიზმი, რაც ასევე დასტურდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების მიზნების გათვალისწინებითაც. მოცემულ თავში მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, კი ცხადია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება - დადგენილება, არის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საქმის წარმოების შედეგად მიღებულ დოკუმენტს ეწოდოს ადმინისტრაციული დადგენილება, რაც ასევე გამორიცხავს იმ ბუნდოვანებას, რომელიც გამოწვეულია მოქმედი კოდექსის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე შედგენილი დოკუმენტის განსხვავებული სახელწოდებით - სამართალდარღვევის ოქმი (საჯარიმო ქვითარი) მოხსენიებით.

დასახელების შეცვლასთან ერთად, აუცილებელია ახალი კოდექსით განისაზღვროს მისი ცნებაც, კერძოდ:

„ადმინისტრაციული დადგენილება არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების საფუძველზე, ამ საქმეზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წერილობითი ფორმით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.“

## თავი IV. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პრინციპები

კვლევის ფარგლებში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კანონმდებლობა პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში გავმიჯნეთ როგორც სისხლის, ასევე სამოქალაქო სამართლით განსაზღვრულ დებულებებთან. ამასთან, ზოგად ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ადმინისტრაციულ წარმოებასთან მსგავსების მიუხედავად, კვლევის შედეგად გაიმიჯნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების როლი ქვეყნის საკანონმდებლო სისტემაში.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სისხლის, სამოქალაქო და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსებთან შედარებისას, გვერდს ვერ ავუვლით იმ ფაქტს, რომ მათგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი მკაფიოდ არ განსაზღვრავს შესაბამის დარგობრივ სამართლებრივ პრინციპებს, რომელთა დაცვაც სავალდებულოა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პროცესში.

აღნიშნული მიზნით, მოცემულ თავში განხილული იქნება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობისათვის დამახასიათებელი პრინციპები. საგულისხმოა, რომ ზოგიერთ პრინციპს ითვალისწინებს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიც, თუმცა მიზანშეწონილია არსებული მიდგომის სისტემურად გამართვა და კოდექსის მატერიალური ნაწილში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პროცესში სავალდებულოდ დასაცავი პრინციპების თანმიმდევრული განსაზღვრა, შესაბამისი დასახელებების მითითებით.

## 1. თანაზომიერების პრინციპი

თითოეული შემზღვეველი ხასიათის ღონისძიება უნდა იყოს თანაზომიერი. თანაზომიერების პრინციპი კრძალავს მმართველობითი ღონისძიების ადრესატის შეუსაბამო შეზღუდვას. ეს პრინციპი თავის მხრივ გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს კონსტიტუციური პრინციპიდან, რომლის თანახმადაც, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კონსტიტუციური უფლების შეზღუდვა იმდენად არის დასაშვები, რამდენადაც ის საჯარო ინტერესების დაცვისათვის გარდაუვალი საშუალებაა.<sup>99</sup>

თანაზომიერების პრინციპის შემოწმებისას მოწმდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოყენებულ საშუალებასა და მისაღწევ მიზანს შორის არსებული დამოკიდებულება. საშუალებასა და მიზანს შორის თანაზომიერების შემოწმება ხდება ოთხი ნაბიჯის გავლით<sup>100</sup>: მიზნის დადგენა, შესაფერისობის დადგენა, აუცილებლობის დადგენა, პროპორციულობის დადგენა. აღნიშნული ნაბიჯები კი, დეტალურადაა განხილული ქართულ მეცნიერებაში.<sup>101</sup>

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების დროს თანაზომიერების პრინციპის სათანადოდ გამოყენებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით საქმის განმხილველი უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელის შერჩევასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით მკაფიოდ გაიწეროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პროცესში თანაზომიერების პრინციპის მნიშვნელობა და

<sup>99</sup> *Detterbeck S.*, Allgemeines Verwaltungsrecht, 2004, 67

<sup>100</sup> *Detterbeck S.*, Allgemeines Verwaltungsrecht, 2004, 68-72

<sup>101</sup> ტურავა პ. წვეპლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. თბილისი, 2010, 27

არსებული რედაქციისგან განსხვავებით, შესაბამისი მუხლით განისაზღვროს თანაზომიერების პრინციპი.

## 2. კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი

საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის თანახმად, ყველა ადამიანი სამართლის წინაშე თანასწორია. აკრძალულია დისკრიმინაცია რასის, კანის ფერის, სქესის, წარმოშობის, ეთნიკური კუთვნილების, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, სოციალური კუთვნილების, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან სხვა ნიშნის მიხედვით.

ზემოაღნიშნული პრინციპი გაზიარებულია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით, რომლის მე-4 მუხლის თანახმად, ყველა თანასწორია კანონისა და ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე. დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. ამავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით კი, საქმის გარემოებათა იდენტურობის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება, გარდა კანონით გათვალისწინებული საფუძვლის არსებობისას.

კანონის წინაშე თანასწორობის ეს ზოგადი დებულება გულისხმობს სახელმწიფო აპარატის მხრიდან თვითნებობის აკრძალვას. დაუშვებელია არსებითად იდენტური საქმის გარემოებების თვითნებურად არათანაბრად შეფასება და პირიქით, არსებითად არათანაბარი საქმის გარემოებების თვითნებურად თანაბარი შეფასება და აქედან გამომდინარე, უკანონო გადაწყვეტილების მიღება. ამ კონსტიტუციური პრინციპის ზოგად ადმინის-

ტრაციულ კოდექსში ასახვა ემსახურება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა უფლებების დაცვას, რამდენადაც ის გულისხმობს, რომ დაუშვებელია ამ ურთიერთობის რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება, ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. ამ მოთხოვნის დარღვევა გვაქვს სახეზე, როდესაც არ იკვეთება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი მხარის შეზღუდვის ან მისთვის უპირატესობის მინიჭების გონიერი, საქმის არსიდან გამომდინარე საფუძველი, არამედ აშკარაა შეუსაბამობა განხორციელებულ ღონისძიებასა და საქმის ფაქტობრივ გარემოებებს შორის.<sup>102</sup>

საქმის განხილვას მოქალაქეთა თანასწორობის საწყისებზე ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსიც. კერძოდ კოდექსის 233-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეს განიხილავენ კანონის და საქმის განმხილველი ორგანოს (თანამდებობის პირის) წინაშე ყველა მოქალაქის თანასწორობის საწყისებზე წარმოშობის, სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, სქესის, განათლების, ენის, რელიგიისადმი დამოკიდებულების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, საცხოვრებელი ადგილისა და სხვა გარემოებათა მიუხედავად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მატერიალურ ნაწილში განისაზღვროს კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი, რომლის თანახმადაც, სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება კანონისა და საქმის განმხილველი ორგანოს წინაშე ყველა პირის თანასწორობის საფუძველზე, მიუხედავად მათი წარმოშობის,

---

<sup>102</sup> ტურავა პ. წვეპლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. თბილისი, 2010, 27

სოციალური და ქონებრივი მდგომარეობის, ენის, რასობრივი, ეროვნული და რელიგიური კუთვნილების, პროფესიული საქმიანობის, საცხოვრებელი ადგილის და სხვა ნებისმიერი გარემოების. საქმის გარემოებათა იდენტიფიკაციის შემთხვევებში დაუშვებელია სხვადასხვა პირის მიმართ განსხვავებული გადაწყვეტილების მიღება.

### 3. კანონიერების პრინციპი

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არ მოიპოვება კანონიერების პრინციპის დასახელების მქონე ნორმა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის ზემოქმედების ზომათა შეფარდებისას კანონიერების უზრუნველყოფა განსაზღვრულია კოდექსის მე-7 მუხლით, რომლის მიხედვით, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს აწარმოებენ კანონიერების მკაცრი დაცვის საფუძველზე“.

კანონიერების პრინციპის დაცვა ასევე გათვალისწინებულია კოდექსის 33-ე მუხლის შემადგენლობითაც, რომელიც ადგენს სახდელის დადების ზოგად წესს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელი დაედება იმ ნორმატიული აქტით დაწესებულ ფარგლებში, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ სხვა აქტების ზუსტი შესაბამისობით.

მიზანშეწონილია კანონიერების პრინციპის ცალკე მუხლით, განახლებული რედაქციით განმტკიცება, რომლითაც განისაზღვრება, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი აღიარებს კანონის უზენაესობისა და კანონისმიერი დათქმის პრინციპებს და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე წარმოება ხორციელდება კანონის მოთხოვნების სრული შესაბამისობით დაცვით. ამასთან, ამავე მუხლით



მიზანშეწონილია იმის დაზუსტება, რომ პირს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს, მხოლოდ ამ კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისთვის, კოდექსით დადგენილი წესით.

#### **4. მიუკერძოებლობის პრინციპი**

საგულისხმოა, რომ მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი მკაფიოდ მიუკერძოებლობის არ განსაზღვრავს და საქმის წარმოებისას მისი დაცვის ვალდებულება, თანასწორობის პრინციპის მსგავსად, ირიბად გამომდინარეობს კოდექსის 233-ე მუხლის მოთხოვნებიდან.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსმა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, აუცილებელია გაიზიაროს კიდევ ერთი - საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტის პრინციპიც და მკაფიოდ განსაზღვროს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე ხსენებული პრინციპის დარღვევით მიღებული გადაწყვეტილება არის კანონდარღვევა.

#### **5. ინკვიზიციურობის პრინციპი**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების ერთ-ერთი მთავარი თავისებურება საქმის განმხილველი ორგანოს მიერ ინკვიზიციურობის პრინციპის შესაბამისად მოქმედებაა. მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ინკვიზიციურობის პრინციპი ცალსახად არ არის მითითებული, ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვის იგი სიახლეს არ წარმოადგენს. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად,

სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულების წარმოსადგენად.

ინკვიზიციურობის პრინციპი გულისხმობს, საქმის განმხილველი უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყებას და საკუთარი ინიციატივით გამოკვლევას. ამასთან, ხსენებული ორგანო აფასებს, როგორც პირის სამართალდარღვევის ჩადენაში მამხილებელ, აგრეთვე შესაბამისი პასუხისმგებლობისგან განმათავისუფლებელ გარემოებებს და ვალდებულია ორივე გარემოება შეაფასოს ობიექტურად.<sup>103</sup>

ჩადენის ეჭვის გამოკვლევისას სამართალდამრღვევი არის შემეცნების საშუალება და არა მხარე. მას შეუძლია დააფიქსიროს საკუთარი მოსაზრება ჩაკითხვისას), ან სულაც საკუთარი ინიციატივით, და მის მიერ გამოხატული ეს აზრი, ამ შემთხვევაში, სხვა მტკიცებულებებთან ერთად წარმოადგენს მტკიცებულებას (ფართო გაგებით).<sup>104</sup>

ინკვიზიციურობის პრინციპის ცალკე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მატერიალურ ნაწილში მსგავსი სათაურის მქონე მუხლით დადგენის გარეშე გათვალისწინება შესაძლებელია კოდექსის შესაბამის მუხლებში მისი სათანადოდ ჩამოყალიბებით, რომლის საფუძველზეც განსაზღვრული იქნება უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან, მათ ქვემდებარეობაში არსებული სამართალდარღვევების თაობაზე თავიანთი ინიციატივით საქმის წარმოების დაწყების და შემდგომი მოკვლევის შესაძლებლობა, კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ფაქტის თაობაზე განცხადების ან/და კონკრეტული ინფორმაციის მიღების გარეშეც.

ინკვიზიციურობის პრინციპის განსაზღვრა ხელს შეუწყობს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილ

---

<sup>103</sup> Bohnert J., Bülte J., Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016, 83

<sup>104</sup> იქვე

ადმინისტრაციული სახდელის მიზნების<sup>105</sup> და ადმინისტრაციულ სამართალ-  
დარღვევათა საქმეების წარმოების ამოცანების<sup>106</sup> უფლებამოსილი  
ორგანოების მხრიდან პრაქტიკაში ეფექტიან განხორციელებას.

## **6. განმეორებით სახდელის დაკისრების აკრძალვის პრინციპი (ne bis in idem)**

კვლევის შედეგად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და  
სისხლის სამართლის კოდექსებში არსებული სამართლებრივი ნორმების  
შედარებისას აშკარად გამოიკვეთა სამართალდამრღვევი პირის ორმაგად  
დასჯის საფრთხე, რაც ცალსახად ეწინააღმდეგება ადამიანის საყოველთაოდ  
აღიარებულ უფლებების. ქვეყნის საკანონმდებლო სივრცეში იდენტური ან  
თუნდაც მსგავსი შინაარსის მქონე დისპოზიციების არსებობამ,  
მართლსაწინააღმდეგო ქმედება შესაძლოა შეცდომით დააკვალიფიციროს  
როგორც სისხლის სამართლის თვალსაზრისით, ისე ადმინისტრაციული  
სამართლის წესითაც.

დამრღვევის ორმაგად დასჯა ერთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების  
ჩადენისთვის დაუშვებელია არამხოლოდ მისთვის სხვადასხვა სამართლის  
დარღვებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომების შეფარდებით,  
არამედ იგი ასევე გულისხმობს პირისთვის სახდელის დაკისრების შემდეგ,  
განმეორებით, თუნდაც იგივე დარგით გათვალისწინებული სახდელის  
დაკისრების აკრძალვას.

დამრღვევის განმეორებით დასჯის ამკრძალავი - ne bis in idem პრინციპი  
ასახულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის  
კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-4 მუხლის პირველ ნაწილში, რომლის  
თანახმად, დაუშვებელია სისხლის სამართლის წესით პირის ხელმეორედ  
გასამართლება ან დასჯა ერთი და იმავე სახელმწიფოს იურისდიქციის  
ფარგლებში იმ დანაშაულისათვის, რომლისთვისაც იგი ერთხელ უკვე იქნა

<sup>105</sup> ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 23-ე მუხლი

<sup>106</sup> ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 230-ე მუხლი

საბოლოოდ გამართლებული ან მსჯავრდებული ამ სახელმწიფოს კანონისა და სისხლის სამართლის პროცედურის შესაბამისად.<sup>107</sup>

ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციის მეხუთე შესწორების მიხედვით, არცერთი პირი არ უნდა იყოს ორმაგი დასჯის სუბიექტი.<sup>108</sup> აღნიშნული დათქმა გამომდინარეობს იქიდან, რომ სახელმწიფოს მისი რესურსის და ძალის გათვალისწინებით უნდა ეკრძალებოდეს პირის განმეორებით დასჯის მცდელობა, რადგან სახელმწიფოს ხელში მსგავსი ძალაუფლების გამოყენების შესაძლებლობა მოქალაქისთვის იწვევს დაუცველობის, აშლილობის შეგრძნებასა და შფოთვის.<sup>109</sup>

ორმაგად დასჯის დაუშვებლობის მუხლი იცავს ინდივიდებს „ერთი და იგივე დანაშაულებრივი ქმედებისთვის მრავალჯერადი სანქციების დაკისრებისგან“. კონსტიტუციით დადგენილი მრავალჯერადი დასჯის აკრძალვის ცნების ქვეშ აგრეთვე იგულისხმება საჯარო-სამართლებრივი და სისხლისსამართლებრივი სანქციებით პირის მრავალჯერადი დასჯის აკრძალვა<sup>110</sup>

იქიდან გამომდინარე, რომ „ne bis in idem“ პრინციპი, იდენტური მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისთვის კრძალავს განმეორებითი დევნის განხორციელებას, ის იცავს როგორც სახელმწიფოს ავტორიტეტს, რადგან გამორიცხავს საქმეზე გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების გადასინჯვას (*res judicata*), აგრეთვე ინდივიდს სახელმწიფოს მხრიდან

---

<sup>107</sup>ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

<[https://www.echr.coe.int/Documents/Convention\\_KAT.pdf](https://www.echr.coe.int/Documents/Convention_KAT.pdf)>[19.07.2019]

<sup>108</sup> U.S. CONsT. amend. V. The Court clarified the meaning of "the same offense twice" in 1932 in *Blockburger v. United States*, explaining that "[a] single act may be an offense against two statutes; and if the statute requires proof of an additional fact which the other does not, an acquittal or conviction under either statute does not exempt the defendant from prosecution and punishment under the other." *Blockburger v. United States*, 284 U.S. 299, 304 (1932) (quoting *Gavieres v. United States*, 220 U.S. 338, 342 (1911)).

<sup>109</sup> *Hudson*, 118 S. Ct. at 499 (Stevens, J., concurring in judgment) (quoting *Green v. United States*, 355 U.S. 184, 187 (1957)). No. 96-976.

<sup>110</sup> *Patrick S. Nolan*, Comment, Double Jeopardy's Multipunishment Protection and Regulation of Civil Sanctions After *United States v. Ursery*, 80 MARQ. L. REv. 1081, 1081 (1997).

სახდელის დაკისრების უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისაგან (*ius puniendi*).<sup>111</sup>

ზემოაღნიშნულ მიდგომას იზიარებს საქართველოს კანონმდებლობაც. კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, არავის არ შეიძლება განმეორებით დაედოს მსჯავრი ერთი და იმავე დანაშაულისათვის. ხსენებული კონსტიტუციური დებულება განამტკიცებს განმეორებითი დასჯის აკრძალვის კონსტიტუციურ პრინციპს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კონსტიტუციის აღნიშნული დანაწესი იმპერატიული ხასიათისაა და რაიმე გამონაკლისს ამ გარანტიის შეზღუდვის თვალსაზრისით არ ითვალისწინებს.

ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს არაერთხელ აქვს დაფიქსირებული თავისი პოზიცია *ne bis ni idem* პრინციპის შესახებ, რომელმაც განმარტა, რომ აღნიშნული პრინციპი ერთი მხრივ იცავს ინდივიდს ერთი და იმავე ქმედების გამო განმეორებითი სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდებისგან, მეორე მხრივ კი, ემსახურება სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებებით სახელმწიფო ორგანოების ბოჭვას.<sup>112</sup>

განმეორებითი მსჯავრდების აკრძალვა სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნდამენტური პრინციპის არსებითი გამოვლინებაა, კერძოდ, სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში სახელმწიფო ორგანოების ბოჭვა, მათ მიერვე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილებებით, არ განახორციელონ ერთი და იმავე ქმედებისათვის პირის განმეორებითი დევნა, პირდაპირ უკავშირდება სამართლებრივი განსაზღვრულობისა და უსაფრ-

---

<sup>111</sup> *Max Vetzso*, "The Past, Present and Future of the Ne Bis In Idem Dialogue between the Court of Justice of the European Union and the European Court of Human Rights: The Cases of Menci, Garlsson, and Di Puma. Review of European Administrative Law, 2018-2, Volume 11, 56.

<sup>112</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 29 სექტემბრის №3/1/608,609 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 306-ე მუხლის მე-4 ნაწილის კონსტიტუციურობის თაობაზე და საქართველოს უზენაესი სასამართლოს კონსტიტუციური წარდგინება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 297-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის კონსტიტუციურობის თაობაზე“, II-35

თხოვების პრინციპებს. ინდივიდის უფლებაშემზღვრავი კანონმდებლობით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგის განჭვრეტადობა, მისი სამართლებრივი განსაზღვრულობის ხარისხი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად და რა ფარგლებში ხდება მართლმსაჯულების პროცესში მიღებული საბოლოო ხასიათის გადაწყვეტილებების პატივისცემა. „თუ პირს კანონით დადგენილი პასუხისმგებლობა ერთი ქმედებისთვის რამდენჯერმე შეიძლება დაეკისროს და ხელისუფლება არ იზღუდება ამ მიმართებით, იმპერატიული მოთხოვნა, რომ პირმა წინასწარ იცოდეს, რა სასჯელი დაეკისრება კონკრეტული ქმედებისთვის და შეეძლოს საკუთარი ქცევის შესაბამისად კონტროლი, თავისთავად აზრს მოკლებული ხდება.<sup>113</sup>

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ჭრილში, *ne bis in idem* პრინციპის არსებობის მხრივ, საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით, განმეორებით დევნის აკრძალვა მოქმედებს აგრეთვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისას.<sup>114</sup>

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის თანახმად კი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს თუ არსებობს იმავე ფაქტზე ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის მიმართ კომპეტენტური ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, ან ამხანაგური სასამართლოს გაუუქმებელი გადაწყვეტილება, თუ მასალები ამხანაგურ სასამართლოს გადასცა იმ ორგანომ (თანამდებობის პირმა), რომელსაც აქვს მოცემულ საქმეზე ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება, ან გაუუქმებელი

<sup>113</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/7/636 გადაწყვეტილება. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3544820?publication=0>>[19.07.2019]

<sup>114</sup> *Bohnert J., Bülte J., Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016, 85*

დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე ამავე ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის არსებობისას.

მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნული ნორმა კანონდამრღვევი პირისათვის პასუხისმგებლობის განმეორებით დაკისრების საფრთხის პრევენციის მიზნით არის ასახული, მიზანშეწონილია ერთი და იგივე სამართალდარღვევისთვის ადმინისტრაციული სახდელის განმეორებით დაკისრების ამკრძალავი მუხლის შემუშავება ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის მიხედვითაც მკაფიოდ განისაზღვრება, რომ არავის არ შეიძლება განმეორებით დაეკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა იმ ქმედებისთვის, რომლისთვისაც მას უკვე დაკისრებული აქვს სახდელი.

## 7. სამართლიანობა და ეკონომიურობა

შესაბამისი ცვლილებების საფუძველზე, ასევე სასურველია გათვალისწინებულ იქნას სამართლიანობისა და ეკონომიურობის პრინციპი, რომელიც სამართლიანობის უზრუნველყოფის ნაწილში დაადგენს, რომ სამართალდარღვევათა ურთიერთობის მონაწილეებს აქვთ სამართლიანი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წარმოების უფლება, რომელიც გარანტირებული იქნება საქმის განმხილველი ორგანოების მხრიდან. ხოლო, კოდექსის ნორმები და მათ შესასრულებლად მიღებული გადაწყვეტილებები უნდა გამომდინარეობდეს სამართლიანობის პრინციპიდან.

ეკონომიურობის პრინციპის დაცვით უნდა განისაზღვროს არამართო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისას კოდექსით დადგენილი ვადების სათანადოდ შესრულება, არამედ უფლებამოსილ პირებს ასევე საჭიროა დაევალოთ ადმინისტრაციული სახდელის გამოანგარიშება (ძირითადად ჯარიმის შემთხვევაში) და განსაზღვრა დახარჯული, მათ შორის ადამიანური რესურსებიდან გამომდინარე. აღნიშნულიდან გამომ-

დინარე, შეფარდებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, შესაბამისობაში უნდა იყოს სახელმწიფოს მხრიდან კონკრეტული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღმოფხვრის მიზნით გატარებულ ღონისძიებებთან.

## **8. ადამიანის უფლების ხელშეუვალობა**

სამართლიანობის პრინციპთან ერთად, მიზანშეწონილია ცალკე დადგინდეს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წარმოების თითოეულ ეტაპზე საქმის განმხილველი უფლებამოსილი ორგანოს ყოველი მოქმედებისას ზედმიწევნით უნდა იქნას დაცული საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ნორმებით საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები.

## **9. უდანაშაულობის პრეზუმფცია**

საქართველოს კონსტიტუციით თანახმად, ადამიანი უდანაშაულოდ ითვლება, ვიდრე მისი დამნაშავეობა არ დამტკიცდება კანონით დადგენილი წესით, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. ამასთან, არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს.

აღნიშნული კონსტიტუციური პრინციპი გათვალისწინებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსითაც, რომლის მე-10 მუხლის მიხედვით, ბრალდებული უდანაშაულოდ ითვლება მანამ, სანამ მის მიერ დანაშაულის ჩადენა არ დამტკიცდება კანონით გათვალისწინებული წესით და არ დადგინდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით. არავინ არ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა.



ბრალდების მტკიცების მოვალეობა ბრალმდებელს ეკისრება. ბრალმდებელს უფლება აქვს უარი თქვას ბრალდებაზე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ გერმანიის კანონმდებლობის თანახმად, უდანაშაულობის პრეზუმფციას სისხლის სამართლის საქმისწარმოების მსგავსად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოებისას. სამართალდამრღვევს შეიძლება ბრალად დაედოს მხოლოდ ის გარემოება, რომლის არსებობაც საფუძვლიანად ივარაუდება დევნის განმახორციელებელი ორგანოებისთვის. აკრძალულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოება მხოლოდ ეჭვების არსებობის საფუძველზე. თუ პირის მხრიდან სამართალდარღვევის ჩადენის ეჭვი ვერ დადასტურდება პროცესუალურად დასაშვები მტკიცებულებებით, მაშინ ადმინისტრაციულმა ორგანომ თავი უნდა შეიკავოს სამართალდარღვევის საქმის წარმოებისგან. სასამართლოში საქმისწარმოებისას, მსგავს შემთხვევაში, მიიღება გამამართლებელი განაჩენი. დაუშვებელია სასამართლომ გაითვალისწინოს დადგენილი ბრალის დამძიმება, რომელთან დაკავშირებითაც ის ვერ შეიქმნის შინაგან რწმენას. მხედველობაში მიიღება მხოლოდ დევნის განხორციელება ნაკლებად წონადი, თუმცა დამტკიცებული გარემოებების საფუძველზე.<sup>115</sup>

მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რომელიც თავისი შემადგენლობით ცალსახად განსხვავდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევისაგან, მოცემულ თავში განხილული პრინციპების ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ასახვასთან ერთად, შესაძლოა განხილულ იქნას უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მსგავსი ნორმის გათვალისწინება, რომლის მიხედვითაც პირი არ უნდა იქნას მიჩნეული სამართალდამრღვევად მანამ, სანამ მის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა არ დადასტურდება

---

<sup>115</sup> Bohnert J., Bülte J., Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016, 84

კანონით გათვალისწინებული წესით და არ დადგინდება საქმის განმხილველი უფლებამოსილი ორგანოს ან/და სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით/დადგენილებით.

## 10. ევროპის საბჭოს მინისტრთა კაბინეტის რეკომენდაცია ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების პრინციპების შესახებ

ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების პრინციპებს ეხება ევროპის საბჭოს მინისტრთა კაბინეტის 1991 წლის №R(91)1 რეკომენდაცია,<sup>116</sup> რომელიც შემუშავებულ იქნა წევრი სახელმწიფოებისათვის უშუალოდ ადმინისტრაციულ სანქციებთან დაკავშირებით. უპირველეს ყოვლისა, რეკომენდაცია ითვალისწინებს იმას, რომ ადმინისტრაციული სანქციის ქვეშ მოიაზრება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ე.ი. მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება პირისათვის მართლსაწინააღმდეგო ქმედების შედეგად ჯარიმის დაკისრების ან სხვა ფულადი ხასიათის დამსჯელობითი ღონისძიების შეფარდების თაობაზე. ეს რეკომენდაციები ითვალისწინებს რვა ზოგად პრინციპს, რომლებსაც უნდა პასუხობდეს ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების პროცედურა:

1. კანონიერება, ე.ი. ადმინისტრაციული სანქციების დადგენა და მათი გამოყენების დასაბუთებულობა მოწესრიგებული უნდა იყოს მხოლოდ კანონით;

2. დროში კანონის მოქმედების უკუმაღის აკრძალვა ადმინისტრაციული სანქციის დაკისრების ან არსებული სანქციის დამძიმების შემთხვევაში. ეს პრინციპი კანონიერების პრინციპიდან გამომდინარეობს და გულისხმობს პირისათვის ადმინისტრაციული სანქციის დაკისრებას მხოლოდ იმ ქმედებისათვის, რომელიც აღიარებულია კანონსაწინააღმდეგოდ მოქმედი სამართლებრივი ნორმების საფუძველზე. თუმცა ეს არ გამორიცხავს იმ

---

<sup>116</sup> Recommandation N R (91) 1 du Comité des Ministres aux Etats Membres relative aux sanctions administrative, 13 février 1991

ნორმის გამოყენების აუცილებლობას, რომელიც ძალაში შევიდა გარკვეული სამართალდარღვევის ჩადენის შემდეგ, მაგრამ იგი ამსუბუქებს ან საერთოდ აუქმებს პირის პასუხისმგებლობას.

3. „არავის არ შეიძლება ორჯერ დაეკისროს ერთი ტიპის პასუხისმგებლობა ერთი ქმედებისათვის“. ეს პრინციპი წარმოადგენს საერთო პრინციპის *ne bis in idem* – გამოხატულებას.

4. ადმინისტრაციული სანქციების დაკისრების გონივრული ვადების დადგენას აქვს მიზანი, უზრუნველყოს ურთიერთობაში იურიდიული განსაზღვრულობის პრინციპი, რომლის თანახმად პირი არ შეიძლება გაუმართლებლად დიდ დროში იმყოფებოდეს „პასუხისმგებლობა დაკისრებული სუბიექტის“ სტატუსით. ადმინისტრაციული წარმოების ხანგრძლივობის გონივრული ვადა წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას, შეასრულოს ყველა პროცედურული მოქმედება სწრაფად და გონივრულ ვადაში მიიღოს გადაწყვეტილება საქმეზე. ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების ვადა არ უნდა აღემატებოდეს სისხლის სამართლის პროცესის ხანგრძლივობას.

5. ვალდებულება – ადმინისტრაციული წარმოება დასრულდეს საბოლოო გადაწყვეტილების მიღებით, რომელიც ასევე წარმოადგენს ურთიერთობის იურიდიული განსაზღვრულობის გარანტს. მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება იყოს სანქციის შეფარდების თაობაზე, ფაქტების არასაკმარისი მტკიცებულებების გამო სანქციის შეფარდებაზე უარის თქმისა და ასევე წარმოების შეჩერების შესახებ.

6. პირის უფლება დაცვის უზრუნველყოფაზე. მათ შორის: პირს აქვს უფლება იცოდეს ადმინისტრაციული სანქციის დაკისრების შესახებ და აგრეთვე იმ ფაქტების თაობაზე, რომელთა გამო მას ბრალი წაეყენება. პირს უნდა ჰქონდეს საკმარისი დრო დაცვის მოსამზადებლად. პირს აქვს უფლება მიიღოს ინფორმაცია მის წინააღმდეგ შეკრებილი მტკიცებულებების

შინაარსის შესახებ. სანქციის გამოცხადებამდე პირს აქვს საკუთარი მოსაზრების გამოთქმის უფლება.

გარდა ამისა, ადმინისტრაციული სახდელის დადების დროს დაცული უნდა იყოს ადმინისტრაციული პროცედურების ზოგადი პრინციპები და პირთა უფლებები, რომლებიც დადგენილია 1977 წლის 28 სექტემბრის (77) 31-ე რეზოლუციით პირთა უფლებების დაცვის შესახებ ხელისუფლების ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული აქტების მიმართ. მათ შორის არის შემდეგი უფლებები: პირი უნდა იყოს მოსმენილი (მოსმენის უფლება); ინფორმაციის ხელმისაწვდომობა; დახმარების მიღება და წარმომადგენლობის უფლება; ინფორმირება სამართლებრივი დაცვის საშუალებების შესახებ (გადაწყვეტილებაში უნდა იყოს მითითებული სამართლებრივი დაცვის ჩვეულებრივი საშუალებები და მათი გამოყენების ვადები);

7. ადმინისტრაციულ ორგანოს აქვს მტკიცების ტვირთი, წარმოადგენს უდანაშაულობის შემადგენელ პრეზუმფციას და პირს ათავისუფლებს მტკიცებისაგან, რომ იგი არ არის სამართალდარღვევის ჩამდენი პირი;

8. სანქციის დადების შესახებ ადმინისტრაციული აქტი უნდა გასაჩივრდეს მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ სასამართლოში, რომელიც შექმნილია კანონის საფუძველზე. ასეთი გადახედვის შედეგად შეიძლება განხორციელდეს არა მხოლოდ კანონიერებაზე კონტროლი, არამედ მოხდეს საქმის შინაარსის შემოწმებაც. ზემოაღნიშნული გარანტიები შეიძლება იქცეს ადმინისტრაციული სახდელების დადების პროცედურების ევროპული სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის ობიექტური შეფასების კრიტერიუმებად.

## თავი V. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების დაწყების დისპოზიცია

როგორც აღინიშნა, აუცილებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების სამ სახედ დაყოფა, კერძოდ:

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მარტივი საქმის წარმოება;
- საქმის წარმოება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება საჩივართან დაკავშირებით.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მსგავსად, საჭიროა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც გაკეთდეს შესაბამისი დათქმა, რომლის თანახმადაც, თუ ამ კოდექსით სამართალდარღვევისთვის არ არის გათვალისწინებული უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამართალდარღვევის საქმის განხილვა და ადმინისტრაციული დადგენილების მომზადება, გამოცემა და აღსრულება ხდება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მარტივი საქმის წარმოებით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოება გულისხმობს უწყებრივი ქვემდებარეობისა და ტერიტორიული განსჯადობის მქონე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კონკრეტულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან დაკავშირებული გარემოებების კანონმდებლობით დადგენილი წესით შესწავლას, რომლის საბოლოო ეტაპია გადაწყვეტილების - დადგენილების მიღება ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების ან საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პირველ საფეხურს საქმის წარმოების დაწყება წარმოადგენს. უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ საქმის წარმოების დაწყებამდე აუცილებელია, რომ კონკრეტული გარემოებების შეფასების შედეგად, კანონ-

მდებლობით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, განსაზღვროს თუ რამდენად აუცილებელია ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა საქმის წარმოების ჩატარება. გასათვალისწინებელია, რომ დისკრეციული უფლებამოსილების კანონიერ გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს საქმის წარმოების ნებისმიერ საფეხურზე, როგორც საქმის დაწყების, ასევე მისი მსვლელობის და დასრულებისას. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განვიხილოთ დისკრეციულ უფლებამოსილებასთან დაკავშირებული თავისებურებები.

სამწუხაროდ, მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობა არ ითვალისწინებს იმ კრიტერიუმებს, რომელთა შეფასების შედეგადაც უნდა მოხდეს წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და მისი დაწყება დამოკიდებულია კონკრეტული თანამდებობის პირების პირად შეხედულებებზე. კანონმდებლობის აღნიშნული მიდგომა კი, კრიტიკას ვერ უძლებს იმის გათვალისწინებითაც, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, განსხვავებით ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისგან, არ განსაზღვრავს დისკრეციული უფლებამოსილების ცნებას და არ ადგენს მისი გამოყენების ფარგლებს. აღნიშნულის მიუხედავად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არაერთი ნორმა მოცემულია იმგვარი რედაქციით, რომ საქმის წარმოებისას, მათ შორის სახდელის დაკისრებისას, საქმის განმხილველ ორგანოს ცალსახად აქვს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედების თავისუფლება. შესაბამისად, საკითხი აუცილებლად საჭიროებს რეგულირებას, რათა გადაწყვეტილების მიღებისას არ მოხდეს დისკრეციული უფლებამოსილების საყოველთაოდ აღიარებული ფარგლების დარღვევა.

ზოგადად, ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება მაშინ გვაქვს სახეზე, როდესაც სამართლის ნორმის ფაქტობრივი შემადგენლობისა და ფაქტის შესაბამისობის დადგენის შემთხვევაში მას აქვს მოქმედების თავისუფლება, განსაზღვროს

შესაძლებელი ღონისძიებებიდან ერთ-ერთი, რომელიც იქნება მისთვის ყველაზე მისაღები.

მსგავს შემთხვევაში, კანონმდებლობა ერთ კონკრეტულ სამართლებრივ შედეგს კი არ ადგენს, არამედ ადმინისტრაციულ ორგანოს აღჭურვავეს უფლებამოსილებით, თვითონ განსაზღვროს სამართლებრივი შედეგები იმდენად, რამდენადაც ორ ან რამდენიმე შესაძლო სამართლებრივ შედეგებს ადგენს და აძლევს შესაძლებლობას, აირჩიოს ყველაზე მისაღები საშუალება. ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულმა უფლებამოსილებამ შეიძლება მოიცვას ადმინისტრაციული ორგანოს არჩევანის შესაძლებლობა, კონკრეტულ შემთხვევაში განახორციელოს თუ არა რაიმე ღონისძიება, ან კიდევ მისაღები ღონისძიებებიდან რომელი ღონისძიება გამოიყენოს.<sup>117</sup>

დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ნიშანია. ის ასევე ხშირად გვევლინება მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენისთვის პირისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების და შესაბამისი სახდელის შერჩევის პროცესშიც. მაგალითად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171-ე მუხლის თანახმად, ალკოჰოლური სასმელების სმა სტადიონზე, სკვერში, პარკში, ყველა სახის საზოგადოებრივ ტრანსპორტსა და სხვა საზოგადოებრივ ადგილებში, გარდა სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისა და იმ ადგილებისა, სადაც ალკოჰოლური სასმელები ჩამოსხმით იყიდება, გამოიწვევს დაჯარიმებას 50-დან 150 ლარამდე ოდენობით. შესაბამისად, სახეზეა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების კლასიკური შემთხვევა, ვინაიდან საქმის განმხილველი ორგანო (პირი) თვითონ იღებს გადაწყვეტილებას, თუ რა ოდენობის თანხით დააჯარიმოს სამართალდამრღვევი.

---

<sup>117</sup> ტურავა პ. წვეკლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. თბილისი, 2010, 36

მმართველობისადმი გარკვეული თავისუფლების მინიჭებასთან ერთად მას ასევე ეკისრება ვალდებულება, განახორციელოს მისი დისკრეციული უფლებამოსილება იმგვარად, რომ მის თვალსაწიერში მუდმივად იყოს ძირითადი უფლებების რეალიზაციის აუცილებლობა.<sup>118</sup> დემოკრატიული სახელმწიფოს პირობებში მოითხოვება, რომ ის მოხელეები, რომლებიც განახორციელებენ დისკრეციულ უფლებამოსილებას, პასუხისმგებლობით მოეკიდონ მათ მიმართ მინიჭებულ ამ უფლებას, რადგან დისკრეცია არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს სრულ თავისუფლებას და თვითნებობას. მოხელე უნდა მოქმედებდეს მხოლოდ კანონის და მისი ვალდებულების ფარგლებში და მუდმივად ასრულებდეს მის მთავარ - თავისუფალ ადამიანთა მსახურის ფუნქციას.<sup>119</sup>

უფლებამოსილი ორგანოების და თანამდებობის პირების მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების სათანადო გამოყენებას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების მიმდინარეობისას, ასევე უშუალოდ საქმის წარმოების დაწყების სტადიაზეც. უფლებამოსილმა ორგანოებმა თითოეულ ფაქტთან დაკავშირებით უნდა განსაზღვრონ - არის თუ არა სახეზე მართლსაწინააღმდეგო ქმედება, შეიცავს თუ არა ის სამართალდარღვევის ნიშნებს და შესაბამისად, უწყების რესურსების გათვალისწინებით, რამდენად აუცილებელია წარმოების დაწყება.

გერმანიის ადმინისტრაციული წარმოების შესახებ კანონის (Verwaltungsverfahrensgesetz) 22-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო დისკრეციის ფარგლებში იღებს გადაწყვეტილებას წარმოების დაწყების შესახებ.<sup>120</sup> აღნიშნული ნიშნავს იმას, რომ უფლებამოსილი ორგანო თავისი შეხედულებით წყვეტს, დაიწყოს კონკრეტულ შემთხვევაში

---

<sup>118</sup> *Sommermann K.P.*, Die öffentliche Verwaltung im demokratischen und sozialen Rechtsstaat, in: Legislative foundations of public administration / Handbuch der rechtlichen Grundlagen der Verwaltung, Tbilisi 2016. 53.

<sup>119</sup> *Pfiffner J.M.*, Public Administration. New York, 1946. 447-448

<sup>120</sup> *Stelkens/Bonk/Sachs*, 1998. Verwaltungsverfahrensgesetz, 5. Auflage, München, 490



ადმინისტრაციული წარმოება თუ არ განახორციელოს შესაბამისი მოქმედებები (Opportunitätsprinzip).<sup>121</sup> დისკრეციული გადაწყვეტილება ყოველთვის მიღებულ უნდა იქნას საყოველთაო კეთილდღეობის სასარგებლოდ.<sup>122</sup>

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“ გერმანიის კანონის 46-ე მუხლის თანახმად, უფლებამოსილმა ორგანომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოება უნდა დაიწყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას გააჩნია გონივრული ეჭვი, რომ ჩადენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. ეჭვი მიმართული უნდა იყოს კონკრეტულ ქმედებაზე და უნდა ეფუძნებოდეს ხელმოსაჭიდ გარემოებებს. საქმის წარმოების დაწყებისთვის არ კმარა მაღალი ალბათობა იმისა, რომ გარკვეული პირები ამა თუ იმ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებს ხშირად ან სისტემატურად ჩადიან.<sup>123</sup>

ამასთან, საგულისხმოა, რომ ამავე კანონის 47-ე მუხლით განსაზღვრულია დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შესაძლებლობა და დადგენილია, რომ სამართალდარღვევასთან დაკავშირებული წარმოების დაწყებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს თავად ადმინისტრაციული ორგანო.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ თავდაპირველი ეჭვი იძლევა მხოლოდ საქმისწარმოების დაწყების უფლებას და არა ვალდებულებას. ადმინისტრაციულმა ორგანომ ინტერესთა ურთიერთშეჯერების საფუძველზე უნდა დაადგინოს არსებობს თუ არა საჯარო ინტერესი საქმის წარმოებასთან და შესაძლებელ დევნასთან დაკავშირებით. შესაბამისად, თითოეულ საქმესთან დაკავშირებით, წარმოების დაწყების თაობაზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას საქმის გარემოებების თავდაპირველი შეფასების

---

<sup>121</sup> *Maiazza*, 2003. Das Oppotuitätsprinzip im Bußgelddefahe unter besonderer Berücksichtigung des Kartellrechts. 8 and further

<sup>122</sup> *Stelkens/Bonk/Sachs*, 1998. *Verwaltungsverfahrensgesetz*, 5. Auflage, München, 492

<sup>123</sup> გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე - BGH StV 1988, 441

შედეგად. საქმის წარმოების დაწყების შემთხვევაში (გარდა სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე წარმოებისას) მიღებული გადაწყვეტილება უნდა დასაბუთდეს წერილობით, პრაქტიკაში სასურველია ეს მოხდეს პასუხისმგებელი პირის მიერ მომზადებული შიდაუწყებრივი დოკუმენტის მეშვეობით, რომელიც თავის მხრივ იქნება საქმის წარმოების დაწყების საფუძველი, ხოლო წარმოების არდაწყების შემთხვევაში თუ კონკრეტული პირის წერილობითი მიმართვა (განცხადება, საჩივარი) არ იქნა ორგანოში წარდგენილი, მსგავსი დოკუმენტის შექმნა მიზანშეწონილი არ არის, ვინაიდან ყოველდღიურად საზოგადოებაში განხორციელებული მრავალი ქმედება და მათ შესახებ გავრცელებული ინფორმაცია შესაძლოა იწვევდეს მასში სამართალდარღვევის ნიშნების არსებობის ვარაუდს და თითოეულ მათგანთან დაკავშირებით საქმის წარმოების არდაწყების თაობაზე წერილობითი დასაბუთება გამოიწვევს უწყებების მხრიდან რესურსების არამართლზომიერ გამოყენებასა და ხარჯვას, რაც პრაქტიკაში მათ ეფექტიან საქმიანობაზე უარყოფითად აისახება.

საგულისხმოა, რომ გერმანიის კანონმდებლობა პირდაპირ განსაზღვრავს საქმის განმხილველი პირების ზემოაღნიშნულ უფლებამოსილებას და ადგენს, რომ საქმის წარმოების დაწყება, ძირითადად, არ არის დამოკიდებული კონკრეტულ მომართვაზე და მისი დაწყება შესაძლებელია საკუთარი ინიციატივითაც. ხშირად, სამართალდარღვევის ჩადენის თაობაზე პირვანდელი ეჭვი წარმოიშობა შეტყობინების საფუძველზე, რომელთა მიღებაზე პასუხისმგებლები არიან დარგობრივი ადმინისტრაციული ორგანო და პოლიცია. შეტყობინება არ არის ფორმალურად დადგენილი. ზეპირ შეტყობინებასთან დაკავშირებით უნდა შედგეს აქტი<sup>124</sup>.

შეტყობინება წარმოადგენს მხოლოდ ერთგვარ ბიძგს საქმის წარმოების დაწყებისთვის და შეტყობინების ავტორს არ წარმოეშობა საქმის წარმოების დაწყების მოთხოვნის უფლება. აქედან გამომდინარე, შეტყობინება არ ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს საქმის წარმოების დაწყებას.

---

<sup>124</sup> „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“ გერმანიის კანონის 46-ე მუხლი

თუმცა შეტყობინების ავტორს უნდა ეცნობოს აღნიშნულის შესახებ, მიუხედავად იმისა, რომ მას არავითარი ბერკეტი არ გააჩნია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე საქმისწარმოების შეწყვეტის წინააღმდეგ.<sup>125</sup> ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, აუცილებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც მოხდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების (გარდა ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული საქმის წარმოებისა) დაწყებასთან დაკავშირებული დისკრეციული უფლებამოსილების ზემოაღნიშნული მიდგომის გათვალისწინება, რაც ხელს შეუწყობს და გაამარტივებს უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პროცესს. ამავდროულად, მოქალაქეებისთვის/შეტყობინების ავტორებისთვის ცნობილი იქნება, რომ ადმინისტრაციული საქმის წარმოება არ დაიწყო ადმინისტრაციული ორგანოსთვის კოდექსით მინიჭებული კონკრეტული შესაძლებლობის - დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების შესაბამისად, რომლის გამოყენებასაც გააჩნდა შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი.

საქმის წარმოების დაწყების შესახებ დისკრეციული უფლებამოსილებასთან დაკავშირებით, არსებობს გარკვეული კრიტერიუმები რომლის შეფასების შედეგადაც უფლებამოსილი ორგანო იღებს გადაწყვეტილებას, თუ რამდენად აუცილებელია საქმის წარმოების დაწყება. ორგანო ორიენტირებული უნდა იყოს გადაწყვეტილების მიზანშეწონილობაზე, რომლის დასადგენად უნდა გასცეს პასუხი შემდეგ კითხვებზე:

- ჯარიმის გადახდევინებით იქნება თუ არა მიღწეული მიზანი ყველაზე ოპტიმალური გზით;
- არის თუ არა მოცემული ჯარიმა ადეკვატური ჩადენილი დარღვევის;

---

<sup>125</sup>(„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“ გერმანიის კანონის 46-ე მუხლი; გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლი.

- არის თუ არა დასახარჯი ადმინისტრაციული რესურსი შესაბამისობაში მოცემული ადმინისტრაციული დარღვევის სიმძიმესთან.<sup>126</sup>

თუმცა, მოცემული კრიტერიუმების საქართველოს პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, ზემოხსენებული ტერმინი „ჯარიმა“ უნდა შეიცვალოს „ადმინისტრაციული სახდელით“, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ჯარიმის ნაცვლად ითვალისწინებს ასევე სხვა ადმინისტრაციული სახდელების გამოყენების შესაძლებლობასაც.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადგენს მმართველობის დისკრეციული უფლებამოსილების ინსტიტუტს. დისკრეციული უფლებამოსილების ცნება კოდექსის დასაწყისში, ტერმინების განმარტებაში გვხვდება, რომლის თანახმადაც, აღნიშნული უფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. კოდექსი ცალკე, მე-6 მუხლით ადგენს დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების წესს და განმარტავს, რომ თუ ადმინისტრაციულ ორგანოს რომელიმე საკითხის გადასაწყვეტად მინიჭებული აქვს დისკრეციული უფლებამოსილება, იგი ვალდებულია ეს უფლებამოსილება განახორციელოს კანონით დადგენილ ფარგლებში. ამავე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად კი, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია განახორციელოს დისკრეციული უფლებამოსილება მხოლოდ იმ მიზნით, რომლის მისაღწევადაც მინიჭებული აქვს ეს უფლებამოსილება. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილია საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის პრინციპი, რომელიც მთლიანად გამომდინარეობს დისკრეციული უფლებამოსილების სათანადო განხორციელებასთან. აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას არ შეიძლება გამოიცეს ადმინისტრაცი-

---

<sup>126</sup> *Noak T.*, 2012. Einführung ins Ordnungswidrigkeitenrecht – Teil 3, ZJS 4/2012, 458.

ციულ-სამართლებრივი აქტი, თუ პირის კანონით დაცული უფლებებისა და ინტერესებისათვის მიყენებული ზიანი არსებითად აღემატება იმ სიკეთეს, რომლის მისაღებადაც იგი გამოიცა. ხოლო ამავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით კი, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისას გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით გათვალისწინებულმა ზომებმა არ შეიძლება გამოიწვიოს პირის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაუსაბუთებელი შეზღუდვა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში კი, დისკრეციულ უფლებამოსილებასთან დაკავშირებით მხოლოდ ირიბ მითითებას ვხვდებით. კერძოდ, კოდექსის 22-ე მუხლი ადგენს მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას დამრღვევის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას და განსაზღვრავს, რომ თუ ჩადენილია მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, საქმის გადასაწყვეტად უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია გაათავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და დასჯერდეს სიტყვიერ შენიშვნას. მოცემული მუხლის რედაქციიდან ჩანს, რომ საქმის განმხილველი ორგანოს დისკრეციას წარმოადგენს არა გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა დაიწყოს თუ არა საქმის წარმოება, არამედ განხორციელებული საქმის წარმოების შედეგად გამოვლენილი მცირემნიშვნელობის სამართალდარღვევის საფუძველზე არ დააკისროს დამრღვევს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ გერმანიის კანონმდებლობის შესაბამისად, უნდა გაჩნდეს ახალი დათქმა, რომლის თანახმადაც საქმის განმხილველ ორგანოს (თანამდებობის პირს) მიენიჭება უფლებამოსილება თავისი შეხედულებით გადაწყვიტოს, დაიწყოს კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოება თუ არ განახორციელოს შესაბამისი მოქმედებები.

## 1. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების დაწყების საფუძველი

სასამართლო სარჩელის და გარკვეული სახის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველისგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების დაწყების მთავარი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ამ შემთხვევაში არ არის აუცილებელი მხოლოდ მოქალაქის წერილობითი მიმართვა/მოთხოვნა კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით. უფლებამოსილმა ორგანომ (თანამდებობის პირმა) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოება შეიძლება დაიწყოს საკუთარი ინიციატივითაც, მათ შორის სხვადასხვა საჯარო წყაროში გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზეც.

ვინაიდან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების დაწყება მოქმედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მკაფიოდ არ არის რეგულირებული, საჭიროა მისი საფუძველის განსაზღვრა, რომელიც მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი ფორმულირებით - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების დაწყების საფუძველს წარმოადგენს სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაცია, რომელიც უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსთვის გახდა ცნობილი.

აღნიშნული საფუძველის მისადაგება მიზანშეწონილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის მარტივი და ადგილზე წარმოების დაწყებისთვის, ვინაიდან ტერმინი ინფორმაცია, თავის თავში მოიცავს როგორც სათანადო წესით დაცული განცხადების მიღების შედეგად, ასევე სხვადასხვა წყაროებიდან (მათ შორის, მასმედიის მეშვეობით) მიღებული ინფორმაციის და თავად ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივის საფუძველზე საქმის წარმოების დაწყების შესაძლებლობას.

ხოლო ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული საქმის წარმოების დაწყების საფუძველი კი, წარმოების თავისებურებიდან გამომდინარე, შეიძლება იყოს მხოლოდ კოდექსით დადგენილი წესით წარდგენილი საჩივარი.

საგულისხმოა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 101-ე მუხლის მიხედვით, გამომძიებელი უფლებამოსილია დანაშაულის შესახებ ანონიმური შეტყობინების საფუძველზე დაიწყოს გამომძიება. შეტყობინების საფუძველზე ინფორმაციის დაწყებისას გათვალისწინებულ უნდა აღნიშნული რეგულაციის სამართალდარღვევათა სფეროში გათვალისწინება და ადმინისტრაციული ორგანოს გააჩნდეს სამართალდარღვევის შესახებ ანონიმური შეტყობინების საფუძველზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების დაწყების უფლებამოსილება.

## **2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მცირე მნიშვნელობა**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების დაწყებისას, თუ ქმედებაში იკვეთება სამართალდარღვევის ნიშნები, საქმის განმხილველი ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში უნდა შეფასდეს მართლწინააღმდეგობის და ზიანის საფრთხის ხარისხი. ამასთან, საჭიროა განისაზღვროს თუ რას გულისხმობს მცირე მნიშვნელობის ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რა სამართლებრივ შედეგებს ითვალისწინებს ის და აუცილებელია თუ არა საქმის წარმოების დაწყება, როდესაც სახეზეა მცირე მნიშვნელობის სამართალდარღვევა.

ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შეფარდებისას ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მცირე მნიშვნელობის დადგენა სიახლეს წარმოადგენს ნორმაშეფარდებით პროცესში. თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, პრაქტიკაში უკვე არსებობს გარკვეული რეგულაციები და სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებებიც. გერმანიის სამართალდარღვევათა კანონის 56-ე მუხლის თანახმად, მცირე მნიშვნელობის სამართალდარღვევის

შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია შემოიფარგლოს შენიშვნით, გაფრთხილებით ან პირს დააკისროს ფულადი ჯარიმა.

აღნიშნულმა ტერმინმა პრაქტიკაში პირველად ასახვა ჰპოვა რუსეთის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის კოდექსში, ხოლო თეორიული თვალსაზრისით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მცირე მნიშვნელობის თაობაზე სამეცნიერო კვლევები განახორციელა არაერთმა მეცნიერმა და აღნიშნულ საკითხზე თავისი პოზიცია დააფიქსირეს რუსეთის სასამართლოებმაც. შესაბამისად, მიზანშეწონილია განხილულ იქნეს რუსეთის ფედერაციის გამოცდილება მცირემნიშვნელოვან სამართალდარღვევასთან დაკავშირებით.

რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 2.9 მუხლით დადგენილია, რომ „ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მცირე მნიშვნელობიდან გამომდინარე სასამართლოს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის განმხილველი ორგანოსა და თანამდებობის პირს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენი პირი შეუძლია გაათავისუფლოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და შემოიფარგლოს ზეპირი გაფრთხილებით. ლიტერატურაში მსგავს ნორმებს უწოდებენ შეფასებითს, ხოლო მათ გამოყენებით საქმიანობას კი არატიპიური სამართალშეფარდების ნაირსახეობას. ეს დაკავშირებულია კანონმდებლობაში მცირე მნიშვნელობის კრიტერიუმების არარსებობასთან, რაც ადმინისტრაციული იურისდიქციის ორგანოებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ავალდებულებს განმარტოს ის. ერთი მხრივ, მოცემული მდგომარეობა იძლევა საშუალებას გათვალისწინებული იქნეს თითოეული განსახილველი საქმის თავისებურება, ხოლო მეორე მხრივ, მცირემნიშვნელობის ნორმის შეფარდება ზოგჯერ ხდება დაუსაბუთებლად, რაც სამართალდამრღვევს აძლევს პასუხისმგებლობისაგან თავის არიდების საშუალებას.<sup>127</sup>

---

<sup>127</sup> *Panov, A.B.*, On Significance in Administrative Offences, 2012 Law: J. Higher Sch. Econ. 68 . 2012



პირველ რიგში უნდა დადგინდეს ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების არსებობა და სახეზეა თუ არა სამართალდარღვევის ყველა ელემენტი. იმ შემთხვევაში, თუ სავარაუდო სამართალდამრღვევის ქმედებაში გამოვლინდა პასუხისმგებლობის დაკისრების ფორმალური საფუძვლები, საქმის განმხილველი უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია შეაფასოს ისინი, შეისწავლოს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები და სამართალდარღვევის შინაარსიდან (სიმძიმეიდან) გამომდინარე, შეარჩოს იძულების ღონისძიება.

რუსეთის ფედერაციის უმაღლესი სასამართლოს 2005 წლის 24 მარტის დადგენილებით ყურადღება გამახვილდა იმაზე, რომ „მცირე მნიშვნელობის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას წარმოადგენს მოქმედებას ან უმოქმედობას, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემადგენლობის ნიშნებს, მაგრამ გათვალისწინებული უნდა იქნეს ჩადენილი სამართალდარღვევის ბუნება და სამართალდამრღვევის როლი, მიყენებული ზიანის ოდენობა და დამდგარი შედეგის სიმძიმე, რომელიც არ უნდა წარმოადგენდეს დაცული საზოგადოებრივი სამართლებრივი ურთიერთობებისათვის არსებით დარღვევას“.

სასამართლოს პლენუმმა თავის 2004 წლის ივნისის №10 დადგენილებაში - „ზოგიერთი საკითხისათვის, რომლებიც წარმოიშობიან სასამართლო პრაქტიკაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევების განხილვის დროს“, აღნიშნულია, რომ სამართალდარღვევის მცირემნიშვნელობის დადგენისას სასამართლოსთვის აუცილებელია გამოვიდეს მისი ჩადენის კონკრეტული გარემოებების შეფასებიდან. მცირე მნიშვნელობის სამართალდარღვევას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობას არ ადგება არსებითი (საშიშროება) ზიანი. იდენტური სამართლებრივი პოზიცია დააფიქსირა რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლომ. შესაბამისად, თითოეულმა სასამართლომ მცირე მნიშვნელობის სამართალდარღვევის განმარტებისას გარკვეულწილად გამორიცხა ადმინისტრაციულ-დელიქტური კანონმდებლობით დაცულ საზოგადოებრივ

ურთიერთობებზე ყოველგვარი მნიშვნელოვანი საშიშროების (ზიანის) არსებობა, ასევე შეფასების დროს ყურადღება გაამახვილა სამართალდარღვევის მიერ ჩადენილი გარემოებების გამოკვლევის აუცილებლობაზე.

როგორც რუსი მეცნიერი - ო.ჰ. შერსტობოევი აღნიშნავს, სამართალდარღვევის მცირე მნიშვნელობა მჭიდროდ არის დაკავშირებული მის კონსტრუქციასთან<sup>128</sup>. ირიბად ამას მიუთითებს უმაღლესი სასამართლოების მიერ დაფიქსირებული პოზიციებიც, რომლებშიც განმტკიცებულია ადმინისტრაციულ-დასჯადი ქმედების ყველა გარემოების გათვალისწინების აუცილებლობა. უფრო მეტიც, მიყენებული ზიანის შეფასებაზე მითითება განამტკიცებს იმ აზრს, რომ ქმედების მცირე მნიშვნელოვნად დაკვალიფიცირებას აქვს სამართალდარღვევის ობიექტური მხარის ნიშნები. სამართალშემფარდებელმა უპირველეს ყოვლისა, უნდა დაახასიათონ მოქმედება (უმოქმედება).

რუსეთის ფედერაციის უმაღლესი ადმინისტრაციული სასამართლოს პრეზიდიუმის 2008 წლის 4 ოქტომბრის სხდომაზე ერთ-ერთ საკითხად განიხილებოდა მათ მიერ 2004 წლის 2 ივნისის №10 მიღებულ დადგენილებაში დამატების შეტანა, რომელიც ეხებოდა მცირემნიშვნელობის სამართალდარღვევის ფორმალური შემადგენლობის პრობლემასა და მისი ჩადენის შემთხვევაში საჯარო-სამართლებრივი პასუხისმგებლობიდან გათავისუფლების საკითხს.

სამართალდარღვევის ჩადენა ფორმალური შემადგენლობით ხშირად არ ითვალისწინებს კონკრეტული პირისათვის ზიანის მიყენებას და შესაბამისი შედეგის დადგომას და ქმედების ადმინისტრაციულ სამართალდარღვევად კვალიფიცირებისთვის საკმარისია ზიანის დადგომის ან/და სახელმწიფო წესრიგის დარღვევის რეალური საფრთხის არსებობაც. დ.ნ. ბახრახი ამგვარ მდგომარეობას შემდეგი მიზეზებით ხსნის: „ზოგიერთ შემთხვევაში ზიანი აშკარად სახეზეა, ხოლო რიგ შემთხვევაში - მისი დათვლა რთულია და კანონმდებელი არ თვლის საჭიროდ მისი განსაზღვრა დაავალოს სამართალშემფარდებელს. შემადგენლობის კიდევ ერთი ნიშნის - მართლსაწინააღმდე-

---

<sup>128</sup> *Шерстобоев О.Н.*, К вопросу о малозначительности административных правонарушений: некоторые проблемы теории и практики. российская юстиция. 2008, №10

გო ქმედების უარყოფითი შედეგები დადგენაც, საკმაოდ პრობლემატურია, მიუხედავად იმისა, რომ ასეთ დროს ზიანის არსებობა თვალსაჩინოა“.<sup>129</sup>

შესაბამისად, სამართალდარღვევის მცირემნიშვნელობის კვალიფიკაციისას აუცილებელია მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან დაკავშირებით ყველა ფაქტობრივი გარემოების სრულყოფილი შესწავლა და სათანადო შეფასება. სამართალდარღვევას მცირემნიშვნელობა მაშინ ენიჭება, როდესაც მსგავსი ქმედების ჩადენისას კანონმდებლობით დაცულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს და მართლწესრიგს არ ადგება არსებითი ზიანი.

ყოველი კონკრეტული ქმედება უნდა შეფასდეს ყურადღებით და მცირემნიშვნელობის დამდგენი კრიტერიუმების ანალიზის საფუძველზე უნდა იქნას მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ შეიცავს ასეთ კრიტერიუმებს, ქმედების მცირე მნიშვნელოვნად კვალიფიცირებისთვის უნდა მოხდეს მისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პრინციპების და მიზნების შეჯერების საფუძველზე და ასევე აუცილებელია სამართალდარღვევის დამდგენი კონკრეტული ნორმის კომპლექსური ანალიზი. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანომ საქმის ყოველმხრივი, სრული და ობიექტური შესწავლის შედეგად, თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე, განსაზღვროს გადაცდომისა და დამდგარი ზიანის ხარისხი, ხოლო მათი შეფასების პროცესში, მხედველობაში უნდა მიიღოს როგორც გადაცდომის, ასევე შესაბამისი სახდელის პროპორციულობა და თანაზომიერება.

2009 წლის 25 ივნისის დადგენილებით<sup>130</sup>, რუსეთის სასამართლომ გაითვალისწინა განცხადების წარდგენის ვადის უმნიშვნელოდ გადაცილება (ერთი დღე), ასევე მავნე შედეგის არარსებობა და სამართალდარღვევა ჩათვალია უმნიშვნელოდ, ვინაიდან იგი არსებით ზიანს არ აყენებდა

<sup>129</sup> Бахрах Д.Н., Состав административного проступка: учеб. пособие. Свердловск, 1987, 46

<sup>130</sup>Постановление ФАС Уральского округа от 25 июня 2009 г. № Ф09-4401/09-С1 по делу № А50-3958/2009-А12 //

საზოგადოებრივ უსაფრთხოებას და კანონით დაცულ უფლებებს და საზოგადოებისა და სახელმწიფოს ინტერესებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ინსპექციის მითითებას იმის თაობაზე, რომ მოსარჩელე ანალოგიური სამართალდარღვევისათვის ადრე მიცემული იყო ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში, ხელი არ შეუშლია სასამართლოსათვის, რომ მოსარჩელის სასარგებლოდ გადაეწყვიტა საქმე და გამოეტანა გადაწყვეტილება დაჯარიმების დაკისრების შესახებ დადგენილების გაუქმების თაობაზე.

2009 წლის 19 მარტის №A56-22391/2008 დადგენილებით<sup>131</sup> რუსეთის საარბიტრაჟო სასამართლომ იმსჯელა სამართალდარღვევის მცირე მნიშვნელობის კრიტერიუმების შესახებ და განმარტა, რომ:

- მოსარჩელის მიერ მიღებული იქნა ღონისძიებები კანონით დადგენილი მოვალეობების დროულად შესრულების თაობაზე;
- სახეზეა კანონით გათვალისწინებული ცნობების წარდგენის ვადის უმნიშვნელო გადაცილება;
- არსებობს გარემოება, რომელის არსებობა ობიექტური მიზეზების გამო განმცხადებელს ხელს უშლის შესწორების შეტანაში (მაგალითად, საგადასახადო ორგანოს მიერ დოკუმენტების მიღება ხდება მხოლოდ სამშაბათს ან ოთხშაბათს, დასვენების ან უქმე დღე);
- სასამართლომ დაადგინა, რომ მოსარჩელის მოქმედებას არ მიუყენებია რეალური და არსებითი ზიანი კანონით დაცულ საზოგადოებრივ ინტერესზე და უკანონოდ ჩათვალა მისთვის ჯარიმის დაკისრება.

გარკვეული უწყებებისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობა საქართველოშიც წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას. კერძოდ, „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის თანახმად, მონაცემთა დამმუშავებელი ან/და უფლებამოსილი პირი ვალდებულია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს

<sup>131</sup>Постановление ФАС СЗО от 19 марта 2009 г. по делу № А56-22391/2008 // СПС «Консультант Плюс».

ნებისმიერი მასალა, ინფორმაცია ან/და დოკუმენტი მიაწოდოს დაუყოვნებლივ ან ამავე მუხლში მითითებული გარემოებების არსებობისას, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა. მონაცემთა დამმუშავებლის ან უფლებამოსილი პირის მიერ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურისათვის ინფორმაციისა და დოკუმენტის წარდგენის წესის დარღვევა, კი, გამოიწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.<sup>132</sup> შესაბამისად, კანონმდებლობა აღნიშნული სამართალდარღვევისთვის ფულადი ჯარიმის გარდა არ ითვალისწინებს სხვა სახდელის დაკისრების შესაძლებლობას, მაშინ როდესაც პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში ბევრად უფრო სერიოზული სამართალდარღვევების ჩადენისთვის, საქმის განმხილველ ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია კანონმდებლობით განსაზღვრული რამდენიმე სახდელიდან გამოიყენოს ერთ-ერთი. მაგალითისთვის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის თანახმად, მონაცემთა ამ კანონით გათვალისწინებული საფუძვლების გარეშე დამუშავება გამოიწვევს გაფრთხილებას ან დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით. გარკვეულ შემთხვევებში, დარღვევის მცირე მნიშვნელობიდან გამომდინარე საქმის განმხილველ ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, რომ არ დააკისროს პირს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, მითუმეტეს მსგავსი რედაქციის მქონე სამართალდარღვევებისას. მაგალითად, თუ მონაცემთა დამმუშავებელი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს შემოწმების განხორციელებისას ინფორმაციას მიაწვდის კანონმდებლობით დადგენილი ვადის გასვლიდან მეორე ან მესამე დღეს, იმის, მიუხედავად, რომ აღნიშნული წარმოადგენს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის - 500 ლარის ჯარიმის სახით დაკისრების საფუძველს, გამომდინარე იქიდან, რომ ინფორმაცია მაინც იქნა მიწოდებული და არ იქნა უგულვებელყოფილი სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის მოთხოვნა, შესაძლებელი უნდა იყოს სამართალდარღვევის მცირე მნიშვნელობიდან გამომდინარე მისი ადმინისტრაციული

---

<sup>132</sup> „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე მუხლი.

პასუხისმგებლობისგან გათავისუფლება, რომლის წინაპირობაც უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან, შესაბამისი კრიტერიუმების ანალიზის საფუძველზე ქმედების მცირე მნიშვნელობის სათანადოდ დაკვალიფიცირებაა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის რედაქცია არ მოიცავს გადაცდომის მცირე მნიშვნელოვნად დაკვალიფიცირებისთვის საჭირო კრიტერიუმებს, საჭიროა მისი ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, რომლის მიხედვითაც, იმ შემთხვევაში, თუ ჩადენილია მცირე მნიშვნელობის სამართალდარღვევა, რომელიც, თუმცა, ფორმალურად შეიცავს სამართალდარღვევის ნიშნებს, მაგრამ თავისი ხასიათით არ გამოუწვევია ისეთი ზიანი, რომელიც აუცილებელს გახდის მისი ჩამდენისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებას ან არ შეუქმნია ასეთი ზიანის საფრთხე, ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებაზე უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია გაათავისუფლოს პირი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან.

ამასთან, ზემოაღნიშნული მუხლის თანახმად, სიტყვიერი შენიშვნა არ გამოიყენება, თუ ჩადენილია იგივე ქმედება განმეორებით, ან თუ დარღვევის მიმართ ადრე ჩადენილი იმავე ქმედებისათვის ამ მუხლის საფუძველზე გამოყენებული იყო სიტყვიერი შენიშვნა. აუცილებელია, რომ აღნიშნული ფორმულირება აღარ იყოს გათვალისწინებული ახალი დანაწესით, ვინაიდან მცირემნიშვნელობის სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს იმ გარემოებას, გამოყენებული იყო თუ არა მანამდე სიტყვიერი შენიშვნა (განსხვავებით ადმინისტრაციული სახდელისგან) და პირის მიერ მეორედ მცირე მნიშვნელობის გადაცდომის ჩადენა არ უნდა გულისხმობდეს მისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ავტომატურ დაკისრებას. ასევე გაურკვეველია, თუ როგორ დგინდება პირის მიერ მცირე მნიშვნელოვანი სამართალდარღვევის განმეორებით ჩადენის ფაქტი, ვინაიდან სიტყვიერი შენიშვნა არ არის ადმინისტრაციული სახდელი და მისი გამოყენების შესახებ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს

საინფორმაციო ბანკისთვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება არ არის გათვალისწინებული.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის მცირე მნიშვნელოვნად მიჩნევის საკითხის სირთულეს და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის სათანადოდ გამოყენების აქტუალობას ცხადყოფს საქართველოს სააპელაციო სასამართლოს პრაქტიკაც.

კერძოდ, ამ მხრივ მნიშვნელოვანია საქართველოს სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 27 დეკემბრის დადგენილებაც (საქმე N4/ა-828-18 (611510018002699272)). სასამართლომ გამოარკვია, რომ 2018 წლის 24 სექტემბერს მარნეულის მაგისტრატ სასამართლოში შევიდა საქართველოს რომ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მეზაჟე-ოფიცრის მიერ შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის №AL007852 ოქმი. ოქმის თანახმად, 2018 წლის 23 სექტემბერს ს.გ.პ. „წითელი ხიდის“ ტერიტორიაზე აზერბაიჯანის მხრიდან ქვეითად მოსიარულეთა დარბაზში შევიდა საქართველოს მოქალაქე რ. ა. და აღნიშნული პიროვნების დათვალიერებისას აღმოჩნდა არადეკლარირებული, აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის, კერძოდ, 240 ღერი სიგარეტის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვის ფაქტი.

აღნიშნულის გამო, 2018 წლის 23 სექტემბერს, საქართველოს შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის მეზაჟე-ოფიცერმა რ.ა.-ს მიმართ შეადგინა ადმინისტრაციულ სამართლებრივის ოქმი, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 155<sup>2</sup> მუხლის პირველი ნაწილის<sup>133</sup> შესაბამისად.

მარნეულის მაგისტრატი სასამართლოს 2018 წლის 27 სექტემბრის დადგენილებით, რ. ა. ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად

---

<sup>133</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 155<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება, შენახვა, რეალიზაცია ან გადაზიდვა – გამოიწვევს დაჯარიმებას 1000-დან 2000 ლარამდე ან ადმინისტრაციულ პატიმრობას 15 დღემდე ვადით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 155<sup>2</sup> მუხლის პირველი ნაწილით და გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა. ხოლო, აღნიშნული დადგენილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურმა.

განსახილველი საკითხის სირთულეს ადასტურებს ის გარემოება, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2018 წლის 19 ოქტომბრის დადგენილებით, სსიპ - შემოსავლების სამსახურის საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა მარნეულის მაგისტრატ სასამართლოს. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მარნეულის მაგისტრატი სასამართლოს 2018 წლის 8 ნოემბრის 4/ა-544-18 დადგენილებით რ. ა. ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 155<sup>2</sup> მუხლის პირველი ნაწილით, იგი კვლავ გათავისუფლდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა.

დადგენილების მიღებისას პირველი ინსტანციის სასამართლო დაეყრდნო შემდეგ მოტივაციას: სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ადმინისტრაციულ პასუხისმგებებაში მიცემული პირის მიერ შემოტანილი უაქციზო სიგარეტის რაოდენობაზე და მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც კანონმდებლობით 200 ღერი სიგარეტის შემოტანა გათავისუფლებულია აქციზისაგან, დამატებით 40 ღერის შემოტანა (სულ რ. ა.-მ შემოიტანა 240 ღერი) არ არის საზოგადოებრივი წესრიგისათვის ისეთი საფრთხის შემცველი, არ გამოუწვევია ისეთი ზიანი და იმგვარად არ დაურღვევია სხვა პირთა უფლებები, რომ მას აუცილებელი წესით დაეკისროს ნორმით გათვალისწინებული სახდელი - 1000-დან 2000 ლარამდე ჯარიმა ან ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღემდე ვადით.

სასამართლომ გაითვალისწინა ადმინისტრაციულ პასუხისმგებებაში მიცემული პირის გულწრფელი მონანიება, მისი ქონებრივი მდგომარეობა,



ასევე ის გარემოება, რომ მის მიერ სხვა დროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა არ დასტურდება, რაც მეტყველებს რ. ა.-ზე, როგორც კანონმორჩილ პიროვნებაზე.

მარნეულის მაგისტრატი სასამართლოს 2018 წლის 8 ნოემბრის 4/ა-544-18 დადგენილება კვლავ გაასაჩივრა სსიპ შემოსავლების სამსახურის საგადასახადო მონიტორინგის დეპარტამენტმა, რომელმაც გასაჩივრებული დადგენილების გაუქმება და სახდელის სახით ჯარიმის შეფარდება მოითხოვა.

სააპელაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საგადასახადო კოდექსის 192-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ი“ ქვეპუნქტით დადგენილია, რომ აქციზური მარკებით სავალდებულო ნიშანდებისაგან, გარდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი შემთხვევებისა, თავისუფლდება: იმპორტირებული (მათ შორის, საფოსტო გზავნილის შემთხვევაში) 200 ღერი სიგარეტი ან 50 სიგარა ან 50 სიგარილა ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 02 კოდით გათვალისწინებული 200 ღერი თამბაქოს ნაწარმი ან საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 01 კოდით გათვალისწინებული 10 ცალი კაფსულა და მსგავსი სახის პროდუქტი ან 250 გრამი თამბაქოს სხვა ნაწარმი, ან ამ ქვეპუნქტში მითითებული თამბაქოს ნაწარმის სახეობათა ნაკრები, თუ მასში შემავალი თითოეული სახეობის თამბაქოს ნაწარმის წილის პროცენტულ მაჩვენებელთა (პროცენტული მაჩვენებელი შესაბამის ზღვრულ ოდენობასთან მიმართებით) ჯამი 100-ს არ აღემატება.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, საქმის მასალებით დასტურდება რ. ა.-ს მიერ აქციზური მარკის სავალდებულო დართვას დაქვემდებარებული კერძოდ, 240 ღერი სიგარეტის აქციზური მარკის გარეშე გადაზიდვა, რაც ექცევა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 155<sup>2</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის რეგულაციის სფეროში, ხოლო სხვა მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს მისცემდა საწინააღმდეგო ვარაუდის საფუძველს, საქმეზე წარმოდგენილი არ ყოფილა.

რაც შეეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადების დასაბუთებას, სააპელაციო პალატა აღნიშნულს არ დაეთანხმა, ვინაიდან სასამართლომ გაითვალისწინა სამართალდამრღვევის აღიარება და ასევე მიიჩნია რომ რადგან კანონმდებლობით 200 ღერი სიგარეტის შემოტანა გათავისუფლებულია აქციზისაგან, დამატებით 40 ღერის შემოტანა (სულ რ. ა.-მ შემოიტანა 240 ღერი) არ არის საზოგადოებრივი წესრიგისათვის ისეთი საფრთხის შემცველი, არ გამოუწვევია ისეთი ზიანი და იმგვარად არ დაურღვევია სხვა პირთა უფლებები, რომ მას აუცილებელი წესით დაეკისროს ნორმით გათვალისწინებული სახდელი - 1000-დან 2000 ლარამდე ჯარიმა ან ადმინისტრაციული პატიმრობა 15 დღემდე ვადით.

სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ რა თქმა უნდა სამართალდამრღვევის აღიარება სახდელის შეფარდებისას მხედველობაში მისაღები გარემოებაა, თუმცა არ შეიძლება ის გავაიგივოთ სიტყვიერი შენიშვნის გამოყენების საფუძვლად. ვინაიდან ასეთი არც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, თუ ჩადენილია მცირემნიშვნელოვანი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, საქმის გადასაწყვეტად უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს) შეუძლია გაათავისუფლოს დამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან და დასჯერდეს სიტყვიერ შენიშვნას. სიტყვიერი შენიშვნა არ გამოიყენება, თუ ჩადენილია იგივე ქმედება განმეორებით, ან თუ დამრღვევის მიმართ ადრე ჩადენილი იმავე ქმედებისათვის ამ მუხლის საფუძველზე გამოყენებული იყო სიტყვიერი შენიშვნა. ვინაიდან, საქართველოს კანონმდებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ არ იძლევა მცირემნიშვნელოვანი სამართალდარღვევის ცალსახა დეფინიციას და კანონმდებლობით განსაზღვრულია მხოლოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნება, რომლის მნიშვნელობის ხარისხის განსაზღვრა

უნდა უკავშირდებოდეს ქმედების ობიექტურ მხარეს - თუ რაში გამოიხატა ობიექტურად დამრღვევის მოქმედება.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელი წარმოადგენს პასუხისმგებლობის ზომას და გამოიყენება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის აღსაზრდელად კანონების დაცვის, საერთო ცხოვრების წესების პატივისცემის სულისკვეთებით, აგრეთვე როგორც თვით სამართალდამრღვევის, ისე სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევების ჩადენის აცილების მიზნით.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მსჯელობა იმისთან დაკავშირებით, რომ რადგან სამართალდამრღვევა გულწრფელად მოინანია მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედება, ფაქტობრივი გარემოებების ერთიანობა ქმნის იმის წინაპირობას, რომ მის მიმართ გამოყენებულ იქნას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლი - რადგან ნორმის მიზანი რომ განხორციელდეს თვითონ სამართალდამრღვევის ან სხვა პირთა მიერ ახალი სამართალდარღვევის ჩადენის პრევენცია, ვერ იქნება უზრუნველყოფილი თუკი სასამართლო მხოლოდ სამართალდამრღვევის აღიარების საფუძველზე მოახდენს სამართალდარღვევის მცირემნივნელოვნად მიჩნევას და სიტყვიერი შენიშვნის გამოცხადებას.

შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დაკმაყოფილდა წარდგენილი საჩივარი, გააუქმა მარნეულის მაგისტრატი სასამართლოს 2018 წლის 8 ნოემბრის 4/ა-544-18 დადგენილება და რ.ა. ცნობილი იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად 155<sup>2</sup> მუხლის პირველი ნაწილით და ადმინისტრაციული სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 1000 (ათასი) ლარის ოდენობით.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ცხადია თუ რაოდენ მნიშვნელოვანია მოცემულ თავში განხილული საკითხების, მათ შორის, მითითებული მეცნიერების შეხედულებების პრაქტიკაში გაზიარება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განმხილველი ორგანოს მხრიდან გადაცდომის სათანადოდ კვალიფიცირებისთვის.

## თავი VI. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების მხარეები და მონაწილე პირები

ქართული სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობა შემუშავდა გერმანელ და ქართველ ექსპერტთა ერთობლივი მუშაობის შედეგად, თუმცა უშუალოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ნაკლებადაა ასახული გერმანიის გამოცდილება და შესაბამისი დარგის უმნიშვნელოვანესი წყაროები, რომლის გაზიარება აუცილებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსისთვისაც. გერმანიის კანონმდებლობის გაზიარების საჭიროება იკვეთება როგორც დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების განსაზღვრის და რეგულირების, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების სტადიების და პრინციპების დადგენის მხრივ.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოება საკმაოდ კომპლექსური პროცესია, რომელიც მიმდინარეობს სხვადასხვა ნორმის დაცვით. მნიშვნელოვანია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მითითებულ პროცესში მკაფიოდ იყოს გაწერილი ყველა მონაწილის და მხარის უფლება-მოვალეობები.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების მონაწილე პირები მხარეთა საჭიროებების და საქმის გარემოებების ყოველმხრივი და სრული გამოკვლევის მიზნით უნდა იქნენ ჩართულნი აღნიშნულ წარმოებაში. საქმის წარმოების მონაწილეებს, საქმის განმხილველი ორგანოებისა და მხარეების გარდა, ასევე წარმოადგენენ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ან/და დაზარალებულის კანონიერი წარმომადგენელი, ადვოკატი, მოწმე, ექსპერტი და თარჯიმანი. საქმის წარმოებისას ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით აუცილებელია მათი შესაბამისი უფლებებით და მოვალეობებით აღჭურვა, რაც მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით სათანადოდ არ არის მოწესრიგებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემულ თავში

განხილული იქნება არსებული რეგულაციები და შემოთავაზებული იქნება მათი გაუმჯობესების გზები.

## 1. საქმის განმხილველი უფლებამოსილი ორგანოები

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-200 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავენ:

- რაიონის (ქალაქის) სასამართლოები, მოსამართლეები (ადმინისტრაციული მოსამართლეები);
- შინაგან საქმეთა ორგანოები, სახელმწიფო ინსპექციის ორგანოები და საქართველოს საკანონმდებლო აქტებით საამისოდ უფლებამოსილი სხვა ორგანოები (თანამდებობის პირები).

სამართალდარღვევათა საქმეების განხილვაზე უფლებამოსილი კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოები განსაზღვრულია კოდექსის XVI თავით - „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების ქვემდებარეობა“. თუმცა, როგორც აღინიშნა, კოდექსი, აღნიშნულ თავში მითითებული უწყებების გარდა, ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, სხვა ორგანოების (თანამდებობის პირების) მხრიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების ჩატარებას. აღნიშნულის ნათელი მაგალითია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელიც არ არის მითითებული კოდექსის XVI თავში როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების უფლებამოსილების მქონე უწყება და ხსენებული უფლებამოსილება გამომდინარეობს „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონიდან, რომლის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, თუ სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური გამოავლენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, იგი უფლებამოსილია შეადგინოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი

და, შესაბამისად, მონაცემთა დამმუშავებელს ან/და უფლებამოსილ პირს დააკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. ხოლო, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში ჩადენილი სამართალდარღვევებისთვის პასუხისმგებლობა განისაზღვრება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-54 მუხლებით და მითითებული სამართალდარღვევები არ არის გაწერილი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში.

მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-200 მუხლის დათქმა შესაცვლელია ვინაიდან, ის ერთის მხრივ იმპერატიულად განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისათვის უფლებამოსილი ორგანოებს წარმოადგენენ: რაიონის (ქალაქის) სასამართლოები, მოსამართლეები (ადმინისტრაციული მოსამართლეები) შინაგან საქმეთა ორგანოები, სახელმწიფო ინსპექციის ორგანოები, ხოლო მეორე მხრივ აღნიშნული მუხლში უშვებს გამონაკლისს და მე-2 პუნქტში უთითებს სხვა უწყებების მხრიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების უფლებამოსილების შესახებ, კერძოდ - „და საქართველოს საკანონმდებლო აქტებით საამისოდ უფლებამოსილი სხვა ორგანოები (თანამდებობის პირები).“

გარდა იმისა, რომ შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შემდეგ აუცილებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ყველა უფლებამოსილი ორგანოს მითითება კოდექსის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ქვემდებარეობის თავში, ასევე საჭიროა სამართალდარღვევათა საქმეების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოების განმსაზღვრელი მუხლის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, სადაც უშუალოდ უწყებების დასახელების გარეშე უნდა გაიწეროს, რომ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვაზე უფლებამოსილი კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოები თითოეული სამართალდარღვევისთვის განისაზღვრება ამ კოდექსით და

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. ამასთან, აქვე მისათითებელია, რომ უფლებამოსილი ორგანოების განსაზღვრა უნდა განხორციელდეს მათ დარგობრივ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მიხედვით.

იმისათვის, რომ საქმის განმხილველი პირი იყოს უფლებამოსილი აწარმოოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმე, ის უნდა აკმაყოფილებდეს უწყებრივ ქვემდებარეობას და ტერიტორიულ განსჯადობას. მითითებული საკითხის დარეგულირება კი, მიზანშეწონილია მოხდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი ნორმების მეშვეობით, რაც არ არის სიახლე საერთაშორისო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობისთვის. კერძოდ, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“ გერმანიის კანონის 36-ე და 37-ე მუხლებით განსაზღვრულია, ადმინისტრაციული ორგანოს როგორც უწყებრივი ქვემდებარეობა, ასევე ტერიტორიული განსჯადობა.

უწყებრივი ქვემდებარეობა გულისხმობს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი თავის მეშვეობით, ამა თუ იმ სამართალდარღვევის საქმის განხილვის უფლებამოსილების მინიჭებას კონკრეტული საქმის განმხილველი ორგანოსთვის. ხოლო ტერიტორიული განსჯადობის ქვეშ მოიაზრება ის ორგანო, რომლის სამოქმედო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულშიც მოხდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა ან მისი აღმოჩენა, ასევე, რომლის სამოქმედო ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულშიც აქვს საცხოვრებელი ადგილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენს.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და ადმინისტრაციული წარმოებების შედარებისას განხილული საკითხების საფუძველზე, გამოიკვეთა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის ადმინისტრაციულ სამართალთან მჭიდრო კავშირი და საქმეზე მიღებული საბოლოო დოკუმენტის - დადგენილების, როგორც ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბუნება. მოცემულ შემთხვევაში, საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებაზე უფლებამოსილი პირები



მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისადაც წარმოადგენენ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული ორგანოებს, ვინაიდან ხსენებული კოდექსის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანო არის ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. დამატებით, იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ტერმინი - საქმის განმხილველი უფლებამოსილი ორგანო (თანამდებობის პირი), თავის თავში გულისხმობს ადმინისტრაციულ ორგანოს როგორც ორგანიზაციული, ასევე ფუნქციონალური გაგებით, მიზანშეწონილია, რომ არსებული დასახელება - საქმის განმხილველი უფლებამოსილი ორგანო (თანამდებობის პირი) შეიცვალოს ტერმინით - „ადმინისტრაციული ორგანო“.

## **2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის უფლებამოსილების/ქვემდებარეობის დელეგირება**

გავრცელებული შეხედულებით, საჯარო მმართველობას აქვს ორგანიზაციული მოწყობისა და საქმიანობის სამართლებრივი ფორმის არჩევანის თავისუფლება. ორგანიზაციული მოწყობისა და საქმიანობის ფორმების მიხედვით შესაძლებელია ოთხი შემთხვევის გამოყოფა, რომელთაგან ერთ-ერთი მათგანი სახეზეა მაშინ, როდესაც კერძო-სამართლებრივი ფორმით მოწყობილი საჯარო მმართველობა მოქმედებს საჯარო-სამართლებრივი ფორმით.

კერძო სამართლის იურიდიული პირები არ არიან უფლებამოსილნი, გამოიყენონ საქმიანობის საჯარო-სამართლებრივი ფორმები. მიუხედავად ამ ზოგადი პრინციპისა, სახელმწიფოს შეუძლია, შექმნას კერძო სამართლის იურიდიული პირი და აღჭურვოს ის საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსი-

ლებებით. ეს არის საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც ხორციელდება კანონის შესაბამისად ან საფუძველზე, ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში. ეს დაშვება გამომდინარეობს მმართველობის ეკონომიურობის პრინციპიდან. მმართველობითი უფლებამოსილებებით კერძო პირების აღჭურვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც რაიმე საქმიანობის განხორციელება მოითხოვს სპეციალურ ცოდნას და ამ მიზნით შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების შექმნა დიდ ფინანსურ დანახარჯებთან იქნებოდა დაკავშირებული მაშინ, როდესაც კერძო პირებს მისი შესრულება იმავე ხარისხით და, ამასთან, ნაკლები დანახარჯებით შეუძლიათ.<sup>134</sup>

საგულისხმოა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ განსაზღვრავს უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან მის ქვემდებარეობაში არსებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების დელეგირების შესაძლებლობას, მაშინ როდესაც, სახელმწიფო ორგანოები აღნიშნულ უფლებამოსილებას პრაქტიკაში ხშირად იყენებენ ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის კოდექსის დებულებებიდან გამომდინარე.

მაგალითად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 209<sup>3</sup>-ე მუხლის თანახმად, ამ კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125<sup>2</sup>-ე მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებს განიხილავს მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს შესაბამისი სამსახური ან მის მიერ უფლებამოსილი პირი. თუმცა, პრაქტიკაში აღნიშნული უფლებამოსილებით შესაბამისი დელეგირების საფუძველზე სარგებლობს კერძო სამართლის სუბიექტი - შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“. დელეგირების საფუძველი კი არის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №16-53 დადგენილება, რომლის შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით და 125<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებულ

<sup>134</sup> ტურავა პ. წვეპლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. თბილისი, 2010, 18

სამართალდარღვევებზე საჯარიმო ქვითრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენის უფლებამოსილება მიენიჭა შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“.

გასათვალისწინებელია, რომ ზემოაღნიშნული შესაძლებლობა უცხო არ არის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა დარგისთვის. კერძოდ, „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“ გერმანიის კანონის 36-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ორგანოებს შესაბამისი დადგენილების საფუძველზე შეუძლიათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვის სხვა უწყებებისთვის დელეგირება.

აღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც გაიწეროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების ქვემდებარეობის დელეგირების შესაძლებლობა და პირობები. სამართალდარღვევათა საქმეების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოების განმსაზღვრელ მუხლში ასევე უნდა მიეთითოს, რომ სამართალდარღვევათა საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს უფლება აქვს შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების უფლებამოსილება გადასცეს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების მონაწილედ ურთიერთდახმარებისას შეიძლება მიჩნეულ სხვა ადმინისტრაციული ორგანოც.

### **3. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი**

ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი არის სამართალდარღვევის სუბიექტი (იხ. თავი I) რომელიც სამართალდამრღვევის საქმის წარმოების მთავარი მონაწილე და იმავდროულად საქმის წარმოების სუბიექტია. აღნიშნულიდან გამომდინარე, მას გააჩნია მთელი რიგი უფლებები.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირს უფლება აქვს:

- გაეცნოს საქმის მასალებს,
- მისცეს ახსნა-განმარტებანი,
- წარადგინოს მტკიცებულებანი,
- განაცხადოს შუამდგომლობანი;
- საქმის განხილვისას ისარგებლოს ადვოკატის იურიდიული დახმარებით;
- გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით;
- გაასაჩივროს საქმის გამო მიღებული დადგენილება.

ამავე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება იმ პირის თანდასწრებით, რომელიც მიცემულია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. ამ პირის დაუსწრებლად საქმე შეიძლება განხილულ იქნეს მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, როცა არის ცნობა მისთვის საქმის განხილვის ადგილისა და დროის დროული შეტყობინების შესახებ და მისგან არ შემოსულა შუამდგომლობა საქმის განხილვის გადადების თაობაზე.

საგულისხმოა, რომ სამართალდარღვევათა კოდექსის გარკვეული მუხლებით<sup>135</sup> გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის დასწრება სავალდებულოა. თუ ეს პირი თავს არიდებს შინაგან საქმეთა ორგანოს ან ადმინისტრაციული სასამართლოს (მოსამართლის) გამოძახებით გამოცხადებას, იგი შეიძლება იძულებით იქნეს მიყვანილი შინაგან საქმეთა ორგანოს მიერ.

მოქმედი სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს სამართალდამრღვევის დაჯარიმების შესაძლებლობას მაშინაც, როდესაც იგი არ

---

<sup>135</sup>საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 252-ე მუხლის 1<sup>1</sup> პუნქტი

იმყოფება სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე. მაგალითად, ავტოტრანსპორტის პარკირების წესების დარღვევისას და დგომა-გაჩერების წესებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნის დაუცველობისას მძღოლის ადგილზე ყოფნა არ არის საჭირო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. თუმცა, იქედან გამომდინარე, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების მომენტისათვის სამართალდამრღვევი ადგილზე არ იმყოფება, ვერ ხდება მისთვის ზემოაღნიშნული მუხლით დადგენილი უფლებების რეალიზება (არ აქვს ახსნა-განმარტების მიცემის შესაძლებლობა და ა.შ.) და კოდექსი ითვალისწინებს, აღნიშნულ შემთხვევაში ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემულ პირს ხსენებული მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები უნდა განემარტოს წერილობით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი განსაზღვრავს მთელ რიგ შემთხვევებს, რა დროსაც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის დასწრება სავალდებულოა<sup>136</sup>. ხოლო, თუ ეს პირი თავს არიდებს შინაგან საქმეთა ორგანოს ან ადმინისტრაციული სასამართლოს (მოსამართლის) გამოძახებით გამოცხადებას, იგი შეიძლება იძულებით იქნეს მიყვანილი შინაგან საქმეთა ორგანოს მიერ.<sup>137</sup>

მიზანშეწონილია ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არ იყოს მსგავსი შინაარსის ნორმა, რომელიც ითვალისწინებს საქმის წარმოების ეტაპზე სამართალდამრღვევის იძულებით მიყვანას, ვინაიდან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების ბუნებიდან გამომდინარე, ხსენებული ხასიათის იძულებითი ღონისძიებების გატარება არ არის გონივრული. მსგავს შემთხვევაში პირი საქმის განმხილველი უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან ინფორმირებული უნდა იყოს, რომ მიმდინარეობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოება, იგი მიჩნეულია სავარაუდო სამართალდამრღვევად და

<sup>136</sup>252-ე მუხლის მე-2 პუნქტი

<sup>137</sup>ამავე მუხლის მე-3 პუნქტი

სარგებლობს ყველა ზემოაღნიშნული უფლებით. უშუალოდ საქმის განხილვის ეტაპზე დასწრება კი, მისი უფლებამოსილება და არა ვალდებულება უნდა იყოს. ამასთან, საქმის განმხილველი ორგანოსთვის წარმოების მიმდინარეობისას სავარაუდო სამართალდამრღვევის მიერ შესაბამისი ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის მიუწოდებლობა და სათანადო წესით დაბარების შემთხვევაში ახსნა-განმარტების მისაცემად არასაკაპიო მიზეზით გამოუცხადებლობა, შესაძლოა განხილულ იქნას, როგორც მისი მხრიდან სამართალდარღვევის ჩადენის დადასტურება.

#### 4. დაზარალებული

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისას დაზარალებულად მიიჩნევა პირი, რომელსაც მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ მიაყენა ზიანი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მოქმედი რედაქცია აკონკრეტებს პირისათვის მიყენებულ ზიანს და პირის დაზარალებულად მიჩნევის წინაპირობად უშვებს მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანის მიყენებას. მიზანშეწონილია, კოდექსის აღნიშნული მიდგომა შეიცვალოს, ზიანთან დაკავშირებული დათქმა კონკრეტიკის გარეშე განზოგადდეს და გრამატიკულადაც დაიხვეწოს მუხლის რედაქცია, რადგან არსებული ფორმულირება - „მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი“ იძლევა იმის აღქმის საფუძველს, რომ მხოლოდ ერთ-ერთი ზიანი უნდა მიადგეს პირს, როდესაც პრაქტიკაში მართლსაწინააღმდეგო ქმედებამ შესაძლოა პირს მიაყენოს მორალურიც, ფიზიკურიც და ქონებრივი ზიანიც.

შესაბამისად, ახალი რედაქციით, დაზარალებულად უნდა ჩაითვალოს ყველა ის პირი, რომელსაც ადმინისტრაციულმა სამართალდარღვევამ მიაყენა *მატერიალური ან/და არამატერიალური* ზიანი.

კოდექსის 253-ე მუხლი განახლებას ასევე საჭიროებს დაზარალებულის უფლებების ნაწილში. მოქმედი ფორმულირებით, დაზარალებულს უფლება

აქვს გაეცნოს საქმის ყველა მასალას, განაცხადოს შუამდგომლობები, გაასაჩივროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის გამო მიღებული დადგენილება. გაუგებარია, რატომ ზღუდავს კანონმდებლობა დაზარალებულის უფლებას, მხოლოდ საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრებით, ვინაიდან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი გარკვეულ შემთხვევებში ითვალისწინებს საქმის წარმოების დასრულებას და შესაბამისი სახდელის დაკისრებას საქმის განმხილველი უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან დადგენილების მიღების გარეშეც.

მაგალითად, კოდექსის 242-ე მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისას ოქმი არ შედგება. ამავე მუხლით, გარკვეული გადაცდომების შემთხვევაში დაშვებულია პირისთვის საჯარიმო ქვითრის ადგილზე გამოწერა, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. ამასთან, კოდექსის 240-ე მუხლის 2<sup>1</sup> პუნქტის თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი პირის მიერ გამოცემულ ელექტრონულ საჯარიმო ქვითარს ხელს აწერს მისი გამომცემი უფლებამოსილი პირი. ელექტრონული საჯარიმო ქვითარი კი, სამართალდამრღვევისთვის ჩაბარებულად ჩაითვლება უფლებამოსილი პირის მიერ მისი ამობეჭდვის შემთხვევაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მუხლის ახალი რედაქციით დაზარალებულს უნდა შეეძლოს არამხოლოდ დადგენილების, არამედ სამართალდარღვევის საქმესთან დაკავშირებით მიღებული ყველა სამართლებრივი აქტის გასაჩივრება.

## **5. ადვოკატი/დამცველი**

როგორც აღინიშნა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადამიანის უფლებათა დაცვის სათანადო სტანდარტებს ვერ აწესებს.

აღნიშნული ასევე თვალსაჩინოა ადვოკატისთვის საქმის წარმოებისას საკმაოდ მცირე უფლებამოსილებების მინიჭების შემთხვევაშიც. კერძოდ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაში მონაწილე ადვოკატს უფლება აქვს: გაეცნოს საქმის ყველა მასალას; განაცხადოს შუამდგომლობანი; იმ პირის დავალებით, რომელმაც იგი მიიწვია, და მისივე სახელით შეიტანოს საჩივარი საქმის გამო მიღებულ დადგენილებაზე.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის დახვეწის მიზნით, საჭიროა განისაზღვროს, რომ ადვოკატის მეშვეობით სამართალდარღვევის საქმის წარმოების უფლება დაზარალებულთან ერთად ასევე აქვს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირსაც. ამასთან, საჭიროა გაიზარდოს სამართალდარღვევის საქმის განხილვაში მონაწილე ადვოკატის უფლებები და დაემატოს მისი მარწმუნებლის ინტერესებისთვის დასაცავად საპროცესო მოქმედებების, მათ შორის საკუთარი სახელით საჩივრის წარდგენის უფლებამოსილება.

ამასთან, მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 255-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ადვოკატის უფლებამოსილება დასტურდება იურიდიული კონსულტაციის მიერ გაცემული ორდერით. გაურკვეველია თუ რა იგულისხმება კოდექსის მიზნებისთვის იურიდიული კონსულტაციის ცნების ქვეშ და რატომ არ ითვალისწინებს აღნიშნული დანაწესი ადვოკატის უფლებამოსილების განხორციელებას კანონით დადგენილი წესით გაფორმებული რწმუნებულებით (მინდობილობით).

აღნიშნული რედაქცია ასევე საჭიროებს ცვლილებებს და ადვოკატის უფლებამოსილების დადასტურება ადვოკატის ორდერის გარდა, ასევე შესაძლებელი უნდა იყოს სანოტარო ან/და მასთან გათანაბრებული წესით გაფორმებული რწმუნებულებით (მინდობილობით). მინდობილობები უნდა დადასტურდეს სანოტარო წესით ან შედგენილი იქნეს „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის საფუძველზე.



## 6. კანონიერი წარმომადგენელი

გარკვეულ შემთხვევებში ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ან/და დაზარალებულის ინტერესების დაცვა შესაძლოა განხორციელდეს კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 254-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული იმ პირისა და დაზარალებულის ინტერესების დაცვის უფლება, რომლებსაც ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო თვითონ არ შეუძლიათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე განახორციელონ თავიანთი უფლებები, აქვთ მათ კანონიერ წარმომადგენლებს (მშობლები, მშვილებლები, მეურვეები, მზრუნველები, მხარდამჭერები).

ხსენებული ფორმულირება შესაბამისობაშია მოსაყვანი ადამიანის უფლებების და თავისუფლებების დაცვის თანამედროვე სტანდარტებთან. აღნიშნული მიზნით, მიზანშეწონილია ტერმინი „ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი“ შეიცვალოს და მიეთითოს იმგვარ „მდგომარეობაზე“, რა დროსაც ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირს ან/და დაზარალებულს სათანადოდ არ შეუძლია საკუთარი უფლებების დაცვა.

საქმის წარმოების პროცესში კანონიერი წარმომადგენლები ხშირად გვევლინებიან როგორც არასრულწლოვანი პირების უფლებების დამცველნი, ხოლო აღნიშნულის საფუძველი ზემოაღნიშნული მუხლის არასწორი ფორმულირებაა, ვინაიდან არასრულწლოვნები ექცევიან იმ პირების ქვეშ, რომლებსაც „ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო თვითონ არ შეუძლიათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე განახორციელონ თავიანთი უფლებები.“ ცალსახაა, რომ არასრულწლოვანება არ წარმოადგენს ფიზიკურ ან ფსიქიკურ ნაკლს და ამ მხრივაც პრობლემურია ხსენებული მუხლი. შესაბამისად, ახალი რედაქციით ასევე უნდა განისაზღვროს, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული არასრულწლოვანი პირების ინტერესებს იცავენ მათი კანონიერი წარმომადგენლები.

ამასთან, როგორც ნაშრომშია აღნიშნული, როდესაც პირს არ აქვს საკმარისი ქონება ან შემოსავალი დაკისრებული სახდელის გადახდის უზრუნველსაყოფად, შესაძლოა კანონიერ წარმომადგენლებს დაეკისროთ შესაბამისი ვალდებულების შესრულება.

## 7. მოწმე

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მოწმედ შეიძლება გამოძახებულ იქნეს ყველა პირი, რომლებმაც შესაძლოა რაიმე იცოდნენ ამ საქმესთან დაკავშირებით დასადგენ გარემოებათა შესახებ. მოწმე მოვალეა იმ ორგანოს (თანამდებობის პირის) გამოძახებით, რომლის წარმოებაშიც იმყოფება საქმე, გამოცხადდეს დანიშნულ დროს, აცნობოს რაც იცის საქმის შესახებ და უპასუხოს დასმულ კითხვებზე.<sup>138</sup> შესაბამისად, მოწმედ შესაძლებელია გამოკითხულ იქნეს მესამე პირი ან მხარესთან კავშირში მყოფი პირი, რომელსაც არ აქვს მინიჭებული მხარის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება.

სასურველია, მოწმის მიერ ჩვენების მიცემა დასაშვები იყოს საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მხარე იშუამდგომლებს საქმის განმხილველი ორგანოს წინაშე ამა თუ იმ პირის მოწმედ გამოკითხვის შესახებ, იგი ვალდებული უნდა იყოს მიუთითოს მისი პერსონალური მონაცემები და აგრეთვე ის, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რა გარემოების დადასტურება შეუძლია მას.

მოქმედი კანონმდებლობა სისხლის სამართლის პროცესისგან განსხვავებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისას არ უთითებს იმ პირების ჩამონათვალს, რომლებიც არ შეიძლება გამოკითხულ იქნენ, როგორც მოწმეები. ადამიანის უფლებათა დაცვის და საქმის წარმოების სამართლიანად ჩატარების მიზნით, მიგვაჩნია, რომ აუცილებელია მსგავსი დათქმის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არსებობა და

---

<sup>138</sup>ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 256-ე მუხლი.

იმ პირთა წრის განსაზღვრა, რომელთა მოწმეებად გამოძახება და დაკითხვა არ შეიძლება, მაგალითად: სასულიერო პირი, გარკვეული ფიზიკური ნაკლისა ან ფსიქიკურ მდგომარეობაში მყოფი პირი, ასევე უნდა მიეთითოს იმ პირთა ჩამონათვალი, რომლებსაც უფლება აქვთ უარი განაცხადონ ჩვენების მიცემაზე, მაგალითად: მხარეთა მეუღლეები, ახლო ნათესავები და ა.შ.

## 8. ექსპერტი

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას, როგორც წესი, საკმარისია საქმის განმხილველი შესაბამისი ორგანოს კომპეტენცია და სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით განსაზღვრავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების ქვემდებარეობის საკითხს. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით საჭიროა უფრო სპეციალიზირებული ცოდნა, რომელსაც კონკრეტულ დარგში ფლობს ექსპერტი. იგი ეხმარება გადაწყვეტილების მიმღებ საქმის განმხილველ ორგანოს ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევასა და შეფასებაში.

მოქმედი კანონმდებლობით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების დროს, ექსპერტი ვალდებულია გამოცხადდეს გამოძახებით და მისცეს ობიექტური დასკვნა განსახილველ საკითხებზე. ექსპერტს უფლება აქვს:

- გაეცნოს საქმის მასალებს, რომლებიც შეეხება ექსპერტიზის საგანს;
- განაცხადოს შუამდგომლობები მისთვის დასკვნის მისაცემად საჭირო დამატებითი მასალების გადაცემის შესახებ;
- ორგანოს (თანამდებობის პირის) ნებართვით, რომლის წარმოებაში იმყოფება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე, პასუხისგებაში მიცემულ პირს, დაზარალებულს, მოწმეებს მისცეს შეკითხვები, რომლებიც შეეხება ექსპერტიზის საგანს;

- დაესწროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვას.

თუმცა, ქართული კანონმდებლობა არ განსაზღვრავს ექსპერტის დასკვნის როლს და სამართლებრივ მდგომარეობას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პროცესში. ამ მხრივ გასათვალისწინებელია, რომ „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“ გერმანიის კანონის 46-ე მუხლის თანახმად, ექსპერტი იძლევა ან აბსტრაქტულ ცნობებს ან/და წარმოადგენს საექსპერტო დასკვნას იმ საგნებთან დაკავშირებით, რომელიც მას გადაეცა დევნის განმახორციელებელი ორგანოს მიერ ან ითხოვს დასკვნის შედგენისთვის გარემოებებში დამატებით გარკვევის შესაძლებლობას. გერმანიის კანონმდებლობით, ის, თუ რა მტკიცებულებითი ღირებულება გააჩნია ექსპერტის მითითებას, თითოეულ შემთხვევაში უნდა გადაწყვიტოს საქმეზე გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანომ/პირმა. არც ადმინისტრაციულ ორგანოს და არც სასამართლოს არ აქვთ უფლება „ბრმად“ გაიზიარონ ექსპერტის შეფასება. აუცილებელია, მათი მხრიდან საკუთარი პოზიციის დაფიქსირება.<sup>139</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმეზე ექსპერტის დანიშვნა და ექსპერტის დასკვნა ინსპექტირების სუბიექტისათვის სავალდებულო არ უნდა იყოს, მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკაში აღნიშნული დაკავშირებულია მნიშვნელოვან ხარჯებთან და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა გააჩნდეთ სათანადო ღონისძიებების გატარების ნორმატიული საფუძვლები და ამასთან, უნდა იზრუნონ, რომ კონკრეტულ თანამდებობებზე შეარჩიონ კვალიფიციური კადრები, რომლებიც თავიანთი უნარ-ჩვევების და პროფესიონალიზმის გამოყენებით შეძლებენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების სათანადო ჩატარებას.

აუცილებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესაბამისი რეგულაციის არსებობა, რომლითაც დადგინება, რომ

---

<sup>139</sup> Bohnert J., Bülte J., Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016, 93

ექსპერტის დასკვნა საქმის განმხილველი ორგანოსთვის სავალდებულო არ არის და იგი განხილულ უნდა იქნას, როგორც საქმეზე არსებული ერთ-ერთი მტკიცებულება. თუმცა, მიზანშეწონილია ექსპერტის დასკვნას მიენიჭოს უფრო მაღალი სტატუსი სხვაგვარი მტკიცებულებებისაგან განსხვავებით (მაგალითად, ახსნა-განმარტება, ფოტომასალა, ვიდეომასალა და ა.შ.) და იმ შემთხვევაში, თუ ორგანოს არ გაითვალისწინებს ექსპერტის დასკვნას, მან შესაბამის სამართლებრივ აქტში უნდა იმსჯელოს აღნიშნულის შესახებ და დაასაბუთოს მისი გაუთვალისწინებლობის მიზეზები.

## 9. თარჯიმანი

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებაში თარჯიმნის მონაწილეობა გამომდინარეობს ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული პირის უფლებიდან - გამოვიდეს მშობლიურ ენაზე და თუ არ იცის მიმდინარე წარმოების ენა, ისარგებლოს თარჯიმნის მომსახურებით.

მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 258-ე მუხლის თანახმად, თარჯიმანს დანიშნავს ორგანო (თანამდებობის პირი), რომლის წარმოებაში იმყოფება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე. ხოლო, თარჯიმანი მოვალეა გამოცხადდეს ორგანოს (თანამდებობის პირის) გამოძახებით და სრულად და ზუსტად შეასრულოს მისთვის დავალბებული თარგმანი.

მიზანშეწონილია, რომ შესაბამისი ცვლილებების შედეგად მოქმედ რედაქციაში აღინიშნოს, რომ საქმის განმხილველი ორგანო (თანამდებობის პირი) საკუთარი ხარჯით ნიშნავს თარჯიმანს. რაც შეეხება თარჯიმნის მოვალეობების ნაწილს, გარდა მითითებისა, რომ თარჯიმანი მოვალეა გამოცხადდეს ორგანოს (თანამდებობის პირის) გამოძახებით და სრულად და ზუსტად შეასრულოს მისთვის დავალბებული თარგმანი, სასურველია თუ რას იწვევს აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა გაიწეროს, რომ განზრახ არასწორი თარგმნისთვის

თარჯიმანს დაეკისრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 348<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (ადმინისტრაციულ წარმოებაში ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემა ანდა განზრახ არასწორად თარგმნა). თარჯიმნის უფლებების დაცვის მიზნით კი, აუცილებელია აღნიშნულის შესახება მისი გაფრთხილება თარგმნის დაწყებამდე, რაც ასევე უნდა მიეთითოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის აღნიშნულ მუხლში.

## 10. დაინტერესებული მხარე

იმის, გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, ზემოაღნიშნული მონაწილეების გარდა შესაძლოა გავლენას ახდენდეს სხვა პირებზეც, მიზანშეწონილია ახალმა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსმა გაიზიაროს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიდგომა და განსაზღვროს დაინტერესებული მხარის ცნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების ან/და მისი დასრულების შემდეგ, ისინი ისარგებლებენ გარკვეული (მათ შორის გასაჩივრების) უფლებებით. შესაბამისად, დაინტერესებულ მხარედ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების მიზნებისთვის უნდა წარმოადგენდეს - ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომელთან დაკავშირებითაც გამოცემულია და რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციული განკარგულება.

## 11. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების მონაწილე პირების და მხარეების გამიჯვნა

მოცემულ თავში მითითებული პირების და მათი უფლებამოვალეობების განსაზღვრასთან ერთად, საჭიროა ახალი ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლებით დადგინდეს მათი სტატუსიც.

ზემოხსენებული პირების უფლებამოსილებების გათვალისწინებით, ადმინისტრაციული წარმოების მხარეებად უნდა ჩაითვალოს ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც სამართალდარღვევის შესახებ გამოსცემს ადმინისტრაციულ დადგენილებას, სავარაუდო სამართალდამრღვევი, რომლის მიმართაც მიმდინარეობს საქმის წარმოება ან/და პირი, რომელიც ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად.

ხოლო, ადმინისტრაციული წარმოების მონაწილეები არიან ადმინისტრაციული წარმოების მხარეები და ის პირები, რომლებიც, მხარეთა უფლებების დაცვის და საქმის გარემოებების სრულყოფილი გამოკვლევის მიზნით უნდა ჩაერთონ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებაში. ამასთან, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს, რომ ადმინისტრაციული წარმოების მონაწილეებს, მხარეების გარდა წარმოადგენენ დაზარალებული, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ან/და დაზარალებულის კანონიერი წარმომადგენელი, ადვოკატი, მოწმე, ექსპერტი, სპეციალისტი, თარჯიმანი.

## თავი VII. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე არსებული ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა

მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან დაკავშირებით სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებისა და შესაბამისი ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებისთვის მთავარ წინაპირობას სამართალდარღვევის საქმესთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოების დადგენა, მათი სრული გამორკვევა და შესწავლა წარმოადგენს.

### 1. მტკიცებულებები

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების მიზნებისთვის მტკიცებულებების დაყოფა შესაძლებელია ორ ნაწილად - ფორმალურ და ე.წ. თავისუფალ მტკიცებულებებად.<sup>140</sup>

- ფორმალური მტკიცებულებებია: მოწმეთა ჩვენებები; ექსპერტების შეფასებები; ცნობები (მათ შორის, მხარეების ახსნა-განმარტებები, გარკვეული ტექნიკური საშუალებების გამოყენების გზით მიღებული ჩანაწერები და ა.შ.) და ადგილზე დათვალიერება. მითითებული დასახელება გამომდინარეობს იქიდან, რომ აღნიშნული მტკიცებულებები მოპოვებულ უნდა იქნას საქმის არსებითი განხილვის პროცესში დადგენილი სპეციალური ფორმალური მოთხოვნების შესაბამისად.
- ე. წ. თავისუფალი მტკიცებულებები კი, წარმოადგენენ ყველა სხვა სახის ინფორმაციას/დოკუმენტაციას, რომლებსაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის და რომელთა მოპოვება/მიღება შესაძლებელია დასაშვები გზით. მაგალითად, სხვა ადმინისტრაციული ორგანოსგან მიღებული, სატელეფონო გამოკითხვის შედეგად, მედიასაშუალებების, საგაზეთო

<sup>140</sup> Bohnert J., Bülte J., Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016, 90-91



პუბლიკაციების ან/და ინტერნეტის მეშვეობით გავრცელებული ინფორმაცია.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე მტკიცებულებას წარმოადგენს ყველა ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ორგანო (თანამდებობის პირი) დაადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, პირის ბრალეულობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის.

ამავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით კი, ეს მონაცემები დადგინდება შემდეგი საშუალებებით: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმით, ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის ახსნა-განმარტებით, დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებებით, ექსპერტის დასკვნით, ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის (ტესტირების) შედეგებით, ვიდეოფირით ან ფოტოფირით, ნივთიერი მტკიცებულებით, ნივთისა და დოკუმენტის ამოღების ოქმით და სხვა დოკუმენტებით.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში საჭიროა მტკიცებულებების განმსაზღვრელი ნორმის განახლებული რედაქციით ჩამოყალიბება, სადაც მითითებული იქნება, უფლებამოსილ ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პროცესში სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის დადგენის საშუალებები, კერძოდ:

- სამართალდარღვევის ოქმი ან/და საქმისწარმოებისას მიღებული სხვა სამართლებრივი აქტები;
- სამართალდამრღვევის ახსნა-განმარტებები, მათ შორის მისი აღიარება;
- სხდომის ოქმები;
- ფაქტების კონსტატაციის მასალები;
- საჯარო წყაროებიდან მოპოვებული ან სხვა გზით გასაჯაროებული ინფორმაცია ან დოკუმენტი;

- დაზარალებულისგან/და მოწმის ჩვენებები;
- ექსპერტის დასკვნა;
- ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული გამოკვლევის შედეგები;
- ვიდეოფირი ან ფოტოფირი;
- ნივთიერი მტკიცებულებები;
- შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირის მიერ შედგენილი რაიმე გარემოების ან ქმედების აღმწერი აქტი/ოქმი;
- უფლებამოსილი პირის ან ორგანოს მიერ მომზადებული, გამოცემული ან/და დამოწმებული დოკუმენტები;
- საქართველოს კანონმდებლობის დაცვით მოპოვებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია ან დოკუმენტი ან მასალა, რომელსაც მნიშვნელობა ექნება საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენისთვის.

ამასთან, მოქმედი რედაქციისგან განსხვავებით, ახალ კოდექსში მკაფიოდ უნდა მიეთითოს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისას მტკიცებულებას წარმოადგენს მხოლოდ კანონით დადგენილი წესით მოპოვებული ფაქტობრივი მონაცემი, რომელთა საფუძველზეც, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, ადმინისტრაციული ორგანო დაადგენს სამართალდარღვევის არსებობას ან არარსებობას, ასევე, პირის მონაწილეობას მის ჩადენაში და სხვა გარემოებებს, რომლებსაც მნიშვნელობა აქვს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის. მტკიცებულება ლოგიკურ კავშირში უნდა იყოს იმასთან, რის დასამტკიცებლადაც ხდება მისი მოძიება.

## 2. მტკიცებულებების მოპოვების გზები

იმის გათვალისწინებით, რომ სამართალდარღვევის საქმეზე შეიძლება გამოყენებულ იქნეს მრავალი სახის მტკიცებულება, საჭიროა კანონმდებლობამ ამ ნაწილში დაადგინოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა

საქმის განმხილველი ორგანოს უფლებამოსილების ფარგლები, რათა მან ბოროტად არ გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები და უკანონო გზით არ შეაგროვოს შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია. ამისათვის საჭიროა, მტკიცებულებების მოპოვების ფარგლების და წესის დადგენა, რაც მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით არ არის გათვალისწინებული.

საგულისხმოა, რომ ქართული კანონმდებლობისთვის უცხო არ არის შესაბამისი წარმოების პროცესში სახელმწიფო უწყებების უფლებამოსილების ფარგლების დადგენა. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი ადმინისტრაციულ წარმოებაში მტკიცებულებათა გამოკვლევის მიზნით ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებებს და 97-ე მუხლის (მტკიცებულებათა გამოკვლევა ადმინისტრაციულ წარმოებაში) საფუძველზე განსაზღვრავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო საქმის გარემოებებიდან გამომდინარე უფლებამოსილია:

- გამოითხოვოს დოკუმენტები;
- შეაგროვოს ცნობები;
- მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს;
- დაათვალიეროს მოვლენის ან შემთხვევის ადგილი;
- დანიშნოს ექსპერტიზა;
- გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები;
- მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით მიმართოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა ზომებს.

ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით აუცილებელია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მითითებული რეგულაციის სრული გაზიარება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების თავისებურებების გათვალისწინებით. გამომდინარე იქედან, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის გარე-

მოებათა გამოკვლევისას ან მტკიცებულებათა შეფასებისას შესაძლოა აუცილებელი გახდეს ისეთი დამატებითი ღონისძიებების განხორციელება, როგორცაა - აუდიო/ვიდეო/ფოტო გადაღება ან შესაბამისი პირის დაკითხვა, ზემოაღნიშნულ ჩამონათვალს მიზანშეწონილია დაემატოს ორი მოქმედების განხორციელების შესაძლებლობა: მოწმის, ექსპერტის, სპეციალისტის დაკითხვა და აუდიო/ვიდეო/ფოტო გადაღების განხორციელება.

მტკიცებულებების მოპოვების მხრივ, საინტერესოა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ გერმანიის კანონის 46-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისას შესაძლოა შესაბამისი პროცედურის დაცვით (მაგალითად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე) გატარებულ იქნას სისხლის სამართლის პროცესით დადგენილი ღონისძიებები, მათ შორის - მტკიცებულებების მოპოვების მიზნით ჩხრეკის ჩატარება.<sup>141</sup> მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ღონისძიება ზრდის როგორც საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად მნიშვნელოვანი ინფორმაციისა და ცნობების მოპოვების შესაძლებლობას, ისე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების მნიშვნელობას ქვეყნის სამართლებრივ სისტემაში და საქმის განმხილველი ორგანოების რეპუტაციას, შესაფასებელია რამდენად მიზანშეწონილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ გერმანიის კანონით გათვალისწინებული მსგავსი მიდგომის გაზიარება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით.

### **3. ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარება მტკიცებულებების მოპოვების პროცესში**

როგორც აღნიშნა, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი უფლებამოსილი ორგანოებისა და თანამდებობის პირების

---

<sup>141</sup> „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“ გერმანიის კანონის 46-ე მუხლი; გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი.

დარგობრივი კომპეტენციების შესაბამისად, ადგენს მათ ქვემდებარებაში არსებულ, კოდექსის განსაკუთრებული ნაწილში მითითებული სამართალ-დარღვევების განხილვას. გასათვალისწინებელია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისას მტკიცებულებების მოპოვებისას შესაძლოა საქმისათვის არსებით მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია/დოკუმენტაცია დაცული იყოს სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში. ამასთან, გარკვეულ შემთხვევებში, საქმის განმხილველ ორგანოებს მათი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, კანონმდებლობით არ აქვთ მინიჭებული მტკიცებულებების მოპოვებისთვის გარკვეული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა და შესაძლოა მათ თანამშრომლებს არ გააჩნდეთ სპეციალური ცოდნა და უფლებამოსილებები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ ნაწილში შესაძლოა საჭირო გახდეს, სხვა, სათანადო უფლებამოსილებებით და რესურსებით აღჭურვილი ადმინისტრაციული ორგანოს დახმარება, თუნდაც მტკიცებულებების შეგროვების დავალების თხოვნით.

შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების სრულყოფილად ჩატარების მიზნით, სასურველია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მოხდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიდგომის გათვალისწინება (საგამონაკლისო შემთხვევების მითითებით) ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ შესაძლებლობას ასევე ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ გერმანიის კანონმდებლობაც. გერმანელი მეცნიერი იოაჰიმ ბონერტი განმარტავს, რომ ყველა საჯარო უწყება ვალდებულია მიაწოდოს ადმინისტრაციულ ორგანოს და დევნის განმახორციელებელ სხვა ორგანოებს ინფორმაცია ან თვითონ აწარმოოს ან დაავალოს მოკვლევის წარმოება. ასეთ დახმარებაზე უარი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც: ადმინისტრაციული ორგანო, რომელსაც მიმართავს მეორე ორგანო დახმარების აღმოჩენის თხოვნით არ არის პასუხისმგებელი ამ საკითხზე; დახმარების გაწევა საფრთხეს შეუქმნის საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებას, დახმარებისთვის გასაწევ ძალისხმევასა და

დახმარების მიზნებს შორის თანაზომიერების არ არსებობის შემთხვევაში.<sup>142</sup> ამასთან, გერმანიაში ადმინისტრაციული ორგანო მტკიცებულებების და ინფორმაციის მოძიებასა და თავმოყრას, საჭიროების შემთხვევაში, ახდენს პოლიციის დახმარებით. პოლიციის დახმარების გამოყენება ასევე შესაძლებელია მაშინ, როდესაც არსებობს მტკიცებულებების დაკარგვის საფრთხე.<sup>143</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარების ვალდებულებასთან ერთად, საჭიროა განისაზღვროს ასეთი დახმარების დავალების შესაძლებლობა, ფარგლები და პირობები. ხოლო, გარკვეულ შემთხვევებში (მაგალითად, როდესაც დახმარების აღმოჩენა სცილდება მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს; სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა ზიანს აყენებს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესებს ან/და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა განხორციელებას) გაიწეროს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თაობაზე უარის თქმის საფუძვლები.

#### 4. მტკიცებულებების მოპოვების შეზღუდვა

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისას მტკიცებულებების სახეების და მათი მოპოვების გზების განსაზღვრის გარდა, აუცილებელია დაწესდეს მათი მოპოვების შეზღუდვა, რომლის საფუძველზეც არ იქნება დაშვებული ყველა სახის - როგორც ღია, ისე დახურული ინფორმაციის და დოკუმენტაციის შეგროვება. ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით, საქმის განმხილველი უფლებამოსილი ორგანოების და თანამდებობის პირების მხრიდან მტკიცებულებების მოპოვების პროცესში დაცული უნდა იყოს თანაზომიერების პრინციპი და მათი შეგროვება არ უნდა მოხდეს

---

<sup>142</sup>Bohnert J., Bülte J., Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016, 95

<sup>143</sup>Bohnert J., Bülte J., Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016, 95-96

ადამიანის უფლებების, მათ შორის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის ხელყოფა.

ნებისმიერი ჩარევა სამართალდარღვევის ან მესამე პირების ძირითად უფლებებში ყოველთვის შეზღუდულია **თანაზომიერების პრინციპით**. ამასთან, უნდა მოხდეს ყველა გატარებული ღონისძიების ურთიერთშეჯერება გამოსარკვევი ქმედების მნიშვნელობასთან, ჩარევის ინტენსიურობასთან და საჭიროების შემთხვევაში, ალტერნატიული მოძიების შესაძლებლობასთან.<sup>144</sup>

მიუხედავად იმისა, რომ მსგავს აკრძალვას საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ ითვალისწინებს, ზოგადად მონაცემების შეგროვების თაობაზე დაწესებულია გარკვეული სამართლებრივი საზღვრები. კერძოდ, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, მონაცემები შეიძლება დამუშავდეს მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად. მონაცემები უნდა იყოს იმ მიზნის ადეკვატური და პროპორციული, რომლის მისაღწევაც მუშავდება ისინი. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პროცესის კანონიერი მიზანს კი, მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან დაკავშირებული სათანადო ცნობების შეგროვება და აღნიშნულის საფუძველზე ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება ან საქმის წარმოების შეწყვეტა წარმოადგენს. შესაბამისად, იმაზე მეტი ინფორმაცია/დოკუმენტაცია არ უნდა იქნეს შეგროვებული და გამოყენებული ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, რომელთა შეფასებაც საკმარისია საქმეზე გადაწყვეტილების მისაღებად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ გერმანიის კანონმდებლობა საკმაოდ ფართო უფლებამოსილებებს ანიჭებს უწყებებს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებისას მტკიცებულებების შეგროვების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების მხრივ. თუმცა, აღნიშნულის მიუხედავად, ის ასევე გარ-

---

<sup>144</sup>Bohnert J., Bülte J., Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016, 95

კვეულწილად ზღუდავს ადმინისტრაციულ ორგანოებს და მტკიცებულებების მოპოვების ნაწილში აწესებს მთელ რიგ აკრძალვებს.

მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებისას „სამართალდარღვევათა შესახებ“ გერმანიის კანონით დაშვებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით განსაზღვრული გარკვეული ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა, ვინაიდან გარკვეული ღონისძიებების გატარება არ იქნებოდა თანაზომიერი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების მიზნებისთვის, აკრძალულია ხსენებული კოდექსის ზოგიერთი ნორმის გამოყენება. კერძოდ:

- გრძელვადიანი დაკვირვება;
- მიყურადების ღონისძიებები;
- ტექნიკური საშუალებების ინკლუზიური გამოყენება (გარდა ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის სიჩქარის კონტროლთან დაკავშირებული ფოტოგადაღება;
- დაკვირვების მიზნებისთვის, მობილური ტელეფონების გამოკვლევა;
- სატელეფონო საუბრების მიყურადება;
- ფარული გამომძიებლები;
- სატელეფონო საუბრებთან დაკავშირებული მონაცემების ანალიზი.<sup>145</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, მტკიცებულებების შეგროვების ნაწილში უფლებამოსილია გაატაროს მთელი რიგი ღონისძიებები, აღნიშნული უფლებამოსილებების მითითების მიუხედავად ერთად, მიზანშეწონილია ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განცალკევებული მუხლით მიეთითოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პროცესში დაუშვებელი მტკიცებულებები შესახებ და განისაზღვროს, რომ კანონმდებლობის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ

---

<sup>145</sup> Bohnert J., Bülte J., Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016, 97



უნდა იქნეს გამოყენებული. ასევე ის გარემოება, რომ მას არ გააჩნია იურიდიული ძალა.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 236-ე მუხლის რედაქცია საჭიროებს დახვეწას და ახლებურად ჩამოყალიბებას. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პროცესში, საჭიროა შეიზღუდოს ყველა ფაქტობრივი მონაცემის მტკიცებულებად გამოყენების შესაძლებლობა, რასაც დასაშვებად მიიჩნევს ზემოაღნიშნული მუხლის მოქმედი რედაქცია და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე მტკიცებულებას უნდა წარმოადგენდეს არა ზოგადად ყველა, არამედ - *კანონით დადგენილი წესით მოპოვებული* ყველა ფაქტობრივი მონაცემი.

## 5. მტკიცებულებების შეფასება

საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე მტკიცებულებების მოპოვების შემდეგ ეტაპს საქმის განმხილველი ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან მათი შეფასება წარმოადგენს. მტკიცებულებათა შეფასებისას ის მოქმედებს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში. შესაბამისად, თავად განსაზღვრავს თუ რომელი ინფორმაციის ან/და დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად და რომელი მტკიცებულების საფუძველზე უნდა მოხდეს სამართალდარღვევის საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 237-ე მუხლის მიხედვით, ორგანო (თანამდებობის პირი), ხელმძღვანელობს რა კანონითა და მართლშეგნებით, მტკიცებულებას შეაფასებს თავისი შინაგანი რწმენით, რაც დამყარებულია საქმის ყველა გარემოების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე მათ ერთობლიობაში.

მტკიცებულებათა შემეცნების მიზანს წარმოადგენს გადაწყვეტილების მიმღები პირისთვის ქმედების მართლწინააღმდეგობად მიჩნევის თაობაზე შინაგანი რწმენის შექმნა ,თუ რამდენად შეინიშნება პირის ქმედებაში

სამართალდარღვევის ყველა ელემენტი/წინაპირობა. მტკიცებულების შეგროვება უნდა განხორციელდეს იმ მოცულობით, რაც საჭიროა შინაგანი რწმენის შექმნისთვის. ამასთან, უნდა მოხდეს გაწეული ძალისხმევის შეჯერება ბრალდების წონასა და სანქციასთან. ამ შემთხვევაში მოქმედებს მტკიცებულებათა შეუზღუდავი შეფასების პრინციპი. უპირველეს ყოვლისა, როდესაც საქმე ეხება საქმეთა წარმოებას საგზაო მოძრაობის წესების მსუბუქ დარღვევებთან დაკავშირებით, როგორც წესი, მიზანშეწონილი იქნება მხოლოდ მცირე ძალისხმევის გაწევა ფაქტობრივი გარემოებების გამოსარკვევად. მაგალითად, თუ მძღოლი მსუბუქი ავტომანქანით გადაადგილებისას გადააჭარბებს მოძრაობის დადგენილ სიჩქარეს ის, როგორც წესი დაჯარიმდება, მის მიერ ნორმის ცოდნისა, პირადი პასუხისმგებლობის ან/და სხვა დამატებითი მტკიცებულებების გამოკვლევის გარეშე.<sup>146</sup>

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების დახვეწის და სახელმწიფო უწყებების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქმის გარემოებების შესწავლასა და მტკიცებულების შეფასებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესაბამისი ნორმის ახლებურად ჩამოყალიბება, რომლის მიხედვითაც უფლებამოსილმა ორგანომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის გარემოებების შესწავლისას, სწრაფად და ეფექტიანად უნდა მოიპოვოს საქმის გარემოებებთან დაკავშირებული ის მტკიცებულებები, რომელთა გამოკვლევა აუცილებელია სამართალდარღვევის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად. ამავდროულად, დაუშვებელია საქმეზე მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას/დადგენილებას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც სათანადოდ არ არის გამოკვლეული საქმის განმხილველი უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ.

---

<sup>146</sup>Bohnert J., Bülte J., Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016, 98

## თავი VIII ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების შეწყვეტა

მტკიცებულებების შესწავლის შედეგად დადგენილი გარკვეული ფაქტობრივი გარემოებები შესაძლოა გახდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძველი. ხოლო, თუ აღნიშნული შინაარსის მქონე გარემოებები იმთავითვე ცნობილია საქმის განმხილველი ორგანოსთვის, იგი იმთავითვე ვალდებულია არ დაიწყოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა წარმოება.

საგულისხმოა, რომ „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“ გერმანიის კანონმდებლობა გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებად მიიჩნევს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა განცალკევებულ ნაწილებზე საქმისწარმოების შეწყვეტას, იმ მიზნით, რომ უკეთ იქნეს გამოკვლეული საქმესთან დაკავშირებული უფრო მნიშვნელოვანი ნაწილები<sup>147</sup>. მსგავსი განცალკევება შესაძლებელია ერთი პროცესუალური ქმედების ფარგლებში, რამდენადაც აქცენტის გადატანა შედარებით რთული ხასიათის სამართალდარღვევის შესწავლაზე უფრო გონივრულად არის მიჩნეული.<sup>148</sup>

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი მსგავს შესაძლებლობას არ ითვალისწინებს და ადგენს მხოლოდ იმ გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებას<sup>149</sup>. ამასთან, პირის ქმედებაში რამდენიმე სამართალდარღვევის გამოვლენისას კოდექსი დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ ე.წ. „შთანთქმის პრინციპის“ გამოყენებას<sup>150</sup>, რომლის თანახმადაც, თუ პირმა ჩაიდინა რამდენიმე ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, რომელთა საქმეებს ერთდროულად განიხილავს ერთი და იგივე ორგანო (თანამდებობის

<sup>147</sup>„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“ გერმანიის კანონის 47-ე მუხლი

<sup>148</sup>გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 154a მუხლი.

<sup>149</sup>საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლი

<sup>150</sup>საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 36-ე მუხლი

პირი), სახდელი დაედება იმ სანქციის ფარგლებში, რომელიც დაწესებულია უფრო სერიოზული დარღვევისათვის.

მიგვაჩნია, რომ საქმის გარემოებების სრულყოფილად შესწავლის და ადმინისტრაციული რესურსის ეფექტიანად გამოყენების, მიზანშეწონილია, რომ საქართველომ გაიზიაროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ გერმანიის კანონის ხსენებული მიდგომა და იმ შემთხვევაში, როდესაც პირი ჩაიდენს რამდენიმე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას, რომელთა საქმეებს ერთდროულად განიხილავს ერთი და იგივე ორგანო (თანამდებობის პირი), დაშვებული იყოს უფრო სერიოზული მართლსაწინააღმდეგო ქმედების განცალკევებულად შესწავლის შესაძლებლობა. მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ კოდექსის მოქმედი რედაქციის შესაბამისად, პირს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრება მხოლოდ უფრო სერიოზული, კონკრეტული დარღვევისთვის და შესაბამისად გამოდის, რომ მსგავს შემთხვევებში სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების გამოკვლევის მიზნით საქმის წარმოების ჩატარება იყო უმედეგო და იმავდროულად გამოიწვია სახელმწიფო რესურსის არაპროდუქტიული გამოყენება.

მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლი განსაზღვრავს იმ გარემოებებს, რომლებიც გამორიცხავენ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებას. კერძოდ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს.:

- 1) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო;
- 2) იმ პირის მიმართ, ვისაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის არ შესრულებია თექვსმეტი წლის ასაკი;
- 3) მართლსაწინააღმდეგო მოქმედების თუ უმოქმედობის ჩამდენი პირის შეურაცხადობის გამო;

4) თუ პირი მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობისა ან აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში;

5) ამნისტიის აქტის მიღების გამო, თუ იგი აუქმებს ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებას;

6) ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენი აქტის გაუქმების გამო;

7) თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის მომენტისათვის განვლო ამ კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებულმა ვადებმა;

8) თუ არსებობს იმავე ფაქტზე ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემული პირის მიმართ კომპეტენტური ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, ან ამხანაგური სასამართლოს გაუუქმებელი გადაწყვეტილება, თუ მასალები ამხანაგურ სასამართლოს გადასცა იმ ორგანომ (თანამდებობის პირმა), რომელსაც აქვს მოცემულ საქმეზე ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება, ან გაუუქმებელი დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე ამავე ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის არსებობისას;

9) იმ პირის გარდაცვალების გამო, რომლის მიმართ დაწყებული იყო საქმის წარმოება.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობის გამომრიცხველ რამდენიმე გარემოებას, მართალია აღნიშნული დებულებები ცალკე დასახელების - პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებების თავით არ არის გამოყოფილი, თუმცა სახდელის დაკისრების დაუშვებლობა გამომდინარეობს მუხლების შემადგენლობებიდან.

მაგალითად, კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ ეკისრება პირს, რომელმაც, თუმცა ჩაიდინა ამ კოდექსით და ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის ადმინის-

ტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენი სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოქმედება, მაგრამ რომელიც მოქმედებდა უკიდურესი აუცილებლობის მდგომარეობაში, ესე იგი იმ საფრთხის ასაცდენად, რაც ემუქრებოდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივ წესრიგს, საკუთრებას, მოქალაქეთა უფლებებსა და თავისუფლებებს, მმართველობის დადგენის წესს, თუ მოცემულ გარემოებაში არ შეიძლებოდა ამ საფრთხის აცდენა სხვა საშუალებებით და თუ მიყენებული ზიანი უფრო ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე აცდენილი ზიანი. კოდექსის მე-19 მუხლის მიხედვით კი, ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ ეკისრება პირს, რომელმაც, თუმცა ჩაიდინა ამ კოდექსით ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისათვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენი სხვა ნორმატიული აქტებით გათვალისწინებული მოქმედება, მაგრამ რომელიც მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ესე იგი სახელმწიფო ან საზოგადოებრივი წესრიგის, საკუთრების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების, მმართველობის დადგენილი წესის მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან დაცვისას ხელყოფისათვის ზიანის მიყენების გზით, თუ ამასთან გადაცილებული არ იყო აუცილებელი მოგერიების ფარგლები. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ასევე ითვალისწინებს პირის შეურაცხადობის შემთხვევაში მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების აკრძალვას.

ზემოაღნიშნულის მიუხედავად, გასათვალისწინებელია, რომ სისხლის სამართლის კოდექსი ადგენს პასუხისმგებლობის გამომრიცხველ ბევრად მეტ გარემოებას, ვიდრე ეს გათვალისწინებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. აღნიშნულიდან გამომდინარე, ქართული კანონმდებლობა არ არის თანმიმდევრული პირის პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების განსაზღვრისას, რაც თავისთავად იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ ქვეყანაში არ არსებობს პასუხისმგებლობის დაკისრების მწყობრი სისტემა.

გაურკვეველია რატომ ითვალისწინებს ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კოდექსი რაოდენობრივად უფრო ნაკლებ პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებებს, მაშინ როდესაც ადმინისტრაციული სამართალ-დარღვევა, ბევრად უფრო მცირე საშიშროების შემცველი გადაცდომაა, ვიდრე სისხლის სამართლით განსაზღვრული დანაშაულებრივი ქმედება. ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით საჭიროა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის გარკვეული გამომრიცხავი გარემოებების გაზიარება და მათი ფორმულირების ჩამოყალიბება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროს თავისებურების გათვალისწინებით. კერძოდ:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 31-ე მუხლი განმარტავს მართლზომიერი რისკის ტერმინს, რომელიც ასევე უნდა დაინერგოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროშიც და მიზანშეწონილია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა არ დაეკისრება მას, ვინც საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნის მისაღწევად გამართლებული რისკის პირობებში დააზიანებს სამართლებრივ სიკეთეს. რისკი გამართლებულია, თუ ეს მიზანი არ შეიძლებოდა მიღწეულიყო რისკის გარეშე ქმედებით და თუ პირმა მიიღო ყველა ზომა სამართლებრივი სიკეთის დაზიანების თავიდან ასაცილებლად.“

სისხლის სამართლის კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად, ბრძანების ან განკარგულების შესრულება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება იმას, ვინც სავალდებულო ბრძანების ან განკარგულების შესრულებისას დააზიანა სამართლებრივი სიკეთე. ასეთი ზიანისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმას, ვინც მართლსაწინააღმდეგო ბრძანება ან განკარგულება გასცა.

ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ასევე უნდა მოხდეს მითითებული ნორმის გათვალისწინება. რომლის მიხედვითაც, სამართალდარღვევის ჩადენისას პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს იმ

პირს, რომელიც ბრძანების, განკარგულების ან/და დავალების შესრულებისას მოქმედებდა ამ ბრძანების, განკარგულების ან/და დავალების ფარგლებში და დააზიანა სამართლებრივი სიკეთე. ასეთი ქმედებისთვის სახდელი უნდა დაეკისროს იმას, ვინც გასცა მართლსაწინააღმდეგო ქმედების შემცველი ბრძანება, განკარგულება ან/და დავალება.

იმის გათვალისწინებით, რომ ნაშრომში შემოთავაზებულია ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში პასუხისმგებლობის გამომრიცხველი დამატებითი გარემოებების შემოღება, დღის წესრიგში დგება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების გამომრიცხველი გარემოებების დამდგენი მუხლის განახლებაც. ამასთან, სასურველია ხსენებული ნორმა იყოს შედარებით მკაფიო ფორმულირების მქონე, ვინაიდან მოქმედი კოდექსის 232-ე მუხლის, განსაკუთრებით კი მისი მე-8 პუნქტის რედაქცია<sup>151</sup>, გარკვეულწილად არის ბუნდოვანი, რაც პრაქტიკაში წარმოშობს რეგულაციის არასათანადოდ გამოყენების რისკს.

შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების გამომრიცხველი გარემოებების მუხლი მიზანშეწონილია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმის წარმოება უნდა შეწყდეს:

- სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო;
- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გამომრიცხველი გარემოებების არსებობის შემთხვევაში;

---

<sup>151</sup>ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად: „თუ არსებობს იმავე ფაქტზე ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობაში მიცემული პირის მიმართ კომპეტენტური ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, ან ამხანაგური სასამართლოს გაუუქმებელი გადაწყვეტილება, თუ მასალები ამხანაგურ სასამართლოს გადასცა იმ ორგანომ (თანამდებობის პირმა), რომელსაც აქვს მოცემულ საქმეზე ადმინისტრაციული სახდელის დადების უფლება, ან გაუუქმებელი დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის შეწყვეტის შესახებ, აგრეთვე იმავე ფაქტზე სისხლის სამართლის საქმის არსებობისას“.



- ადმინისტრაციული სახდელისაგან გათავისუფლების შესახებ საკანონმდებლო აქტის მიღების გამო, როდესაც იგი აუქმებს ადმინისტრაციული სახდელის გამოყენებას;
- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმის გაუქმების გამო;
- თუ სამართალდარღვევის საქმის განხილვის მომენტისათვის განვლო ამ კოდექსით დადგენილმა ადმინისტრაციული სახდელისა და დებისთვის გათვალისწინებულმა ხანდაზმულობის ვადებმა;
- თუ არსებობს სამართალდარღვევის იმავე შემთხვევაზე პირის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემის შესახებ დადგენილება ან/და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი;
- სამართალდარღვევის იმავე შემთხვევაზე სისხლის სამართლის საქმის არსებობისას;
- იმ პირის გარდაცვალების გამო, რომლის მიმართ დაწყებული იყო ადმინისტრაციული წარმოება.“

## თავი IX. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილება

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების დასკვნითი ეტაპი უფლებამოსილი ორგანოს მიერ მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან დაკავშირებით შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება და დადგენილების გამოცემაა. თუ საქმის განმხილველი უფლებამოსილი ორგანოს მიერ დადგინდება პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტი, მას დაეკისრება ადმინისტრაციული სახდელი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი, დაუშვებელია პირის ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემა და საქმის წარმოება უნდა შეწყდეს. მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 267-ე მუხლი განსაზღვრავს დადგენილების სახეებს, რომლის თანახმად, ასევე შეიძლება გამოიცეს ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის თაობაზე, თუ შეუძლებელია პირველად დადებული ადმინისტრაციული სახდელის აღსრულება; საურავის დარიცხვის შესახებ.

სამართალდარღვევის საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული სახდელის დადების ხანდაზმულობის ვადების დაცვით, ვინაიდან თუ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის მომენტისათვის განვლო კოდექსის 38-ე მუხლით გათვალისწინებულმა ვადებმა, დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს<sup>152</sup> და რომც დადგინდეს პირის მხრიდან მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული ქმედების ჩადენა, მისთვის ადმინისტრაციულ სახდელის დაკისრება იქნება უკანონო.

მოქმედი კოდექსის 38-ე მუხლში მითითებული საგამონაკლისო შემთხვევების გარდა, ამავე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სახდელი შეიძლება დაედოს არაუგვიანეს ორი თვისა სამართალდარღვევის ჩადენის დღიდან, ხოლო როცა სამართალდარღვევა

<sup>152</sup>ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის მე-7 ნაწილი

დენადია – არაუგვიანეს ორი თვისა მისი გამოვლენის დღიდან. კოდექსის 262-ე მუხლის მიხედვით, უფლებამოსილი ორგანო (თანამდებობის პირი) საქმეს განიხილავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის და სხვა მასალების მიღებიდან თხუთმეტი დღის ვადაში. შესაბამისად, იმისათვის, რომ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრება მოხდეს კანონიერად, კოდექსის 262-ე მუხლით გათვალისწინებული თხუთმეტი დღიანი ვადაც, ექცევა 38-ე მუხლით დადგენილ ორ თვიან ვადაში და შესაბამისად, ზემოაღნიშნული დებულებები არ გულისხმობს ორი თვის გასვლის შემდეგ, დამატებით თხუთმეტი დღის ვადაში ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების შესაძლებლობას.

მოცემულ თავში განხილული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების, მათ შორის მასში მონაწილე პირებისა და გამოსაკვლევი გარემოებების რაოდენობის გათვალისწინებით ნათელია, რომ მოქმედი კოდექსი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების ნაწილში ადგენს საკმაოდ შემჭიდროებულ ვადებს. გამომდინარე იქიდან, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მარტივი წარმოებისას საქმის განმხილველმა ორგანომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ორი თვის ვადაში, გარკვეულ საქმეებზე შესაბამისი მტკიცებულებების მოსაძიებლად და სათანადოდ შესასწავლად, კოდექსით დადგენილი ვადა საკმაოდ მცირეა. კერძოდ, ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით სასურველია განისაზღვროს ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებისთვის დადგენილი ორ თვიანი ვადის გარკვეული პერიოდით (მაგალითად ერთი თვით), ერთჯერადად გაგრძელების შესაძლებლობა, საქმის განმხილველი ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

## **1. დადგენილების რეკვიზიტები და ფორმა**

მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 266-ე მუხლის მიხედვით, დადგენილება უნდა შეიცავდეს: დადგენილების გამომტანი ორგანოს (თანამდებობის პირის) დასახელებას; საქმის განხილვის

თარიღს; ცნობებს იმ პირის შესახებ, რომლის მიმართ განიხილება საქმე; საქმის განხილვისას დადგენილ გარემოებათა გადმოცემას; იმ ნორმატიული აქტის მითითებას, რომელიც ითვალისწინებს პასუხისმგებლობას მოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის; საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებას.

მიზანშეწონილია ხსენებული ნორმის ახლებურად ჩამოყალიბება, დადგენილების სამართლებრივი ბუნების და ნაშრომში შემოთავაზებული ცვლილებების გათვალისწინებით. ახალ კოდექსში საჭიროა სათანადოდ მოხდეს დადგენილების რეკვიზიტების და ფორმის ჩამოყალიბება.

სასურველია დადგენილების წერილობითი ფორმით გამოცემის დადგენა, რომელიც უნდა შედგებოდეს შესავალი, დასაბუთების, დასკვნისა და სარეზიუმეო ნაწილებისაგან.

- შესავალში სასურველია მიეთითოს ისეთი სავალდებულო რეკვიზიტები როგორცაა:

ა) დადგენილების გამომცემი ორგანოს დასახელება;

ბ) დადგენილების მიმღები თანამდებობის პირის სახელი და გვარი;

გ) სამართალდამრღვევის სახელი და გვარი, პირადი ნომერი, იურიდიული პირის შემთხვევაში – სახელწოდება და ადგილსამყოფელი, საიდენტიფიკაციო კოდი;

დ) სამართალდარღვევის ნიშნები, რომლის შესწავლის მიზნით განხორციელდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოება.

- დასაბუთებით ნაწილში უნდა მიეთითოს საქმესთან დაკავშირებით არსებული იმ ფაქტობრივი გარემოებების და მტკიცებულებების შესახებ, რომლის შესწავლის შედეგადაც მიღებულ იქნა შესაბამისი შინაარსის დადგენილება;

- დასკვნითი ნაწილი საჭიროა შეიცავდეს სამართალდამრღვევის პერსონალურ მონაცემებს, მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის შესახებ დეტალურ ინფორმაციას, მათ შორის სამართალდარღვევის

ჩადენის ადგილის, დროის და კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის მითითებით, დადგენილების გასაჩივრების წესსა და ვადას;

- სარეზოლუციო ნაწილში აისახება საქმის განმხილველი ორგანოს საბოლოო გადაწყვეტილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით, დადგენილების სახე, სახდელის მოხდის წესი და საქმის სპეციფიკის გათვალისწინებით, სამართალდამრღვევისთვის სავალდებულოდ შესასრულებელი დავალებები ან რეკომენდაციები. სარეზოლუციო ნაწილი შედგენილ უნდა იქნას ყველასათვის გასაგები, მარტივი ფორმით.

## თავი X. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოება სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ადგენს ისეთი ხასიათის სამართალდარღვევებსაც, რომელთა ჩადენის შემთხვევაში არ არის საჭირო სამართალდარღვევათა მარტივი წარმოების ჩატარება და მართლსაწინააღმდეგო ქმედების სპეციფიკის გათვალისწინებით, დამატებითი ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის გარეშე, შესაძლებელია პირისთვის ადმინისტრაციული სახდელის სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე დაკისრება. აღნიშნული წარმოადგენს სახელმწიფოს მყისიერ რეაქციას სამართალდარღვევის ფაქტზე, როდესაც გარკვეული ქმედებებისას იმთავითვე ცხადია, რომ სახეზეა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული მართლწინააღმდეგობა და სახელმწიფო, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო ცხოვრების წესების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭიროა დროული ღონისძიებების გატარება.

მაგალითად, როდესაც მძღოლი არ დაიცავს საგზაო მოძრაობის წესებს, არ დაემორჩილება საგზაო ნიშნის - „გაჩერება აკრძალულია“ მოთხოვნას და ავტოსატრანსპორტო საშუალებას გააჩერებს აკრძალულ ტერიტორიაზე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილ პირს შეუძლია უშუალოდ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას დააკისროს პირს ადმინისტრაციული სახდელი, ყოველგვარი დამატებითი მოკვლევის გარეშე, რადგან იმთავითვე აშკარაა რომ მძღოლმა ჩაიდინა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით დადგენილი სამართალდარღვევა. ამასთან, როდესაც პირი მგზავრობს უბილეთოდ, აღნიშნული წარმოადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130-ე მუხლით დადგენილ მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, რომლის ადგილზე შესწავლისას ქმედების სამართალდარღვევად დაკვალიფიცირებისთვის არ საჭიროებს გარემოებების შემოწმებას და

კანონდარღვევა ადგილზევე ცხადია, თუ პირს მგზავრობისას არ აღმოაჩნდა შესაბამისი ბილეთი.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მარტივი საქმის წარმოება, როგორც ნაშრომის შესაბამის თავში განხილული საკითხებიდან ჩანს, მთელი რიგი თავისებურებებით, მათ შორის მონაწილე მხარეების რაოდენობითა და არაერთი ფაქტობრივი გარემოების სავალდებულო გამოკვლევით ხასიათდება. ხოლო, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე, შინაარსობრივად ყველაზე დაჩქარებული წარმოების სახეა და საქმის წარმოების ხანგრძლივობის და დაქვემდებარებული სამართალდარღვევების შემადგენლობების გათვალისწინებით, ის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების დამოუკიდებელ სახეს წარმოადგენს.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234<sup>1</sup> მუხლის თანახმად, კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, საქმის განხილვა შესაძლებელია სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე, რაც გულისხმობს, საქმის ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამორკვევას, მის გადაწყვეტას საქართველოს კანონმდებლობასთან ზუსტი შესაბამისობით, ადგილზე ადმინისტრაციული სახდელის დადებასა და საჯარიმო ქვითრის ჩაბარებას დამრღვევისათვის. ხოლო, კოდექსის მე-200 მუხლის შენიშვნაში მითითებულია, რომ თუ დამრღვევი სადავოდ არ ხდის მის მიერ ჩადენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტს და ამას ადასტურებს ოქმზე ხელმოწერით, მას ადგილზე შეეფარდება ადმინისტრაციული სახდელი.

ზემოაღნიშნული წესით საქმის წარმოების ერთ-ერთი თავისებურება, მისი დაწყების საფუძველში მდგომარეობს. კერძოდ, უმრავლეს შემთხვევაში, უფლებამოსილი ორგანოს შესაბამისი თანამშრომელი თვითონ ავლენს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას ან/და თავად ხდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტის მომსწრე, რის შედეგადაც ადგილზევე ხორციელდება პირისთვის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრება. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ ხსენებული საქმის წარმოების

დაწყების საფუძველი შესაძლოა ასევე გახდეს სამართალდარღვევის ფაქტის შესახებ მიღებული შესაბამისი შეტყობინებაც. საგულისხმოა, რომ მოქმედი კოდექსი, არც ამ სახის საქმის წარმოების დაწყების საფუძველს განსაზღვრავს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე საქმის წარმოების დაწყების საფუძველად დადგინდეს, *სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაცია, რომელიც უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსთვის გახდა ცნობილი*. აღნიშნული დეფინიცია მოიცავს როგორც უფლებამოსილი პირის მხრიდან სამართალდარღვევის ჩადენისას უშუალოდ ადგილზე ყოფნის შედეგად მის გამოვლენას, ასევე ნებისმიერი სახის შეტყობინებისა თუ ინფორმაციის მიღების საფუძველზე საქმის წარმოების დაწყების შესაძლებლობას.

სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე საქმის წარმოების დაჩქარებული წესი, არ გულისხმობს საქმის წარმოების ძირითადი დებულებების და უფლებამოსილი ორგანოს ვალდებულებების უგულებელყოფას და აღნიშნულ დროს, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის თაობაზე საქმის გარემოებები აუცილებლად უნდა შეფასდეს ყოველმხრივი, სრული და ობიექტური გამოკვლევის შედეგად. შესაბამისად, ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების ან საქმის წარმოების შეწყვეტის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილება ხსენებულ შემთხვევაშიც მიღებული უნდა იქნას კანონმდებლობასთან მოთხოვნათა სრული დაცვით.

მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული მოთხოვნები გათვალისწინებულია მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითაც, ადამიანის უფლებათა სათანადოდ დაცვის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია წარმოების მიმდინარეობისას საქმის განმხილველი პირისათვის სავალდებულოდ შესასრულებელი დამატებითი მოქმედებების განსაზღვრაც.



ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას საქმის წარმოების დაწყებისთანავე, მიზანშეწონილია უფლებამოსილმა პირმა გააცნოს საკუთარი ვინაობა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მისაცემ პირს, წარუდგინოს მას უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, განუმარტოს მის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევის არსი, მისი უფლებამოვალეობები და ამ სამართალდარღვევისთვის გათვალისწინებული სახდელი. აღნიშნული პროცედურის შემდეგ, საქმის განმხილველი უფლებამოსილი პირს სასურველია დამატებით დაეკისროს შემდეგი გარემოებების გამორკვევის ვალდებულება:

- ჩადენილია თუ არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევა;
- მიყენებულია თუ არა ქონებრივი ზარალი;
- ბრალეულია თუ არა კონკრეტული პირი მის ჩადენაში და შესაბამისად, ექვემდებარება თუ არა იგი ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას;
- არსებობს თუ არა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირის, დაზარალებულის, კანონიერი წარმომადგენლების, ადვოკატის შუამდგომლობების დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი;
- არსებობს თუ არა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები და შესწავლილ იქნას სხვა გარემოებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ საქმის სამართლიანად გადაწყვეტისათვის;

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 242-ე მუხლის თანახმად, გარკვეული სამართალდარღვევების ჩადენისას „სამართალდარღვევს ადგილზე გამოეწერება საჯარიმო ქვითარი, რომელიც იმავე დროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი“. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმის განმხილველი უფლებამოსილი ორგანოს მხრიდან აღარ მიიღება ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე დადგენილება და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოება წყდება ადგილზე, საჯარიმო ქვითრის გამოწერის გზით. თუმცა, სამწუხაროდ

მოქმედი კოდექსი მსგავს მითითებას არ შეიცავს, რაც ქმნის ბუნდოვანებას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების ფინალურ ეტაპთან დაკავშირებით, ვინაიდან გაურკვეველია, თუ რა შემთხვევებში რომელი დოკუმენტით სრულდება სამართალწარმოება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში განხილული საკითხების გათვალისწინებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე წარმოების შედეგად მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებასაც უნდა ეწოდოს „ადმინისტრაციული დადგენილება“.

საქმის წარმოების დახვეწის მიზნით, მიზანშეწონილია სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას სახდელის დაკისრებისას სამართალდარღვევის ოქმი ცალკე აღარ შედგეს და ოქმის რეკვიზიტები აისახოს ადგილზე შედგენილ ადმინისტრაციულ დადგენილებაში. ამასთან, მოქმედი რედაქციისგან განსხვავებით, საჭიროა დადგინდეს სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას სამართალდამრღვევისთვის ადმინისტრაციული დადგენილების დაუყოვნებლივ გადაცემა, რაც სამართალდამრღვევმა უნდა დაადასტუროს საკუთარი ხელმოწერით, ხოლო ხელმოწერაზე უარის შემთხვევაში, საჭიროა გაკეთდეს შესაბამისი აღნიშვნა, რომელიც ნიშნავს დაინტერესებული პირისათვის დადგენილების ოფიციალურ გაცნობას და ანიჭებს მას შესასრულებლად სავალდებულო ძალას.

მოცემულ თავში განხილული საქმის წარმოების თავისებურებების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია ახალი კოდექსით მკაფიოდ განისაზღვროს, რომ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოება ტარდება მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, სამართალდარღვევის არსიდან გამომდინარე, თუ ადმინისტრაციული ორგანოსათვის აშკარაა სამართალდარღვევის ჩამდენი პირი ან/და პირი, რომელიც ამ კოდექსის შესაბამისი მუხლის მიხედვით სამართალდამ-

რღვევად შეიძლება იქნეს მიჩნეული და თუ სამართალდარღვევა არ საჭიროებს დამატებით ადმინისტრაციულ გამოკვლევას. ხსენებული წარმოების დროს პირს შეიძლება სახდელის სახით დაეკისროს მხოლოდ ადმინისტრაციული გაფრთხილება ან ადმინისტრაციული ჯარიმა.

ხოლო, თუ ადგილზე განხილვისას გამოიკვეთა, რომ სამართალდარღვევის თაობაზე სათანადო გადაწყვეტილების მიღებისათვის საჭიროა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევა (მათ შორის, შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება, მათი შეფასება/შესწავლა) და შესაბამისად საქმის დამატებითი განხილვა, წარმოება უნდა გაგრძელდეს საქმის განმხილველ უფლებამოსილ ორგანოში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის მარტივი წარმოების წესით.

#### **1. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ადმინისტრაციული წარმოების უზრუნველყოფის ზომების გამოყენება**

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე რეაგირებისას, კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში შესაძლებელია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოების უზრუნველყოფის ზომების გამოყენება. თუმცა, აღნიშნული დასაშვებია იმ შემთხვევაში, როცა ამოწურულია ზემოქმედების ყველა სხვა ზომა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლის თანახმად, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით უშუალოდ გათვალისწინებულ შემთხვევებში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, როცა ამოწურულია ზემოქმედების სხვა ზომები, პიროვნების დასადგენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმის შესადგენად, თუ ოქმის შედგენა აუცილებელია, მაგრამ მისი ადგილზე შედგენა შეუძლებელია, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის დროულად და სწორად განხილვისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

საქმეზე მიღებული დადგენილების აღსრულების უზრუნველსაყოფად დასაშვებია პირის ადმინისტრაციული დაკავება, პირადი გასინჯვა, მისი ნივთების გასინჯვა და მისთვის ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა. ხოლო კოდექსის 250-ე მუხლის მიხედვით, კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევების ჩადენისას პირი, რომელიც მართავს სატრანსპორტო საშუალებას და რომლის მიმართაც არსებობს საკმაო საფუძველი, რომ იგი ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული სიმთვრალის მდგომარეობაშია, უნდა ჩამოშორდეს სატრანსპორტო საშუალების მართვას. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაურკვეველია რატომ არ არის მითითებული კოდექსის 244-ე მუხლში, სატრანსპორტო საშუალების მართვისაგან ჩამოშორება ან/და სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანა, როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების უზრუნველყოფის ერთ-ერთ ზომას. ხსენებული ხარვეზი საჭიროა გამოსწორდეს ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

შესაბამისი ცვლილებების შედეგად ბუნებრივია, უნდა მოხდეს ამჟამად მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი ძირითადი რეგულაციების გათვალისწინება, თუმცა სასურველია გარკვეული განახლებებით, მათ შორის შინაარსობრივ ნაწილში. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ამოცანებისა და საქმის წარმოების მიზნების გათვალისწინებით, სასურველია წარმოების უზრუნველყოფის ზომების დასახელებების ახლებურად ჩამოყალიბებაც. კერძოდ:

- ადმინისტრაციული დაკავება სასურველია შეიცვალოს ადმინისტრაციული მიყვანით,
- პირადი გასინჯვა და ნივთების გასინჯვა - პირის პირადი ადმინისტრაციული გასინჯვით, მისი ნივთების ადმინისტრაციული გასინჯვით
- ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა - პირისთვის ნივთებისა და დოკუმენტების ადმინისტრაციული ჩამორთმევა.

იმის გათვალისწინებით, რომ საქმის წარმოების უზრუნველყოფის ზომებს შორის ადმინისტრაციული მიყვანა პირზე ზემოქმედების საკმაოდ მაღალი ინტენსიურობის ხასიათით გამოირჩევა, საჭიროა არსებული პროცესის დახვეწა. გამომდინარე იქიდან, რომ ადმინისტრაციული მიყვანის გამოყენების შემთხვევაშიც ხდება პოლიციელის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის მიერ პირისათვის თავისუფლების დროებით შეზღუდვა, მნიშვნელოვანია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მისაცემი პირი დაუყოვნებლივ იქნას მიყვანილი შესაბამის დაწესებულებაში და თავის მხრივ, დაუყოვნებლივ აღიკვეთოს თავისუფლების შეზღუდვის ფაქტი, პირის ადმინისტრაციული მიყვანის ღონისძიების გამოყენების საფუძვლის აღმოფხვრისთანავე. ადმინისტრაციული მიყვანის დროს აუცილებელია პირს განემარტოს მისი ძირითადი უფლებები და ის გარემოებები, რომელთა გამოც საჭირო გახდა ზემოაღნიშნული ღონისძიების გამოყენება. ამასთან, მსგავს შემთხვევებში სასურველია დაწესდეს შესაბამისი ოქმის შედგენის ვალდებულება, პირის ადმინისტრაციული მიყვანის გამოყენების სათანადო დასაბუთებით.

ასევე სასურველია შემცირდეს პირის თავისუფლების დროებითი შეზღუდვის ვადები, ვინაიდან მოქმედი კოდექსის 247-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის ადმინისტრაციული დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 საათს. პირი, რომლის ადმინისტრაციული დაკავების ვადა არასამუშაო დროს ემთხვევა, შეიძლება დაკავებულ იქნეს და მოთავსდეს დროებითი მოთავსების იზოლატორში უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქმის განხილვამდე. აღნიშნულ შემთხვევაში პირის დაკავების საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 48 საათს. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის ადგილზე ადმინისტრაციული წარმოების უზრუნველყოფის ზომების მიზნების მიღწევა შესაძლებელია შედარებით მცირე დროშიც და არ იკვეთება პირისათვის 12 ან/და 48 საათით თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა.

მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მოცემულია ბუნდოვანი ინფორმაცია ადმინისტრაციული წარმოების უზრუნველყოფის ზომების გასაჩივრების თაობაზე. კერძოდ, კოდექსის 251-ე მუხლის თანახმად, დაინტერესებულმა პირებმა ადმინისტრაციული წარმოების უზრუნველყოფის ზომები, შეიძლება გაასაჩივრონ ზემდგომ ორგანოში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი რედაქციით, სასურველია გამარტივდეს ადმინისტრაციული წარმოების უზრუნველყოფის ზომების გასაჩივრების პროცედურა და პირის ადმინისტრაციული მიყვანა, პირადი ადმინისტრაციული გასინჯვა, ნივთების ადმინისტრაციული გასინჯვა, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევა, სატრანსპორტო საშუალების მართვისგან ჩამოშორება ან/და სატრანსპორტო საშუალების სპეციალურ სადგომზე გადაყვანის გასაჩივრება შესაძლებელი იყოს შესაბამისი ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირის ზემდგომ თანამდებობის პირთან.

## თავი XI. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოება საჩივართან დაკავშირებით

თანამედროვე სახელმწიფოს სამართლებრივი სისტემა აუცილებელია ადგენდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე (მათ შორის, სამართალდარღვევის ადგილზე განხილვისას) მიღებული ადმინისტრაციული დადგენილების, გასაჩივრების სათანადო წესს. აღნიშნული უფლების სათანადოდ განსაზღვრას საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი აკისრია დემოკრატიული სახელმწიფოს სამართლებრივ სისტემაში და ის ადამიანის დარღვეული უფლების აღდგენის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად უნდა განვიხილოთ. ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების გამართული მექანიზმის არსებობა, არამართო ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის ერთ-ერთი გარანტიაა, არამედ აღნიშნული ასევე წარმოადგენს ზემდგომი ორგანოს, საბოლოო ჯამში კი - სახელმწიფოს მხრიდან ადმინისტრაციული სახდელის შეფარდების უფლებამოსილების მქონე პირის კონტროლის საშუალებას, რათა მან არ გადაამეტოს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს ან/და ბოროტად არ გამოიყენოს სამსახურებრივი უფლებამოსილება.

დადგენილების გასაჩივრების სათანადო შესაძლებლობა უნდა მივიჩნიოთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების კანონიერად ჩატარების ერთგვარ გარანტად, ვინაიდან, დადგენილების გასაჩივრების შემთხვევაში ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ამოწმებს მის ფორმალურ და მატერიალურ კანონიერებას და იმ შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ საქმის წარმოება განხორციელდა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დარღვევით, შესაძლოა გამოვლინდეს შესაბამისი პირისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების საფუძველი.

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების მექანიზმის სათანადოდ განსაზღვრის მიზნით, მნიშვნელოვანია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით

მკაფიოდ გაიწეროს თუ ვის აქვს მისი გასაჩივრების უფლება, რა სახის გადაწყვეტილებები ექვემდებარება გასაჩივრებას, საჩივრის წარდგენის ვადა და მისი განხილვის ვადები, დადგენილების გაუქმების საფუძველები და საქმის წარმოებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები, რომლებიც განხილულია მოცემულ თავში.

## 1. გასაჩივრების უფლებამოსილების მქონე პირები

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 271-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული წესით<sup>153</sup> ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება შეუძლია გაასაჩივროს პირმა, რომლის მიმართაც არის გამოტანილი დადგენილება, დაზარალებულმა ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შემდგენმა.

იმის გათვალისწინებით, რომ მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ განსაზღვრავს დაინტერესებული პირის ცნებას და შესაბამისად არც მათ უფლებებს, მიზანშეწონილია დაინტერესებული მხარის გათვალისწინება ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. ამასთან, გამომდინარე იქედან, რომ ადმინისტრაციული დადგენილება, კოდექსის 271-ე მუხლში მითითებული პირების გარდა, შესაძლოა გავლენას ახდენდეს სხვა პირებზეც, სასურველია შესაბამისი ცვლილებების საფუძველზე, დადგენილების გასაჩივრების უფლებამოსილება გააჩნდეს დაინტერესებულ მხარეს, რომელიც თავის თავში ასევე მოიცავს ზემოაღნიშნულ მუხლში მითითებულ პირებსაც.

აღნიშნულთან დაკავშირებით, საგულისხმოა, რომ მსგავსი მიდგომა არსებობს გერმანიაში, რომლის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“ კანონის 67-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული

---

<sup>153</sup>მუხლი 234<sup>1</sup>. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვა.



სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილება შეიძლება გაასაჩივრონ დაინტერესებულმა პირებმა.

## 2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრება

ზოგადად, ადმინისტრაციული საჩივრის შეტანას მიზნად აქვს პირის უფლებების სამართლებრივი დაცვა, თვითკონტროლის გატარება და არა აქტის გამოცემის კანონიერებაზე ზედამხედველობა, აქტის გამოცემის ყველა ეტაპის მართლზომიერების ხელახალი არსებითი გადამოწმება.<sup>154</sup>

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე შეიძლება გასაჩივრდეს:

ა) ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, – ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა; გადაწყვეტილება სხვაგვარი ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, – ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან), რის შემდეგაც საჩივარი შეიძლება შეტანილ იქნეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა; დადგენილება ძირითადი და რომელიმე დამატებითი ადმინისტრაციული სახდელის ერთდროულად დადების შესახებ მომჩივნის სურვილით შეიძლება გასაჩივრდეს ძირითადი ან დამატებითი სახდელის გასაჩივრებისათვის განსაზღვრული წესით;

---

<sup>154</sup> ადგიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იზორია ლ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ტურავა პ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი 2005, 299.

ბ) შინაგან საქმეთა ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, რომელიც დაფიქსირებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ოქმის შეუდგენლად, – ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან);

გ) შინაგან საქმეთა ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის შესახებ, – ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა;

დ) შინაგან საქმეთა ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება საურავის დარიცხვის შესახებ, – ზემდგომ ორგანოში (ზემდგომ თანამდებობის პირთან) ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში, რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა;

ე) სამხედრო საავტომობილო ინსპექციის თანამდებობის პირის დადგენილება გაფრთხილების სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, რომელიც დაფიქსირებულია სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე ოქმის შეუდგენლად, – ზემდგომ თანამდებობის პირთან, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს საჩივარი.

საგულისხმოა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის თანახმად, ყოველ ადამიანს აქვს უფლება თავის უფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე კი, ნათელია, რომ ის შეიცავს ნაკლოვანებებს პირის საპროცესო უფლებების დაცვის მხრივ, ვინაიდან დადგენილების გასაჩივრებისას ზღუდავს, როგორც ზემდგომ ინსტანციებში მიმართვის შესაძლებლობას, აგრეთვე განსაზღვრავს მხოლოდ იმ სახის დადგენილების ჩამონათვალს, რომელთა გასაჩივრებაც არის დასაშვები.

აღნიშნულ საკითხთან მიმართებით გასათვალისწინებელია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 19 ოქტომბრის

№2/7/779 გადაწყვეტილება, რომლის თანახმად, საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისი ნორმები ცხადყოფს, რომ სამართლიანი სასამართლოს უფლება მოიცავს უფლების დაცვის შესაძლებლობას საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული მართლმსაჯულების ინსტიტუციური გარანტიების, საერთო სასამართლოს სისტემის მეშვეობით. აღნიშნული, მათ შორის, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრებას საერთო სასამართლოთა სისტემაში, ხოლო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებას ამავე სისტემის ზემდგომ ინსტანციაში. ამდენად, უდავოა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის სადავო სიტყვები, რომლებიც პირველი ინსტანციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აცხადებს საბოლოოდ, იმავდროულად, ზღუდავს საქართველოს კონსტიტუციით დაცულ პირის საპროცესო უფლებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამავე გადაწყვეტილებით, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის პირველი წინადადების სიტყვები - „რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“ და მე-2 წინადადების სიტყვები „რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“; ამავე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის სიტყვები „რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“ და „დ“ ქვეპუნქტის სიტყვები „რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა“ ძალადაკარგულად იქნა ცნობილი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განხორციელდეს ძირეული ცვლილებები, რომელიც პირველ რიგში გამორიცხავს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილებების ერთჯერადად გასაჩივრებას და პირის საპროცესო უფლებების სათანადოდ დაცვის, საქმის არასწორად გადაწყვეტის, შეცდომის დაშვების რისკის აბსოლუტურად გამორიცხვა მიზნით, მკაფიოდ დაადგენს დადგენილებების შემდგომ ინსტანციებში გასაჩივრების შესაძლებლობას. ამასთან, ამავე ცვლილებებით

მიზანშეწონილია გასაჩივრებას დაექვემდებაროს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული ყველა სახის გადაწყვეტილება/დადგენილება და არა მხოლოდ მათი გარკვეული ნაწილი, როგორც ეს მოქმედ რედაქციაშია ჩამოთვლილი.

### **3. საჩივრის განხილვის წინაპირობები, საჩივრის დასაშვებობა**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 272-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, საჩივარი შეიტანება იმ ორგანოში (თანამდებობის პირთან), რომელმაც გამოიტანა დადგენილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. საჩივარი 3 დღის ვადაში საქმესთან ერთად გადაეგზავნება იმ ორგანოს (თანამდებობის პირს), რომლის სახელზედაც არის შეტანილი და რომელიც ამ მუხლის შესაბამისად უფლებამოსილია განიხილოს იგი.

მიზანშეწონილია დაიხვეწოს მითითებული პროცედურა და შესაბამისი ცვლილებების განხორციელებისას, გათვალისწინებულ იქნას გერმანიის გამოცდილება. კერძოდ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“ გერმანიის კანონის მიხედვით, საჩივრის შეტანა ხდება დაჯარიმების შესახებ დადგენილების გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოში, იმისგან დამოუკიდებლად, შედიოდა თუ არა აქტის გამოცემა ამ ადმინისტრაციული ორგანოს განსჯადობაში. იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი შეტანილ იქნა სხვა ადმინისტრაციულ ორგანოში, ის ნამდვილობას იძენს მხოლოდ მას შემდეგ, რაც გადაეცემა მის განხილვაზე უფლებამოსილ ორგანოს, რის ვალდებულებაც, ძირითადად, აქვთ სახელმწიფო უწყებებს. თუმცა, გასათვალისწინებელია, რომ საჩივრის შეტანის ვადის გაშვების რისკი იზრდება საჩივრის არაგანსჯად ადმინისტრაციულ ორგანოში შეტანით, ხოლო ხანდაზმულად ითვლება საჩივარი, თუ მისი შეტანის ვადა გავა საჩივრის განსჯადი ორგანოსთვის გადაცემის დროსაც. ამ შემთხვევაში ხარვეზის აღმოფხვრა

შესაძლებელია საპროცესო ვადის აღდგენის სტატუსის მინიჭებით, რაც მხოლოდ მაშინაა ნებადართული, როდესაც საჩივრის შეტანა არაგანსჯად ორგანოში მოხდება პირის ბრალეულობის გარეშე.<sup>155</sup>

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სწრაფად წარმოების და მოქალაქეთა ინტერესების დაცვის მიზნით, მიზანშეწონილია დადგინდეს, რომ ადმინისტრაციული საჩივარი შეიტანება იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელმაც გამოიტანა დადგენილება სამართალდარღვევის საქმეზე. ხოლო არაუფლებამოსილ ორგანოში საჩივრის წარდგენისას, კოდექსით მას უნდა ეკისრებოდეს ვალდებულება, რომ თავისი ინიციატივით, 3 დღის ვადაში საქმესთან ერთად განსახილველად გადაუგზავნოს უფლებამოსილ ორგანოს.

საჩივრის დასაშვებობისთვის, არსებითი მნიშვნელობა არ ენიჭება დოკუმენტში მითითებული მოთხოვნის დასახელებას და სავალდებულო არ არის მისი „საჩივრად“ მოხსენიება, ის პრაქტიკაში ხშირად შეცილებადაც იწოდება. საკმარისია განმცხადებლის ნების დადგენა იმასთან დაკავშირებით, რომ მას სურს წარადგინოს საჩივარი დადგენილების წინააღმდეგ და ამით მიაღწიოს მის გადახედვასა ან/და გაუქმებას. საჩივარი უმჯობესია იყოს დასაბუთებული, თუმცა არც მისი სრულყოფილი სამართლებრივი დასაბუთებაა სავალდებულო.<sup>156</sup>

დადგენილების გასაჩივრება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებას აბრუნებს დადგენილების გამოცემამდე არსებულ თავდაპირველ ეტაპზე, რა დროსაც უფლებამოსილმა ორგანომ ასევე უნდა შეამოწმოს, დაცულია თუ არა საჩივრის შეტანის ფორმა და ვადა.<sup>157</sup> ხოლო, თუ დადგინდება, რომ დარღვეულია საჩივრის შეტანის ფორმა და ვადა, საქმის წარმოება არ უნდა დაიწყოს, ვინაიდან საჩივარი არ აკმაყოფილებს დასაშვებობის წინაპირობებს. აღნიშნულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ დადგენილება არ გაუქმდება და დარჩება

<sup>155</sup> *Bohnert J., Bülte J., Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016, 116.*

<sup>156</sup> *Bohnert J., Bülte J., Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016, 117.*

<sup>157</sup> „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“ გერმანიის კანონის 69-ე მუხლი.

კანონიერ ძალაში<sup>158</sup>. თუმცა, ხსენებულ შემთხვევაში დაინტერესებულ მხარეს აქვს დადგენილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა.<sup>159</sup>

#### **4. ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული საქმის წარმოების დაწყების საფუძველი**

საჩივართან დაკავშირებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის წარმოების დაწყება გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება, ვინაიდან სავალდებულოა დაინტერესებული მხარის მიერ შესაბამისი ფორმის დაცვით შემუშავებულ საჩივარში დაფიქსირებული მოთხოვნის მითითება კონკრეტულ დადგენილებასთან დაკავშირებით. საჩივართან დაკავშირებული წარმოება იწყება დაინტერესებული მხარის ინიციატივით, მის მიერ ადმინისტრაციული საჩივრის სათანადო წესით წარდგენის საფუძველზე.

##### **4.1. ფორმა**

გამომდინარე იქიდან, რომ მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი არ ადგენს საჩივრის ფორმას და რეკვიზიტებს, მიზანშეწონილია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი სტანდარტის გაზიარება და მისი სათანადო ფორმის დაცვით შედგენის დაწესება, გარკვეული სავალდებულო რეკვიზიტების მითითებით. შესაბამისად, გასათვალისწინებელია ამავე კოდექსის 181-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული საჩივრის შინაარსი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების თავისებურებების შესაბამისად. ხსენებული მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ საჩივარში აღნიშნული უნდა იყოს:

- ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომელშიც შეიტანება ადმინისტრაციული საჩივარი;

---

<sup>158</sup> იქვე

<sup>159</sup> ამავე კანონის 62-ე მუხლი.

- ადმინისტრაციული საჩივრის წარმდგენი პირის ვინაობა და მისამართი;
- იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელება, რომლის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ან მოქმედება საჩივრდება;
- გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასახელება;
- მოთხოვნა;
- გარემოებანი, რომელთაც ეფუძნება მოთხოვნა;
- ადმინისტრაციულ საჩივარზე დართული საბუთების ნუსხა, თუ საჩივარს რაიმე დოკუმენტი დაერთვის.

ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით შედგენასთან დაკავშირებით, საგულისხმოა, რომ დროთა განმავლობაში მუდმივად ყალიბდება ახალი ტექნიკური საშუალებები და გარკვეული დოკუმენტების შედგენა სხვადასხვა ფორმით არის შესაძლებელი. ადრე საჩივრის შეტანა დაიშვებოდა ტელეგრამისა და ფაქსის მეშვეობით, თუმცა, დღესდღეობით როდესაც დანერგილია საქმის წარმოების ელექტრონული სისტემები, საჩივრის წარდგენა აგრეთვე დასაშვებია ელექტრონულადაც. იმ შემთხვევაში, თუ პირს სურს, რომ სატელეფონო კომუნიკაციის გზით გაასაჩივროს დადგენილება, ბუნებრივია ვერ იქნება დაცული წერილობითი ფორმა, თუმცა სატელეფონო კომუნიკაციის გზით მიღებული შეტყობინება სახელმწიფო ორგანომ შეიძლება წერილობით დააფიქსიროს და ამით ის პასუხობდეს საჩივრის წარდგენისთვის დადგენილ სავალდებულო - წერილობით ფორმას.<sup>160</sup>

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი ნორმის შინაარსში გათვალისწინებულ იქნას საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა როგორც

<sup>160</sup> Bohnert J., Bülte J., Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016, 117.

მატერიალური, აგრეთვე სათანადო წესით დაცული ელექტრონული ფორმით.

#### 4.2. საჩივრის წარდგენის ვადა

საქართველოს კანონმდებლობა არ არის თანმიმდევრული სახელმწიფოს მიერ გამოცემული აქტების გასაჩივრების ვადების განსაზღვრის მხრივ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიხედვით, ადმინისტრაციული საჩივარი წარდგენილ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოქვეყნების ან ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში<sup>161</sup>, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი. ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი დადგენილების გასაჩივრებისთვის ადგენს 10 დღიან ვადას. აღნიშნული დათქმა სავარაუდოდ გამომდინარეობს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების დაჩქარებული წესით განხილვის თავისებურების გათვალისწინებით, თუმცა ხსენებული ვადების შემჭიდროვება მიზნად უნდა ისახავდეს ადმინისტრაციული ორგანოების მოქალაქეთა საუკეთესო ინტერესების დაცვას და არა პირიქით, მათი უფლებების შეზღუდვას.

საგულისხმოა, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2019 წლის 18 აპრილის №1/3/1263 გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად ცნო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 273-ე მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომლის მიხედვითაც, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოტანიდან 10 დღის ვადაში. არაკონსტიტუციური ნორმა ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 2019 წლის 1 ივლისიდან.

საკონსტიტუციო სასამართლომ სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად მიიჩნია იმ არგუმენტაციით, რომ გასაჩივრების ვადის დადგენილების გამოტანიდან ათვლის გამო დასაბუთებული დადგენილების დროულად

---

<sup>161</sup> საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლი.



ჩაუბარებლობის შემთხვევაში პირს არათანაზომიერად ეზღუდება არგუმენტირებული საჩივრის წარდგენის შესაძლებლობა. ამასთანავე, სადავო ნორმის დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში აღარ იარსებებს სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილების გასაჩივრებისათვის განსაზღვრული ვადა. შესაბამისად, მხარეს შესაძლებლობა ექნება, გაასაჩივროს სასამართლოს დადგენილება ნებისმიერ ვადაში.<sup>162</sup>

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ მიღებული სასამართლოს დადგენილების გასაჩივრების ვადებს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც, რიგ შემთხვევებში, სწორედ ამ ვადის გასვლასთან დაკავშირებულია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა სასამართლოს დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლა, მისი სამართლებრივი შედეგები და ა.შ. შესაბამისად, სადავო ნორმის დაუყოვნებლივ ძალადაკარგულად ცნობის შემთხვევაში შესაძლებელია, დაზიანდეს მნიშვნელოვანი ლეგიტიმური ინტერესები.<sup>163</sup>

მოცემულ თავში განხილული საკითხების შედეგად ნათელია, რომ აუცილებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გაიზარდოს სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა. იმ შემთხვევაში თუ, ადმინისტრაციული დადგენილების გასაჩივრების ახალი ვადის დადგენის განხილვის პროცესში, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დაწესებული სტანდარტი - ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ერთი თვის ვადაში გასაჩივრების შესაძლებლობა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიზნებიდან გამომდინარე მიჩნეულ იქნება ხანგრძლივ პერიოდად, აღნიშნულ ნაწილში შესაძლებელია გერმანიის გამოცდილების გათვალისწინება, რაც ქვემოთ არის მოყვანილი.

კერძოდ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრება, გერმანიის კანონმდებლობით შესაძლებელია

---

<sup>162</sup>საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: ირაკლი ხვედელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4544474?publication=0#DOCUMENT:1;>>[03/11/2019].

<sup>163</sup> იქვე.

ორი კვირის ვადაში, ხოლო მისი ათვლა იწყება სამართალდამრღვევისთვის ან მისი წარმომადგენლისთვის დადგენილების ჩაბარების დღიდან.<sup>164</sup> ეს ნიშნავს იმას, რომ ვადის დენა იწყება დადგენილების ჩაბარების დღის დასრულების მომენტიდან და სრულდება ორი კვირის თავზე ჩაბარების დღის დასრულებით. მაგალითად, თუ პირს დადგენილება ჩაბარდა ოთხშაბათს, მისი გასაჩივრების ვადა გადის ორი კვირის თავზე, ოთხშაბათი დღის ამოწურვით. ხოლო, თუ ეს ოთხშაბათი ოფიციალური დასვენების დღეა, მაშინ ვადა იჭურება მომდევნო დღეს - ხუთშაბათს. ანალოგიური წესი მოქმედებს შაბათის და კვირის შემთხვევაშიც.<sup>165</sup>

#### **4.3. საჩივრის მოქმედების ძალა დადგენილების სამართლებრივ შედეგებთან მიმართებით**

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი დადგენილებების გასაჩივრებისას ადგენს მისი აღსრულების განსხვავებული წესს, დადგენილების ხასიათისა და დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელის გათვალისწინებით. კერძოდ:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების სასამართლოში გასაჩივრების შემთხვევაში სასამართლოს მიერ მიღებული დადგენილება აღსრულდება მისი გამოტანის მომენტიდან. დადგენილების გასაჩივრება არ აჩერებს მის აღსრულებას, თუ ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი (272-ე მუხლის მეოთხე ნაწილი).
- დადგენილ ვადაში საჩივრის შეტანა მის განხილვამდე შეაჩერებს ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის თაობაზე და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილებების,

<sup>164</sup> „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“ გერმანიის კანონის 50-ე მუხლი.

<sup>165</sup> Bohnert J., Bülte J., Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016, 117.

აგრეთვე ამ კოდექსის 234<sup>1</sup> მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებას, გარდა ამ კოდექსის 26-ე და 32-ე მუხლებით გათვალისწინებული სახდელების გამოყენების შესახებ დადგენილებებისა, ამ მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა, აგრეთვე იმ შემთხვევისა, როდესაც პირს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე აკისრებენ ჯარიმას, რომელსაც ადგილზევე გადაახდევინებენ (275-ე მუხლი).

- კოდექსის 208-ე (რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები) და 208<sup>2</sup> („მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვა) მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების თაობაზე გამოტანილი დადგენილებების გასაჩივრება არ აჩერებს ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ, ერთი ადმინისტრაციული სახდელის სხვა ადმინისტრაციული სახდელით შეცვლის თაობაზე და საურავის დარიცხვის შესახებ დადგენილებების აღსრულებას. დადგენილების გასაჩივრებისას საჩივრის დაკმაყოფილების შემთხვევაში პირს დაუბრუნდება ჯარიმისა და საურავის სახით, აგრეთვე ამავე კოდექსით დადგენილი წესით ქონებრივი ზარალის ანაზღაურების მიზნით გადახდილი თანხა (275-ე მუხლის 1<sup>1</sup> ნაწილი).

ამკარაა, რომ მოქმედი კოდექსი მოცემულ საკითხთან დაკავშირებით საკმაოდ ბუნდოვან და რთულ მექანიზმს ითვალისწინებს და გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნულ მუხლებში უთითებს მხოლოდ გარკვეული შინაარსის მქონე დადგენილებებს, დასაშვებად არ მიიჩნევა ყველა სახის დადგენილების გასაჩივრებისას მათი მოქმედების შეჩერებას.

განსხვავებული რეგულაციაა გათვალისწინებული „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“ გერმანიის კანონით, რომელიც არ უთითებს მხოლოდ რამდენიმე სახის დადგენილებას, რომელთა გასაჩივრებაც აჩერებს მათ მოქმედებას. კერძოდ, აღნიშნული კანონის 67-ე მუხლის თანახმად, საჩივარი აჩერებს სამართლებრივი ძალის მოქმედებას და ხელს უშლის დაჯარიმების შესახებ დადგენილების კანონიერ ძალაში შესვლას. შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ გასაჩივრდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, მისი მოქმედება შეჩერდება იმის მიუხედავად თუ რა სახის/შინაარსის არის ის.

სასურველია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ასევე შეიცვალოს დადგენილების გასაჩივრების შედეგები, ამასთან, სათანადოდ უნდა იქნას გათვალისწინებული საჩივრის სუსპენსიური ეფექტი და დადგენილების გასაჩივრებით სასურველია შეჩერდეს მისი მოქმედება. თუმცა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე მიღებული დადგენილების თავისებურების გათვალისწინებით, სასურველია განისაზღვროს ისეთი საგამონაკლისო შემთხვევები, როდესაც არ შეჩერდება მისი მოქმედება, მაგალითად, როდესაც ადმინისტრაციული სახდელის სახით სამართალდამრღვევს დაკისრებული აქვს პირისთვის მინიჭებული სპეციალური უფლების შეჩერება ან ჩამორთმევა, შესაძლოა არ შეჩერდეს დაკისრებული სახდელის მოქმედება.

#### **4.4. საჩივრის გამოხმობა**

გერმანიის „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“ კანონის 67-ე მუხლი დადგენილების გასაჩივრების შემდეგ, საჩივრის ავტორს აძლევს უფლებას უარი თქვას დაფიქსირებულ მოთხოვნაზე და გამოიხმოს შეტანილი საჩივარი. ამავე მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, ასევე შესაძლებელია მისი ნაწილობრივი გამოხმობაც, რა დროსაც პირს უფლება აქვს მოითხოვოს მის მიერ შეტანილ საჩივარში დაფიქსირებული ზოგიერთი მოთხოვნის

განუხილველად დატოვება. საჩივრის გამოხმობის წარდგენა საჭიროებს იმავე ფორმას, როგორსაც საჩივარი, არ ექვემდებარება გაუქმებას და დასაშვებია საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საჩივრის გამოხმობა პირისთვის შესაძლოა სასურველი იყოს მთავარ სხდომაზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების მისთვის კიდევ უფრო დამძიმების (reformatio in peius) თავიდან არიდების მიზნით.<sup>166</sup>

Reformatio in peius ნიშნავს შეცვლას უარესობისკენ<sup>167</sup> საჩივრის წარმდგენი პირის მდგომარეობის ფაქტობრივ გაუარესებას.<sup>168</sup> Reformatio in peius საქართველოში დაშვებულია, თუ ეს დაშვებულია სპეციალური კანონმდებლობით. სხვა შემთხვევაში ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციულ საჩივარს განიხილავს მხოლოდ მოთხოვნის ფარგლებში.<sup>169</sup>

მიმაჩნია, რომ აღნიშნული შესაძლებლობის არსებობა აუცილებელია, არამარტო ადმინისტრაციული საჩივრის, არამედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის მარტივი წარმოების დაწყებასთან დაკავშირებით, პირის მიერ შეტანილი განცხადების შემდგომ ეტაპზეც. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი კი, აღნიშნულ შესაძლებლობებს არ ითვალისწინებს, მაშინ როდესაც პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როდესაც განმცხადებელს აღარ სურს მისი მოთხოვნის საფუძველზე დაწყებული საქმის წარმოების გაგრძელება და პირისთვის ადმინისტრაციული სახდელის დადება, ხოლო საქმის განმხილველი უფლებამოსილი ორგანო, იძულებულია ინიციატორის სურვილის საწინააღმდეგოდ, პირვანდელ განცხადებაში (რომლის საფუძველზეც დაიწყო წარმოება) მითითებულ ფაქტთან დაკავშირებით მოიძიოს და შეისწავლოს ყველა ფაქტობრივი გარემოება და მართლსაწინააღმდეგო

<sup>166</sup> Bohnert J., Bülte J., Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016, 118.

<sup>167</sup> Jaroschek M., Die reformatio in peius im Widerspruchsverfahren, JA, 1997, 668.

<sup>168</sup> Kingreen T., Zur Zulässigkeit der reformatio in peius im Prüfungsrecht, DÖV, 2003, 2.

<sup>169</sup> ბოგერია რ., REFORMATIO IN PEIUS-ის პრინციპის დასაშვებობის საკითხი გერმანიისა და საქართველოს საგამოცდო სამართალში, 66

[http://www.library.court.ge/upload/administrative\\_law\\_journal.pdf](http://www.library.court.ge/upload/administrative_law_journal.pdf)[03/11/2019].

ქმედების გამოვლენის შემთხვევაში სამართალდამრღვევს დააკისროს ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

### 1.1. საქმის წარმოების ვადა

ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების თაობაზე საჩივარი, უფლებამოსილმა ორგანომ (თანამდებობის პირმა) ან/და რაიონულმა (საქალაქო) სასამართლომ მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად, უნდა განიხილოს 30 დღის ვადაში<sup>170</sup>.

იმის გათვალისწინებით, რომ საჩივრის განხილვისას ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანო/სასამართლო ამოწმებს მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მარტივი საქმის წარმოებისას უფლებამოსილი პირის მხრიდან გადაწყვეტილების მიღების კანონიერებას, მის მიერ უკვე მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე, მიმაჩნია, რომ შესაძლებელია საჩივრის განხილვისთვის იმთავითვე დადგენილი 30 დღიანი ვადის შემცირება და მისი სრულად გამოყენებისთვის საგამონაკლისო ხასიათის დადგენა. კერძოდ, სასურველია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე საჩივრის განხილვა უფლებამოსილ ორგანოს კოდექსის შესაბამისი ნორმით დაევალოს 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადაში. ხოლო, აუცილებლობის შემთხვევაში, საქმის გარემოებების სრულყოფილად გამოკვლევის მიზნით, აღნიშნული ვადის გაგრძელება დასაშვებია იყოს ერთჯერადად, დამატებით 10 (ათი) კალენდარული დღით, საჩივრის განმხილველი ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

---

<sup>170</sup> ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 276-ე მუხლის პირველი ნაწილი.

#### 4.5. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგების თავისებურება

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევასთან დაკავშირებით საჩივრის განხილვა საქმის მწარმოებელ უფლებამოსილ ორგანოს აძლევს რამდენიმე შესაძლებლობას. პირველ რიგში, მისი სახელით მიღებული გადაწყვეტილების გადასამოწმებლად შეუძლია განახორციელოს დამატებითი მოკვლევა მართლსაწინააღმდეგო ქმედებასთან დაკავშირებით. თუ საქმის განმხილველი ორგანო გაიზიარებს დადგენილებაში დაფიქსირებულ პოზიციას, ძალაში დატოვებს მას, ხოლო თუ საკითხის შესწავლის შედეგად დაასკვნის, რომ დადგენილება მიღებულია კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნათა დარღვევით, შეუძლია ბათილად ცნოს ის.

ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ დადგენილების ბათილად ცნობის შემთხვევაში, საჩივრის განმხილველი ორგანოს მხრიდან საქმის წარმოების პროცესი ბრუნდება დადგენილების გამოცემამდე არსებულ ეტაპზე, თუმცა აუცილებელია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადის გათვალისწინება.<sup>171</sup> დადგენილების გაუქმების შემდეგ უფლებამოსილ ორგანოს შეუძლია ხელახლა დააკისროს პირს ადმინისტრაციული სახდელი, პირვანდელი შინაარსის მქონე ახალი დადგენილებით, ან შეწყვიტოს საქმის წარმოება დევნის წინაპირობებისა და სახდელის დაკისრების საფუძვლების არარსებობის გამო. ახალი დადგენილებით სახდელის ხელახლა დაკისრებას შემთხვევაშიც, სამართალდამრღვევს თავის დაცვა შეუძლია საჩივრის ხელმეორედ შეტანის გზით.<sup>172</sup>

<sup>171</sup>Oberlandersgericht Stuttgart, Monatsschrift Für Deutsches Recht, 1985, 521.

<sup>172</sup>Bohnert J., Bülte J., Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016, 117.

## 5. გადაწყვეტილება საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით, საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოება სრულდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქმეზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის მარტივი წარმოებისგან განსხვავებით, საჩივართან დაკავშირებულ საქმის წარმოებასთან დაკავშირებით მიიღება განსხვავებული შედეგების მქონე შემდეგი გადაწყვეტილებებიდან ერთ-ერთი:

- დადგენილების უცვლელად დატოვებისა და საჩივრის ან პროტესტის დაუკმაყოფილებლად დატოვების შესახებ;
- დადგენილების გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის გაგზავნის შესახებ;
- დადგენილების გაუქმებისა და საქმის შეწყვეტის შესახებ;
- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234<sup>1</sup> მუხლით დადგენილი წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული დადგენილების გაუქმებისა და პირის ადმინისტრაციული სახდელისაგან განთავისუფლების შესახებ;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის სახდელის ზომის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში შეცვლის შესახებ.

## 6. დადგენილების გაუქმების საფუძვლები

მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, არ განსაზღვრავს დადგენილების ბათილად ცნობის წინაპირობებს, გარდა 278-ე მუხლის მეორე ნაწილით განსაზღვრული შემთხვევისა, რომლის თანახმად, თუ დადგინდება, რომ დადგენილება გამოიტანა იმ ორგანომ (თანამდებობის



პირმა), რომელიც არ იყო უფლებამოსილი გადაეწყვიტა ეს საქმე, მაშინ ასეთი დადგენილება გაუქმდება და საქმე განსახილველად გაეგზავნება უფლებამოსილ ორგანოს (თანამდებობის პირს). აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განვიხილოთ დადგენილების გაუქმების საფუძველები.

დადგენილების გაუქმება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ნაკლოვანია - 1) პროცედურული კუთხით 2) გამოცემის ფორმასთან დაკავშირებით 3) შინაარსობრივად.<sup>173</sup>

### 6.1. პროცედურული ნაკლი

უკანონო დადგენილება, თუ სახეზეა ისეთი პროცედურული ნაკლი, რომელსაც ეფუძნება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ დადგენილება და რომელიც არ გამოიციმოდა, რომ არა საქმის წარმოების პროცესში დაშვებული აღნიშნული შეცდომა. პროცედურული ნაკლი ძირითადად სახეზეა, როდესაც დადგენილება მიღებულია კანონდარღვევის გზით მოპოვებული მტკიცებულების ან უშუალოდ დაუშვებელი მტკიცებულების გამოყენების საფუძველზე.

საქმის განმხილველ უფლებამოსილ ორგანოს წარმოების პროცესში, დადგენილების გამოცემამდე და მისი სამართალდარღვევისთვის ჩაბარებამდე შეუძლია გამოასწოროს პროცედურული ნაკლი, უკანონო მტკიცებულება ჩაანაცვლოს შესაბამისი კანონიერი მტკიცებულებით და გამოსცეს სათანადო დადგენილება. ხოლო, თუ ვერ მოხდება პროცედურული ნაკლის აღმოფხვრა, დაუშვებელია კანონსაწინააღმდეგო შედეგების დამდგენი დადგენილების გამოცემა.

გასათვალისწინებელია, რომ პროცედურული ნაკლის გამოსწორების საფუძველი არ არის დაინტერესებული მხარის მიერ ხსენებული მოთხოვნის

---

<sup>173</sup> Bohnert J., Bülte J., Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016, 111.

მქონე საჩივრის წარდგენა და ის უნდა განხორციელდეს თავად უფლებამოსილი ორგანოს ინიციატივით.

იმ შემთხვევაში, თუ საქმის განმხილველმა ორგანომ არ აღმოფხვრა პროცედურული ნაკლი და დაინტერესებულმა მხარემ გაასაჩივრა მიღებული დადგენილება, უფლებამოსილმა ორგანომ შეცდომაზე მითითებით ან მითითების გარეშე, ბათილად უნდა ცნოს ის, რამდენადაც საქმის წარმოების პროცესში დაშვებულია არსებითი შეცდომა, რომელმაც გავლენა იქონია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებაზე.

## **6.2. გამოცემის ფორმასთან დაკავშირებული ნაკლი**

ფორმასთან დაკავშირებული ნაკლი სახეზეა, როდესაც დადგენილების გამომცემელია წერილობითი ფორმის დარღვევით ან/და შეუძლებელია მისი გამომცემი ორგანოს დადგენა. ხარვეზის გასწორებას ექვემდებარება მხოლოდ წერისას დაშვებული შეცდომა, თუმცა ის არ უნდა იყოს არსებითი. გამომდინარე იქიდან, რომ მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი, არ ადგენს დადგენილების გამომცემი ორგანოს მხრიდან ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომის გამოსწორების შესაძლებლობას, საჭიროა შესაბამისი დებულების ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გათვალისწინება. აღნიშნულ უზუსტობას, გერმანიის კანონმდებლობაში ეწოდება შინაარსობრივი ნაკლი.

## **6.3. შინაარსობრივი ნაკლი**

პროცედურული ნაკლისაგან განსხვავებით, შინაარსობრივი ნაკლი არ არის დადგენილების გაუქმების საფუძველი, რამდენადაც ის ხელს არ უშლის

სამართლებრივი შედეგის განსაზღვრას. გავრცელებული შეხედულებით, დოკუმენტის ტექსტში გარკვეული უზუსტობების ან/და პირთან დაკავშირებული სხვა ნაკლებად მნიშვნელოვანი მონაცემების არასწორი მითითება არ ავნებს საქმეს, ვინაიდან კონკრეტული მართლსაწინააღმდეგო ქმედება და მისი ჩამდენის ვინაობა ცალსახად დადგენადია.<sup>174</sup> ანალოგიური მოქმედებს პროცედურული ქმედების არაზუსტი ფორმულირებისას, როდესაც აღნიშნულის მიუხედავად ის ამკარაა და სწორი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.<sup>175</sup>

მცირე მნიშვნელობის მქონე უზუსტობებისაგან განსხვავებით, დადგენილების ბათილად ცნობის საფუძველი არის სამართლებრივი აქტის გამოცემისას დაშვებული არსებითი შეცდომები, რომლებიც ამკარაა ყველა არსებული ფაქტობრივი გარემოების გონივრული შეფასებისას და რომლებიც დადგენილებას იმთავითვე „შუბლზე აწერია“.<sup>176</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ გარკვეული შეხედულებით, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის მიზნებისთვის განსაზღვრული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილობის წინაპირობების გამოყენება ასევე დასაშვებია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართალში, დადგენილებების უკანონოდ ცნობისათვის,<sup>177</sup> მიზანშეწონილია ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დადგენილების გაუქმების საფუძველზე ასევე გათვალისწინებული იქნას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60 და 60<sup>1</sup> მუხლებით დადგენილი არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის განმსაზღვრელი დებულებები.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მსგავსად, ერთმანეთისგან უნდა გაიმიჯნოს უკანონო და მიზანშეუწონელი დადგენილებები. უნდა აღინიშნოს, რომ საჩივარზე წარმოების გზით მხოლოდ ადმინისტრაციული

---

<sup>174</sup> *Kurz*, *Karlsruher Kommentar zum OWiG*, 2006, § 6, 49.

<sup>175</sup> *Rebmann, Roth, Herrmann*, *Gesetz über Ordnungswidrigkeiten*, 2014, § 6, 25.

<sup>176</sup> *Maurer Allgemeines Verwaltungsrecht*, 18. Aufl., 2011 § 10, 21.

<sup>177</sup> *Göhler*, *OWiG, Kommentar*, 16. Aufl., 2012 § 66, 57.

ორგანო ამოწმებს მიზანშეწონილობას, სასამართლო კი იფარგლება აქტის მხოლოდ კანონიერების შემოწმებით.<sup>178</sup>

## 7. საჩივართან დაკავშირებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების თავისებურება სასამართლოში

როდესაც პირი არ ეთანხმება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე შესაბამისი ორგანოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, მას მინიჭებული აქვს უფლებების დაცვის რამდენიმე საშუალების გამოყენების შესაძლებლობა. გარდა იმისა, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, პირს შეუძლია სასამართლოში წარადგინოს სარჩელი და მოითხოვოს მოქმედების განხორციელება ან მოქმედებისაგან თავის შეკავება, იგი ასევე უფლებამოსილია საჩივრით მიმართოს როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს, ისე სასამართლოს, რომელიც ამ შემთხვევაში საქმეს განიხილავს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

საჩივრის განხილვისას სასამართლო არ ამოწმებს დასაშვები იყო თუ არა კონკრეტულ შემთხვევაში, დაჯარიმების შესახებ დადგენილების გამოცემა და საქმესთან დაკავშირებით იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას. ის განსაზღვრავს კონკრეტულ პროცესუალურ ქმედებას და მის ჩადენაზე პასუხისმგებლად მიჩნეულ სამართალდამრღვევს. ამასთან სასამართლოს მხრიდან არ ხდება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების თაობაზე მიღებული დადგენილების ფარგლებში განხორციელებული ქმედების სამართლებრივი შეფასების გათვალისწინება და გადაწყვეტილება მიიღება შინაგან რწმენაზე დაყრდნობით - მაშინაც კი, თუ ის მივა იმავე გადაწყვეტილებამდე, რომელიც საქმის თავდაპირველი განხილვისას მიიღო შესაბამისმა ორგანომ.<sup>179</sup>

<sup>178</sup> ტურავა პ., *წვეკლადე ნ.*, ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. თბილისი, 2010, 132.

<sup>179</sup> Bohnert J., Bülte J., *Ordnungswidrigkeitenrecht*. 5. Auflage. 2016, 114.

აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვისას სასამართლოს შინაგანი რწმენის თაობაზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა 2015 წლის 22 დეკემბერს, საქმეზე #ბს-497-490 (კ-15), რომლის მიხედვით, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. მოსაზრებები, რომლებიც საფუძვლად უდევს სასამართლოს შინაგან რწმენას, უნდა აისახოს გადაწყვეტილებაში.<sup>180</sup>

ადმინისტრაციული საქმეების განხილველ სასამართლოში საჩივართან დაკავშირებული საქმისწარმოებისას, მოწმდება, გამოიკა თუ არა დადგენილება კანონის მოთხოვნების დაცვით. მაშასადამე, ადმინისტრაციული საქმეების განხილველი სასამართლო ამოწმებს ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებას, როგორც ასეთს, ფაქტობრივი და სამართლებრივი მდგომარეობის საფუძველზე დადგენილების გამოცემის მომენტისთვის. ამასთან, მოწმდება თუ როგორ შეიძლება შეფასდეს სამართალდამრღვევის ქმედება სასამართლოში საქმისწარმოების ფარგლებში. საგულისხმოა, რომ სასამართლო იღებს დამოუკიდებელ გადაწყვეტილებას ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო იმავე შედეგამდე მივა, რომლამდეც მივიდა ადმინისტრაციული ორგანო ის დადგენილებას კი არ დაადასტურებს ან უარს იტყვის საჩივრის დაკმაყოფილებაზე, არამედ იღებს გადაწყვეტილებას სახდელის დაკისრებასთან დაკავშირებით, ისე რომ ამასთან არ უთითებს გასაჩივრებულ დადგენილებაზე.<sup>181</sup>

ადამიანის უფლებათა სათანადოდ დაცვის უზრუნველყოფასთან ერთად, სასამართლოების განტვირთვის მიზნით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ნათლად უნდა გაიწეროს დად-

<sup>180</sup>საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა ადმინისტრაციულ საქმეებზე (2014 წლის II ნახევარი - 2015 წელი), 83 <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ertgvarovani-praktika-administraciuli.pdf>>[03/11/2019].

<sup>181</sup>Bohnert J., Bülte J., Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016, 115.

გენილების გასაჩივრების სათანადო მექანიზმები და როგორც მოცემულ თავში აღინიშნა, სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების ზემდგომ ორგანოში, ხოლო შემდეგ კი - სასამართლოში გასაჩივრების უფლება.

## დასკვნა

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში შესრულებული სამეცნიერო კვლევის ძირითადი მიზანია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალ-დარღვევათა კანონმდებლობის გაუმჯობესება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სფეროში სათანადო კოდიფიკაციის განხორციელება და შესაბამისი კოდექსის მიღების პროცესის ხელშეწყობა. ხსენებული მიზნების მიღწევა კი, შეუძლებელია, საკვლევი საკითხის - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების სრულყოფის გარეშე. ზემოაღნიშნულ პროცესში, აუცილებელია პრაქტიკაში გათვალისწინებულ იქნეს ნაშრომში შემოთავაზებული და განხილული ისეთი საკითხები, როგორცაა - სამართალდარღვევის სამართლებრივი ბუნების დადგენა, რომელიც პასუხს გასცემს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (გადაცდომისა) და სისხლის სამართლის დანაშაულის გამიჯვნის აქტუალურ საკითხებს.

ამასთან, ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ჩატარებული წარმოების ხარისხის და თავად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი სტანდარტების ამაღლების მიზნით, კვლევის ფარგლებში განხილულია ხსენებული მიზნის მიღწევის იმგვარი საშუალებები, როგორცაა - ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების არსისა და მისი სახეების განსაზღვრა, ადმინისტრაციული წარმოებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების შედარებითი ანალიზის განხორციელება, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პრინციპების ჩამოყალიბება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების მხარეებისა და მონაწილე პირების სამართლებრივი მდგომარეობის განსაზღვრა, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების მხარეების და მონაწილე პირების უფლებამოსილებების დადგენა, საქმეზე არსებული დასაშვები მტკიცებულებების, მათი მოპოვების გზების, შესაბამისი შეზღუდვების და მათი საბოლოო შეფასების სტანდარ-

ტების შემუშავება, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის შედეგად მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი ფორმის განსაზღვრა, სხვადასხვა სახის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების თავისებურებების დადგენა.

ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევის უზრუნველსაყოფად ნაშრომში განხილულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოებასთან დაკავშირებული მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი რეგულაციები, ხოლო კვლევის შედეგად წარმოჩენილ თითოეულ პრობლემურ საკითხთან დაკავშირებით, მათი გამოსწორების მიზნით, მოცემულია პრაქტიკული სამართლებრივი რეკომენდაციები.

### **ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (გადაცდომების) მსგავსება სხვა სახის სამართალდარღვევებთან და მათი გამიჯვნის კრიტერიუმები**

კვლევის შედეგებმა ცხადყო, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არსებობს გარკვეული სახის სამართალდარღვევები, რომლებიც არიან სისხლის სამართლის ბუნების მატარებლები. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი უნდა გათავისუფლდეს სისხლის სამართლებრივი ხასიათის დარღვევებისგან და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართალი მკაფიოდ გამიჯნოს სისხლის სამართლისაგან. ხსენებული მიზნით, ჩვენ მიერ შემუშავებულ იქნა, აღნიშნული დარგებით განსაზღვრული პასუხისმგებლობის ზომების, სისხლის სამართლის დანაშაულის და ადმინისტრაციული გადაცდომის გამიჯვნის კრიტერიუმები (იხ. თავი II, პუნქტები - 1.3 და 1.4).

ამასთან, სისხლის სამართლის კოდექსიდან გამოსაცალკევებელია ისეთი სამართალდარღვევები, რომლებიც მსუბუქი ხასიათის სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოადგენს, რადგან სისხლის სამართლის წესით, დასჯა იქნება არაპროპორციული ჩადენილ ქმედებასთან მიმართებაში. ამ შემთხვევაში კრიტერიუმად შეიძლება მივიჩნიოთ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მსგავს ქმედებაზე პასუხისმგებლობის არსებობა, სამართალდარღვევით მიყენებული ზიანის დაბალი დონე,



ქმედების ან მოსალოდნელი ზიანის საზოგადოებრივი საშიშროების დაბალი ხარისხი და ქმედების ბუნება, სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი სასჯელის მსუბუქი ხასიათი ან/და ჯარიმის ოდენობა.

აგრეთვე, მიზანშეწონილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ჩამოყალიბდეს ახალი თავი, სადაც საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსიდან გადატანილი იქნება სისხლისსამართლებრივი ხასიათის სამართალდარღვევების, რომლებიც ადმინისტრაციული სახდელის სახით ითვალისწინებენ პატიმრობას ან/და დიდი ოდენობით ფულად ჯარიმას.

გამომდინარე იქიდან, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების უზრუნველყოფის ზომებს შორის ადმინისტრაციული მიყვანა პირზე ზემოქმედების საკმაოდ მაღალი ინტენსიურობის ხასიათით გამოირჩევა, კვლევის ფარგლებში შემოთავაზებულია ხსენებულ ნაწილში კოდექსით დადგენილი პროცედურის დახვეწა. იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული მიყვანის გამოყენების შემთხვევაშიც ხდება პოლიციელის, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლის ან აღსრულების პოლიციელის მიერ პირისათვის თავისუფლების დროებით შეზღუდვა, მნიშვნელოვანია ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მისაცემი პირი დაუყოვნებლივ იქნას მიყვანილი შესაბამის დაწესებულებაში და თავის მხრივ, დაუყოვნებლივ აღიკვეთოს თავისუფლების შეზღუდვის ფაქტი, პირის ადმინისტრაციული მიყვანის ღონისძიების გამოყენების საფუძვლის აღმოფხვრისთანავე. ადმინისტრაციული მიყვანის დროს აუცილებელია პირს განემარტოს მისი ძირითადი უფლებები და ის გარემოებები, რომელთა გამოც საჭირო გახდა ზემოაღნიშნული ღონისძიების გამოყენება. ამასთან, მსგავს შემთხვევებში სასურველია დაწესდეს შესაბამისი ოქმის შედგენის ვალდებულება, პირის ადმინისტრაციული მიყვანის გამოყენების სათანადო დასაბუთებით.

გასათვალისწინებელია, რომ მთელი რიგი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენის შედეგად დგება როგორც ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა, ისე სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის შესაძლებლობა. მაგალითად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრული შემთხვევაში, როდესაც გადაცდომას მოჰყვება სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, გზის, საგზაო თუ სხვა ნაგებობის, სხვა ქონების ან ადამიანის სხეულის მსუბუქი დაზიანება იწვევს 500 ლარით დაჯარიმებას. დამრღვევს ისედაც ეკისრება სამოქალაქო კანონმდებლობით ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ასანაზღაურებელი თანხა ზოგიერთი მოქალაქისთვის არის საკმაოდ მაღალი. ადმინისტრაციული სახდელის დადებისას, უფლებამოსილ პირს საქმესთან დაკავშირებული ყველა გარემოების გამოკვლევის, მათ შორის სამართალდამრღვევის ქონებრივი მდგომარეობის შეფასებისთვის უნდა გააჩნდეს საკმარისი დრო და ჯარიმით განსასაზღვრი თანხის ოდენობის დაკისრების დისკრეცია, რაც მოქმედი კანონმდებლობით შეუძლებელია. ამასთან, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი კონკრეტული გადაცდომისთვის ადგენს მკაცრად განსაზღვრულ თანხას და არ იძლევა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შესაძლებლობას, რომ არაფერი ვთქვათ იმ საკითხის ბუნდოვანებაზე, თუ რა კრიტერიუმების საფუძველზე მოხდა კონკრეტული ფულადი ოდენობის განსაზღვრა, ვინაიდან ყოველი სამართალდარღვევა უნდა იქნას განხილული ინდივიდუალურ ქრილში და მისთვის დამახასიათებელი თავისებურებების გათვალისწინებით. მნიშვნელოვანია, რომ კონკრეტული მუხლით დადგენილი სანქცია იყოს სამართალდარღვევის შესაბამისი, საქმესთან დაკავშირებული თითოეული ფაქტობრივი გარემოების სრულყოფილად შესწავლისა და გაანალიზების საფუძველზე სამართლიანობის, თანაზომიერების და თანასწორობის პრინციპებზე დაყრდნობით მიღებული.

## **ადმინისტრაციული წარმოებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების შედარებითი ანალიზი**

კვლევის ფარგლებში, დარგობრივი მსგავსებიდან გამომდინარე მოცემულია ადმინისტრაციული წარმოებისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების შედარებითი ანალიზი და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მსგავსად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის მიზნებისთვის განხილული და შემოთავაზებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების შესაბამისი დებულებების გათვალისწინება (იხ. თავი III).

კვლევის ფარგლებში გამოკვეთილია, რომ აუცილებელია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც მოხდეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების (გარდა ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებული საქმის წარმოებისა) დაწყების თაობაზე დისკრეციული უფლებამოსილების მიდგომის გათვალისწინება, რაც ხელს შეუწყობს და გაამარტივებს უფლებამოსილი ორგანოების მხრიდან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პროცესს. ამავდროულად, მოქალაქეებისთვის/შეტყობინების ავტორებისთვის ცნობილი იქნება, რომ ადმინისტრაციული საქმის წარმოება არ დაიწყო ადმინისტრაციული ორგანოსთვის კოდექსით მინიჭებული კონკრეტული შესაძლებლობის - დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების შესაბამისად, რომლის გამოყენებასაც გააჩნდა შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი (იხ. გვერდი 139).

## **ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სამართლებრივი ბუნება**

სამართალდარღვევის სამართლებრივი ბუნების განსაზღვრის ფარგლებში (იხ. თავი I) გამოიკვეთა სამართალდარღვევის სუბიექტთან დაკავშირებული საკითხების რეგულირების აუცილებლობა. მნიშვნე-

ლოვანია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სუბიექტად განისაზღვროს როგორც ფიზიკური ისე, იურიდიული პირი. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ასაკთან დაკავშირებით, ვფიქრობთ, რომ აღნიშნული საკითხის მარეგულირებელი ნორმა (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-13 მუხლის) ბუნდოვანია და მეტი სიცხადის შეტანის მიზნით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად მკაფიოდ განსაზღვროს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის პასუხისმგებლობა არ დაეკისრება პირს, ვისაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის დროისათვის არ შესრულებია 16 წელი.

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის ზოგადი დებულებები ფიზიკური პირისგან განსხვავებით არ უთითებს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხს, თუმცა, აღნიშნული საკანონმდებლო აქტის განსაკუთრებული ნაწილი ითვალისწინებს იურიდიული პირებისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესაძლებლობას, კერძოდ კოდექსში მითითებული არაერთი სამართალდარღვევის სანქციებში გვხვდება იურიდიული პირების პასუხისმგებლობის დამდგენი ნორმებიც.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ იურიდიულ პირებს, როგორც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის სუბიექტებს, პასუხისმგებლობა ეკისრებათ იმ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის, რომელიც დაკავშირებულია მათ საქმიანობასთან და ჩადენილია იურიდიული პირების იმ წარმომადგენლის მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ იურიდიული პირების სახელით, ან მათი მეშვეობით, (გამოყენებით) ან/და მათ სასარგებლოდ. შესაბამისად, აღნიშნულმა დათქმამ ასახვა უნდა ჰპოვოს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია, რომ საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გაკეთეს დათქმა, რომლის მიხედვითაც იურიდიული პირის პასუხისმგებლობა განისაზღვრება იმ

შემთხვევაშიც, როდესაც პასუხისმგებელი პირის მიერ ზედამხედველობისა და კონტროლის არაჯეროვნად განხორციელების გამო შესაძლებელი გახდა იურიდიული პირის დაქვემდებარებაში მყოფი ფიზიკური პირის მიერ სამართალდარღვევის ჩადენა იურიდიული პირის სასარგებლოდ. ხოლო, იურიდიული პირის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის სათანადოდ განსაზღვრის მიზნით, მიზანშეწონილია, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსმაც ფულადი ჯარიმის გარდა გაითვალისწინოს საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, როგორც ადმინისტრაციული სახდელის ერთ-ერთი სახე.

იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის რედაქცია არ მოიცავს გადაცდომის მცირე მნიშვნელოვნად კვალიფიცირებისთვის საჭირო კრიტერიუმებს, გამოიკვეთა მისი ახალი რედაქციით ჩამოყალიბების აუცილებლობა, რომელიც შემოთავაზებულია ნაშრომში (იხ. გვერდი 150).

ვფიქრობთ, კრიტიკას ვერ უძლებს დღეს მოქმედი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ცნება და აღნიშნულიდან გამომდინარე, შემოთავაზებულია მისი ახლებური რედაქცია (იხ. გვერდი 38). მიგვაჩნია, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მკაფიო ფორმით გაწერილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნების საფუძველზე შევიწროვდება საქმის მწარმოებელი ორგანოს (თანამდებობის პირის) დისკრეციული უფლებამოსილება, თუ რამდენად შეესაბამება ესა თუ ის მართლსაწინააღმდეგო ქმედება სამართალდარღვევის ცნებას. ამასთან, შემცირდება ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის უკანონოდ ან/და ხარვეზიანად დაკისრების, ასევე ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის კანონმდებლობის გამიჯვნასთან დაკავშირებული პრობლემები, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამართალდარღვევის საქმისწარმოების უფრო სწრაფ და სამართლიან ჩატარებას.

ამასთან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს რა იგულისხმება უმოქმედობის ქვეშ და რომელ შემთხვევებში შეიძლება მიჩნეულ იქნეს ის სამართალ-

დარღვევად. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ბუნების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია უმოქმედობა მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვლებოდეს სამართალდარღვევად, თუ პირს ეკისრება მოქმედების სპეციალური მოვალეობა და თუ მისი შეუსრულებლობა შეესაბამება სამართალდარღვევათა კოდექსის განსაკუთრებული ნაწილით განსაზღვრული ქმედების შემადგენლობის ნიშნებს.

### **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში არსებული ცნებების განახლება**

გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, კვლევის ფარგლებში შემოთავაზებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით არაერთი ახალი ცნების დადგენა და განახლება, მათ შორის:

- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ცნებასთან დაკავშირებით

„სამართალდარღვევად ჩაითვლება ამ კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რომლისთვისაც დაწესებულია ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.“

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების ცნება, რომელიც სასურველია ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოება არის ადმინისტრაციული ორგანოს, ამ კოდექსით და სხვა სამართლებრივი აქტებით დადგენილი საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია სამართალდარღვევის საქმეზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მომზადება, გამოცემა, აღსრულებასა და ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტასთან.“

- ადმინისტრაციული დადგენილება

„ადმინისტრაციული დადგენილება არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების საფუძველზე, ამ საქმეზე

უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წერილობითი ფორმით გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი.“

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის დახვეწის მიზნებისთვის, ნაშრომში შემოთავაზებული და განხილულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების ისეთი პრინციპები, როგორცაა: თანაზომიერების პრინციპი, კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი, კანონიერების პრინციპი, მიუკერძოებლობის პრინციპი, ინკვიზიციურობის პრინციპი, სამართლიანობა და ეკონომიურობა, ადამიანის უფლების ხელშეუვალობა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაული არის სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, რომელიც თავისი შემადგენლობით ცალსახად განსხვავდება ადმინისტრაციული სამართალდარღვევისაგან, მოცემულ თავში განხილული პრინციპების ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ასახვასთან ერთად, შესაძლოა განხილულ იქნას უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მსგავსი ნორმის გათვალისწინება, რომლის მიხედვითაც პირი არ უნდა იქნას მიჩნეული სამართალდამრღვევად მანამ, სანამ მის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენა არ დადასტურდება კანონით გათვალისწინებული წესით და არ დადგინდება საქმის განმხილველი უფლებამოსილი ორგანოს ან/და სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით/დადგენილებით.

## ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების სახეების განსაზღვრა

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მსგავსად, შესაბამისი მუხლებით ვადების ათვლის, წარმოების ენის განსაზღვრასთან ერთად, შემოთავაზებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების სამი სახის განსაზღვრა, ამ უკანასკნელის თავისებურებების გათვალისწინებით. კერძოდ:

- ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის მარტივი წარმოება, რომელიც გულისხმობს უფლებამოსილი ორგანოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებას;
- საქმის წარმოება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილზე;
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება საჩივართან დაკავშირებით.

ნაშრომში, თითოეული საქმის წარმოების სახის თავისებურებების გათვალისწინებით, ჩამოყალიბებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოებების თითოეული სტადია და ცალკე გამოყოფილია მათი ყველა ეტაპი (იხ. თავი V, VI, VII, VIII, IX, X, XI).

გასათვალისწინებელია, რომ არსებითი სიახლეა შემოთავაზებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების დაწყების საფუძველთან დაკავშირებით, რომელსაც უნდა წარმოადგენდეს სამართალდარღვევის შესახებ ინფორმაცია, (თავის თავში მოიცავს როგორც სათანადო წესით დაცული განცხადების მიღების შედეგად, ასევე სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის, მედიასაშუალებების მეშვეობით მიღებული ინფორმაციის და თავად ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივის საფუძველზე საქმის წარმოების დაწყების შესაძლებლობას) რომელიც უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოსთვის გახდა ცნობილი.



## ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე არსებული მტკიცებულებები და მათი შეფასება

სადისერტაციო ნაშრომში შემუშავებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე არსებული დასაშვები მტკიცებულებების, მათი მოპოვების გზების, შესაბამისი შეზღუდვების და მათი საბოლოო შეფასების სტანდარტები. კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ხსენებულ ნაწილში რეფორმის თავდაპირველად ეტაპზე საჭიროა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში მტკიცებულებების განმსაზღვრელი ნორმის განახლებული რედაქციით ჩამოყალიბება, სადაც მითითებული იქნება, უფლებამოსილ ორგანოების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პროცესში სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის დადგენის საშუალებები.

იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული ორგანო საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, მტკიცებულებების შეგროვებისას უფლებამოსილია გაატაროს მთელი რიგი ღონისძიებები, აღნიშნული უფლებამოსილებების მითითების მიუხედავად ერთად, მიზანშეწონილია ახალ ზოგად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განცალკევებული მუხლით მიეთითოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების პროცესში დაუშვებელი მტკიცებულებები შესახებ და განისაზღვროს, რომ კანონმდებლობის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულება ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მიღების პროცესში არ უნდა იქნეს გამოყენებული. ასევე ის გარემოება, რომ მას არ გააჩნია იურიდიული ძალა.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების დახვეწის და სახელმწიფო უწყებების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, ასევე შემოთავაზებულია საქმის გარემოებების შესწავლასა და მტკიცებულების შეფასებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესაბამისი ნორმის ახლებურად ჩამოყალიბება, რომლის მიხედვითაც უფლებამოსილმა ორგანომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

საქმის გარემოებების შესწავლისას, სწრაფად და ეფექტიანად უნდა მოიპოვოს საქმის გარემოებებთან დაკავშირებული ის მტკიცებულებები, რომელთა გამოკვლევა აუცილებელია სამართალდარღვევის შესახებ შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად. ამავდროულად, დაუშვებელია საქმეზე მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას/დადგენილებას საფუძვლად დაედოს ისეთი გარემოება ან ფაქტი, რომელიც სათანადოდ არ არის გამოკვლეული საქმის განმხილველი უფლებამოსილი ორგანოს (თანამდებობის პირის) მიერ.

განხორციელებული კვლევის საფუძველზე ნათელია, რომ მტკიცებულებების სათანადოდ შესაფასებლად და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე კანონიერი გადაწყვეტილების მისაღებად მოქმედი კოდექსი ადგენს საკმაოდ შემჭიდროებულ ვადებს. გამომდინარე იქიდან, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მარტივი წარმოებისას საქმის განმხილველმა ორგანომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ორი თვის ვადაში, გარკვეულ საქმეებზე შესაბამისი მტკიცებულებების მოსაძიებლად და სათანადოდ შესასწავლად, კოდექსით დადგენილი ვადა საკმაოდ მცირეა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ახალი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით სასურველია განისაზღვროს ადმინისტრაციული სახდელის დაკისრებისთვის დადგენილი ორ თვიანი ვადის ერთჯერადად, გარკვეული პერიოდით (მაგალითად ერთი თვით) გაგრძელების შესაძლებლობა, საქმის განმხილველი ორგანოს დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

### **ადმინისტრაციული საჩივარი**

ხოლო, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების სწრაფად წარმოების და მოქალაქეთა ინტერესების დაცვის მიზნით, მიზანშეწონილია დადგინდეს, რომ ადმინისტრაციული საჩივარი შეიტანება იმ ადმინისტრაციულ ორგანოში, რომელმაც გამოიტანა დადგენილება სამართალდარღვევის საქმეზე. ხოლო არაუფლებამოსილ ორგანოში საჩივრის წარდგენისას, ის

ვალდებული უნდა იყოს, რომ თავისი ინიციატივით, 3 დღის ვადაში საქმესთან ერთად განსახილველად გადაუგზავნოს უფლებამოსილ ორგანოს.

### **ვადების ათვლა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში**

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ვადების ათვლის მოუწესრიგებლობის სიმწვავე გამოჩნდა დადგენილების გასაჩივრების ნაწილშიც, შესაბამისად, აღნიშნული საკითხის დარეგულირება აუცილებელია ახალი სამართალდარღვევათა კოდექსის შემუშავებისას. შესაბამისი ცვლილებების შედეგად ამასთან, სასურველია გათვალისწინებულ იქნას ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის მესამე ნაწილის დებულება, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრებისათვის დადგენილი ვადის გაშვების შემთხვევაში იგი უნდა აღდგეს, თუ ამ ვადის გაშვება მოხდა დაუძლეველი ძალის ან სხვა საპატიო მიზეზით.

სასურველია ასევე შეიცვალოს დადგენილების გასაჩივრების შედეგები, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსშიც სათანადოდ იქნას გათვალისწინებული საჩივრის სუსპენსიური ეფექტი და შესაბამისად, დადგენილების გასაჩივრებით შეჩერდეს მისი მოქმედება. თუმცა, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე მიღებული დადგენილების თავისებურების გათვალისწინებით, სასურველია განისაზღვროს ისეთი საგამონაკლისო შემთხვევები, როდესაც არ შეჩერდება მისი მოქმედება, მაგალითად, როდესაც ადმინისტრაციული სახდელის სახით სამართალდარღვევს დაკისრებული აქვს პირისთვის მინიჭებული სპეციალური უფლების შეჩერება ან ჩამორთმევა, შესაძლოა არ შეჩერდეს დაკისრებული სახდელის მოქმედება.

### **დადგენილების გაუქმების საფუძვლები**

ამასთან, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ახალ ზოგად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში დადგენილების გაუქმების საფუძვლებად გათვალისწინებული იქნეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული

კოდექსის მე-60 და 60<sup>1</sup> მუხლებით დადგენილი არარა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის განმსაზღვრელი დებულებები.

### **ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების მხარეები და მონაწილე პირები**

კვლევის ფარგლებში განხილულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების მხარეები, მონაწილე პირები და შემოთავაზებულია მოქმედ კოდექსში დაინტერესებული მხარის განმარტების ასახვა (იხ. გვერდი 174).

ხსენებულ თავში, კანონმდებლობის სრულყოფის, ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტის ამაღლების მიზნით, განხილულია საქმის წარმოების მხარეების და მონაწილე პირების მთელი რიგი უფლებებით და მოვალეობებით აღჭურვა, კერძოდ:

– აუცილებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ყველა უფლებამოსილი ორგანოს მითითება კოდექსის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ქვემდებარეობის თავში, ასევე საჭიროა სამართალდარღვევათა საქმეების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოების განმსაზღვრელი მუხლის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, სადაც უშუალოდ უწყებების დასახელების გარეშე უნდა გაიწეროს, რომ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვაზე უფლებამოსილი კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოები თითოეული სამართალდარღვევისთვის განისაზღვრება ამ კოდექსით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. ამასთან, აქვე მისათითებელია, რომ უფლებამოსილი ორგანოების განსაზღვრა უნდა განხორციელდეს მათ დარგობრივ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მიხედვით;

– აუცილებელია, საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში გაიწეროს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების ქვემდებარეობის დელეგირების შესაძლებლობა და პირობები. სამართალდარღვევათა საქმეების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოების

განმსაზღვრელ მუხლში ასევე უნდა მიეთითოს, რომ სამართალდარღვევათა საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სახელმწიფო ორგანოს უფლება აქვს შესაბამისი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების უფლებამოსილება გადასცეს კერძო სამართლის იურიდიულ პირს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

–ახალი რედაქციით, დაზარალებულად უნდა ჩაითვალოს ყველა ის პირი, რომელსაც ადმინისტრაციულმა სამართალდარღვევამ მიაყენა *მატერიალური ან/და არამატერიალური* ზიანი;

–დაზარალებულს უნდა შეეძლოს არამხოლოდ დადგენილების, არამედ სამართალდარღვევის საქმესთან დაკავშირებით მიღებული ყველა სამართლებრივი აქტის გასაჩივრება;

–ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის დახვეწის მიზნით, საჭიროა განისაზღვროს, რომ ადვოკატის მეშვეობით სამართალდარღვევის საქმის წარმოების უფლება დაზარალებულთან ერთად ასევე აქვს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემულ პირსაც. ამასთან, საჭიროა გაიზარდოს სამართალდარღვევის საქმის განხილვაში მონაწილე ადვოკატის უფლებები და დაემატოს მისი მარწმუნებლის ინტერესებისთვის დასაცავად საპროცესო მოქმედებების, მათ შორის საკუთარი სახელით საჩივრის წარდგენის უფლებამოსილება;

–მიზანშეწონილია ტერმინი „ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლი“ შეიცვალოს და მიეთითოს იმგვარ „მდგომარეობაზე“, რა დროსაც ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირს ან/და დაზარალებულს სათანადოდ არ შეუძლია საკუთარი უფლებების დაცვა;

–საქმის წარმოების პროცესში კანონიერი წარმომადგენლები ხშირად გვევლინებიან როგორც არასრულწლოვანი პირების უფლებების დამცველნი, ხოლო აღნიშნულის საფუძველი ზემოაღნიშნული მუხლის არასწორი ფორმულირებაა, ვინაიდან არასრულწლოვნები ექცევიან იმ პირების ქვეშ, რომლებსაც „ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო თვითონ არ შეუძლიათ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე განახორციელონ

თავიანთი უფლებები.“ ცალსახაა, რომ არასრულწლოვანება არ წარმოადგენს ფიზიკურ ან ფსიქიკურ ნაკლს და ამ მხრივაც პრობლემურია ხსენებული მუხლი. შესაბამისად, ახალი რედაქციით ასევე უნდა განისაზღვროს, რომ ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული არასრულწლოვანი პირების ინტერესებს იცავენ მათი კანონიერი წარმომადგენლები;

–სასურველია, მოწმის მიერ ჩვენების მიცემა დასაშვები იყოს საკუთარი ინიციატივით ან მხარის შუამდგომლობით. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ მხარე იშუამდგომლებს საქმის განმხილველი ორგანოს წინაშე ამა თუ იმ პირის მოწმედ გამოკითხვის შესახებ, იგი ვალდებული უნდა იყოს მიუთითოს მისი პერსონალური მონაცემები და აგრეთვე ის, თუ საქმისათვის მნიშვნელობის მქონე რა გარემოების დადასტურება შეუძლია მას;

–საქმეზე ექსპერტის დანიშვნა და ექსპერტის დასკვნა ინსპექტირების სუბიექტისათვის სავალდებულო არ უნდა იყოს, მითუმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკაში აღნიშნული დაკავშირებულია მნიშვნელოვან ხარჯებთან და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა გააჩნდეთ სათანადო ღონისძიებების გატარების ნორმატიული საფუძვლები და ამასთან, უნდა იზრუნონ, რომ კონკრეტულ თანამდებობებზე შეარჩიონ კვალიფიციური კადრები, რომლებიც თავიანთი უნარ-ჩვევების და პროფესიონალიზმის გამოყენებით შეძლებენ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების სათანადო ჩატარებას;

–აუცილებელია საქართველოს ზოგად ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შესაბამისი რეგულაციის არსებობა, რომლითაც დადგინება, რომ ექსპერტის დასკვნა საქმის განმხილველი ორგანოსთვის სავალდებულო არ არის და იგი განხილულ უნდა იქნას, როგორც საქმეზე არსებული ერთ-ერთი მტკიცებულება. თუმცა, მიზანშეწონილია ექსპერტის დასკვნას მიენიჭოს უფრო მაღალი სტატუსი სხვაგვარი მტკიცებულებებისაგან განსხვავებით (მაგალითად, ახსნა-განმარტება, ფოტომასალა, ვიდეომასალა და ა.შ.) და იმ შემთხვევაში, თუ ორგანოს არ გაითვალისწინებს ექსპერტის დასკვნას, მან შესაბამის სამართლებრივ აქტში უნდა იმსჯელოს

აღნიშნულის შესახებ და დაასაბუთოს მისი გაუთვალისწინებლობის მიზეზები;

– მიზანშეწონილია, რომ შესაბამისი ცვლილებების შედეგად მოქმედ რედაქციაში აღინიშნოს, რომ საქმის განმხილველი ორგანო (თანამდებობის პირი) საკუთარი ხარჯით ნიშნავს თარჯიმანს. რაც შეეხება თარჯიმნის მოვალეობების ნაწილს, გარდა მითითებისა, რომ თარჯიმანი მოვალეა გამოცხადდეს ორგანოს (თანამდებობის პირის) გამომახებით და სრულად და ზუსტად შეასრულოს მისთვის დავალებული თარგმანი, სასურველია თუ რას იწვევს აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საჭიროა გაიწეროს, რომ განზრახ არასწორი თარგმნისთვის თარჯიმანს დაეკისრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 348<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა (ადმინისტრაციულ წარმოებაში ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის ან ჩვენების მიცემა ანდა განზრახ არასწორად თარგმნა). თარჯიმნის უფლებების დაცვის მიზნით კი, აუცილებელია აღნიშნულის შესახებ მისი გაფრთხილება თარგმნის დაწყებამდე, რაც ასევე უნდა მიეთითოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის აღნიშნულ მუხლში;

– დაინტერესებულ მხარედ, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების მიზნებისთვის უნდა წარმოადგენდეს - ნებისმიერი ფიზიკური ან/და იურიდიული პირი, ადმინისტრაციული ორგანო, რომელთან დაკავშირებითაც გამოცემულია და რომლის კანონიერ ინტერესზე პირდაპირ და უშუალო გავლენას ახდენს ადმინისტრაციული განკარგულება;

– ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ადმინისტრაციული ორგანოების ურთიერთდახმარების ვალდებულებასთან ერთად, საჭიროა განისაზღვროს ასეთი დახმარების დავალების შესაძლებლობა, ფარგლები და პირობები. ხოლო, გარკვეულ შემთხვევებში (მაგალითად, როდესაც დახმარების აღმოჩენა სცილდება მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს; სამართლებრივი დახმარების აღმოჩენა ზიანს აყენებს სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ინტერესებს

ან/და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონით დაკისრებულ ვალდებულებათა განხორციელებას) გაიწეროს სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის თაობაზე უარის თქმის საფუძვლები.

### **კვლევის შედეგად შემუშავებული სხვა წინადადებები და სამეცნიერო სიახლეები**

გარდა ზემოაღნიშნულისა, კვლევის შედეგად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის სრულყოფის მიზნით დამატებით მოცემულია არაერთი წინადადება და სამეცნიერო სიახლე, მათ შორის:

- საქმის წარმოების დაწყების და დასრულების შესახებ კანონიერი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, შემოთავაზებულია დისკრეციული უფლებამოსილების და მისი გამოყენების ფარგლების განსაზღვრა (იხ. გვერდი 135);
- შემოთავაზებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ინკვიზიციურობის პრინციპის ამსახველი ნორმის ჩამოყალიბება (იხ. გვერდი 122);
- იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 22-ე მუხლის რედაქცია არ მოიცავს გადაცდომის მცირე მნიშვნელოვნად დაკვალიფიცირებისთვის საჭირო კრიტერიუმებს, შემოთავაზებულია მისი ახალი რედაქციით ჩამოყალიბება (იხ. გვერდი 150);
- ახალ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში შემოთავაზებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის ადმინისტრაციული სახდელის განმეორებით დაკისრების ამკრძალავი მუხლის შემუშავება (იხ. გვერდი 127);
- საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მსგავსად მართლზომიერი რისკი ასევე უნდა იქნას გათვალისწინებული ადმინისტრაციულ



სამართალდარღვევათა სფეროშიც და მიზანშეწონილია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში განისაზღვროს ნაშრომში მოცემული რედაქციით (იხ. გვერდი 191);

- გარდა იმისა, რომ შესაბამისი ცვლილებების განხორციელების შემდეგ აუცილებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ყველა უფლებამოსილი ორგანოს მითითება კოდექსის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ქვემდებარეობის თავში, ასევე საჭიროა სამართალდარღვევათა საქმეების განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოების განმსაზღვრელი მუხლის ახალი რედაქციით ჩამოყალიბება, სადაც უშუალოდ უწყებების დასახელების გარეშე უნდა გაიწეროს, რომ სამართალდარღვევათა საქმეების განხილვაზე უფლებამოსილი კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოები თითოეული სამართალდარღვევისთვის განისაზღვრება ამ კოდექსით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით. ამასთან, აქვე მისათითებელია, რომ უფლებამოსილი ორგანოების განსაზღვრა უნდა განხორციელდეს მათ დარგობრივ კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების მიხედვით (იხ. გვერდი 159);
- ახლებურად არის ჩამოყალიბებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმის წარმოების გამომრიცხველი გარემოებები (იხ. გვერდი 192);
- დადგენილების გასაჩივრების წესთან დაკავშირებით შემოთავაზებულია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის არსებული მიდგომის ძირეული შეცვლა, ვინაიდან გასაჩივრებას უნდა ექვემდებარებოდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული ყველა სახის გადაწყვეტილება/დადგენილება და არა მხოლოდ მათი გარკვეული ნაწილი, როგორც მოქმედ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ჩამოთვლილი. შესაბამისად, ნაშრომში განხილულია არსებული ხარვეზის გამოსწორების საშუალებები (იხ. გვერდი 212);

- კვლევის თანახმად გამოიკვეთა ადმინისტრაციული დადგენილების გასაჩივრების ახალი ვადის დადგენის აუცილებლობა და აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაშრომში შემოთავაზებულია ხარვეზის გამოსწორების შესაბამისი გზები (იხ. გვერდი 217).

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ განხორციელებული კვლევის შედეგად შემუშავებული მთელი რიგი წინადადებების და დასკვნების საკანონმდებლო სივრცეში დანერგვა ხელს შეუწყობს არსებული სამართლებრივი ხარვეზების აღმოფხვრასა და პრაქტიკული საქმიანობის დახვეწას.

## ბიბლიოგრაფია

### ლიტერატურა ქართულ ენაზე

1. ადეიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იზორია ლ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ტურავა პ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი 2005;
2. ავტორთა კოლექტივი, სისხლის სამართლის სახელმძღვანელო, „მერიდიანი“, 2016;
3. ლორია ა., სამართალდარღვევის ცნება, ჟურნალი სამართალი, 1991, N9-10;
4. ლორია ვ., საქართველოს ადმინისტრაციული სამართალი, მერიდიანი, თბილისი, 2005;
5. ლორია ვ., საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2002;
6. სალხინაშვილი მ., ადმინისტრაციული სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2008, N2-08;
7. სულაქველიძე დ., ოთარ გამყრელიძის 80 წლის იუბილესადმი მიძღვნილისაიუბილეო სამეცნიერო კრებული, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი და მისი რეფორმის კონცეპტუალური საკითხები; თბილისი, 2016;
8. ტურავა პ. წკეპლაძე ნ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო. თბილისი, 2010;
9. ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, გამომცემლობა „იურისტების სამყარო“; თბილისი, 2018, მეორე გამოცემა;
10. ღვამიჩავა თ., ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის განსხვავება სხვა სახის სხვა სახის იურიდიული პასუხისმგებლობისგან, ჟურნალი - იურისპუდენცია, 2006;

11. ყურაშვილი კ., „პოლიციის პრევენციული და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებების სამართლებრივი ფორმების გამიჯვნა“, თბილისი, 2018;
12. ჩიკვაშვილი შ., დელიქტური ვალდებულებანი, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი 4, ტ.2, 2001;
13. ჩიტომვილი თ., ჟურნალი „მართლმსაჯულება“ 2008, №1;
14. ჩიტომვილი თ., „დელიქტი და დელიქტურ ვალდებულებათა ზოგიერი სამართლებრივი ასპექტები“ 2008;
15. ცხადაძე ქ., ადმინისტრაციული გადაცდომა და მისი გამიჯვნა სისხლის სამართლის დანაშაულისგან, ჟურნალი მართლმსაჯულება, 2008, N2;
16. ხარშილაძე ი., ადმინისტრაციული გადაცდომისა და სისხლის სამართლის დანაშაულის გამიჯვნის სამართლებრივი პრობლემები, ჟურნალი ადმინისტრაციული სამართალი, 2016, 2/2016;
17. ხოფერია რ., REFORMATIO IN PEIUS-ის პრინციპის დასაშვებობის საკითხი გერმანიისა და საქართველოს საგამოცდო სამართალში, სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „ადმინისტრაციული სამართალი“, 2013.

### ლიტერატურა უცხო ენებზე

1. BGH StV 1988 (გერმანიის უმაღლესი ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება) ;
2. BGHZ 96, 157 (171); Ossenbühl F., Staatshaftungsrecht, S.71; W. Rüfner, in: Erichsen/Ehlers, AllgVerwR., §47 Rdnr. 25 jew. m.w.N.;
3. Bohnert J., Bülte J., Ordnungswidrigkeitenrecht. 5. Auflage. 2016
4. Christian von Bar, Eric Clive and Hans Schulte-Nölke and Hugh Beale, Johnny Herre, Jérôme Huet, Peter Schlechtriem†, Matthias Storme, Stephen Swann, Paul Varul, Anna Veneziano and Fryderyk Zoll, Principles, Definitions and Model Rules of European Private Law, Draft Common Frame of Reference (DCFR), Prepared by the Study Group on a European Civil Code and the European Research Group on Existing

EC Private Law (Acquis Group), Based in part on a revised version of the Principles of European Contract Law, FINAL Outline Edition 1-1-2009

5. *Detterbeck S.*, Allgemeines Verwaltungsrecht, 2004;
6. *D. Vitkauskas, G. Dikov*, Protecting The right to a fair trial under the European Convention on Human Rights, Council of Europe, Strasbourg, 2012;
7. *Eithen Y. Kidron*, Journal of Law Reform University of Michigan winter (2019), Article: *Understanding Administrative Sanctioning as corrective Justice*;
8. *Fletcher*, "Fairness and Utility in Tort Theory", supra note 147;
9. *Göhler*, OWiG, Kommentar, 16. Aufl., 2012;
10. *Hartmut Maurer*. Allgemeines Verwaltungsrecht;
11. *Hudson*, 118 S. Ct. at 499 (Stevens, J., concurring in judgment) (quoting *Green v. United States*, 355 U.S. 184, 187 (1957)). No. 96-976.;
12. *Jaroschek M.*, Die reformatio in peius im Widerspruchsverfahren, JA, 1997;
13. *Kingreen T.*, Zur Zulässigkeit der reformatio in peius im Prüfungsrecht, DÖV, 2003;
14. *Kurz*, Karlsruher Kommentar zum OWiG, 2006;
15. *Maiazza*, 2003. Das Opportunitätspizip im Bußgeldefahe unter besonderer Berücksichtigung des Kartellrechts. 8 and further;
16. *Marcus D Dubber*, *preventive Justice „The Quest for Principle in PREVENTION AND LIMITS OF THE CRIMINAL LAW“* (Andrew Ashworth, Lucia Zedner & Patrick Tomlin eds. 2013)
17. *Eithan Y. Kidron*, Understanding Administrative Sanctioning as Corrective Justice, „the prosecution of a person twice for the same offense. In the United States, where defendants are protected against double jeopardy , his acquittal would have ensured that he went free” Journal of Law Reform university of Michigan, winter 2018;
18. *Maurer* Allgemeines Verwaltungsrecht, 18. Aufl., 2011;
19. *Max Vetzo*, "The Past, Present and Future of the Ne Bis In Idem Dialogue between the Court of Justice of the European Union and the European Court of

Human Rights: The Cases of Menci, Garlsson, and Di Puma. Review of European Administrative Law, 2018-2, Volume 11, 56;

20. *Noak T.*, 2012. Einführung ins Ordnungswidrigkeitenrecht – Teil 3, ZJS 4/2012;
21. Oberlandersgericht Stuttgart, Monatsschrift Für Deutsches Recht, 1985;
22. *Panov, A.B.*, On Significance in Administrative Offences, 2012 Law: J. Higher Sch. Econ. 68;
23. *Patrick S. Nolan*, Comment, Double Jeopardy's Multipunishment Protection and Regulation of Civil Sanctions After United States v. Ursery, 80 MARQ. L. REv. 1081, 1081 (1997);
24. *Pfiffner J.M.*, Public Administration. New York, 1946;
25. *Rebmann, Roth, Herrmann*, Gesetz über Ordnungswidrigkeiten, 2014;
26. Recommendation N R (91) 1 duComitedes Ministers aux Etats Membres relative aux sanctions administrative, 13 fevrier 199;
27. *Sommermann K.P.*, Die offentliche Verwaltung im demokratischen und sozialien Rechtsstaat, in: Legislative foundations of public administration / Handbuch der rechtlichen Grundlagen der Verwaltung, Tbilisi 2016;
28. *Stelkens/Bonk/Sachs*, 1998. Verwaltungsverfahrensgesetz, 5. Auflage, München;
29. *S.I.Strong & Liz Williams*, Tort Law, Text, Cases and Materials, second edition, 2011;
30. *А. А. Ванчук М.*, Административно-деликтное право зарубежных стран;
31. *Бахрах Д.Н.*, Состав административного проступка: учеб. пособие. Свердловск, 1987;
32. Закон Республики Словения «О проступках» от 12 декабря 2002 года,Издательство „Волтерс Клувер”, Москва, 2011;
33. Закон Австрийской Республики «Об административных наказаниях», Издательство „Волтерс Клувер”, Москва, 2011;
34. Закон об административном производстве, П.2. изд. «infotropic media», Москва, 2013.

34. Закон Итальянской Республики от 24 ноября 1981 года № 689 «Изменения уголовной системы», Издательство „Волтерс Клувер”, Москва, 2011;
35. Постановление ФАС Уральского округа от 25 июня 2009 г. № Ф09-4401/09-С1 по делу № А50-3958/2009-А12 //;
36. Постановление ФАС СЗО от 19 марта 2009 г. по делу № А56-22391/2008 // СПС «Консультант Плюс».
37. *Шерстобоев О.Н.*, К вопросу о малозначительности административных правонарушений: некоторые проблемы теории и практики. российская юстиция. 2008, №10;

### ნორმატიული აქტები

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი;
4. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი;
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი;
6. „სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი;
7. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი;
8. „ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონი;
9. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია;
10. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი;
11. გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი;
12. „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ“ გერმანიის კანონი;
13. „ადმინისტრაციული წარმოების შესახებ“ გერმანიის კანონი.

## ელექტრონული რესურსები:

1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1984 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება საქმეზე „ოზთურქი გერმანიის წინააღმდეგ“ ((§ 50 of Judgment of the European Court of Human Rights: Öztürk v. Germany, 21 February 1984, Published in A 73); § 69-73 ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით ევროპული სასამართლოს 1984 წლის 28 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „კემპბელი და ფელი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ <<http://www.echr.ru/dokuments/doc/2461410/24-61410.htm>> [20.07.2019](§ 69-73 of Judgment of the European Court of Human Rights: Campbell andand Fell v. The United Kingdom, 28 June 1984 Published in A 80).
2. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1976 წლის 8 ივნისის გადაწყვეტილება საქმეზე „ენგელი და სხვები ნიდერლანდების წინააღმდეგ“ // Европейский суд по правам человека Извренные решения ტ.2; 113-114; (§ 81 of Judgment of the European Court of Human Rights: Engen and others v.The Netherlandsl, 8 June 1976, published in A 22). <[http:// www.echr.ru/dokuments/doc/2461444./2461444.htm](http://www.echr.ru/dokuments/doc/2461444./2461444.htm)> [20.07.2019];
3. მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და სამართლებრივი გაძლიერების პროექტი (JILEP),როგორ შეეწყვიტოთ საქართველოს მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კანონმდებლობის არაკონსტიტუციური გამოყენება, 2013, 3. <[http://ewmiprolog.org/images-/files/5258GEO\\_Admin\\_Regime\\_JILEP\\_Report\\_Oct\\_30\\_final.pdf](http://ewmiprolog.org/images-/files/5258GEO_Admin_Regime_JILEP_Report_Oct_30_final.pdf)>[20.07/2019];
4. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის №1/4/592 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბექა წიქარიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3045482?publication=0>>[20.07.2019];
5. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 29 დეკემბრის №2/7/636 გადაწყვეტილება. <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3544820?publication=0>>[19.07.2019];
6. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2006 წლის 15 დეკემბრის N1/3/393,397 გადაწყვეტილება. საქართველოს მოქალაქეები - ვახტანგ მასურაშვილი და ონისე მეზონია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. <<https://constcourt.ge/ka/judicial-acts?legal=309>>[20.07.2019];



7. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა ადმინისტრაციულ საქმეებზე (2014 წლის II ნახევარი - 2015 წელი), 73. <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ertgvarovani-praktika-administraciuli.pdf>>[21.09.2019];
8. საქართველოს უზენაესი სასამართლო, რეკომენდაციები ადმინისტრაციული სასამართლოს პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე, თბილისი, 2007, 17-18. [http://www.tcc.gov.ge/uploads/sasamartlo\\_praqtika/rekomendaciebi\\_adm\\_2007](http://www.tcc.gov.ge/uploads/sasamartlo_praqtika/rekomendaciebi_adm_2007)[19.06.2019];
9. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა ადმინისტრაციულ საქმეებზე (2014 წლის II ნახევარი - 2015 წელი), 83. <<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/ertgvarovani-praktika-administraciuli.pdf>>[03/11/2019];
10. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე: ირაკლი ხვედელიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4544474?publication=0#DOCUMENT:1;>>[03/11/2019];
11. Human Rights Watch administrative Error: georgias flawed System of Administrative Justice, იანვარი 2013 წ. <<https://www.hrw.org/report/2012/01/04/administrative-error/georgias-flawed-system-administrative-detention>>[20/06/2019].
12. Пенитенциарный кодекс, 2001 года <[http://estonia.news-city.info/docs/-systems/dok\\_iercgz/page2.htm](http://estonia.news-city.info/docs/-systems/dok_iercgz/page2.htm)>[19.07.2019];

ნაშრომი შესრულებულია ჩემ მიერ და ნაშრომში გამოყენებული ყველა  
წყარო სათანადოდაა მითითებული.

ოთარ ჩახუნაშვილი